

თბილისის განო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

თეონა ლომსაძე

ქართული ხალხური მუსიკის ფუნქციონირების თანამედროვე
ფორმები
(ფოლკ-ფიუჯენის მაგალითზე)

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

ქვემიმართულება ეთნომუსიკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

ემერიტუს პროფესორი

რუსუდან წურწუმია

კონსულტანტი:

ეთნომუსიკოლოგიის პროფესორი

მანჩესტერის უნივერსიტეტიში

ქეროლაინ ბითელი

თბილისი, 2021 წელი

სარჩევი

შესავალი 3

თავი I

აუთენტიკურობისა და განახლების ფენომენი ფოლკლორულ მუსიკაში:	
ტერმინოლოგიური საკითხები	11
1. აუთენტიკურობის ცნების განმარტებისათვის	14
2. მუსიკის განახლების (Music Revival) პროცესი, როგორც ფოლკლორული მუსიკის მუდმივი ცვალებადობის თანამედროვე გამოხატულება	21
3. ფოლკ-ფიუჯენი: ტერმინის თანამედროვე ინტერპრეტაციები და დეფინიცია	39

თავი II

ქართული ხალხური მუსიკის განახლება ისტორიულ დინამიკაში	58
1. სასცენო ფოლკლორიდან ფოლკ-ფიუჯენამდე	59
2. ქართული ფოლკ-ფიუჯენის ჩასახვიდან მის თანამედროვე გამოვლინებამდე	81

თავი III

ქართული ფოლკ-ფიუჯენის მუსიკალური და სოციალური ასპექტები	97
1. ფოლკ-ფიუჯენის მუსიკალური ფორმაქმნადობის პრინციპები	98
2. ფოლკ-ფიუჯენი, როგორც ქართველი მუსიკოსების იდენტობის გამომხატველი:	
სოციოლოგიური ანალიზის ცდა	138

თავი IV

ქართული ფოლკ-ფიუნქენის სოციო-პულტურული ფუნქცია	158
დასკვნა 185	
გამოყენებული ლიტერატურა	194
ინტერვიუერების სია	207
დანართი 208	
დანართის სია	209
➤ სანოტო მაგალითები	209
➤ ილუსტრაციები	209
➤ აუდიომაგალითები	209
➤ ვიდეომაგალითების სია	210
სანოტო მაგალითები	211
ილუსტრაციები	245

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ქართული ხალხური მუსიკის ფუნქციონირების თანამედროვე ფორმების, კონკრეტულად კი – ფოლკ-ფიუჯენის შესწავლას. ეს ფორმები ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესის¹ შედეგად წარმოიშვა და ქართული ხალხური მუსიკის თანამედროვე პირობებში არსებობის რამდენიმე განსხვავებული სახე შექმნა. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მთავარი საგანი სწორედ ქართული ხალხური მუსიკის განახლების პროცესი და მის კონტექსტში აღმოცენებული ერთ-ერთი ფორმა, ფოლკ-ფიუჯენ მუსიკაა.

ეთნომუსიკოლოგიაში დამკვიდრებული მოსაზრებით, ფოლკლორული მუსიკის განახლების (Music revival) პროცესი ესაა იმ მუსიკალური ტრადიციების აღდგენასა და შენახვაზე ორიენტირებული პროცესი, რომელსაც თანდათანობით დაკარგვის ან სამუდამოდ წარსულში გაქრობის საფრთხე ემუქრება (Livingston, 1999: 68). განახლება კი თავის თავშივე მოიცავს ცვლილებას, რადგან „განახლებული” მუსიკა ყოველთვის გარდაქმნილია ამა თუ იმ ნიშნით, ხშირ შემთხვევაში, თანამედროვეობით ნაკარნახევი ტენდენციების შესაბამისად. როგორც აღნიშნავენ, „მაშინაც კი, როცა ადამიანებს პგრიათ, რომ რაიმეს განაახლებენ, ანუ მას სიცოცხლეს უბრუნებენ, შედეგად მაინც რადაც ახალს იღებენ“ (Slobin, 1983: 37).

ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესის შედეგად საქართველოში სამი ძირითადი სტილური ერთეული თუ მუსიკალური მიმართულება გაჩნდა (რამდენიმე შედარებით მცირე მასშტაბის მუსიკალურ წარმონაქმნით ერთად). ესენია: 1. სასცენო ფოლკლორი, 2. ფოლკლორული ელფერის მქონე თანამედროვე საავტორო ნიმუშები, ე.წ. „ფსევდო-ფოლკლორი”, რომელსაც ჩვენ „პოპ-ფოლკის” სახელწოდების ქვეშ ვაერთიანებოთ და 3. ქართული ფოლკ-ფიუჯენ მუსიკა, რომელიც ფოლკლორული მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის მიმდინარეობების (ჯაზი, როკი, პოპი, ელექტრონული მუსიკა და ა.შ.) სინთეზის შედეგად შექმნილ მუსიკალურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე

¹ დასავლურ ეთნომუსიკოლოგიურ ლიტერატურაში ეს პროცესი “Music revival”-ის სახელწოდებითაა ცნობილი, რის ყველაზე მისაღებ ქართულ შესატყვისად „მუსიკის განახლება” გვესახება.

მუსიკალურ მიმდინარეობებს შორის გამოვლენის ფორმების ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ტერმინი ფოლკ-ფიუჟენი ჯერჯერობით არც ქართულ და არც დასავლურ ეთნომუსიკოლოგიურ ნაშრომებში არ გვხვდება (მხოლოდ ინტერნეტ-სივრცეში მიკვლეული ამა თუ იმ უცხოელი მუსიკოსის პრაქტიკაშია დაფიქსირებული). ამ უკანასკნელში, ძირითადად, მკვლევრები ტერმინ „მსოფლიო მუსიკას” მიმართავენ, ან საკუთარი ლოკალური ტერმინები აქვთ შემუშავებული, როგორიცაა, ეთნომუსიკოლოგ ბრიტა სვიირსისეული ტერმინი „ელექტრო ფოლკი” (Sweers, 2005) ბრიტანეთში, მარტინ ბოიკოსა (Boiko, 2001) და დაივა რაჩიუნაიტეს (Račiūnaitė-Vyčinienė, 2012) ნაშრომებში მოხსენიებული და ლატვია-ლიეტუვაში მეტ-ნაკლებად დამკვიდრებული ტერმინი „პოსტფოლკლორი” და სხვ.

მიუხედავად წყაროების სიმწირისა, უნდა ითქვას, რომ ინტერნეტ-სივრცეში ტერმინი ფოლკ-ფიუჟენი (ან მისი რომელიმე ქვემიმართულების [ფოლკ-როკი, ეთნო-ჯაზი, ფოლკ-ელექტრონიკა და ა.შ.] სახელწოდება) მაინც ფიგურირებს. ინდოელი მუსიკოსის, რაღუ დიქსითის (Raghu Dixit) მიერ მოხმობილი მაგალითების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ მის მიერ ფოლკ-ფიუჟენის ტერმინში სწორედ ის მნიშვნელობაა მოაზრებული, რა მნიშვნელობითაც ჩვენ ქართულ ფოლკ-ფიუჟენს განვიხილავთ – ფოლკლორული მუსიკისა და პოპულარული მუსიკის რომელიმე მიმდინარეობის სინთეზი, როგორც წესი, ორი ან სამი მუსიკალური კომპოზიტით. ზემოაღნიშნული წყაროს აღმოჩენამ მას შემდეგ, რაც ფოლკ-ფიუჟენს უკვე მოვიაზრებდით სამუშაო ტერმინად, კიდევ უფრო გაამყარა ჩვენი პოზიციის მართებულება. როგორც ჩანს, მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკალურ კულტურაში გამოვლენილი, მაგრამ ზედმიწევნით მსგავსი მოვლენის დეფინირებისათვის ფოლკ-ფიუჟენი საუკეთესო ტერმინი აღმოჩნდა.

უნდა ითქვას, რომ ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალურ მიმართულებას ბევრი აქვს საერთო „მსოფლიო მუსიკის” (world music) ცნობილ ჟანრთან. თუმცა, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი მუსიკალურ ბაზარზე გაჩენილი და გაცილებით კომერციალიზებული მუსიკის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენს, მას და ფოლკ-ფიუჟენს შორის ერთი გაცილებით პრინციპული განსხვავებაა – „მსოფლიო მუსიკა” არის „მუსიკა, რომელიც ვიდაც სხვას ეკუთვნის” (Rahkonen, 1994: XX), ფოლკ-ფიუჟენის

შემსრულებლებიდან კი, როგორც წესი, მინიმუმ ერთი მუსიკოსი მაინცაა იმ ტრადიციული მუსიკალური კულტურის წარმომადგენელი, რომლის მუსიკალური ელემენტებისა და პოპულარული მუსიკის სინთეზითაც იქმნება ეს პროდუქტი. ამის გათვალისწინებით, საჭიროდ ჩავთვალეთ ქართულ მუსიკალურ რეალობაზე უკეთ მორგებული ტერმინის შემუშავება, რომელიც მეტნაკლები სისავსით გამოხატავს მასში ჩადებულ შინაარსს. სწორედ ასეთ ტერმინად გვესახება „ფოლკ-ფიუჯენი”, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ლოკალური სამუშაო ტერმინია.

უნდა ითქვას, რომ საჭიროველოში პოპულარული მუსიკის თანამონაწილეობით სხვადასხვა მუსიკალური სტილის სინთეზის პრაქტიკა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩაისახა. თუმცა, ბუნებრივია, ეს პროცესი არასდროს ყოფილა დეფინირებული რაიმე ტიპის „ფიუჯენად”.

თანამედროვე საჭიროველოში ხალხური მუსიკა დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს, თუმცა მისი გამოხატვის ფორმები სხვადასხვაგარია და, როგორც უკვე ადგიშნეთ, ფოლკლორული მუსიკის განახლების ტენდენციებითაა მართული. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკის განახლების პროცესების პვლევის პრაქტიკა მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში უკვე ნახევარ საუკუნეს ითვლის, ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში არ არსებობს ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომი². თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების მუსიკალურ-კულტურული მოთხოვნილებების პვლევასა და მისი მუსიკალური იდენტობის განსაზღვრასთან, ეჭვს არ იწვევს განხორციელებული კვლევის აქტუალობა.

სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ დირებულებას წარმოადგენს მისი სიახლე. ეს არის პირველი მასშტაბური კვლევა, რომელიც შეისწავლის ქართული ხალხური მუსიკის ფუნქციონირების თავისებურებებს თანამედროვე სოციუმში. მასში პირველადაა განხილული ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესი და მოცემულია მის შედეგად წარმოქმნილი თანამედროვე ფორმების სისტემატიზაცია. პვლევაში პირველადაა განხილული ფოლკლორის განახლების შესახებ არსებული

² თუ არ ჩავთვლით, ედიშერ გარაფანიძის ნაშრომს „ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებლობა”, რომელშიც ქართული ხალხური მუსიკის განახლებისას გამოვლენილი სამიდან ერთი შრე, სასცენო ფოლკლორია შესწავლილი.

მეცნიერული თეორიები ქართული სინამდვილის გათვალისწინებით. ამასთან, პირველადაა განხორციელებული ქართული ფოლკლორისა და თანამედროვე პოპულარული მუსიკალური სტილების სინთეზის შედეგად წარმოქმნილი ახალი მუსიკალური ერთეულის, ფოლკ-ფიუჟენის ისტორიული, მუსიკოლოგიური და სოციოლოგიური ანალიზი.

საკვლევი თემის **აქტუალობასა** და **სიახლეს**, ასევე, განსაზღვრავს თავად ინტერდისციპლინური კვლევის კომპლექსური მეთოდოლოგია, დამყარებული ეთნომუსიკოლოგიის, ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიის მეცნიერული კვლევის მეთოდებზე.

სადისერტაციო ნაშრომის **მიზანია** ქართული მუსიკალური ფოლკლორის თანამედროვეობაში ფუნქციონირების სურათის ასახვა და ტრადიციული მუსიკის განახლების ზოგადი ტენდენციების გამოვლენის შემდეგ, ქართული ანალოგის თავისებურებების დადგენა. ასევე, ჩატარებული კვლევის მიზანია ქართული ფოლკლორული მუსიკისგან წარმოებული მუსიკალური ერთეულის, ფოლკ-ფიუჟენის სოციო-მუსიკალური ასპექტების შესწავლა და მისი ფუნქციის განსაზღვრა თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრებაში.

სადოქტორო კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზნის – ქართული ფოლკლორული მუსიკის თანამედროვეობაში ფუნქციონირების სურათის ასახვა – განსახორციელებლად, უპირველესი ამოცანა იყო გლობალიზაციის პირობებში ტრადიციული მუსიკალური კულტურების ადაპტაცია-ტრანსფორმაციისა და განახლების პროცესებთან დაკავშირებული დასავლური თეორიების (ეთნომუსიკოლოგიური, სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური) დამუშავება და მათი შესაბამისობის დადგენა საქართველოში მიმდინარე ფოლკლორულ პროცესებთან. ყოველივე ეს ფოლკლორული მუსიკის განახლების ქართული ანალოგის თავისებურებების გამოვლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად გვესახება. არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა გახლდათ უშუალოდ, ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესში გამოვლენილი მუსიკალური ფორმების დიფერენცირება და მათი გარკვეული ანალიზი. მათგან, თანამედროვეობაში არსებული ხალხური მუსიკის ძირითადი მიმართულების, სასცენო ფოლკლორის ფუნქციონირების საკითხი საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული ეთნომუსიკოლოგ ედიშერ გარაფანიდეს. რაც შეეხება ფოლკლორული მუსიკის ელემენტების

ინკორპორაციის გზით წარმოებული დანარჩენი ორი ფორმის (პოპ-ფოლკი და ფოლკ-ფიუჟენი) ფუნქციონირებას, ეს საკითხი ნაკლებადაა გამოკვლეული ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში და პირველ რიგში, ამ ფორმების დეფინირების ამოცანასთანაა დაკავშირებული. სადისერტაციო ნაშრომში სწორედ ამ ამოცანის განხორციელების შედეგად წარმოვადგენთ ზემოაღნიშნული პოპ-ფოლკისა და ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალურ ერთეულებს. საბოლოოდ კი, სადისერტაციო ნაშრომის მთავარ ამოცანაზე, ფოლკ-ფიუჟენის მიმართულების მუსიკალურ-სოციოლოგიურ ანალიზზე შევაჩერებთ ყურადღებას.

სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქცენტს ვაკეთებთ, პირველ რიგში, ეთნომუსიკოლოგიურ, ანთროპოლოგიურ და სოციოლოგიურ მეცნიერებებში დამკვიდრებულ მეთოდებსა და მიღებებზე, მით უფრო, რომ XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში მუსიკის სოციოლოგიის ერთ-ერთ მთავარ თემას თანამედროვე საზოგადოების მუსიკალური ინტერესების კვლევა წარმოადგენს (Adorno, 1962).

ნაშრომი, ძირითადად, ემყარება თვისობრივი კვლევის მეთოდებს. ქართული მუსიკალური ფოლკლორის განახლების პროცესის კვლევისას გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომლის დახმარებითაც წარმოდგენილია განახლების პროცესში გამოვლენილი სამივე მუსიკალური მიმართულების (ქართული სასცენო ფოლკლორი, პოპ-ფოლკი და ფოლკ-ფიუჟენი) მცირე ისტორიული მიმოხილვა (ჩვენი სადისერტაციო კვლევის მთავარი აქცენტებიდან გამომდინარე, შედარებით ვრცელია ის ფოლკ-ფიუჟენის შემთხვევაში). კერძოდ, ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალური ერთეულის სოციო-მუსიკალური ანალიზისას ფართოდ ვიყენებთ ეთნომუსიკოლოგიაში ერთ-ერთ ძირითად, მონაწილე-დამკვირვებლის მეთოდს, რომლის ფარგლებში აქტიურად მივმართავთ წარმოებული საველე მუშაობის პროცესში მოპოვებულ მასალას, სოციოლოგიური მეთოდის გამოყენებით ჩატარებული ჩართული ინტერვიუებისას და ინტერნეტ-კითხვარით მიღებულ ინფორმაციას. ასევე, ნაშრომში გამოყენებულია საველე მუშაობის ფარგლებში, ინტერნეტსივრცესა და სხვადასხვა პირად არქივში მოძიებული აუდიო-ვიზუალური თუ ბეჭდური მასალა.

მოპოვებული აუდიო-ვიზუალური მასალა ჩვენ მიერ ქართული ფოლკ-ფიუჟენის თავისებურებების გათვალისწინებით შედგენილი საანალიზო სისტემის მიხედვით მუსიკოლოგიურ-თეორიული და შედარებითი ანალიზის მეთოდებით გვაქვს

შესწავლით, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ფოლკ-ფიუჟენის სტილში ფოლკლორული მუსიკის ელემენტების გამოყენების ესა თუ ის საინტერესო ტენდენცია.

სადისერტაციო კვლევის წარმოების პროცესში ერთგვარ მეთოდოლოგიურ სირთულეს წარმოადგენდა ეთნომუსიკოლოგიური, ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური მიდგომების, თეორიების შეჯერება და დისერტაციაში სათანადოდ ასახვა, რაც ინტერდისციპლინურ კვლევებში უზარმაზარი გამოცდილების მქონე დასავლელ ეთნომუსიკოლოგებთან (ბრუნო ნეტლი, ჯეინ შუგარმანი, ქეროლაინ ბითელი, მარტინ სტოუკსი) ჩატარებული კვლევითი ვიზიტების საშუალებით მნიშვნელოვნად გაადვილდა. ამასთან, ამერიკულ და ბრიტანულ ბიბლიოორეგაებში მუშაობისას მოპოვებული მასალით გადაიჭრა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიურ ლიტერატურასთან წვდომის სირთულეც. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის უმთავრესი ნაწილი სწორედ უახლესი დასავლური (ინგლისურენოვანი) ლიტერატურის დამუშავება-ანალიზის შედეგად შემუშავებული მოსაზრებებითა და თეორიებითაა გაჯერებული.

სადისერტაციო ნაშრომი ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში პირველად განხორციელებული ისეთი ინტერდისციპლინური მონოგრაფიული შრომაა, რომელშიც წარმოდგენილია ფოლკლორული მუსიკის განახლების როგორც ზოგადი მახასიათებლები, ისე კონკრეტულად, ქართული მუსიკალური ფოლკლორის თანამედროვეობაში ფუნქციონირების ფორმები და მისი განმაპირობებელი ფაქტორები. ამასთან, ნაშრომში სიღრმისეულადაა შესწავლითი ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ჯერ გამოუკვლეველი, ქართული ხალხური მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის სინთეტური ფორმა, ფოლკ-ფიუჟენი, მისი მუსიკალური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით. სადისერტაციო ნაშრომში შესული კვლევის ამა თუ იმ ეტაპის შედეგები აპრობირებულია უცხოურ ჟურნალებსა და სამეცნიერო შრომების კრებულებში გამოქვეყნებულ ჩემს სტატიებში: “When tradition meets modernity: Georgian folk-fusion music” (როცა ტრადიცია ხვდება თანამედროვეობას: ქართული ფოლკ-ფიუჟენ მუსიკა) (2019); “The cultural context of Georgian traditional music revival: three distinct individuals from local ethno-fusion space” (ქართული ტრადიციული მუსიკის განახლება: სამი გამორჩეული ინდივიდუალი ადგილობრივი ეთნო-ფიუჟენ სივრციდან) (2019); “Georgian

Political Folk and Folkloric Politics: The Relationship Between Folk Music and Politics in Georgia” (ქართული პოლიტიკური ფოლკლორი და ფოლკლორული პოლიტიკა: ფოლკლორული მუსიკისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება საქართველოში) (2016); “Some Peculiarities of Georgian and Estonian Folk Music Revival” (ქართული და ესტონური ფოლკლორული მუსიკის განახლების გარკვეული თავისებურებები) (2016).

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ დირექტორებას, ასევე, განაპირობებს ეთნომუსიკოლოგიურ მეცნიერებაში ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესის პალევის დასავლური გამოცდილების დანერგვა და, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებული უახლესი უცხოენოვანი ლიტერატურის შემოტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.

ნაშრომის პრაქტიკულ დანიშნულებას განსაზღვრავს მასში განხილული საკითხების აქტუალობა არა მხოლოდ ეთნომუსიკოლოგების, არამედ სხვა დარგის სპეციალისტებისთვისაც. თავისი ინტერდისციპლინური პროფილით, ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც, საკუთრივ, ტრადიციული მუსიკისა თუ პოპულარული მუსიკის აქტიურ მომხმარებლებს, ისე დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემატიკით დაინტერესებულ მომიჯნავე დარგის სპეციალისტებს (ანთროპოლოგებს, სოციოლოგებს, კულტუროლოგებს და სხვ.).

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას სამუსიკო და ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებლებში და კვლევის ძირითადი ასპექტი – თანამედროვეობა და ქართული ფოლკლორი მათი სასწავლო კურსების შემადგენელი კომპონენტი შეიძლება გახდეს. სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის უშუალო კაგშირმა იმ რეალობასთან, რომელშიც ქართული საზოგადოება ცხოვრობს, მისი პრაქტიკული დანიშნულება, შესაძლებელია, ვიწრო სამეცნიერო წრეებიდან უფრო ფართო სოციუმზე განავრცოს. მით უფრო, რომ ნაშრომი გაჯერებულია უანრულ-სტილურად მრავალფეროვანი მდიდარი აუდიო-ვიზუალური მასალით.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი წარმოდგენილია სამ ქვეთავად და მასში განხილულია ავთენტიკურობისა და განახლების ფენომენი ტრადიციულ მუსიკაში, მათთან დაკავშირებული დასავლური თეორიების საფუძველზე. ამასთან, მოცემულია ფოლკ-

ფიუჟენისა და მისი მომიჯნავე მუსიკალური მიმდინარეობების ტერმინოლოგიური ანალიზი. დისერტაციის მეორე თავი – „ფოლკლორული მუსიკის ტრანსფორმაცია ისტორიულ დინამიკაში” – ორი ქვეთავისაგან შედგება: პირველში მოცემულია ქართული სასცენო ფოლკლორისა და პოპ-ფოლკის, მეორეში კი – ფოლკ-ფიუჟენის ისტორიული მიმოხილვა, სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში. სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი მთლიანად ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალური მიმართულების მუსიკალურ და სოციოლოგიურ ანალიზს ეთმობა. მის პირველ ქვეთავში წარმოდგენილია ამ მიმართულების მუსიკალური ფორმაქმნადობის პრინციპები, მეორეში – სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში ფოლკ-ფიუჟენ მუსიკოსთა მოტივაციების ანალიზია მოცემული. ნაშრომის მეოთხე, დასკვნითი თავი კი ეხება თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალური მიმართულების ფუნქციის განსაზღვრას. დასკვნაში თავმოყრილი და შეჯერებულია სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები. სადისერტაციო ნაშრომს ერთვის ბიბლიოგრაფია და დანართი, გამოყენებული აუდიო-ვიდეო-სანოტო-საანალიზო მაგალითებით და მათი სიით.

თავი I

აუთენტიკურობისა და განახლების ფენომენი ფოლკლორულ მუსიკაში: ტერმინოლოგიური საკითხები

ფოლკლორული მუსიკის აუთენტიკურობისა და განახლების საკითხებს საბაზისო მნიშვნელობა აქვს დისერტაციის ცენტრალური თემის, ხალხური მუსიკის თანამედროვე ფორმებში ფუნქციონირების შესწავლისათვის. ამაგდროულად, მიუხედავად იმისა, რომ აუთენტიკურობის თემა საქართველოში დღემდე განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს, ჯერჯერობით ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქართველ ეთნომუსიკოლოგებს შორის ზეპირი დისკუსიებიც იშვიათია. ამავე დროს, ეს ორი საკითხი მჭიდროდაა ურთიერთგადაჯაჭვული, რასაც ფოლკლორის თანამედროვეობაში არსებობასთან დაკავშირებული ლიტერატურაც მოწმობს.

მაგალითად, ფილიპ ბოლმანი თავის ნაშრომში აღნიშნავს (Bohlman, 1988: 7-8), რომ მათთვის, ვინც ცდილობს ფოლკლორული მუსიკის ძირითადი არეალის საზღვრების დადგენას, აუთენტიკურობასა და ცვალებადობას შორის ბალანსის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. აუთენტიკურობის აქცენტი წარსულზეა, ის ახდენს წარსულის ესთეტიკურ იდეალიზაციას, თუმცა ბოლმანის და, ზოგადად, თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიური ხედვით, აუთენტიკურობა არ საჭიროებს იდეალიზებასა და მკაცრ კონსტრუირებას, რასაც ხშირად აქვს ადგილი. მის ყველაზე მკაცრ ფორმებში აუთენტიკურობა თავს არიდებს ცვლილებებს ან ნორმიდან ოდნავ გადახვევასაც კი. შესაბამისად, აუთენტიკურობის მიზანია უპირატესობის მოპოვება ცვალებადობის კატეგორიაზე, რომელიც, მის საპირისპიროდ, აწმყოზეა ფოკუსირებული.

აწმყოზე ფოკუსირების იდეა უკვე სან-პაულოში მიღებულ ფოლკლორის პირველ დეფინიციაშია ჩადებული, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ფოლკლორის დამახასიათებელი სამი ძირითადი ნიშანი, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ცვალებადობაა. დეფინიციაში აღნიშნულია, რომ ფოლკლორული მუსიკა ზეპირი გადაცემის საშუალებითა წარმოდგენილი მუსიკაა, რომელიც ევოლუციის პროდუქტია და დამოკიდებულია ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა უწყვეტობა, ვარიანტულობა და

შერჩევა (Karpeles, 1955: 6-7). ამრიგად, ფოლკლორს აქვს მუდმივად ცვალებადი ბუნება და ცვლილებების შედეგად ახალი სახეობრიობის შეძენის, ანუ განახლების უნარი.

ფოლკლორული მუსიკის ცვალებადობის პროცესი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა, სხვადასხვა დინამიკით, სხვადასხვა ხერხით. ძველად, ფოლკლორული ნიმუშის ყოველი ახალი შესრულება მას ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა და შესაბამისად, განახლებული სახით წარმოადგენდა მას, დღეს კი გარევული ტიპის ცვალებადობის შედეგად შეიძლება თვისობრივად სრულიად განსხვავებული პროდუქტი შეიქმნას. სწორედ ასეთი ტიპის ცვალებადობა უდევს საფუძვლად ფოლკლორის განახლების თანამედროვე კონცეპციას. შესაბამისად, დღეს განახლების პროცესი ბევრად ფართო და მრავლისმომცველია, რაც ამ საკითხის კვლევას ეთნომუსიკოლოგებისათვის მიმზიდველ, მაგრამ ამავდროულად, როგორც გამოწვევად აქცევს. უნდა ითქვას, რომ ინგლისურენოვან ლიტერატურაში “music revival”-ის სახელწოდებით ცნობილი მუსიკის განახლების პროცესზე დაკვირვება თანამედროვე დასავლური ეთნომუსიკოლოგიის ყველაზე აქტუალურ საკითხთა ნუსხაშია. შესაბამისად, ამ საკითხის ქართული მუსიკის კონტექსტში გააზრება ჩვენი სადისერტაციო კვლევის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დავისახეთ. music revival-ის ქართულ შესატყვისად ტერმინი „მუსიკის განახლება“ შევარჩიეთ. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ლექსიკონში ის სხვა მნიშვნელობებითაც არის ნათარგმნი (ადორძინება, ადდგენა, გაცოცხლება), ამ პროცესის თავისებურებების ზედმიწევნით ასახვის თვალსაზრისით სიტყვა revival-ის საუკეთესო თარგმანად სწორედ „განახლება“ გვესახება. ზოგადად, სწორი დაფინიციის შემუშავება ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია მეცნიერებაში და, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი თანამედროვე ეთნომუსიკოლოგი მკვეთრად ემიჯნება კიდეც მსგავს მცდელობებს (სარდო, 2019). ამ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ ტერმინი „მუსიკის განახლება“ კარგად ასახავს ორიგინალი სახელწოდების, “music revival”-ის არსე და მასში ჩადებულ შინაარსობრივ ნიუანსებს. ამდენად, ინგლისურენოვანი ტერმინის სესხების ნაცვლად (რაც იქდერებდა, როგორც „მუსიკის რევაივალი“), მისი ქართული შესატყვისით ჩანაცვლება ბევრად მართებულად გვესახება. მით უფრო, რომ თავად ინგლისურენოვან სახელწოდებასთან დაკავშირებით დასავლელი ეთნომუსიკოლოგებიც არ არიან შეთანხმებული. მეტიც, ისინიც კი, ვინც ტერმინ

“music revival”-ს აქტიურად მიმართავენ, აღნიშნავენ გარკვეულ შემთხვევებში მის შეზღუდულობას, თუმცა პროცესის საუკეთესო სახელდებად მაინც ამ ტერმინს მიიჩნევენ: „მაშინ როცა გარკვეულ შემთხვევებში „განახლება” (revival) შესაძლოა, არასათანადოდ გადმოსცემდეს მის ლიტერატურულ მნიშვნელობებს - „აღდგენა” (resuscitation), „მკვდრეობით აღდგომა”/„გაცოცხლება” (resurrection), ამ კონცეფციას მაინც მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს განმაახლებლების აღქმისა და წარსულთან დაკავშირების სურვილის გამოსახატავად” (Bithell, Hill, 2014: 4).

აუთენტიკურობისა და განახლების ურთიერთმიმართების საკითხი თანამედროვე დასავლურ ეთნომუსიკოლოგიაში, შეიძლება ითქვას, რომ უკვე გარკვეულია, რასაც გერ გიტყვით ქართულ სინამდვილეზე. დასავლეთში, როცა განახლებასთან დაკავშირებით აუთენტიკურობას ახსენებენ, ამ ცნებას უფრო ტრადიციული მნიშვნელობით იყენებენ, ანუ აუთენტიკური, როგორც ძველი და პირველადი და, მის საპირისპიროდ, განახლება, როგორც რაღაც ახალი. ამრიგად, დასავლეთში აუთენტიკური და განახლებული, ხარისხობრივი თვალსაზრისით, ერთმანეთს არ უპირისპირდება. ის ცალკეული შემთხვევები, როცა მეცნიერები აუთენტიკურს ჯერ პიდევ ფოლკლორის ხარისხობრივი დიფერენცირებისათვის იყენებენ, დანარჩენთაგან კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს. მაგალითად, ჩარლზ ბრიგსი მკვეთრად აკრიტიკებს ეთნომუსიკოლოგებს, რომლებიც ამ დროს ფოლკლორსა და „ფეიკლორზე“ (ყალბ ფოლკლორზე) საუბრობენ (Briggs, 1996: 460).

საქართველოში აუთენტიკურობისა და მუსიკის განახლების ცნებებს ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობა აქვს (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით). ფოლკლორულ მუსიკაში ამა თუ იმ სახით ჩარევა ხშირად კრიტიკულ შეფასებებს იმსახურებს, ამიტომ კწ. განახლებული ფოლკლორის მრავალფეროვანი ფორმების გარკვეული ნაწილი, მიუღებელია ფოლკლორის წრის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის, პირველ რიგში, სწორედ განახლებულის „არასაკმარისად მაღალი ხარისხის“ მოტივით.

წვენი სადისერტაციო კვლევის პირველ თავში ერთი მხრივ, აუთენტიკურობისა და მუსიკის განახლების კონცეფციების სიღრმისეული ანალიზია მოცემული (I-II ქვეთავები), მეორე მხრივ კი, წვენი სადისერტაციო ნაშრომის მთავარი საკვლევი ობიექტის, ფოლკ-ფიუჯენის მუსიკალური მიმართულების დეფინირების პრობლემა და

მისი სინონიმური ტერმინებია განხილული (III ქვეთავი). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ თავში მოხმობილია წამყვანი ქართველი თუ დასავლელი ეთნომუსიკოლოგების არაერთი თეორია და მოსაზრება, რომლებიც, ძირითადად, კონკრეტული პრობლემატიკის მიხედვითაა დაჯგუფებული. ამდენად, ერთი და იმავე მეცნიერის გვარი შეიძლება ფიგურირებდეს როგორც რამდენიმე ქვეთავში, ისე ერთი რომელიმე ქვეთავის სხვადასხვა მონაკვეთში, რა თქმა უნდა, განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ქვეთავი I აუთენტიკურობის ცნების განმარტებისათვის

ამ ქვეთავში, ჩვენი მიზანია, გავერკვეთ, აუთენტიკურობის³ ცნებაში, მის შესახებ თანამედროვე დასავლურ ეთნომუსიკოლოგიაში არსებულ მოსაზრებებსა და მიდგომებში და დაგადგინოთ, რამდენად შესაბამისობაშია ის ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ აუთენტიკურობის აღქმასთან.

უნდა ითქვას, რომ ტერმინი აუთენტიკური XIII-XIV საუკუნეებიდან მომდინარეობს. ფრანგულში „კანონიკური“-ს, ხოლო ბერძნულსა და ლათინურში „ნამდვილის, პირველადის, ძირითადის“ მნიშვნელობით იხმარებოდა (Online Ethimology Dictionary). აუთენტიკურობის ცნება ფართოდაა გამოყენებული ფილოსოფიაში, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, მუსიკასა და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში (მუსიკის პედაგოგიკა, ეთნომუსიკოლოგია, მუსიკოლოგია), ანთროპოლოგიასა და კულტუროლოგიაში. აუთენტიკურობის ფენომენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის გამო აუთენტიკურობის ცნების მნიშვნელობა საბოლოოდ ფიქსირებული არაა და მუდმივად ხელახალი დეფინირების, ახალი მნიშვნელობების მინიჭების საგანია. მისი მნიშვნელობები იცვლება ამა თუ იმ

³ ტერმინ აუთენტურსა და აუთენტიკურს შორის მართებულად მიგვაჩნია ეს უკანასკნელი, რადგან ამ ცნებებიდან ორთოგრაფიულ ლექსიკონში დაფიქსირებულია მხოლოდ აუთენტიკური.

აკადემიურ კონტექსტში, განსხვავებულ ისტორიულ ფორმაციებში, დროის სხვადასხვა მომენტში (Krüger, 2013:96).

როგორც მარას სტატიიდან ირკვევა (Marra, XX), ფილოსოფიაში, რენე დეკარტე აუთენტიკურობას განმარტავს, როგორც შინაგანი ზნეობრივი ხმის მოსმენას. სწორედ ეს ხმა განსაზღვრავს ადამიანის პასუხისმგებლობას აზროვნებისა და მოქმედების დროს. უან ჟაკ რუსო ეთანხმება დეკარტეს და აუთენტიკურობას ახასიათებს, როგორც „არსებობის შეგრძნებასა და გააზრებას“. იოპან გოტფრიდ პერდერის განმარტებით, კრეატიულობა, აუთენტიკურობა და ნამდვილობა არის არსებობის საზომი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი იდენტობა ეყრდნობა გამოცდილებას და იმას, თუ როგორ ინტერპეტაციას ვაძლევთ ჩვენ ამ გამოცდილებას. ამიტომ აუთენტიკურობის ცნება იცვლება ამ გარეგანი ძალების მოქმედებით შინაგან ხმაზე და, საბოლოოდ, ეს შინაგანი ხმა ვითარდება გამოცდილების საფუძველზე. პიერ გრიმეს მიხედვით, აუთენტიკურობა არის ცოდნასთან მიახლოება, მოქმედება და საუბარი იმ შინაგანი რწმენის მორალური სივრციდან, რომელსაც ცნობიერება და კოლექტიური გაგება ასაზრდოებს.

უნდა ითქვას, რომ ფილოსოფიის მიერ აუთენტიკურობის გაგება ამ ტერმინის თანამედროვე გააზრების ბაზისი გახდა, რადგან დღეს, დასავლური გაგებით, შინაგანი ხმის, ანუ ადამიანის შინაგანი სამყაროს (რომელიც სამყაროს მისეული აღქმის გამოცდილებას ემყარება) გამოხატვის სინამდვილე განსაზღვრავს მუსიკის აუთენტიკურობას.

თანამედროვე მუსიკის პედაგოგიკაში აუთენტიკური მასალის სწავლების აუცილებლობაზე საუბარი გაცილებით ხშირია, ვიდრე თავად აუთენტიკურობის ცნების განხილვა. თუმცა, ამ დარგის გარკვეული წარმომადგენლები მაინც ეხებიან ამ ცნებას. მაგალითად, შერი ჯონსონი აღნიშნავს, რომ დღეს მუსიკის პედაგოგიკისთვის გადამწყვეტი შეკითხვა არაა „რა არის აუთენტიკურობა?“, „რაში შეიძლება აუთენტიკურობა გამოგვადგეს?“ არამედ უფრო საყურადღებოა შემდეგი კითხვები: თუ როგორ შეიქმნა კონკრეტული მუსიკა, ვის მიერ, რა კონტექსტში, რა მიზნით, რა გავლენებით“ (Johnson, 2000:279-282). მუსიკის საგანმანათლებლო სფეროს კიდევ ერთი წარმომადგენლის, პატრიცია კემპბელის აზრით კი „მუსიკა, – მიუხედავად წარმოშობისა, – აუთენტიკური და ჭეშმარიტი, ნამდვილია იმ ჯგუფისთვის, ვინც მას

ასრულებს“ (Campbell, 1995:6). როგორც ვხედავთ, მუსიკის პედაგოგიკის წარმომადგენლები წმინდა პრაქტიკული ინტერესებიდან გამოდიან, რადგან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში აუთენტიკურობის ტერმინის გარშემო თეორიულ მსჯელობებზე მეტად მისი პრაქტიკული გააზრებაა საჭირო.

როგორც ირკვევა, ანთროპოლოგიაში, ეთნომუსიკოლოგიის საპირისპიროდ, აუთენტიკურობის საკითხის კვლევა ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით გააქტიურდა, რასაც 2013 წელს გამოცემული სტატიების მასშტაბური კრებული „დებატები აუთენტიკურობაზე“ ადასტურებს (Kaul, 2014:112) და რომელიც ეხება ანთროპოლოგთა მიერ ამ ტერმინის გააზრებას. რიჩარდ პენდლერი, ერთი მხრივ, განიხილავს აუთენტიკურობის ტრადიციულ განხაზღვრებებს – პირველადი, ტრადიციული, შეურყვნელი, ხელუხლები, მეორე მხრივ კი, გვთავაზობს თანამედროვე ანთროპოლოგებს შორის გაზიარებულ მოსაზრებას, რომ აუთენტიკურობა ჩვენი ნამდვილი „მეს“, ჩვენი ინდივიდუალური არსებობის გამომხატველია. ყველაფერი შეიძლება იყოს აუთენტიკური, რამდენადაც ის თავისთავად და სამყაროს ნაწილად არსებობს (Handler, 1986:2-4). ლაიონელ თრილინგი განიხილავს ტერმინებს „აუთენტიკურობა“ და „გულწრფელობა“ და ამბობს, რომ აუთენტიკურობის ცნებამ ინდივიდუალისტური მსოფლიოს თვალთახედვიდან ტერმინ გულწრფელობის დატვირთვა მიიღო და შესაბამისად, ჩაანაცვლა კიდევ იგი (Trilling, 1971).

აუთენტიკურობის იდეა სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს გაგებული მუსიკალური კვლევის სხვადასხვა სფეროში. ეთნომუსიკოლოგისა და მუსიკის სოციოლოგის, სამონ კრიუგერის აზრით, აუთენტიკურობის ცნების მიღმა ფოლკლორისტები, ტრადიციულად, ხედავდნენ (და, ზოგჯერ, დღესაც ასეა) „აულტურულ სიწმინდეს“ მათ მიერ შეგროვებულ, დაცულ თუ აღდგენილ „სოფლურ“ ფოლკლორში. კლასიკური მუსიკის მკვლევარი მუსიკოლოგები აუთენტიკურობის კონცეფციას აგებდნენ ამ უკანასკნელისთვის მაღალი ღირებულების მიკუთვნებით და კონკრეტული მუსიკალური გამოხატვის ფორმის საშუალებით, რომელსაც წარსულის „მაღალ“ ხელოვნებას უწოდებდნენ. ამასობაში, პოპულარული მუსიკის მკვლევრებმა შეისწავლეს სივრცეები, რომლებშიც პოპულარული მუსიკის კონკრეტული ფორმები, განსაკუთრებით, როკი, მიიჩნეოდა ნამდვილად და ჭეშმარიტად, როდესაც სხვები, განსაკუთრებით, პოპი – არა (Krüger, 2013:96).

უნდა ითქვას, რომ აუთენტიკურის ტერმინის გაგება ეთნომუსიკოლოგიურ მეცნიერებაში ისტორიული ეპოქებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სხვაობს. აუთენტიკურობის საკითხის აქტუალობით დღეს განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთევროპული მეცნიერება, განსხვავებით ამერიკულისა თუ დასავლეთევროპულისაგან, სადაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით შემცირდა ამ საკითხის კვლევით დაინტერესებული მეცნიერების რიცხვი. ბუნებრივია, ამ ყველაფერს თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. გარდა იმისა, რომ დასავლეთევროპული ქვეყნების დიდ ნაწილში ფოლკლორული ფესვები დიდი ხნის დაკარგული და დავიწყებულია, ის, ამავდროულად, სხვა კულტურული გავლენების შედეგად ახალ კონტექსტში მოქცეული, სრულიად გადასხვაფერებული და ზოგჯერ ახალ მუსიკალურ მიმდინარეობებად გარდაქმნილია. ამავდროულად, აღმოსავლეთევროპული ქვეყნებისათვის დღემდე ფოლკლორი ორიგინალური, ინდივიდუალური კულტურის მქონე სახელმწიფოებად თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს. იგი (ფოლკლორი) საუკუნეების განმავლობაში დიდი იმპერიების მიერ დაპყრობილი სახელმწიფოების თვითდამკვიდრების ერთგვარ რეფლექსადაც კი ჩამოყალიბდა, იმის სადემონსტრაციოდ, რომ, მიუხედავად მრავალწლიანი გავლენებისა, დღეს უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად წარმოდგენილნი, ისინი კვლავ უნიკალური იდენტობის მატარებლები არიან. ამდენად, ამ ქვეყნებში კულტურის უძველესობა და ორიგინალობა მისი მაღალი ფასეულობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად წარმოგვიდგება.

თანამედროვე ამერიკული ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელი, ბრუნო ნეტლი იხსენებს, რომ მისი მასწავლებელი, ცნობილი უნგრელი ეთნომუსიკოლოგი ჯორჯ პერცოგი საკუთარი პედაგოგების – ზოლტან კოდაისა და ბელა ბარტოკის ძლიერი გავლენის ქვეშ იყო. შესაბამისად, პერცოგს ყოველთვის დარწმუნებით უნდა სცოდნოდა, რომ მის სტუდენტებს, რომლებიც არადასავლურ და ხალხურ მუსიკას სწავლობდნენ, კარგად ესმოდათ აუთენტიკურობის მნიშვნელობა. ნეტლი აღნიშნავს, რომ აუთენტიკურობა გადაუჭრელი და დღემდე სადაცო საკითხია, თუმცა თანამედროვე ამერიკულ ეთნომუსიკოლოგიაში უკვე ნაკლებად აქტუალური. როგორც ჩანს, ავთენტიკურობის საკითხის ირგვლივ მსჯელობა ჯერ კიდევ აქტიურად მიმდინარეობდა 1990-იანებში, განსაკუთრებით ტრადიციული მუსიკის განახლების კონცეფციის გაჩენის ფონზე,

რასაც მეცნიერთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოჰყვა. ამის თვალსაჩინო მაგალითია შვედ ეთნომუსიკოლოგ რონსტრომის 1996 წელს გამოცემული სტატია, სადაც მეცნიერი იმ პერიოდისთვის არსებულ ეთნომუსიკოლოგიურ ლიტერატურას ორ კატეგორიად უოფს: „პირველი კატეგორიის ნაშრომებში აქცენტი გაკეთებულია აუთენტიკურობის საკითხზე იმის სადემონსტრაციოდ, რომ, რაც ძველად იყო მიჩნეული, სინამდვილეში ისევ აქტუალურია და რომ ტრადიციული მუსიკის განახლების შედეგად სახეცვლილი ფორმები, სტილები, საგნები, გარკვეული თვალსაზრისით, არასწორი და არააუთენტიკურია, მეტიც, უღირსი და ამორალურიც კი. ამ ტიპის ნაშრომებში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საგნებზე, ფორმებზე, სტილებსა და მათ სათავეებზე. მეორე კატეგორიის ნაშრომებში კი, აუთენტიკურობა უინტერესო და არარელევანტურ საკითხად მოიაზრება. მათში, პირიქით, განახლება კულტურულ გამოხატულებად და პროცესადაა მიჩნეული. ამ შემთხვევაში, აქცენტი გაკეთებულია ფუნქციაზე, მნიშვნელობაზე, ცვლილებაზე და ა.შ” (Ronström, 1996: XX).

ხშირად, ეთნომუსიკოლოგების მიერ აუთენტიკურობისადმი მიმართება ადგილობრივი, საკვლევ არეალში არსებული კულტურული კონტექსტითაა განპირობებული. ამის დასტურია ფრანგი ეთნომუსიკოლოგის, ივან გრიმოს მოგონებებში დაფიქსირებული ფაქტი, რომ მისი კოლეგები დიდად გაოცებულნი იყვნენ, როცა საქართველოდან დაბრუნებული გრიმო ძალიან ბევრს საუბრობდა აუთენტიკურობაზე. გრიმოს პასუხი კი მის ნაშრომებში იკითხება – XX საუკუნეში, კერძოდ, 1967 წელს, როცა იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა და ადგილობრივებისგან ხალხურ სიმღერებს იწერდა, იგი ამ მუსიკას აღიქვამდა აუთენტიკურად, რადგან მისი სიტყვებით, მას „შთააგონებდა ტრადიციის უწყვეტობა, იმ ერის სიმამაცე და გულწრფელობა, რომელმაც, ყველაფრის მიუხედავად, შეინარჩუნა მემკვიდრეობითობა, რომელიც მსოფლიო უკვე დაკარგა“ (წურწუმია, 2018:XX). როგორც ვხედავთ, საქართველოს შემთხვევაში ფოლკლორული ტრადიციის უწყვეტობამ და მემკვიდრეობითობამ კიდევ უფრო მეტი საფუძველი მისცა აუთენტიკურობის საკითხისადმი ადგილობრივების (და ამ შემთხვევაში, ქართული კულტურის კვლევით დაინტერესებული გრიმოს) მგრძნობიარე დამოკიდებულებას და, გარკვეულწილად, ამ ცნების დღევანდლამდე აქტუალობაც განაპირობა.

ამდენად, ტრადიციულად, ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში, მსგავსად აღმოსავლეთევროპული ეთნომუსიკოლოგიისა (დაწყებული ბელა ბარტოკიდან),

პირველ რიგში, „გლეხური“ ფოლკლორის კვლევას ისახავდნენ ამოცანად და აუთენტიკურობის ცნებასაც გლეხურ, პირველად ფოლკლორთან აიგივებდნენ. მაგალითად, ედიშერ გარაფანიძე აუთენტიკურის სინონიმებად ხმარობს ტერმინებს: წმინდა ხალხური, პირველადი, გლეხური ფოლკლორი (გარაფანიძე, 2007). საინტერესოა, თამაზ გაბისონიას რუსულენოვანი სტატია „აუთენტიკურობის კრიტერიუმები ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ შემსრულებლობაში“, რომელიც ერთ-ერთ ცნობილ სერბულ ჟურნალში დაიბჭდა. მეცნიერი განიხილავს ტერმინ აუთენტიკურის სემანტიკას, სინტაქსს, პრაგმატიკას, აუთენტიკური შემსრულებლის, გარემოსა და სხვა საკითხებს. სტატიაში მოცემულია აუთენტიკურობის მნიშვნელობების გაშინაარსების მცდელობა, თუმცა, მრავალმხრივი მსჯელობის შემდეგ, ის, ერთგვარად, თავს არიდებს დასკვნის სახით წარმოადგინოს აუთენტიკურობის კონცეპტი, ტერმინის ძირითადი დეფინიცია. სტატიის შესავალში დაფიქსირებული ნააზრევი, შესაძლოა, ამ ტერმინის მისეულ განსაზღვრებად აღვიქვათ: „ზოგადად, ქართველ მსმენელთა უმრავლესობაში „აუთენტიკური“ უმეტესად ასოცირდება „ნამდვილთან“, „ძველთან“, „ხელუხლებელთან“, „ქართულთან“, „სოფლურთან“. დავურთავთ იმ მნიშვნელობებს, რომლებიც თავად ტერმინს, ასევე, გააჩნია: ტრადიციული, თავდაპირველი, ავტორიტეტული, ზუსტი, ადეკვატური“ (Габисония, 2009:XX). თუმცა შემდგომ სტატიაში ეს განმარტება მოცემულია მრავალგვარი ინტერპრეტაციით და შევსებულია ახალი შინაარსობრივი მნიშვნელობებით.

თანამედროვე მუსიკოლოგიური ლიტერატურის ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ დღეს აუთენტიკურობის ცნების დასავლეთევროპული და ამერიკული გაგება, ხშირ შემთხვევაში, განსხვავდება აღმოსავლეთევროპულისაგან, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ტრადიციული მნიშვნელობებით იაზრებენ. ამერიკული სტატიების უმრავლესობაში კი აუთენტიკურობა განიხილება ან ადრეულ (შუა საუკუნეების, რენესანსისა და ბაროკოს) მუსიკასთან, ძირითადად, ძველ ინსტრუმენტებსა და შესრულების მანერასთან, ან პოპულარულ მუსიკასთან დაკავშირებით. ძველებური მუსიკის მკვლევრები ამ ტერმინს, უმეტესწილად, პირველადის მნიშვნელობით იყენებენ და ცდილობენ ამ მუსიკის შესრულებისას შექმნას აუთენტიკური და ისტორიული გარემო.

თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში განსაკუთრებით ხშირადაა საუბარი აუთენტიკურობაზე პოპულარულ მუსიკაში. მაგალითად, ბითლზებისა თუ ბობ დილანის შემოქმედება, ასევე, აუთენტიკურად აღიქმება, თუმცა ამ შემთხვევაში, ტერმინი გულწრფელისა და ნადდის მნიშვნელობას იძენს. ამ გულწრფელობის, ანუ აუთენტიკურობის მთავარ სავანედ მუსიკალური ჟანრებიდან, სწორედ ფოლკლორული მუსიკა მიიჩნევა: „როგორც საზოგადოებას, ჩვენ გვჭირდება რაღაც აუთენტიკური, რაც დაგვარწმუნებს, რომ ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ პატიოსნები. არ არის აუცილებელი ეს ფოლკლორული მუსიკის ჟანრის საშუალებით იყოს განხორციელებული, რამდენადაც, აუთენტიკურობა და რეალიზმი, რაც ასე დამახასიათებელია ფოლკლორული მუსიკისთვის, ნებისმიერ ჟანრში შეიძლება ვიპოვოთ“ (Rosenblum, XX).

ეთნომუსიკოლოგიურ სივრცეში ჩნდებიან ისეთი მეცნიერებიც, ვინც აუთენტიკურობის თემაზე მსჯელობას (ამ ტერმინის ტრადიციული მნიშვნელობით) დღეს უკვე არარელევანტულად მიიჩნევენ. აბდულა აკატის მოსაზრებით, მუსიკოლოგიური კვლევა არ უნდა ეძებდეს აუთენტიკურობისა და პირველადობის პრობლემებს და პროდუქტი არ შეიძლება ჩაითვალოს არაღირებულად მასში მომხდარი ცვლილებების გამო. ამის ნაცვლად, ცვალებადობის პროცესის დაფიქსირება უნდა დაიწყოს სწორედ ძველი მასალიდან, მათში ცვლილებების ელემენტები დაფიქსირდეს, ამ პროცესის მიზეზები დადგინდეს და ეს ახალი პროდუქტი ყოველდღიურ ცხოვრებაში დაინერგოს (აკატი, 2017).

როგორც ვხედავთ, აუთენტიკურობის კონცეფცია თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიაში საკმაოდ მრავალწახნაგოვანია და სახეზე გვაქვს მისი გააზრებისა და ამ საკითხისადმი მიღებობის მეტად განსხვავებული მაგალითები. როგორც ამ თავის შესავალში უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო ეთნომუსიკოლოგთა უმრავლესობაში ძირითადი ტენდენციაა აუთენტიკურობის ცნების თანამედროვეობასთან გარკვეული თვალსაზრისით ადაპტირება, რითაც მის ქვეშ არა მხოლოდ ძველი შრის ტრადიციული მუსიკალური კულტურა, არამედ შედარებით თანამედროვე წარმონაქმნებიც (მათ შორის, ფოლკლორულიც) მოიაზრება.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დღეს ქართველი ეთნომუსიკოლოგები აუთენტიკურად მიიჩნევენ ხალხური მომღერლების/სოფელში მცხოვრები მომღერლების მიერ შესრულებულ ნიმუშებს, რომლებიც, ძირითადად, სხვადასხვა

პერიოდის ექსპედიციების დროსაა ჩაწერილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი დამოკიდებულება მთლიანად განპირობებულია საქართველოში ფოლკლორული ტრადიციის უწყვეტობით, რამაც აუთენტიკურობის ცნების ტრადიციული მნიშვნელობის შენარჩუნება და მისი დღემდე აქტუალობა განაპირობა. ჩვენი მოსაზრებით, დღეს, როცა ქართული ფოლკლორის ფუნქციონირების ფორმები გაიზარდა, შესაძლებელია. აქამდე არსებული კულტურული კონტექსტის გავლენით ჩამოყალიბებული აუთენტიკურობის გააზრება გაფართოვდეს. კერძოდ, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, ამ ცნებას, შესაძლოა, დაემატოს „ჭეშმარიტის” და „ნამდვილის” მნიშვნელობებიც. ამ უკანასკნელი მნიშვნელობების შესაბამისად, შესაძლებელია, ე.წ. განახლებულ ფოლკლორის ნიმუშსაც კი ეწოდოს აუთენტიკური, თუკი ის მისი ავტორისგან გულწრფელად და უშუალოდაა გამოხატული და. რა თქმა უნდა, თუ როგორც მუსიკალური ნიმუში, გარკვეულ მხატვრულ ღირებულებას ატარებს.

ქვეთავი II

მუსიკის განახლების (Music revival) პროცესი, როგორც ფოლკლორული მუსიკის მუდმივი ცვალებადობის თანამედროვე გამოხატულება

დღეს ფოლკლორული მუსიკის განახლების (Music revival) პროცესი საყოველთაო ბუნებისაა და გლობალიზაციის გავლენით ყველა ტრადიციულ საზოგადოებას მეტნაკლებად ახასიათებს. ამ საკითხის კვლევა უკვე რამდენიმე ათწლეულის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობს დასავლელი ეთნომუსიკოლოგების მიერ, თუმცა ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში აქამდე ის საგანგებო შესწავლის საგნად არ ქცეულა.

დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ ცვალებადობა ფოლკლორული მუსიკის (თუ ზოგადად, მუსიკის) ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა და რომ ის მრავალ სხვადასხვა დონეზე შეიძლება გამოვლინდეს. თუმცა ფოლკლორის ცვალებადობის პროცესზე დაკვირვება და მისი ეთნომუსიკოლოგიური პერსპექტივიდან შესწავლა ეთნომუსიკოლოგებმა 1980-იანი წლებიდან განსაკუთრებით აქტიურად დაიწყეს,

როდესაც „გვერდი აუარეს მახვილ კუთხეს და მართლაც რომ სრული ტრანსფორმაციის შედეგად, მეცნიერთა იმ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ, რომელიც ამა თუ იმ ასპექტით, კონცენტრირებულია მუსიკალურ ცვლილებაზე და ყველაზე მეტად აინტერესებს ის მუსიკა, რომელმაც, რაღაც აზრით, უკვე განიცადა ან ახლა განიცდის ცვლილებას” (Nettl, 2005: 284). ამდენად, მუსიკაში ცვლილებების ამა თუ იმ ასპექტით კვლევა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანადაა მიწნეული. ცვლილებების განმაპირობებელ ფაქტორებად მოიაზრებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს, იმ მუსიკალურ სისტემებსა და კულტურებს შორის თავსებადობის ხარისხს, რომლებიც ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ და სხვ. ბრუნო ნეტლი საკუთარი ქრესტომათიული ნაშრომის ცალკე თავში ცვლილებების საკითხის სიღრმისეული ანალიზის შედეგად შემდეგ პიპოთეზას გვთავაზობს: „მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კომპონენტები, რომლებიც იცვლება, არსებობს ცვლილების მიზეზები, ტიპური მიმართულებები, შიდა და გარე ფაქტორები, საბოლოო ჯამში, ცვლილების პროცესი შეიძლება გავიგოთ, როგორც მრავალ ფაქტორს შორის წონასწორობაზე დამოკიდებული ფენომენი” (Nettl, 2005: 289).

როგორც ვიცით, ხალხური/ფოლკლორული მუსიკა ტრადიციული ხელოვნებად და მისი მსოფლიოში მიღებული სინონიმური სახელწოდებაც ტრადიციული მუსიკა (თუმცა ქართული მუსიკის კონტექსტში ტრადიციული მუსიკა არა მხოლოდ ფოლკლორულ, არამედ ზეპირი ტრადიციით შემონახულ საეკლესიო მუსიკასაც აერთიანებს). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრადიციის ფენომენის ნებისმიერი თვისება მის მუსიკალურ გამოვლინებაზეც ვრცელდება. შესაბამისად, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის მოსაზრებები, რომლებიც, ზოგადად, ტრადიციის მუდმივად ცვალებად ბუნებას ეხება.

რიჩარდ ჰენდლერისა და უოსლინ ლინეკინისეული განსაზღვრებით, „ტრადიცია არ არის მკაცრად შემოსაზღვრული მოცემულობა, შექმნილი ზუსტად დადგენილი შემადგენელი ნაწილებისაგან, არამედ ესაა ინტერპრეტაციის პროცესი, რომელსაც თან ახლავს აწმყოს მნიშვნელობა, თუმცა წარსულის მონაწილეობით“ (Handler, Linnekin, 1984: 287).

ეთნომუსიკოლოგ ინგრიდ აკესონის აზრით, „ტრადიცია არის ცვლილებებისა და შერჩევის პროცესში ჩამოყალიბებული, თანამედროვე ხედვით ფორმაქმნილი

სიმბოლური ნაგებობა“ (Åkesson, 2006:XX). მისი კონცეფცია ერთმანეთს არ უპირისპირებს უწყვეტობას და ინოვაციას, პირიქით, ის არ გამორიცხავს აღდგენა-რევიტალიზაციას (და შესაბამისად, განახლებას), რომელიც როგორც ცვალებადობის, ისე უწყვეტობის ერთიან პროცესად წარმოგვიდგება. დევიდ ატკინსონის მოსაზრებით კი, ტრადიციის კონცეფცია მოიცავს, ერთი მხრივ, უწყვეტობასა და ერთგვარ კანონიზებულ სტრუქტურებს, რომლებიც მისი მატარებლების კულტურულ იდენტობას უზრუნველყოფენ, მეორე მხრივ, იგი (ტრადიციის კონცეფცია) არასტაბილურია დროის თვალსაზრისით და მუდმივად იცვლება, რათა აწმყოს მოთხოვნებს უკეთ შეესაბამებოდეს (Atkinson, 2004: 149). პენრი გლასი ტრადიციას განიხილავს, როგორც „ისტორიულ დერძს შემოქმედებით აქტში“ და აღნიშნავს, რომ „ცვლილება და ტრადიცია, ჩვეულებრივ, დაწყვილებულია, როგორც ანტონიმები. ტრადიცია უპირისპირდება მხოლოდ ერთი სახის ცვლილებას, როცა ნგრევა/ზიანი ისეთი ყოვლისმომცველია, რომ ახალი ადარ აღიქმება ძველის ინოვაციურ ადაპტაციად“ (Glassie, 1995: 405).

ყველაფერი, რასაც ზემოაღნიშნული ავტორები ტრადიციასთან დაკავშირებით წერენ, ვრცელდება, ზოგადად, მუსიკალურ ტრადიციაზეც. მათი მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, ჩვეულებრივ, ტრადიცია მუდმივად ცვალებადია, რის შედეგადაც ის გარკვეულწილად, ახალი სახეობრიობით წარმოგვიდგება. ეს ასეა ტრადიციულ მუსიკაშიც. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ დღევანდელი საარსებო გარემოს გათვალისწინებით, ფოლკლორში მომხდარი ცვალებადობა ფოლკლორის განვითარების ძირითადი და აქამდე გაზიარებული კანონზომიერებების ფარგლებს სცდება. შესაბამისად, ნეტლის მიერ აღნიშნული ცვლილებების რთული და მრავალშრიანი პროცესი თანამედროვეობაში შედარებით განსხვავებულად წარიმართება, რაც უშუალოდაა არეკლილი ფოლკლორის ფუნქციონირების თავისებურებებზე. სწორედ ცვალებადობის ამ რთული და მრავალშრიანი პროცესის თანამედროვე გამოხატულებად შეგვიძლია მივიღოთ მუსიკის, საკუთრივ, ფოლკლორული მუსიკის განახლების ფენომენი (music revival), რომელიც, ასევე, „მრავალ ფაქტორს შორის წონასწორობაზეა დამოკიდებული“ (Nettl, 2005: 284).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ფენომენს უცხოურ ლიტერატურაში ტერმინ „revival“-ით აღნიშნავენ. ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, ეს ტერმინი, თავდაპირველად, რელიგიურ ქმედებებში „რესტავრაციის ან სიცოცხლეში დაბრუნების“ (restoration or return to life) მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ჯონ ჰაინესის გადმოცემით კი ამ ტერმინს მიმართავდნენ მე-15-16 საუკუნეებში ე.წ. „ანტიკვარიანტების“ საქმიანობასთან დაკავშირებით, ვინც ანტიკური მუსიკის მკვდრეობით აღდგენასა (resurrection) და რესტავრაციას (restoration) ცდილობდნენ (Bithell, Hill, 2014). აღნიშნული ტერმინი და თავად განახლების კონცეფცია, თუმცა კულტურის განახლების კონტექსტში, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ანთროპოლოგმა ენტონი ვალასმა. მან შექმნა კულტურის რევიტალიზაციის პირველი თეორია, სადაც განახლება (revival) რევიტალიზაციის მოძრაობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იყო წარმოდგენილი (Wallace, 1956: 264–281). მოგვიანებით, განახლების იდეა ეთნომუსიკოლოგებმა და მუსიკოლოგებმა მუსიკის სფეროში მიმდინარე პროცესებს მიუსადაგეს და მუსიკის განახლების კონცეფცია შექმნეს.

1996 წელს American Folklore: An Encyclopedia-სთვის დაწერილ „revivalism“-ის შესავალში ნილ როზენბერგი წერდა, რომ განახლების (revivalism) შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს, როდესაც საქმე ფოლკლორთან გვაქვს (Patterson, 1995:357). ჩვენ სავსებით ვიზიარებთ როზენბერგის მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ფოლკლორი განახლების გარეშე არ არსებობს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცვალებადობა და შედეგად, მუდმივი განახლება თავად ფოლკლორის არსშია ჩადებული. ამიტომ თუ ჩვენ ამ ევოლუციის შედეგად ცვალებად ფენომენს დღეს ფოლკლორს ვუწოდებთ, შესაბამისად, ვგულისხმობთ, რომ მას აქვს მუდმივად განახლებადი ბუნება და განახლებადობა მისი განვითარების თანმდევი ბუნებრივი მდგომარეობაა, რაც დღევანდელ დღემდე ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ძირითადი კანონზომიერებების ფარგლებში მუდმივად მიმდინარე შერჩევის პროცესის გათვალისწინებით ხორციელდებოდა.

თუმცა დღევანდელი ტექნიკურ-გლობალიზებული გარემოს პირობებში ფოლკლორის ფუნქციონირების ფორმები მკვეთრადაა შეცვლილი და საუკუნეების განმავლობაში დანერგილი პრაქტიკის საპირისპიროდ, ხშირად მას აღარც ანონიმური გავრცელება ახასიათებს და ვეღარც კოლექტიური შემოქმედების ნაყოფად

წარმოგვიდგება. ამ ცელილებების ქართულ კონტექსტში ანალიზისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თანამედროვე საქართველოში ფოლკლორი ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც გვხვდება სოფლად, მის ბუნებრივ გარემოში. მსგავს შემთხვევებში, ადგილობრივ სიმღერის ოსტატების ოჯახებში მამა-პაპისგან ნასწავლი რეპერტუარი კვლავ განიცდის გარკვეულ ცვალებადობას, თუმცა ხალხური მუსიკის ძირითადი მახასიათებლების ფარგლებს იშვიათად სცდება. შესაბამისად, ეს ცვალებადობა განსხვავებულია ცვლილებების იმ პროცესისგან, რასაც ფოლკლორი თანამედროვეობაში არსებობის დომინანტურ ფორმატში – სასცენო შესრულებისას განიცდის. შესაბამისად, სასცენო ფოლკლორის გაჩენის დღიდან, ანუ დაახლოებით უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში, ქართულ ხალხურ მუსიკაში მიმდინარე ცვლილებები მისი ბუნებრივი კანონზომიერებების ფარგლებს ხშირად სცდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქართული ხალხური მუსიკის ცვალებადობის თანამედროვე ფორმად შეგვიძლია ფოლკლორის განახლების პროცესი მოვიაზროთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადისერტაციო ნაშრომის სამუშაო ტერმინად სიტყვა revival-ის ქართული შესატყვისებიდან „განახლებას“ ვიყენებთ, რადგან „აღდგენა“, „აღორძინება“, „გაცოცხლება“ რაიმე უკვე გამქრალისათვის (მიმქრალისათვის) ხელახლი სიცოცხლის მინიჭებას უფრო გულისხმობს. ამასთანავე, აღდგენისა და აღორძინების ელემენტები განახლების პროცესის გარკვეულ ასპექტებში, ასევე, აქტიურად თანამონაწილეობენ. კერძოდ, ფოლკლორული მუსიკის პირველადი შრის რესტავრაციის/აღდგენის მცდელობისას, როდესაც განმაახლებლების აქცენტი გადატანილია პირველწყაროს მაქსიმალურად ხელუხლებლად შენარჩუნებაზე. თავად, ინგლისურენოვანი ტერმინის, revival-ის სინონიმებში (regeneration), აღორძინება (renaissance, resurgence), რევიტალიზაცია (revitalization), ხელახლი აღმოჩენა (rediscovery), ხელახლი ფორმირება (reshaping) და სხვ.⁴⁾ გამოვლენილი განსხვავებული

⁴⁾ კრებულში, ასევე, მოხმობილია შემდეგი ტერმინები: ხელახლი ინტერპრეტაცია (re-interpretation), ხელახლი ფოკუსირება (re-focusing), ხელახლი განსაზღვრა (re-assessment), ხელახლი არტიკულაცია (re-articulation), (reclamation), გამოცოცხლება (recovery), გადარჩენა (rescue), ძალ-ღონის აღდგენა (recuperation), დაკარგულის დაბრუნება (restitution), რესტავრაცია (restoration), გაახლება (renovation), ხელახლი გამოგონება (reinvention), ხელახლი განხორციელება (re-implementation), რეაქტივაცია (reactivation), ხელახლი ტრადიციონალიზაცია (re-traditionalization), ხელახლი გაადგილობრივება (re-indigenization), ხელახლი შესაბამისობა (re-appropriation), განახლება (resumption), ხელახლი ცირკულაცია (recycling), კვლავ წარმოქმნა (reproduction), ხელახლი განხილვა (revision), ხელახლი ქმნადობა (re-recreation) (Bithell, Hill, 2014).

ნიუანსების მიუხედავად, re სუფიქსი მიანიშნებს, რომ ამ პროცესებს აერთიანებს ერთი ფუნდამენტური მოტივაცია – მიუბრუნდეს წარსულს და/ან გააძლიეროს აწმყოს გარკვეული ასპექტები (ქართული მუსიკალური ფოლკლორის განახლების შემთხვევაში ორივე აღნიშნულ მოტივაციასთან გვაქვს საქმე), თუმცა ყოველი მათგანის შემთხვევაში მთავარი აქცენტი მომავალზეა გაკეთებული, რაც განახლების ამა თუ იმ განსხვავებული ფორმებით გამოვლენას უწყობს ხელს. ამდენად, ეთნომუსიკოლოგები ქეროლაინ ბითელი და ჯუნიფერ ჰილი სავსებით მართებულად მიიჩნევენ, რომ „შესაძლო განახლების ყოველი შემთხვევის შედეგი გარკვეული ტიპის ტრანსფორმაცია და ინოვაცია, იქნება ეს ახალი მუსიკალური სტილი, თაობიდან თაობაზე გადაცემისა და შესრულების ახალი მეთოდები, ახალი ფუნქციები და მნიშვნელობები თუ თუნდაც ახალი მუსიკალური სუბ-კულტურა“ (Bithell, Hill, 2014: 5).

სხვა ეპოპელი თუ ამერიკელი მკვლევრებისგან განსხვავებით, შვედი ეთნომუსიკოლოგი, ინგრიდ აკესონი „revival“-ის ნაცვლად, ტერმინ „რევიტალიზაციას“ მიმართავს. როგორც თავად განმარტავს, ტერმინი „revival“ უფრო ხშირად ინგლისურენოვან მეცნიერებაშია გამოყენებული, „revitalization“ კი - შვედურში. აკესონი „რევიტალიზაციას“ რეტროსპექტულ პროცესად მიიჩნევს და მას განმარტავს დავიწყებული კულტურული ელემენტების ახალი ფუნქციის მინიჭების კონტექსტში. თუმცა მიაჩნია, რომ „revitalization“ და „revival“ ერთი და იმავე პროცესის სინონიმურ სახელდებას წარმოადგენს (Åkesson, 2006: XX). განახლების პროცესის სხვადასხვაგვარად აღნიშვნის შესახებ საუბრობს შვედი ეთნოლოგი ოუი რონსტრომიც, რომელიც მიიჩნევს, რომ „სხვადასხვა ტერმინი და კონცეპცია მიღებულია, პრინციპში, ერთი და იმავე სახის ფენომენის აღსანიშნავად: განახლება (revival), რევიტალიზაცია (revitalization), ხელახალი ქმნა (recreation), რეორიენტაცია (reorientation), განმეორებით დაკანონება (re-enacting)“ (Ronström, 1996: XX). მსგავს მოსაზრებას აფიქსირებს ლიეტუველი მეცნიერი დაივა რაჩიუნაიტეც, რომელიც მუსიკის განახლების ტერმინზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ სიტყვა განახლება (revival) გამოიყენება, რევიტალიზაციის (revitalization), ხელახლა ქმნის (recreation), ინოვაციისა (innovation) და ტრანსფორმაციის (transformation) მნიშვნელობებით და რომ ეს ტერმინები ხშირად სინონიმურად, ერთმანეთის მონაცვლეობით იხმარება (Račiūnaitė-Vyčinienė, 2012: 97).

ამრიგად, ეჭვგარეშეა, რომ აკესონი, რონსტრომი და რაჩიუნაიტე ამ სხვადასხვა სახელწოდების ქვეშ მოიაზრებენ პროცესს, რომელსაც ზემოაღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით, ჩვენ მუსიკის განახლებას ვუწოდებთ და მას ქოლგა ტერმინად მოვიაზრებთ, გამომდინარე ქართული ფოლკლორის განახლების პროცესში გამოვლენილი რამდენიმე განსხვავებული ფორმიდან (სასცენო ფოლკლორი, პოპ-ფოლკი და ფოლკ-ფიუჟენი).

მუსიკის განახლების პროცესის ერთ-ერთი პირველი და ეთნომუსიკოლოგებს შორის დღემდე მეტ-ნაკლებად გაზიარებული განმარტება წარმოდგენილია ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, თამარა ლივინგსტონის სტატიაში „მუსიკის განახლება: ძირითადი თეორიისაკენ“ (Music Revivals: Towards the General Theory). ლივინგსტონის აზრით, „მუსიკის განახლების მოძრაობა წარმოადგენს ნებისმიერ სოციალურ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს იმ მუსიკალური ტრადიციების აღდგენასა (რესტავრაციას) და შენახვას, რომელსაც თანდათანობით დაკარგვის ან სამუდამოდ წარსულში გაქრობის საფრთხე ემუქრება. მოძრაობის მიზანია: 1) იარსებოს, როგორც თანამედროვეობის ყველაზე მასშტაბური მუსიკალური მოვლენის, ე.წ. „მეინსტრიმის“ – პოპ-კულტურის ოპოზიციამ და ალტერნატივამ. 2) განავითაროს უკვე არსებული მუსიკალური კულტურა ისტორიულად დადგენილი ფასეულობებისა და მუსიკის განმაახლებლების მიერ გამოხატული აუთენტიკურობის მეშვეობით“ (Livingston, 1999: 68). მიუხედავად იმისა, რომ ლივინგსტონისეულ განმარტებაში მუსიკის განახლება დეფინირებულია, როგორც თანდათანობით დაკარგვის საფრთხის წინაშე არსებული მუსიკალური ტრადიციების აღდგენასა და შენახვაზე ორიენტირებული სოციალური მოძრაობა, ის, ამავდროულად, შესაბამისობაში მოდის ქართულ ხალხურ მუსიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესებთან. კერძოდ, მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციის უწყვეტი განვითარების გამო, მართალია ქართული ხალხური მუსიკა აღდგენის აუცილებლობის წინაშე არ დგას, მაგრამ ამ ტრადიციის შენახვის, და შესაბამისად, მისი დაკარგვის საფრთხის თავიდან აცილების პროცესი საქართველოში ბოლო ათწლეულების მანძილზე განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს. ამდენად, დღეს ქართულ ფოლკლორში არსებული ტენდენციები ფოლკლორული მუსიკის განახლების საყოველთაო პროცესის ლოკალურ გამოხატულებად ისახება.

ამავე ნაშრომში ლიგინგსტონი გვთავაზობს მუსიკის განახლების ძირითადი რეცეპტის „ექს ინგრედიენტს“, რაც ყოველ განახლებას უნიკალურად აქცევს. ესენია:

1. ინდივიდუები თუ მცირე ჯგუფები, რომლებიც ქმნიან „მთავარ განმაახლებლებს“ (core revivalists) ანუ ამ პროცესის წამომწყებებსა და საფუძვლის მიმცემებს;
2. განახლების მაუწყებლები და/ან ორიგინალური წყაროები, როგორიცაა ისტორიული აუდიოჩანაწერები;
3. განმაახლებლების იდეოლოგია და დისკურსი;
4. მიმღევრების ჯგუფი (როგორც შემსრულებლები, ისე მომხმარებლები), რომლებიც განმაახლებელთა თემის (community) საფუძველს ქმნიან;
5. განმაახლებლების აქტივობები (ორგანიზაციები, ფესტივალები, კონკურსები);
6. არაკომერციული და/ან კომერციული წამოწყებები, რომლებიც განმაახლებელთა ბაზარს კვებავს.

მეცნიერი თავადვე განმარტავს, რომ შემოთავაზებული მოდელი არ არის უნივერსალური, არ პროგნოზირებს ყოველი კონკრეტული განახლების დინამიკას და არც ზღუდავს მათ ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტებით. არამედ, მისი მიზანია, პულტურათშორისი კვლევების დიალოგისათვის ახალი მიმართულების მიცემა.

მართლაც, ლიგინგსტონისეულ „ინგრედიენტებს“, თავის მხრივ, ორ ელემენტს ამატებს აკესონი – 1. არქივები და კვლევითი ინსტიტუციები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და 2. გავლენები განახლების ანალოგიურ პროცესში ჩართული მეზობელი ქვეყნებიდან, ტერიტორიებიდან, მუსიკალური ჟანრებიდან. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ცენტრალური, ფოლკ-ფილენის მუსიკალური სტილის კონტექსტში, სადაც ამა თუ იმ მუსიკალური ჟანრიდან მიღებული „გავლენა“ ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რასაც ვერ ვიტყვით ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლებაში ასევე შემავალ, სასცენო ფოლკლორზე, რომელიც, მაქსიმალურად იცავს თავს გარე ფაქტორების გავლენისაგან.

ქართულ მაგალითს ეხმიანება აკესონის მიერ რევიტალიზაციის პროცესში (რასაც, როგორც ტერმინოლოგიის ანალიზისას აღვნიშნეთ, განახლების პროცესის

სინონიმურ სახელწოდებად მოიაზრებს) გამოყოფილი ხელახლა ქმნადობის, ტრანსფორმაციისა და ინოვაციის სამი კონცეფცია. აკესონის ეს მოდელი აღწერს ფოლკლორული მუსიკისადმი განმაახლებლების მიღგომებს და შეიცავს ყველა ტიპის მიმართებას მასალასთან, სტილთან და სხვადასხვა კომბინაციასა და ინოვაციასთან. ეს კონცეფციები არ წარმოადგენებ იზოლირებულ კატეგორიებს, რადგან, მაგალითად, ტრანსფორმაცია და ინოვაცია ხელახლი ქმნადობის ელემენტებს შეიცავს. თუმცა აკესონის მოსაზრებით, ტრადიციის ხელახლა ქმნას/რეკონსტრუქციასა და ტრანსფორმაცია/ინოვაციას შორის ბალანსისთვის განსხვავებული მიღგომების პოვნაა საჭირო, ეს კი აბსოლუტურად შესაძლებელია. ყოველივე ეს პირდაპირ ეხმიანება ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესში გამოვლენილ თავისებურებებს, რაც ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის შემდგომ თავებშია იღუსტრირებული.

საინტერესოა, განახლების პროცესში გამოვლენილი ორი პარალელური ტენდენცია, რომელსაც აკესონი, შვედეთის მაგალითზე, შემდეგნაირად ახასიათებს: ერთი მხრივ, მოყვარული მომდერლებისა და ღია სასიმდერო ლონისძიებების გაზრდილი რიცხვი, მეორე მხრივ, ტრადიციული მუსიკის ფორმალიზაცია და პროფესიონალიზაცია და მედიის საშუალებით გავრცელების ძლიერი ტენდენცია. ავტორი აღნიშნავს, რომ დღესაც ამ (მეორე მიმართულების) პროცესში ჩართული მრავალი ხელოვანი ფორმალური მუსიკალური განათლების მქონეა და ხშირად ახდენს ფოლკ მუსიკის სხვა ჟანრებთან - ჯაზთან, ადრეულ მუსიკასა და თანამედროვე იმპროვიზაციასთან თუ „საავტორო“ (singer-songwriter) ჟანრთან შერწყმას. ეს კი დღევანდელი ტრადიციული მუსიკის განახლების (აკესონის ტერმინით, რევიტალიზაციის) და მრავალი ურთიერთგადამკვეთი ჟანრის თანაარსებობის ერთ-ერთი მიზეზია. ხშირ შემთხვევაში, იგივე მუსიკოსები შეიძლება იყვნენ, როგორც „ტრადიციული“, ისე ინოვაციური შემსრულებლები, რაც არაა შვედეთისათვის უნიკალური და მრავალ სხვა განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყანაში ვლინდება, მათ შორის საქართველოშიც, რაც ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში კარგად დასტურდება.

ამრიგად, ლიკინგსტონი-აკესონის მოდელები ერთმანეთს ავსებენ: პირველი აქცენტს აკეთებს განახლების პროცესის შემადგენელ ერთეულებზე, ხოლო მეორე – ამ პროცესის განხორციელების მეთოდებზე.

უნდა ითქვას, რომ 1990-იან წლებში, როდესაც დასავლეთში ფოლკლორული მუსიკის განახლების კონცეფცია და მისი კვლევის პრეცედენტები გაჩნდა, „ფოლკლორისტები განახლებას არარელევანტურად, ზოგ შემთხვევაში კი ტრადიციების შემრყვნელ ფარულ ძალად წარმოიდგენდნენ, რომელიც სერიოზული საქმიანობით დაკავებულ მკვლევრებს ყურადღებას უფანტავდა“ (Patterson, 1995: 357). ამის მიუხედავად, 1996 წელს American Folklore: An Encyclopedia-სთვის დაწერილი ესეს (“Revivalism”), შესავალში როზენბერგი წერდა: „ფოლკლორისტები ფოლკლორის მთავარ განმაახლებლებს შორის არიანო“ (Brunvard, 1996:623). სწორედ როზენბერგი გახლდათ ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პირველი ნაშრომის ავტორი. ნაშრომის სათაურში, „ტრანსფორმირებული ტრადიცია: ფოლკ მუსიკის განახლებების განხილვა“ (Rosenberg, 1993: XX), განახლების მრავლობით რიცხვში მოხსენიებით, როზენბერგი ხაზს უსგამს საკითხის მრავალასპექტიანობას. კრებულში შემავალი სტატიები სამ ჯგუფადაა წარმოდგენილი და ყოველი მათგანი ჩრდილოეთ ამერიკის ფოლკლორული მუსიკის განახლების სხვადასხვა ასპექტს ეხება. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო კრებულის მეორე ნაწილში ელენ სტეპერტის მიერ შემოტანილი ტერმინი „ახალი ესთეტიკა“, რომელიც შემდგომში აქტიურად აიტაცეს ეთნომუსიკოლოგებმა. „ახალი ესთეტიკა“ გულისხმობს ურბანული საშუალო ფენიდან გამოსული განმაახლებლების მუსიკას – „ფოლკლორული, კლასიკური, ჯაზის და პოპის მუსიკალური სტილების“ სინთეზს (Stekert; 1993:99-100). სტეპერტის მიერ ფოლკლორული მუსიკის განახლების ფარგლებში წარმოდგენილი „ახალი ესთეტიკის“ ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენს სადისერტაციო ნაშორმში ზედმიწევნით განხილული ფოლკფიუჟენის სტილი. ამდენად, ფოლკლორული მუსიკის განახლებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია და ჩვენი სადისერტაციო კვლევის მირითადი საგანი – ტრადიციასთან დაკავშირებული მასალის შემოქმედებითი ადაპტაცია, კრებულში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, თუმცა მასში წარმოდგენილი სტატიები, ასევე,

ცხადებულს, რომ არანაკლებ დიდი ძალისხმევა იყო მიმართული 1990-იანებში კონკრეტული მუსიკალური კულტურების შენახვისა თუ ხელახალი წარმოქმნისაკენ.

მუსიკის განახლების კპლეგაში თეორიული ფუნდამენტის შექმნის თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია ჟურნალ *World of Music*-ის 1996 წლის ტომი - „მუსიკის განახლება ევროპაში“. მასში შესული სტატიების ძირითად ნაწილში ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში მუსიკის განახლების კონკრეტული შემთხვევებია განხილული. ხოლო განახლების კონცეფციის ზოგად-თეორიულ ანალიზს ეთმობა ოუი რონსტრომისა და პიტერ ბაუმანის სტატიები, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი სადისერტაციო კვლევისათვის.

სტატია სახელწოდებით „ხელახლა გააზრებული განახლება“ (Ronström, 1996: XX) რონსტრომის მიერ შვედეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ყოფილ იუგოსლავიაში ჩატარებული კვლევის შედეგია, დაწერილი ამ თემაზე არსებულ ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. ნაშრომში რონსტრომი საუბრობს მუსიკის განახლების მოძრაობაში მატერიალიზაციისა და საქონლად გარდაქმნის (commodification) ელემენტების დიდ მნიშვნელობაზე, რაც უშუალოდ იწვევს გამარტივებას, სტანდარტიზაციას, პომოგენიზაციას. ამდენად, ძველ დროში არსებული სხვადასხვაგვარი ცოდნა რეალიზებულია სტანდარტიზებულ და გამარტივებულ ფორმებში. ასეთი მატერიალიზაციის შედეგები სამ დონეზე ვლინდება, რაც შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი ეთნომუსიკოლოგ მარკ სლობინს: მიკრო დონე (სოფლები, პატარა რეგიონები), ე.წ. რეგიონული დონე (ერები ან ერების ჯგუფები, როგორიცაა მაგალითად, სკანდინავია) და ტრანსნაციონალური (ხშირად წოდებული „ინტერნაციონალურად“). ამ მოდელის საფუძველზე რონსტრომი ასკვნის, რომ „განახლების მთავარი ეფექტი არის ის, რომ ადგილობრივი რეპერტუარი თუ ჟანრი თემიდან/სოფლიდან გადაინაცვლებს ეროვნულ ან ტრანსნაციონალურ დონეებზე. ეს შეიძლება განახლების მთავარი მიზანიც კი იყოს“ (Ronström, 1996: XX). მართლაც, თანამედროვეობაში დამკვიდრებული კულტურული ტენდენციების კვალდაკვალ (მათ შორის, საქართველოში), განახლებული ფოლკლორის გაგრცელების არეალი ხშირად მიკრო დონიდან ტრანსნაციონალურ დონეზე ინაცვლებს, ყოველ შემთხვევაში, დღეს ეს ნებისმიერი მუსიკალური ინდუსტრიის (მათ შორის, ხალხური მუსიკის ინდუსტრიის) ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

რაც ეხება კრებულში შემავალ ბაუმანის „მუსიკის განახლება: კონცეფციები რეგრესა და ემანსიპაციას შორის“ (Baumann, 1996: 71–86), მასში ავტორი, ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესთან მიმართებაში გამოყოფს პურიზმის (ტრადიციული ნორმების დაცვის) და სინკრეტიზმის ორ მნიშვნელოვან მოდელს, როგორც კულტურულ-პოლიტიკური მოძრაობების კონტექსტში ფოლკლორული მუსიკის ინტერპრეტაციის დამხმარე ხელსაწყოებს. პურისტების მოდელში გაერთიანებულია ე.წ. „აუთენტიკოსები“, ტრადიციონალისტები, ფოლკლორისტები, ისტორიკოსები – ყველა, ვინც მეტ-ნაკლებად მისდევს „ძველ“, ადგილობრივ თუ რეგიონულ ტრადიციებს, გარკვეულ დროში აღწერილი წყაროებისა თუ მათი თანმდევი კონტექსტის გათვალისწინებით. პურიზმის საპირისპიროდ, სინკრეტიზმი აფართოებს მიდგომას რეკონსტრუქციის ან ახალი მუსიკალური სივრცის შექმნის მიმართ. მისი მთავარი ტენდენციაა ფოლკლორის ხელახლი ქმნა ან განახლება თანამედროვე მსოფლიოს მუსიკალური ინტერესების გათვალისწინებით. ამ დროს მთავარი კონცეფცია ხდება ახალი არანუირებების, ახალი ჯგუფების შექმნის, ახალი ინსტრუმენტებისა და თუნდაც სხვა ტრადიციებიდან ახალი მოდელების ერთობლიობა. ამდენად, ბაუმანის თეორიით დასტურდება, რომ მუსიკის განახლების პროცესის ქვეშ ერთიანდება, როგორც ორიგინალური ხალხური ტრადიციების დაცვისკენ მიმართული (მაგ. სასცენო ფოლკლორი), ისე ამ ტრადიციების თანამედროვე ინტერეტაციებზე ორიენტირებული (მაგალითად, ქართული პოპ-ფოლკი და ფოლკ-ფიუჯენი) მუსიკალური გამოხატვის ფორმები, უანრები თუ პრაქტიკები. აღნიშნული კი, ბაუმანის ნაშრომს ჩვენი დისერტაციისთვის მნიშვნელოვან წყაროდ აქცევს.

უკანასკნელ წლებში გამოცემული მუსიკის განახლების პროცესთან დაკავშირებული ნაშრომებიდან, უდავოდ, ყველაზე მასშტაბურია 2014 წელს ბრიტანელი მეცნიერების, ქეროლაინ ბითელისა და ჯუნიფერ ჰილის მიერ გამოცემული სტატიების კრებული „მუსიკის განახლების ოქსფორდის ცნობარი“ (Bithell, Hill, 2014: XX), რომელშიც მუსიკის განახლების მკვლევრების ნაშრომებია გაერთიანებული. მასში დეტალურადაა განხილული აუთენტიკურობის, რეკონსტრუქციულიზაციის, ტრანსმისიის, ინსტიტუციონალიზაციის, გლობალიზაციისა და სხვა ძირითადი საკითხები, რომლებიც უმნიშვნელოვანებია დღვეანდელ

პოსტმოდერნულ კოსმოპოლიტურ საზოგადოებაში ტრადიციული მუსიკის გაგებისათვის.

კრებულში, შეძლებისდაგვარად, გაფართოებულია ის გეოგრაფიული საზღვრები, რითიც მუსიკის განახლების შესახებ აქამდე გამოცემული ნაშრომები იყო შემოსაზღვრული (ძირითადად, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის, იშვიათად, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონები). შესაბამისად, მასში შესულია სტატიები მუსიკის განახლების შესახებ შუა აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ აზიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ინდონეზიის, წყნარი ოკეანის, ლათინური ამერიკის, აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის ადგილობრივი საზოგადოებების გამოცდილებიდან. ამავდროულად, საგანგებოდაა გაანალიზებული განახლების პროცესის შემდეგი შედეგები: ახალი ინფრასტრუქტურა, მუსიკალური სტილები, საშემსრულებლო პრაქტიკები, სუბკულტურული თემები და ლირებულებათა სისტემა, რომელიც ამა თუ იმ განახლების მოძრაობის გარეთ ამოიზარდა.

კრებულის სხვადასხვა თავში კონცენტრირებულია მუსიკის განახლების პროცესთან დაკავშირებული ექვსი ძირითადი საკითხი – აქტივიზმი და ცვლილებების სურვილი; ისტორიის დირებულებითი განსაზღვრა და ხელახალი ინტერპრეტირება; რეკონტექსტუალიზაცია და ტრანსფორმაცია; ლეგიტიმურობა და აუთენტიკურობა; გადაცემა და გავრცელება; პოსტ-განახლების შედეგი და განშტოებები. საინტერესოა, რომ მეცნიერები პოსტ-განახლებად მოიაზრებენ განახლების პროცესის მიმდინარეობისას ახალი სუბკულტურებისა და მონათესავე ჯგუფების წარმოქმნასა თუ მათ ძირითადი მუსიკალური კულტურის (mainstream) ნაწილად ქცევას და აღნიშნავენ: „ეს ფაზა „პოსტ-განახლებად“ გვაქვს მოაზრებული, იმისათვის რომ ხაზი გავუსვათ იმ ხანგრძლივ ზემოქმედებას, რაც, შესაძლოა, განახლების პროცესმა მუსიკაზე მოახდინოს“ (Bithell, Hill, 2014: 4). ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია, ქართული პოპ-ფოლკი განახლების ერთიან პროცესში პოსტ-განახლების მსგავს ფაზად მოვიაზროთ. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ განახლების პროცესის ყოველი ფორმის, მიმართულებისა თუ ქვემიმართულების შემთხვევაში ერთი საერთო ტენდენცია ვლინდება: „ყოველი ცალკეული განახლების შედეგი რაიმე ტიპის ტრანსფორმაცია ან ინოვაციაა, ეს იქნება ახალი მუსიკალური სტილი, გადაცემისა

თუ შესრულების ახალი მეოთოდები, ახალი ფუნქციები და მნიშვნელობები, თუ თუნდაც ახალი მუსიკალური (სუბ)კულტურა“ (Bithell, Hill, 2014: 5).

ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესის კვლევა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც თანდათან იძენს აქტუალობას. ამ მხრივ, საინტერესო იქნ 2016-2017 წლებში ტალინის მუსიკისა და თეატრის აკადემიაში სწავლის დროს ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) ჩვენ მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი საველე სამუშაო, რამაც შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ ამ მიმართულების პრაქტიკოს მუსიკოსებთან, არამედ მეცნიერებთან შეხვედრა და ამ საკითხის კვლევის ადგილობრივ პრაქტიკაზე დაკვირვება. ადგილობრივ ეთნომუსიკოლოგებთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ამ პროცესის ხანგრძლივობისა და სამეცნიერო წრეებში ამ საკითხზე ზეპირი დისკუსიებისა, მისი საგანგებო შესწავლით მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაინტერესდა რამდენიმე მეცნიერი, მათაც ჯერჯერობით მასშტაბური კვლევა არ უწარმოებიათ. შესაბამისად, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ბალტიისპირელ ეთნომუსიკოლოგებთან პირადი საუბრებისა და ინტერვიუების დროსაა ჩაწერილი.

ესტონელი ეთნომუსიკოლოგებიდან ამ საკითხზე საგანგებო კვლევა, ჯერჯერობით, მხოლოდ კრისტინ კუუტმას აქვს ჩატარებული, რომლის შედეგებიც, ნაწილობრივ, წარმოდგენილი აქვს ინგლისურენოვან სტატიაში „ცვლილებები ფოლკლორულ კულტურასა და ფოლკლორულ ანსამბლებში“ (Kuutma, 1997: XX). მასში ავტორი ფოლკლორულ ტრადიციასა და მისთვის თანამედროვე კონტექსტის მინიჭების აუცილებლობაზე საუბრობს, გამომდინარე იქიდან, რომ ტრადიცია გარკვეულ პერიოდსა და პირობებში შექმნილი კულტურული კონსტრუქციაა. შესაბამისად, მეცნიერს დაუშვებლად მიაჩნია იმაზე მსჯელობა, გარკვეული ტრადიციული ფენომენი (ამ შემთხვევაში კი ტრადიციული მუსიკალური ანსამბლი) ნამდვილია თუ ყალბი, რადგან ტრადიცია თავისთავად ვერ იქნება ვერც ნამდვილი და ვერც ყალბი, გამომდინარე იქიდან, რომ ის არ არის წარსულიდან შემონახული არტეფაქტი, არამედ ტრადიცია აწმყოში სიმბოლურად ხელახლა ქმნადი ფენომენია.

ამის ერთგვარი ილუსტრაციაა ახალ სოციო-კულტურულ პირობებში ფოლკლორთან ახალი ტიპის დამოკიდებულების, შესაბამისად, ახალი ტიპის

ტრადიციის გაჩენა და მანამდე კოლექტიურ პრაქტიკას მიჩვეული თემის ორ ნაწილად – მონაწილეებად და მაყურებლებად გაყოფა. მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის II ნახევრის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუსიკის საჯარო შესრულების პრაქტიკა დამკვიდრდა, ფოლკლორის საკონცერტო შესრულების ტრადიცია გაჩნდა და შედეგად, შეიქმნა საკონცერტო თუ სხვა ტიპის საზოგადოებრივი აქტივობის მქონე ანსამბლები.

სტატიაში კუუტმა სწორედ 1920-იანი წლებიდან 2000-იან წლებში მოღვაწე ესტონური ფოლკლორული ანსამბლებს მიმოიხილავს და შედეგად, მუსიკის განახლების სხვადასხვა ტალღის მკაფიო პერიოდიზაციას წარმოადგენს. მათგან, განსაკუთრებით გამოყოფს 1960-იან წლებს, როდესაც ფოლკლორული მემკვიდრეობისადმი მიმართება რადიკალურად შეიცვალა და ეს მოხდა არა მხოლოდ ბალტიისპირეთში, არამედ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც, როგორიცაა უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ირლანდია. ავტორი აღნიშნავს, რომ ესტონეთში ეს პროცესი ლიეტუველი მეცნიერების ახალგაზრდა თაობაში სოფლის ტრადიციებისა და კოლექტიური შესრულებისადმი ინტერესის გაზრდის პირდაპირ ზეგავლენას წარმოადგენდა. ამ პერიოდში ბალტიისპირეთის ქვეყნებში ფოლკლორული ანსამბლების დაარსება საბჭოთა იდეოლოგიით შექმნილი „ეთნოგრაფიული გუნდების“ საწინააღმდეგო მოძრაობას წარმოადგენდა, 80-იანებიდან კი მათი საქმიანობა მთლიანად დაუკავშირდა ეროვნულ მოძრაობასა და მის იდეოლოგიას. მუსიკის განახლების პროცესში გამოვლენილ სასცენო ფოლკლორის ჩამოყალიბება-განვითარების მსგავს პერიოდიზაციასა და ფაზებს გამოვყოფთ სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის პირველ ქვეთავში, სადაც ისტორიულ დინამიკაში წარმოვადგენთ ქართული ფოლკლორული მუსიკის ტრანსფორმაციის პროცესს, დაწყებული XIX საუკუნის ბოლოდან – დღემდე.

ლიეტუველი მეცნიერების ნაშრომებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა დაივა რაჩიუნაიტეს ინგლისურენოვანი სტატია, „ლიეტუვური პოლიფონიური სუტარტინეს სიმღერების განახლება გვიან მე-20 და ადრეულ 21-ე საუკუნეებში“ (Račiūnaitė-Vyčinienė, 2012: 97-115). როგორც სტატიიდან ვიგებთ, ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) ძირითადად, მიმართვენ ტერმინს „ნეო-ფოლკლორული მოძრაობა“, რათა 1970-80-იან წლებში ფოლკლორული ტრადიციისადმი გაზრდილ ინტერესს გაუსვან ხაზი. ტერმინი, ასევე, თავის თავში

აერთიანებს ფოლკლორის აქტუალიზაციის ფორმებს ყოველდღიურ ცხოვრებასა და სამოყვარულო ხელოვნებაში, რაც 1990-იანების დასაწყისის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასა და დამოუკიდებლობის ადგენისათვის ბრძოლას ახლდა თან.

რამდენადაც, რაჩიუნაიტეს სტატიის ძირითადი თემა სუბარტინესია, მეცნიერი განახლების პროცესზე სწორედ ამ უანრის გადმოსახედიდან საუბრობს. საინტერესოა, რომ ის სუბარტინესის განახლების პროცესის სამ ფაზას წარმოადგენს და წერს, რომ ამ ფაზებს შორის ყველაზე თანამედროვე ნეო-პაგანური შტოა, რომელიც იმ ახალგაზრდების სულიერი ძიებიდან ამოზარდა, რომლებიც საკუთარ ეთნიკურ ფესვებს ბალტიისპირულ მსოფლმხედველობაში ეძიებდნენ. ლიეტუველი ნეო-პაგანისტები „აუთენტიკურობას“ ასოციაციურად უკავშირებენ ეთნიკურ ტრადიციას, რაც მათი აზრით, თითქმის ან სრულიად თავისუფალია უცხოური გავლენებისაგან. ნეო-პაგანისტების მიხედვით, „აუთენტიკურობა“ ნიშნავს განსაკუთრებულობას და სხვა დირებულებითი სისტემებისა და იდეოლოგიებისაგან დისტანცირებას“ (Delis, 2006: 222). როგორც აღმოჩნდა, დღეს სუბარტინეს ჯგუფების რეპერტუარი მრავალ სხვადასხვა ფორმას აერთიანებს, მაგალითად, ფოლკ-როკსა და პოსტ-ფოლკლორს, თანამედროვე კლასიკურ მუსიკასა და ვიზუალურ ხელოვნებასთან სინთეზს. ფაქტობრივად, სუბარტინესის შემსრულებელი ნეო-პაგანური შტოს წარმომადგენლების მუსიკალური თვითგამოხატვის ძირითადი ფორმა სწორედ ფოლკ-ფიუჯენის ტექნოლოგიით (ადგილობრივი ტრადიციული მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის ელემენტების სინთეზი) შექმნილი მუსიკაა, რაც ქართულ ფოლკ-ფიუჯენთან საინტერესო პარალელების გავლების საშუალებას იძლევა.

ლატვიელი მეცნიერის, მარტინ ბოიკოს ინგლისურენოვანი სტატია „ლატვიური მუსიკალურ-ფოლკლორული მოძრაობები 1980-1990-იან წლებში: „აუთენტიკურობიდან“ „პოსტფოლკლორამდე“ და „შემდგომ“ (Boiko, 2001: 113–118)“ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მუსიკის განახლების პროცესისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფაზების იდენტიფიცირებისა და ანალიზის მიმართულებით, რა თქმა უნდა, ლატვიის მაგალითზე. როგორც ნაშრომიდან ვიგებთ, ლატვიური მუსიკის განახლების ყველაზე მძაფრი ტალღა 1970-იან წლებში გაჩნდა და ამ მოძრაობამ 1980-იან წლებში ლატვიაში უკარი ბუმი გამოიწვია (ისევე, როგორც ეს ხდებოდა ლიეტუვასა და ესტონეთში). ამ მოძრაობის მთავარი იმპულსი იყო ფოლკლორული მუსიკის

ორიგინალური სახის აღმოჩენა, რომელიც მკაფიოდ განსხვავდებოდა საბჭოთა პერიოდში გავრცელებული ფოლკლორისაგან. „უკან ფესვებისაკენ“ იყო ამ მოძრაობის მთავარი ლოზუნგი, რომელიც ჩანასახშივე დაუპირისპირდა საბჭოთა რეჟიმს. „სასიმღერო რევოლუციის“⁵ პერიოდში, 1990-იან წლებში ამ ფოლკლორული მოძრაობის წარმომადგენლები ლიბერალიზაციის მოძრაობაში მთავარ როლს ასრულებდნენ და, ამდენად, სასიმღერო რევოლუცია ლატვიაში პოლიტიკურ რევოლუციად იქცა. ფოლკლორული მოძრაობისათვის ამოსავალი იყო პირველადი, სოფლის მკვიდრებისგან ჩაწერილი და გარე მუსიკალურ გავლენებს მოკლებული ფოლკლორული მუსიკა. ამასთან, მისი საჯარო შესრულებისას შემსრულებელსა და აუდიტორიას შორის დისტანციის მაქსიმალური შემცირება, რაც მანამდე დამკვიდრებული საკონცერტო ფორმისგან გათავისუფლების მცდელობას წარმოადგენდა.

სულ მალე ლატვიაში ტრადიციული მუსიკის ელემენტებით თვისობრივად ახალი მუსიკის შექმნის იდეაც გაჩნდა. კერძოდ, ფოლკლორული მოძრაობის რამდენიმე აქტიურმა მონაწილემ 80-იან წლებში პირველადი ფოლკლორული მასალისადმი მიმართვით და თანამედროვე ელექტრო ინსტრუმენტებისა და მათი საშემსრულებლო ტექნიკების, სხვადასხვა მუსიკალურ-სტილური ელემენტის გამოყენებით ორიგინალური მუსიკის შექმნა დაიწყო. ამ მუსიკალური მიმართულების სახელწოდებად ერთ-ერთი მუსიკოს-განმაახლებლის, ილგის რეიზნიეცეს ინიციატივით „პოსტფოლკლორი“ დამკვიდრდა და მალე ის მთელ ბალტიისპირეთში გავრცელდა. ამ მოვლენას თავად მუსიკოსი ასე იხსენებს: „ფოლკლორული მოძრაობის დასაწყისში ეს იყო ერთგვარი მისია ჩვენთვის, რომ დაგვებრუნებინა ხალხი უკან და შეგვეხსენებინა ძველი, აუთენტიკური წყაროების შესახებ. ეს იყო იმ პერიოდში ძირითადი იდეა. თუმცა, ამავდროულად, უფრო და უფრო გვხიბლავდა საკუთარი მუსიკის შექმნის პროცესი. გარკვეული დროის მანძილზე ეს იყო თითქოს პოზიცია, როდესაც მუსიკოსმა „მე“-მ ხელი აიღო ფოლკლორისტ „მე“-ზე, რადგან იმ პერიოდში, სანამ

⁵ სიმღერის რევოლუცია (singing revolution) - ასე უწოდებენ 1980-იან წლებში ბალტიისპირეთის ქვეყნებში მიმდინარე მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების პროცესს, რომელმაც 1991 წელს ესტონეთი, ლიეტუა და ლატვია დამოუკიდებლობის აღდგენამდე მიიყვანა. ამ პროცესში პროტესტის გამოხატვის მთავარი ფორმა კოლექტიური სიმღერა იყო, სწორედ ამიტომ დაერქვა მას „სიმღერის რევოლუცია“ (The Singing Revolution, XX).

გავაცნობიერებდით, რომ ჩვენი საკუთარი გზის არჩევის თავისუფლება გაგვაჩნდა, ამ თრს შორის დიდ წინააღმდეგობრიობას ვხედავდით“ (Boiko, 2001: 116). უნდა ითქვას, რომ პოსტფოლკლორის შემსრულებლები, ამავდროულად, განაგრძობდნენ სხვა ტრადიციულ ჯგუფებში „აუთენტიკური“ ფოლკლორის შესრულებას. ეს პრაქტიკა თითქოს ტრადიციადაც კი დამკვიდრდა ბალტიისპირულ, განსაკუთრებით, ლატვიურ მუსიკალურ წრეებში, იმდენად, რამდენადაც დღეს პირველადი ფოლკლორის შემსრულებელი ქალაქური ჯგუფების წევრების უმრავლესობა, ამავდროულად, რომელიმე პოსტფოლკლორულ ჯგუფშიც მოღვაწეობს. უნდა ითქვას, რომ მსგავს ტენდენციას აქვს ადგილი ქართული ფოლკ-ფიულენის შემსრულებელი ახალგაზრდა მუსიკოსების დიდი ნაწილის შემთხვევაში, რომლებიც პირველადი ფოლკლორის შემსრულებლების პარალელურად ფოლკ-ფიულენის მიმართულების მუსიკალურ ექსპერიმენტებშიც მონაწილეობენ. სტატიაში წარმოდგენილი და გაანალიზებული მასალა არაერთი სხვა პარალელის გავლების საშუალებას გვაძლევს, განსაკუთრებით, ქართული ტრადიციული მუსიკის განახლებაში სხვადასხვა შრის არსებობისა და სოციო-პოლიტიკური მოვლენების კონექტში მათი განვითარების თავისებურებების განხილვის მიმართულებით. მით უფრო, რომ ბოიკოს მიერ ხაზგასმული ტენდენციები მეტნაკლებად ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაშია გამოვლენილი და, ამ თვალსაზრისით, ფოლკლორის განახლების პროცესებზე მსჯელობისას გარკვეული განზოგადებების გაკეთების საშუალებასაც იძლევა.

ფოლკლორული მუსიკის განახლების საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მუსიკის განახლება ნამდვილად კომპლექსური ფენომენია. ფრედრიკ ბართის (Fredrik Barth) სიტყვებით, „განახლება არის მნიშვნელობების სათავსო, რომელსაც მრავალი ფსკერი და პარალელური დონე გააჩნია“ (Ronström, 1996: XX). განახლების კომპლექსურ ბუნებაზე ყურადღებას ამახვილებს რონსტრომიც და აღნიშნავს, „განახლება მრავალმნიშვნელოვანი ფენომენია, რომელშიც მნიშვნელობების ოთხი დონე შეიძლება გამოვყოთ:

1. განახლება, დაკავშირებული ქმედებასთან, რის შედეგადაც ჯგუფებს შიგნით თემის შეგრძნება ჩნდება.
2. განახლება, დაკავშირებული ისტორიასთან, რაც ქმნის იმის სურათს, რაც ერთ დროს არსებობდა.

3. განახლება, დაკავშირებული აწმუოსა და მომავალთან, რაც ინდივიდუალური თუ კოლექტიური იდენტობის წარმოშობას განაპირობებს.
4. განახლება, დაკავშირებული მოდერნიზაციასთან, სადაც „ძველი ტრადიციების“ განახლება არა ოპოზიცია, არამედ ცვლილების ერთ-ერთი საწყისი წერტილია“ (Ronström, 1996: XX).

ამ ქვეთავში განხილული ნაშრომების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა ზემოაღნიშნული და სხვადასხვაგვარად დეფინირებული პროცესის ძირითადი არსი ერთ საკითხში, თანამედროვე პირობებში ფოლკლორული მუსიკის ცვალებადობაში მდგომარეობს. ჩვენ მიერ განხილული არაერთი დეფინიციის არსებობა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება ჯერაც არაა შეთანხმებული ამ პროცესის აღმნიშვნელი რაიმე ერთი სახელწოდების გამოყენებაზე, რაც არა მხოლოდ ეთნომუსიკოლოგიური სკოლების სხვადასხვაგვარი მიღვომით, არამედ თავად მოვლენის კომპლექსურობითაც არის განპირობებული. თუმცა, საკითხის გარშემო არსებულმა სამეცნიერო ნაშრომების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე პირობებში ფოლკლორში მომხდარი ცვლილებების აღმნიშვნელი ტერმინებიდან ყველაზე ხშირად მუსიკის განახლება (music revival) გამოიყენება. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში არ არსებობს თანამედროვეობაში მიმდინარე ფოლკლორული მუსიკის ცვალებადობის პროცესის ამსახველი შესაბამისი ტერმინი, სადისერტაციო ნაშრომში უკვე დამკვიდრებულ ინგლისურენოვან ტერმინ “music revival”-ს ვეყრდნობით და სამუშაო ანალოგად მის ყველაზე მისაღებ ქართულ თარგმანს, „მუსიკის განახლებას“ ვიყენებთ.

ქვეთავი III

ფოლკ-ფიუნენი: ტერმინის თანამედროვე ინტერპრეტაციები და დეფინიცია

ამ ქვეთავში მიზნად ვისახავთ, ფოლკ-ფიუნენის დეფინიციის შემუშავების პარალელურად, განვიხილოთ თანამედროვეობაში არსებული მისი ტერმინოლოგიური

ინტერპრეტაციები, მსგავსი მუსიკალური ფენომენების აღმნიშვნელი სინონიმური სახელწოდებები, რომლებიც ამა თუ იმ კულტურული და სამეცნიერო მიდგომის მიხედვითაა შემუშავებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ არეალში (ისევე როგორც, ზოგადად, სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ თემატიკაში) არ მოვიაზრებთ პროფესიული მუსიკის სფეროში ხალხური მუსიკის გამოყენების ფორმებსა თუ ტერმინოლოგიას⁶, რადგან ჩვენი სადისერტაციო კვლევის ძირითადი საგანი – ფოლკურული მხოლოდ პოპულარული მუსიკისა და ტრადიციული მუსიკის საზღვრებში მოქცეული მუსიკალური მიმართულებაა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ტრადიციული მუსიკის განახლების პროცესს განსხვავებული პერსპექტივიდან აღიქვამს და მის ქვეშ, კონკრეტულად, ფოლკლორული მუსიკის თანამედროვეობაში ფუნქციონირების საკითხს მოიაზრებს. ხოლო, რაც შეეხება ტრადიციული მუსიკის ტრანსფორმაციისა თუ მისი ელემენტების შერჩევა-გამოყენების გზით შექმნილ მუსიკას, ამას ტერმინ „მსოფლიო მუსიკის“ (world music) ქვეშ აერთიანებს. ჩვენ ამ მიდგომას არ ვეთანხმებით, რადგან ფოლკლორული მუსიკის განახლება ბევრად მასშტაბზე და კომპლექსური პროცესია და მიგვაჩნია, რომ პირველადი ფოლკლორის დღევანდელობაში არსებობის თავისებურებებთან ერთად, კონკრეტული კულტურის კონტექსტში ამ მუსიკისა და მისი ელემენტების სხვადასხვაგარი ტრანსფორმაციის შედეგად შექმნილ ახალ მუსიკალურ ერთეულებსაც აერთიანებს. ამდენად, ერთი შეხედვით, შესაძლებელია, მსოფლიო მუსიკის ფარგლებში მოაზრებული პროდუქტიც მუსიკის განახლების საერთო პროცესის ნაწილად წარმოვიდგინოთ, თუმცა ამ ფენომენის ახლოს გაცნობისას ბევრად განსხვავებულ აქცენტებს შევნიშნავთ.

უნდა ითქვას, რომ „მსოფლიო მუსიკის“ ფენომენის პირველადი სახის ჩამოყალიბების პროცესი აღწერილი აქვს რობერტ ბრაუნს (Brown, 1991: 366), რომელიც თავად იყო ამ პროცესის თანამონაწილე. როგორც ირკვევა, მსოფლიო მუსიკის კონცეფცია 1950 წელს UCLA-ს უნივერსიტეტში შექმნილ პიონერული ეთნომუსიკოლოგიის პროგრამაში აღმოცენდა მენტლ ჰუდის მიერ, შემდგომში კი

⁶ პროფესიული მუსიკის სფეროში ხალხური მუსიკის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურაში მისი ისტორიის თითქმის დასაწყისიდან, ეს მეთოდი ახალი ქართული პროფესიული აზროვნების ჩამოყალიბებისთანავე დამკვიდრდა ქართულ მუსიკაშიც, ეს საკითხი სიღრმისეულადაა შესწავლილი რუსულან წურწუმის ნაშრომებში.

ამავე პროგრამის მონაწილე ბრაუნმა, რამდენიმე სხვა მეცნიერთან ერთად, 1960-იან წლებში დააფუძნა საუნივერსიტეტო „ვესლიან მსოფლიო მუსიკის პროგრამა“ (Wesleyan World Music program), სადაც მან ტერმინ მსოფლიო მუსიკას მიმართა. ბრაუნის მიზანი არადასავლური მუსიკის საშემსრულებლო სწავლების ტრადიციულ ეთნომუსიკოლოგიურ სწავლებასთან კომბინაციის სახელდება იყო.

ეს ტერმინი თანდათან აკადემიურ წრეებშიც დამკვიდრდა და ზოგიერთი უკვე არსებულის (მაგ. პრიმიტიული, არადასავლური, ეთნიკური, ფოლკლორული) პოპულარულ ალტერნატივადაც კი იქცა. ელენ მეიერსი გროუგის სტატიის „ეთნომუსიკოლოგია“ შესავალში წერს, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეთნომუსიკოლოგები საკუთარ სამუშაო ლექსიკონში მრავალფეროვან ტერმინოლოგიას იყენებენ. დღეს უარყოფილ ტერმინთა შორის ისეთიცაა, რომელსაც დამამცირებლის სტატუსი მიანიჭეს. შესაბამისად, ძველი დროის – “პრიმიტიული”, “ეგზოტიკური”, „ორიენტალური“, „შორეული აღმოსავლეთის“ – შედარებით ახალი სინონიმური ტერმინებია „ფოლკლორი“, „არადასავლური“, „არალიტერატურული“, ხოლო დღევანდელი ტერმინია – „მსოფლიო მუსიკა“ (Myers, 1992: 11). ვაქტობრივად, მეიერსი მსოფლიო მუსიკის ცნებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დღემდე აქტიურად გამოყენებული ცნების, ფოლკლორის მომიჯნავე კატეგორიად მოიაზრებს.

იმის მიუხედავად, რომ ტერმინი „მსოფლიო მუსიკა“ აკადემიურ წრეებში აღმოცენდა, რეალურად იგი ხმის ჩამწერმა სტუდიებმა გახადეს პოპულარული. თუმცა ეს ტერმინი კომერციულ ბაზარზე აკადემიური წრეებისაგან განსხვავებული შინაარსის მატარებელია. 1987 წელს ლონდონში, გამომცემლობაში “Empress of Russia”, შეიკრიბნენ მუსიკალური პროდიუსერები, თანამედროვეობაში „ეთნიკური“, „ფოლკლორული“ და „ინტერნაციონალური“ მუსიკის რეალიზაციისთვის შესაბამისი კომბინირებული ტერმინის საპოვნელად. დისკუსიის შედეგად შერჩეული სახელწოდება „მსოფლიო მუსიკა“ მედია საშუალებებით ისე გავრცელდა, რომ მალე საერთაშორისო ხმის ჩამწერ სტუდიებში სტანდარტულ ტერმინად იქცა (Sweeney, 1992: ix). ამდენად, ხმის ჩამწერი სტუდიების მიღვომის მიხედვით, ამ ტერმინის ქვეშ ეთნიკური ელემენტების მქონე ნებისმიერი მუსიკა შეიძლება იყოს გაერთიანებული.

გარდანდის ენციკლოპედიის მერვე ტომის სტატიაში „მსოფლიო მუსიკა ეკროპაში“ (Rice, 1998: XX), ეთნომუსიკოლოგი ტიმოთი რაისი მსოფლიო მუსიკის

კატეგორიაში აერთიანებს ტრადიციულ მელოდიებს, რიტმებს, ვოკალურ ტემბრებს, ორნამენტაციასა და ინსტრუმენტებს, რომლებიც კლასიკური თუ პოპ-მუსიკის ჰარმონიებთან, როგოს რიტმებთან და ინსტრუმენტებთანაა (ელექტრო გიტარა, ბასი, დრამი, სინთეზატორი და ა.შ.) სინთეზირებული⁷.

მსოფლიო მუსიკის ფენომენში უკეთ გასარკვევად, რაისი ტრადიციული მუსიკის რეალიზებით დაკავებული ხმის ჩამწერი ინდუსტრიების მაგალითზე აღგვიწერს 1980-იანებში მომხდარი ტერმინოლოგიური გარდაქმნის პროცესს, რომლის დროსაც სახელწოდებები ეთნიკური, ფოლკლორული და საერთაშორისო ჩანაცვლდა ისეთი სახელწოდებებით, როგორიცაა „ვორლდბეიტი“ (worldbeat), „ეთნოპოპი“ (ethnopop), „ვორლდ-ფიუჯენი“ (world-fusion). ეს ტერმინოლოგიური ცვლილება იმპულსს აძლევდა პროდუქციის, აღქმისა და ესთეტიკის ცვლილებასაც. ერთია, რომ ძველი ტერმინები მოიცავდა სტილებს, რომლებიც პირველადად, ტრადიციულად იყო გაგებული (თუნდაც არანუირებული და ნეოტრადიციული სახით), მაგრამ ახალი ტერმინები ტრადიციულ მუსიკასა და პოპულარულ, აფრიკულ-ამერიკული გავლენების მქონე მუსიკას შორის პიბრიდულობისა და ფიუჯენის ფასეულობას აღიარებდნენ. მეორე მხრივ, ძველი ტერმინები ხაზს უსვამდნენ მუსიკის ეროვნულ, ეთნიკურ თუ ლოკალურ ხასიათს და ამდენად, ერთგვარ საბაზო შეზღუდულობასაც განაპირობებდნენ. ხოლო ამის საპირისპიროდ, ახალი ტერმინები ამ ახალ მუსიკას გაცილებით მოთხოვნად, მსოფლიო მასშტაბის ფენომენად წარმოაჩენდნენ. მართლაც, „ეს პოსტკოლონიალური, გლობალური, მას-მედიით გააქტიურებული ბაზარი XX საუკუნის ბოლოს გასცდა ევროპასა და აშშ-ს და აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა და წყნარი ოკეანია მოიცვა – სწორედ ესაა მსოფლიო“ (Rice, 1998: XX).

ამავე ნაშრომში რაისი მოიხმობს იმ კულტურულ მოდელებს, რომლებიც მსოფლიო მუსიკის მიღებასა და გამრავლებას უწყობენ ხელს. მათ შორისაა პოსტკოლონიალური მოძრაობა - აფრიკისა და აზიის ყოფილი კოლონიებიდან ხალხის გადაადგილება ევროპისაკენ; ელექტრონული მედიისათვის (ტელევიზია, რადიო, ჩანაწერები) ეკონომიკის გლობალური ზრდა; ეწ. პოსტმოდერნული ესთეტიკა, რომელიც უარყოფს კულტურის დაბალ და მაღალ კულტურებად დაყოფას და ძველ

⁷გასათვალისწინებელია, რომ ლექსიკონი 1990-იანი წლების ბოლოსაა დაწერილი და ჩამოთვლილი ტექნიკური ასორტიმენტი დღევანდელი პერსპექტივიდან გაცილებით მასშტაბური იქნებოდა.

მასალას ახალი ნაშრომების მისაღებად იყენებს და ა.შ. რაისის მიერ მოხმობილი კულტურული მოდელებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა იდენტობა. კერძოდ, ახალგაზრდების დაინტერესება, ტრადიციული მუსიკისა და თანამედროვე მუსიკალური ელემენტების შერჩევა-შერწყმის გზით, ეთნიკური, რეგიონული თუ ლოკალური იდენტობებისა და სენტიმენტების გამოხატვით. ეს კი ერთგვარად უპირისპირდება ნაციონალიზმს, ევროპულ ერთიანობასა თუ გლობალურ კაპიტალიზმს. „ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების კომბინირებითა თუ შერევით და არა რომელიმეს ამორჩევით, ისინი იყენებენ მუსიკას იმ სიმბოლური ხატის შესაქმნელად, როგორადაც ესმით მათ საკუთარი თავი და როგორც გამოხატავენ საკუთარ სამყაროს: ერთდროულად გლობალურსა და ლოკალურს, წარსულისა და აწმყოს ნაწილს, ტრადიციულსა და თანამედროვეს, ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს” (Rice, 1998: XX). რაისისეული თეორია სრულ შესაბამისობაშია იმ თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების იდენტობასთან, ვინც ფოლკლორული მუსიკის ამა თუ იმ სახით გამოყენებითაა დაინტერესებული. მათი იდენტობა მრავალ შრიანი მოვლენაა და თითქოს ყველა რაისის მიერ ჩამოთვლილ ფასეულობას აერთიანებს, რომელთაც, შესაძლოა, ემიჯნებიან ახალგაზრდები, მაგრამ რეალურად საკუთარი იდენტობით ამ ფასეულობათა ერთობლიობას წარმოადგენენ. აღნიშნული საკითხი ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალური მიმართულების კონტექსში ნაშრომის მე-3 თავის II ქვეთავში ფართოდაა განხილული.

ჩვენთვის, ასევე. საყურადღებო აღმოჩნდა რაისის მიერ განხილული მუსიკალური გამოხატვის ახალი ფორმების მასაზრდოებელი თანამედროვე ევროპული იდეოლოგიებიდან (მწვანეობა პოლიტიკა, ფემინიზმი) კომუნისტური აღმოსავლეთ ევროპის დანგრევა, რადგან ის ხაზს უსვამს ქართული ფოლკლორული მუსიკის ტრანსფორმაციის პროცესის პვლევისას სხვა აღმოსავლეთევროპული ქვეყნების გამოცდილებასთან პარალელის გავლების აუცილებლობას. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში, ყურადღება გამახვილებული გვაქვს განსაკუთრებით, ესტონურ გამოცდილებაზე, გამომდინარე პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ესტონეთის ყველაზე გამოკვეთილი ევროპული კულტურული ორიენტაციიდან და განვითარებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობიდან, რაც, თავისთავად, კულტურის სფეროს განვითარებაზეც აისახება. ქართულ-ესტონური მუსიკალურ-კულტურული პარალელები ვრცლად სადისერტაციო ნაშრომის მე-3 თავში გვაქვს წარმოდგენილი.

ამდენად, ზემოაღნიშნული პარალელურის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტიმოთი რაისის მიერ განხილული საკითხები ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესზეც ვრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერის მიერ მსოფლიო მუსიკა ამ პროცესის შემადგენელ ნაწილად არ აღიქმება, რასაც ჩვენც აბსოლუტურად ვიზიარებთ. საბოლოოდ, რაისისეული განსაზღვრებით, მსოფლიო მუსიკის სტილური გავლენების კატეგორია ბევრად ფართოა და ის, ფაქტობრივად, ტრადიციული, პოპულარული და კლასიკური მუსიკის საზღვარზე მყოფ სინთეტურ სტილად წარმოგვიდგება. რაისისაგან განსხვავებით, ბრუნო ნეტლი მსოფლიო მუსიკას ცალსახად პოპულარული მუსიკის უანრად მიიჩნევს, „რომელიც, ფაქტობრივად, დასავლური და სხვადასხვა არადასავლური სტილების, ედერადობებისა და ინსტრუმენტების სინთეზს წარმოადგენს“ (Nettl, 2015: 23).

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორ, კარლ რაჟკონენის განსაზღვრება: „მსოფლიო მუსიკა, შესაძლოა, საუკეთესოდ განიმარტოს იმით, რაც მასში არ მოიაზრება. ის არ არის დასავლური საკომპოზიტორო, ფოლკლორული ან პოპულარული მუსიკა. ამასთან, მსოფლიო მუსიკა შეიძლება იყოს ტრადიციული (ფოლკ), პოპულარული და კლასიკურიც კი, თუ ის ეთნიკურ ან საზღვარგარეთულ ელემენტებს შეიცავს. მარტივად რომ ვთქვათ, ის არ არის „ჩვენი მუსიკა“, ის „მათი მუსიკა“, მუსიკა, რომელიც ვიდაც სხვას ეკუთვნის“ (Rahkonen, 1994: XX).

რაჟკონენის მიდგომა, რომ „მსოფლიო მუსიკა“ ესაა „მათი“ და არა „ჩვენი მუსიკა“ და რომ ის ერთი ნიმუშის ფარგლებში რამდენიმე სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული მუსიკის ელემენტებს აერთიანებს, უბრა საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ ჩვენი კვლევის არეალში მოქცეული ქართული ფოლკლორული მუსიკის ელემენტების შემცველი მუსიკალური ერთეულის დეფინირებისას ეს ტერმინი უგულებელყოთ. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიო მუსიკა სრულად ინდუსტრიალ-კომერციალიზებული პროდუქტია, რომელიც ტრადიციული მუსიკის ელემენტების თანამედროვე გამოხატულებებს საბაზრო სისტემისა და ღირებულებების პერსპექტივიდან ფუთავს, სწორედ მსოფლიო მუსიკის სახელწოდებით.

ამდენად, მსოფლიო მუსიკა არსობრივად ემიჯნება ტრადიციული მუსიკის განახლების პროცესს და მასში გამოვლენილი ერთ-ერთი შრის, ქართული

ფოლკლორული მუსიკისა და პოპულარული მუსიკის სინთეზური მუსიკალური მიმართულების დეფინირებისთვის ნამდვილად არ გამოდგება. შესაბამისად, საჭიროდ ჩავთვალეთ ქართულ მუსიკალურ რეალობაზე უკეთ მორგებული ტერმინის შემცირება, რომელიც მეტნაკლები სისავსით გამოხატავს მასში ჩადებულ შინაარსს. ასეთად გვესახება „ფოლკ-ფიუჟენი”, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ლოკალური ტერმინია, ის ჯერჯერობით დასავლურ ეთნომუსიკოლოგიაში არაა დამკვიდრებული და სულ რამდენიმე ინტერნეტ-წყაროში ფიგურირებს⁸, რომლებიც ჩვენი კვლევის გვიან ეტაპზე აღმოვაჩინეთ, მაშინ, როდესაც უკვე შემცირებული გვქონდა ფოლკ-ფიუჟენის ტერმინი. აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს ჩვენ მიერ „ფოლკ-ფიუჟენის” სამუშაო ტერმინად შერჩევის მართებულობას.

როგორც წინა, II ქვეთავში უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულ რეალობაში მუსიკის განახლების პროცესში გაერთიანებულია ფოლკლორის ცვალებადობა-გარდაქმნისას წარმოქმნილი რამდენიმე განსხვავებული ფორმა, რის გამოც სადისერტაციო ნაშრომში მუსიკის განახლებას ქოლგა ტერმინად მოვიაზრებთ. ფოლკ-ფიუჟენი კი სწორედ ფოლკლორული მუსიკის განახლების ერთ-ერთი ფორმათაგანია, თუმცა მკაფიოდ გამოვლენილი პოპულარული მუსიკის მახასიათებლებით. მით უფრო, რომ როგორც შვედი ეთნოლოგი, ოუი რონსტრომი შეგვახსენებს, „განახლება მხოლოდ ნაწილობრივ ეხება იმას, ‘რაც ოდესიაც იყო’. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ ‘რა არის’ და ‘რა იქნება’. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის არსში განახლება არის ტრადიციონალიზაციის პროცესი, რომელიც ხდება აწმუნში, იმისათვის რომ შექმნას სიმბოლური ბმები წარსულთან, მომავალის უზრუნველსაყოფად“ (Ronström, 1996: 5–20).

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში არსებული ფოლკ-ფიუჟენის მსგავსი მუსიკალური მოვლენა ეთნომუსიკოლოგ ბრიტა სვიირსის ცნობილ ნაშრომში „ელექტრო ფოლკი: ინგლისური ტრადიციული მუსიკის სახეცვლა“ (Sweers, 2005) შემოთავაზებული ტერმინით, ელექტრო ფოლკ-მუსიკად იწოდება.

ეს მუსიკალური ჟანრი (ასევე, ცნობილი, როგორც ინგლისური ფოლკ-როკი) 1960-იანი წლების ბოლოს შეიქმნა და თავის მუსიკალურ და კომერციულ პიკს 1969

⁸ ვრცელი ინფორმაცია იხ. გვ. 57-ზე.

და 1975 წლებში მიაღწია. ელექტრო ფოლკი ეს იყო მუსიკა, რომელიც ლონდონში ჩაისახა ინგლისური, შოტლანდიური და ირლანდიური ტრადიციული მუსიკისა (განსაკუთრებული აქცენტით ინგლისურზე) და თანამედროვე მუსიკალური იდიომების სინთეზის შედეგად. მისი შემსრულებლები იყვნენ ცალკეული მუსიკოსები და ჯგუფები როკის, ჯაზისა და სხვა თანამედროვე მუსიკალური მიმდინარეობებიდან, რომელთაც ტრადიციული მუსიკის ელემენტები შეითვისეს და ისინი საკუთარ მუსიკალურ სტილებს შეურწყეს.

ბრიტა სვიირსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ინგლისური ელექტრო ფოლკი არც ტრადიციული სიმღერების, ბალადებისა და ცეკვების „ელექტროიფიკაციაა“, და არც იზოლირებული, ხელოვნური პროდუქტი, რომელიც მხოლოდ კომერციული მიზნებისთვის შეიძლება შექმნილიყო. სინამდვილეში, ის დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ხანგრძლივი მუსიკალური ურთიერთგაზიარების ლოგიკური შედეგია (Sweers, 2005:4). თავდაპირველად, ეს ინგლისური მუსიკალური მოძრაობა ფორმირებული იყო ამერიკული ხალხური და ფოლკლორული როკ სცენის მოდელით, მოგვიანებით კი ინგლისელი მუსიკოსები დომინანტური ამერიკული მუსიკალური კულტურებისაგან იზოლირების საწინააღმდეგო რეაქციით განიმსჭვალნენ და მისი ადგილობრივ, ორიგინალურ მუსიკალურ მიმართულებად გარდაქმნა დაისახეს მიზნად.

ინგლისური ელექტრო ფოლკის შემსრულებლებისთვის ტრადიციული მუსიკის ელემენტების თანამედროვე ენაზე ინტერპრეტირება და საკუთარ შემოქმედებაში გამოყენება ახალი მუსიკალური და კულტურული იდენტობის შექმნის საშუალება გახდა. მეტიც, ინგლისური ელექტრო ფოლკ მუსიკა დასავლეთ ევროპაში ტრადიციული და თანამედროვე მუსიკის შერწყმის მიმართულებით არსებულ ერთ-ერთ პირველ მიმდინარეობად იყო წარმოდგენილი და მან ძლიერი გავლენა მოახდინა მეზობელი ქვეყნების (ირლანდია, გერმანია, სკანდინავიური ქვეყნები) მუსიკალურ კულტურაში მსგავსი მიმართულებების გაჩენაზე.

ინგლისურ პრაქტიკაში დამკვიდრებული ელექტრო ფოლკ მუსიკის გარდა, ფოლკ-ფიუჟენის კიდევ ერთ, სინონიმურ ტერმინად შეიძლება ჩაითვალოს 90-იანი წლების დასაწყისში ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ესტონეთი, ლიტვა და ლატვია) დამკვიდრებული „პოსტფოლკლორი“ (რომელსაც II ქვეთავში მოკლედ შევხეთ),

რასაც ლატვიასა და, გარკვეულ შემთხვევებში, ლიეტუვაში (Račiūnaitė-Vyčinienė, 2012: 97–115) დღემდე აქტიურად მიმართავენ. ეს სახელწოდება პირველად ლატვიური ბენდის, „ილგის” შემოქმედებაში ჩნდება (1993 წელს), როდესაც მისი ხელმძღვანელი, ლატვიური ფოლკლორის განახლების მოძრაობის აქტივისტი ილგა რეიზნიეცე ერთ-ერთი მუსიკალურ-სტილურად მრავალფეროვანი კონცერტის დროს, საკუთარი ჯგუფის პრეზენტაციისას, გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდა – სასწრაფოდ იყო მოსაფიქრებელი ტერმინი, რომლითაც „ილგი” საკუთარ ორიგინალურ მუსიკალურ ნიშას დაამკვიდრებდა, რადგან ის არ იყო არც ფოლკ-ჯგუფი და არც ლატვიურ პოპ-მუსიკის სტილურ კატეგორიას ერგებოდა, როგორც კონცერტის სხვა მონაწილეები. ეს იყო ჯგუფი, რომელიც ფოლკლორული ინსტრუმენტების გვერდით აკუსტიკური გიტარის ჟღერადობის კომბინირებით ორიგინალურ საავტორო კომპოზიციებს ქმნიდა. შესაბამისად, 1993 წლიდან მოყოლებული „ილგის” ალბომებში ჯგუფის სტილურ განსაზღვრებად მითითებული იყო „პოსტფოლკლორი”, რაც ჯგუფის პოპულარობისა და ავტორიტეტულობის გათვალისწინებით, შემდგომში აქტიურად აითვისეს მსგავსი მუსიკალური სტილის მქონე ლატვიურ-ლიეტუვურმა ჯგუფებმა. უნდა ითქვას, რომ თავად ტერმინი „პოსტფოლკლორი” თავსართით „პოსტ-“ (რაც ნიშნავს შემდეგს, ამ შემთხვევაში, კი ფოლკლორის შემდგომ მუსიკას) სულაც არ მიანიშნებს ფოლკლორული ელემენტების გამოყენების აუცილებლობაზე. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ ტერმინი „პოსტფოლკლორი” „ფოლკ-ფიუჯენის” ზუსტი ანალოგი და სინონიმია. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ პოსტფოლკლორის სტილი თავის თავში არ მოიაზრებს მთელ იმ მუსიკალურ მრავალფეროვნებას, რასაც ჩვენ მიერ ქართული მუსიკალური პრაქტიკის გათვალისწინებით შემოთავაზებული ტერმინი ფოლკ-ფიუჯენი იტევს. ამის საუკეთესო დადასტურებაა ჯგუფ „ილგის“ 2000 წელს გამოცემული ალბომის “Sēju vēju”-ს, ილგა რეიზნიეცესეული შეფასება, რომ ალბომში ბას-გიტარისა და როკ-დრამის დამატების შემდგომ „ეს აღარ არის უკავ პოსტფოლკლორი. ეს ფოლკ-როკია. მაგრამ მე მაინც მჯერა რომ ეს ეთნიკური მუსიკაა. ეს ნამდვილადაა ეთნიკური მუსიკა” (Boiko, 2001: 113-118).

ცნობილია, რომ ეთნიკური, იგივე ეთნო-მუსიკის ტერმინი ქართულ მუსიკალურ სივრცეში, ასევე, დიდი ხანია არსებობს და, ძირითადად, ხალხური ელემენტების შემცველი მუსიკის სახელდებისათვის გამოიყენება. ამდენად, ერთი შეხედვით, ის

შეიძლება ფოლკ-ფიუჯენის მსგავს ტერმინად მოვიაზროთ. თუმცა ეთნო-მუსიკის სახელწოდება, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ფოლკლორული ელემენტების შემცველი სინთეზური მუსიკალური ერთეულების დეფინირებისთვის, არამედ თავად ფოლკლორული/ხალხური მუსიკის სინონიმურ სახელწოდებადაც. შესაბამისად, ტერმინის არაერთმნიშვნელოვნების გამო მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ სადისერტაციო პკლებში განხილული ქართული ხალხური მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის ელემენტების სინთეზით შექმნილი მუსიკალური ერთეულის ტერმინ ეთნო-მუსიკით დეფინირება. სანაცვლოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანეთ ფოლკ-ფიუჯენის ტერმინი, რომელიც ამავდროულად, გაცილებით მკაფიოდ ასახავს განსახილველი სინთეზური მუსიკალური ერთეულის არსეს.

ფოლკ-ფიუჯენის მუსიკალური კატეგორიის შემადგენელი ორი კომპონენტიდან ფოლკლორული მუსიკის არსი „ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს“ (ICTM) მიერ 1950-იან წლებში შემუშავებულ განმარტებაში შემდეგნაირადაა გამოხატული: „ფოლკლორული მუსიკა არის ზეპირი ტრადიციის პროდუქტი და მისი ფორმამქმნელი ელემენტებია: (1) უწყვეტობა/განგრძობადობა, რომელიც წარსულს აწმყოსთან აკავშირებს; (2) ვარიაბელობა/ვარიანტულობა, რომელიც ინდივიდუალის ან ჯგუფის შემოქმედებითი იმპულსიდან მოედინება; (3) შერჩევა თემის მიერ, რაც განსაზღვრავს თუ რა ფორმებით ხდება ფოლკლორული მუსიკის შენახვა/შენარჩუნებ/გადარჩენა“ (Karpeles, 1955: 6-7). რაც შეეხება ფოლკ-ფიუჯენში შემავალ მეორე მუსიკალურ კომპონენტს – პოპულარულ მუსიკას, ის მსოფლიო სამეცნიერო თუ მუსიკალურ წრებში ხშირად სხვადასხვა პერსპექტივიდანაა ახსნილი. სადისერტაციო პკლების პროცესში ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, კონკრეტულად, რას მოიაზრებენ მეცნიერები ამ ტერმინის მიღმა.

პოპულარული მუსიკის კპლების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ნაშრომის, „პოპულარული მუსიკის შესწავლა“ ავტორის, რიჩარდ მიდლტონის აზრით, „ყველანაირი მუსიკა პოპულარულია: პოპულარული ვიდაცისთვის. და ის, რაც მე მიმაჩნია პოპულარულად, შენ შეიძლება სულაც არ მიგაჩნდეს ასეთად“ (Middleton, 1990: XX). როგორც ჩანს, პოპულარული მუსიკის აღქმა მავთრად სუბიექტურია, თუმცა მისი ერთ-ერთი მახასიათებელი, უდავოდ, ცხადია – პოპულარული მუსიკა

ჩანასახშივე გულისხმობს დემოკრატიულობას, თუნდაც თავად სახელწოდებიდან გამომდინარე, ის „მეინსტრიმში“ არსებულ ყველა იმ მუსიკალურ მიმართულებას აერთიანებს, რაც კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის სამფლობელოს მიღმაა დარჩენილი. მეტიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „პოპულარული მუსიკა წარმოადგენს კლასიკური (art) და ტრადიციული მუსიკის კონტრასტს“ (ცოცხალაშვილი, 2015: 4). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო წრეებში დღემდე არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ჯაზის მიმართ (Gridley, 1987: XX; Firth, 2007: XX). რიგი მეცნიერებისა მას პოპულარულ მუსიკალურ კულტურებს მიაკუთვნებენ, სხვები კი ჯაზს ისეთივე დამოუკიდებელ მუსიკალურ-სტილურ კატეგორიად მიიჩნევენ, როგორიც ზემოაღნიშნული კლასიკური თუ ფოლკლორული მუსიკაა.

აქვე უნდა განისაზღვროს, რომ პოპულარული მუსიკა თვისობრივად განსხვავებულია პოპ-მუსიკისაგან, რომელიც პოპულარული მუსიკის სხვადასხვა მიმართულებიდან ერთ კონკრეტულს შეესაბამება. თუმცა, ზოგჯერ, როგორც პოპულარულ მედიაში, ისე გარკვეულ სამეცნიერო ნაშრომებში ეს ორი ტერმინი გაიგივებულია. მაგალითად, ქართველი მუსიკოლოგის, მარიამ ცოცხალაშვილის სამაგისტრო ნაშრომში შემდეგ დასაბუთებას ამოვიკითხავთ: „მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან პოპულარული სიმღერა და პოპულარული ხელოვნება მოიხსენიება შემოკლებული ტერმინით – „პოპი“ (Williams, 1976:198-199) (ცოცხალაშვილი, 2015: 19). ხოლო პოლონეელი ეთნომუსიკოლოგი ანა პიოტროვსკა, რომელიც პოპულარულ მუსიკას და პოპ-მუსიკას, ასევე, ერთ ფენომენად განიხილავს, აღნიშნავს, რომ „პოპ-მუსიკა, ჩვეულებრივ, ასოცირდება როკ-ენ-როლის ფენომენთან, რომელიც 1950-იანი წლების ბოლოს მთელ მსოფლიოს მოედო, 1960-იანებში კი გასაოცარ წარმატებას მიაღწია. მისი ფესვები აფრო-ამერიკულ მუსიკაშია, განსაკუთრებით, ბლუზსა და ჯაზში, ხოლო პიკანტურობა მას ხალხური მუსიკის ელემენტებმა (განსაკუთრებით, ბალადებმა) შექმატა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ როკ-ენ-როლი თავისი იდეოლოგიური გზაგნილით იქცა არა მხოლოდ მუსიკალურ, არამედ (უპირატესადაც კი) სოციალურ ფენომენად. ზოგიერთი ავტორი მაინც განასხვავებს როკს, როგორც იდეოლოგიური დატვირთვის მქონეს და თავისი თაობის ხმას, პოპ-მუსიკისგან, თუმცა, როგორც ჩანს, ეს სულ უფრო ნაკლებ დამაჯერებელი ხდება და

სხვადასხვა უანრის ერთი მეორისგან მკვეთრი განსხვავების ტენდენცია სუსტდება” (პიოგროვსკა, 2019: XX). როგორც ვხედავთ, თანამედროვე მუსიკალურ სამყაროში პოპ-მუსიკის საზღვრები საკმაოდ გაფართოებულია და ის რიგი მეცნიერებისა თუ მუსიკოსების მიერ ზოგჯერ თავად პოპულარული მუსიკის ფართო სფეროს მასშტაბებსაც კიდ გატოლებული.

მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ მეცნიერები თუ ურნალისტები, არამედ, პოპულარული მუსიკის ზოგიერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები დღემდე მკვეთრად ემიჯნებიან პოპ-მუსიკის ესთეტიკას და მის ე.წ. „მეინსტრიმ“ ბუნების საპირისპიროდ თავს „ანდერგრაუნდ“ (იატაკქვეშა) ხელოვნების წარმომადგენლებად მოიაზრებენ, რომ არაფერი ვთქვათ, ჯაზის მიერ მორგებულ ე.წ. „ელიტური“ მუსიკის ნიშაზე. ამდენად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოპ-მუსიკა მხოლოდ ერთ-ერთია იმ სხვადასხვა მიმდინარეობათაგან, რომლებიც პოპულარული მუსიკის უზარმაზარ სფეროში მრავალფეროვან სტილურ პალიტრას ქმნიან და ამდენად, მისი პოპულარულ მუსიკასთან გაიგივება, სახელწოდებების უკიდურესი მსგავსების მიუხედავად, მათი განსხვავებული კონცეფციების აღრევას და შესაბამისად, დიდ გაუგებრობას თუ გამოიწვევს.

ტერმინი „პოპულარული მუსიკა“ 1880-იანი წლებიდან ჩნდება და დაკავშირებულია ამერიკულ „ტინ პან ალეს“ პერიოდთან. გროუგის ენციკლოპედიის მიხედვით, ეს არის: „მუსიკა, რომელიც დაიბადა მე-19 საუკუნის ინდუსტრიალიზაციის პარალელურად და განვითარდა სხვადასხვა მახასიათებლით, მუშათა კლასის გემოვნებისა და ინტერესების შესაბამისად“ (ცოცხალაშვილი, 2015: 4). შეიძლება ითქვას, რომ ამ მახასიათებელმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სამეცნიერო წრეებში პოპულარული მუსიკისადმი დამოკიდებულება, სადაც ის „არასერიოზულ“ მუსიკად მოიაზრებოდა. „მიუხედავად უდიდესი კომერციული თუ კულტურული წარმატებისა, პოპულარული მუსიკა ყოველთვის აღიქმებოდა „დაქვემდებარებულ“ მიმდინარეობად და ხდებოდა მისი გვერდის ავლით საერთო კლასიკურ მუსიკალურ კულტურაზე ყურადღების გამახვილება“ (ცოცხალაშვილი, 2015: 5). პოპულარული მუსიკის კვლევისას ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ კლასიკური მუსიკის ანალიზისას დამკვიდრებული სამეცნიერო ხელსაწყოებისა თუ ტერმინოლოგიის გამოყენება იყო, რაც ამ არსობრივად თუ ფუნქციურად აბსოლუტურად

განსხვავებული მუსიკის შესწავლისას ზოგჯერ ზედაპირული დასკვნების გაკეთების საშიშროებას ქმნიდა.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პოპულარული მუსიკის შესახებ დაწერილი ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, თეოდორ ადორნოს სტატია „პოპულარული მუსიკის შესახებ“ (Adorno, 1941: 17-48), რომელიც საყურადღებო დებულებებს გვთავაზობს. კლასიკური მუსიკის კვლევის დიდი გამოცდილების მქონე ავტორს გამიჯნული აქვს მუსიკის ორი სფერო: „პოპულარული“ და „სერიოზული“, რითიც ის პოპულარული მუსიკის ხარისხობრივ დიფერენციაციას ახდენს და მას „არასერიოზული, გასართობი“ მუსიკის კატეგორიაში აერთიანებს. ამ ორი ტიპის მუსიკას შორის მიმართებაზე საუბრისას კი საგანგებოდ გამოყოფს სტანდარტიზაციას, როგორც „პოპულარული მუსიკის ფუნდამენტურ მახასიათებელს“, იმ მოსაზრებით, რომ „პოპულარული მუსიკის მთელი სტრუქტურა სტანდარტიზებულია, იქაც კი, სადაც სტანდარტიზაციის თავიდან აცილებას ცდილობენ“ (Adorno, 1941: 17-48). სწორედ სტანდარტიზაცია მიაჩნია მას პოპულარული და სერიოზული მუსიკის მთავარ განმასხვავებლად. თუმცა სტანდარტიზაციის ადორნოსეულ თეორიას არ ეთანხება რიჩარდ მიდლტონი, რომელიც ადორნოსეული „სტანდარტიზაციის“ ტერმინს „ფორმულით“ ანავლებს, იმ მოტივით, რომ მუსიკაში საკმაოდ გავრცელებულია ფორმულური სქემების გამოყენების პრაქტიკა. ამის სადემონსტრაციოდ, მიდლტონი აცხადებს, რომ მრავალი ევროპული ფოლკლორული მუსიკალური ტრადიცია მოსალოდნელ, ცნობილ მელოდიურ თუ რიტმულ ფიგურაციებს მიყვება. აზიური თუ აფრიკული მუსიკაც უკვე არსებულ იდეებს, სქემებს, რიტმსა და მელოდიურ ფორმულებს მოიხმობს შესრულების პროცესში. თუნდაც ევროპული რენესანსისა და ბაროკოს ნაწარმოებებიც ხშირად აგებულია უკვე არსებული პანგებისა თუ პარმონიული სქემების ვარიაციებზე. ამასთან, ცეკვებსა და სიმღერებთან დაკავშირებული სტანდარტული სტრუქტურა, რიტმულ და მელოდიურ მახასიათებლებთან ერთად, მეთვრამეტე და თუნდაც, მეცხრამეტე საუკუნის მუსიკალურ ფორმებშია რეალიზებული (ვალსი, იტალიური საოპერო არიები, სიმფონიური მენუეტები და სხვ.). ამდენად, ყველა აღნიშნულ მიმართულებაში მუსიკალური ნიმუშები სწორედ მსგავსი წინასწარ დადგენილი მელოდიურ-რიტმული ფორმულების განმეორებასა თუ ვარირებაზეა აგებული. და თუ თანამედროვე

პოპულარულ მუსიკასთან გავავლებთ პარალელს, მაშინ „ფორმულა“ მხოლოდ „მასების გონისა“ და პომოგენიზებული აზროვნების პროდუქტად აღარ წარმოგვიდგება (Middleton, 1990: 55-56).

თანამედროვე მუსიკალური რეალობის პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, შესაძლოა, კიდევ ერთი ადორნოსეული მოსაზრების ობიექტურობაში დავჭროთ. კერძოდ, მუსიკის მსმენელების კლასიფიკაციის ცნობილი სქემის ავტორი ადორნო, პოპულარული და სერიოზული მუსიკის შესახებ მსჯელობისას განიხილავს მათი მსმენელების მიმართებას ნაწარმოების მთლიან ფორმასა და მის ნაწილებთან. მისი მოსაზრებით, პოპულარული მუსიკის შემთხვევაში, სწორედ ერთიანი ფორმა უქმნის მსმენელს ნიმუშის შესახებ წარმოდგენას და ამ თვალსაზრისით ხდება მისთვის დასამახსოვრებელი. დეტალები, რომლებიც მეორდება და/ან ცვალებადია, ისეთივე ფუნქციის მატარებელია, როგორიც კბილანები მანქანის მექანიზმში. სერიოზული მუსიკის შემთხვევაში კი სწორედ გარკვეული დეტალები, კონკრეტული ფრაზები ხდება იმდენად პოპულარული, რომ ამ ფრაზის გაედერებისთანავე მსმენელი ამოიცნობს ნაწარმოებს. დღევანდელი მუსიკალური რეალობის გათვალისწინებით კი განსხვავებული სურათი ისახება – პოპულარული მუსიკის ამა თუ იმ მიმართულების მრავალი ცნობილი მუსიკალური თემა, ფრაზა თუ გარკვეული ჰარმონიულ-რიტმული ელემენტიც კი, ადორნოს მიერ ადნიშნული კლასიკური ნიუშების დეტალების მსგავსად, ჩაიბეჭდება მსმენელის მეხსიერებაში. შემდგომ კი ჯაზ-სტანდარტებისა თუ ე.წ. სემპლების (ამა თუ იმ კომპოზიციიდან აღებული თემები, ფრაზები თუ ჰარმონიულ-რიტმული ფიგურები, რომელთა სხვადასხვა ტექნიკით შეწებების, კოლაჟირების საშუალებით იქმნება დიჯეების რეპერტუარი) პრაქტიცირებით მსმენელის მეხსიერებიდან ნაცნობი მუსიკალური ელემენტების არაერთგზის მოხმობა და მათი სხვა კონტექსტში რეპროდუცირება ხდება.

ამდენად, პოპულარული მუსიკის ტერმინოლოგიურ თუ არსობრივ განსაზღვრებებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ „პოპულარული მუსიკა“ სათანადო მხოლოდ იმ „მთლიანი მუსიკალური სივრცის კონტექსტში შეიძლება შეფასდეს, რომლის შიგნითაც ის წარმოადგენს აქტიურ ტენდენციას“ (Middleton, 1990: 5), თუმცა ხშირი ცვალებადობის მდგომარეობაში მყოფს.

ამ ოვალსაზრისის გათვალისწინებით, პოპულარული მუსიკის დეფინირებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ამ მუსიკის გამოვლენისა თუ აღქმის განსხვავებული ფაქტორები. ამ მხრივ, საინტერესოა ბირერის (Birrer, 1985: 99–105) მიერ პოპულარული მუსიკის სხვადასხვა პერსპექტივიდან დეფინირების მცდელობა: 1) ნორმატიული დეფინიცია – პოპულარული მუსიკა, ესაა დაბალი მუსიკალური ხარისხის მქონე, დაქვემდებარებული მუსიკის ტიპი; 2) ნეგატიური დეფინიცია – პოპულარული მუსიკა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა „ფოლკ“ მუსიკა ან „მხატვრული“, ე.წ. „არტ მუსიკა“ (art music); 3) სოციოლოგიური დეფინიცია – პოპულარული მუსიკა დაკავშირებულია კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფთან, შექმნილია მათ მიერ და მათთვისვეა განკუთვნილი. 4) ტექნოლოგიურ-ეკონომიკური დეფინიცია – პოპულარული მუსიკა გავრცელებულია მას-მედიასა და მას-მარკეტში. თუმცა, პოპულარული მუსიკის კომპლექსური ბუნების გათვალისწინებით, ეს დეფინიციები აშკარად არასრულ სპექტრს ქნის. ამასთან, ნორმატიულ დეფინიციად მოაზრებული „მუსიკის დაბალი ხარისხი და დაქვემდებარებული ტიპი“ თავისთვად ნეგატიური დეფინიციის საზღვრებში ექცევა. ასევე, გაურკვეველია, რატომაა გაიგივებული პოპულარული მუსიკა ფოლკ თუ არტ მუსიკასთან და სწორედ ნეგატიური კონტაკიის მინიჭებით. ამდენად, 1980-იანებში შემუშავებული ბირერის დეფინირების მეთოდი „სერიოზულ“ მუსიკასთან შეპირისპირებით, ცალსახად პოპულარული მუსიკის ხარისხობრივად დაქვემდებარების ტენდენციად წარმოგვიდგება. მაშინ როცა დღევანდელ პოსტმოდერნისტულ სამყაროში ფასეულობის საკითხი მეტად საკამათოა და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონკრეტული ინდივიდის აღქმაზე.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ 2000-იან წლებში, როდესაც მუსიკა ციფრული ფაილების სახით მასობრივად გავრცელდა მსოფლიოში, პოპულარული მუსიკის ფორმები კიდევ უფრო გლობალური და საყოველთაო გახდა, ორიგინალური ტრადიციული მუსიკალური კულტურების არსებობის პარალელურად. ქართულ რეალობაში, მსგავსად მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა, პოპულარული მუსიკის არსებული ფორმებისა და ფოლკლორული მუსიკის ფორმების სინთეზით ახალი მუსიკალური ფორმები შეიქმნა, რომელსაც ჩვენ ფოლკ-ფიუჟნის სახელწოდებით წარმოვადგენთ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში არსებული პოპულარული მუსიკის ლოკალური და მის პარალელურად განვითარებადი ანალოგი საესტრადო მუსიკის სახელწოდებით მოიხსენიებოდა, რაც გარკვეული შემსრულებლებისა თუ მსმენელების პრაქტიკაში დღემდეა შემორჩენილი. „სიტყვა ესტრადა (estrade) ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს ხელოვნების დარგს, რომელიც მოიცავს მუსიკის, ქორეოგრაფიის, დრამატურგიის მცირე ფორმებს, შესრულებულს სცენაზე ცალკეული დასრულებული ნომრების სახით. აღსანიშნავია, რომ თავად სიტყვა ესტრადე, ეტიმოლოგიურად წარმოდგება ლათინური სიტყვიდან – სტრატა, რაც ფიცარნაგს ნიშნავს. თანამედროვე გაგებით საესტრადო ხელოვნება ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში დასავლეთ ევროპაში“ (ქავთარაძე, 2012: 120–134).

საბჭოეთში ყველანაირი „მსუბუქი“, „გასართობი“ მუსიკა (კლასიკური, ე.წ. „სერიოზული“ მუსიკის საწინააღმდეგოდ) სწორედ ესტრადის კატეგორიაში ერთიანდებოდა. თავად ტერმინ „საესტრადო მუსიკას“ 30-იანი წლების შუა პერიოდისთვის რუსი კომპოზიტორისა და ჯაზ-ბენდ-ლიდერის, ლეონიდ უტიოსოვის საკონცერტო პრაქტიკაში ჩაეყარა საფუძველი, სადაც სინთეზირებული იყო ეროვნული მუსიკალურ-პოეტური მასალა, უცხოური თეატრალიზებული წარმოდგენებისა და ჯაზის ცალკეული ელემენტები. „ეს ჟანრი, რომელსაც ჯერ „თეატრალიზებული ჯაზი“, შემდეგ კი „სასიმღერო ჯაზი“ დაერქვა, ომის შემდეგ „საესტრადო მუსიკის“ სახელწოდებით დამკიდრდა“ (ჯალიაშვილი, 1988: 71-72). უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ესტრადის უზარმაზარ სივრცეში ქართული საესტრადო მუსიკა განსხვავებულ და ორიგინალურ მუსიკალურ სტილად ჩამოყალიბდა, რის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორადაც საესტრადო ნაწარმოებებში ქართული ფოლკლორის ელემენტების სინთეზი იქცა. ამდენად, მიუხედავად საბჭოთა მუსიკისთვის დამახასიათებელი „ადგილობრივი წარმოების ელექტრო ინსტრუმენტების არარაფინირებული ჟღერადობისა და საყოველთაოდ გავრცელებული რუსული შლაგერების გავლენისა, ქართულმა საბჭოთა ესტრადამ მოახერხა ორიგინალური ნიშა მოეპოვებინა“ (ცქიტიშვილი, 2014: XX)

როგორც ვხედავთ, ქართული საბჭოთა ესტრადა სხვადასხვა მუსიკალური სტილის ნაზავს წარმოადგენდა (გაორკესტრებულ-არანჟირებული ქართული ფოლკლორი, ჯაზი და როკ მუსიკა), რაც ადასტურებს, რომ საქართველოში სხვადასხვა მუსიკალური სტილის სინთეზის პრაქტიკა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში

ჩაისახა. თუმცა, ბუნებრივია, ეს პროცესი არასდროს ყოფილა დეფინირებული ფიუჟენად. ეს ტერმინი ქართულ მუსიკალურ სივრცეში სულ რამდენიმე წელია რაც გაჩნდა და თანდათან იძენს აქტუალობას, თუმცა ჯერჯერობით ჯაზის მიმართულებაში. ამ საკითხს საგანგებოდ აღნიშნავს ქართული ჯაზის მკვლევარი და ჯაზ-ვოკალისტი ირინე ებრალიძე სტატიაში: „ჯაზის ტერმინოლოგიის ზოგიერთი პრობლემა საქართველოში (ფიუჟი, ჯაზროკი)”. როგორც ვხედავთ, ავტორი ინგლისურენოვან ტერმინს “fusion” ქართულ ენაზე თარგმნის, როგორც „ფიუჟი“. სტატიაში ებრალიძე ამ ტერმინს მხოლოდ ჯაზის კონტექსტში განიხილავს და აღნიშნავს: „ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრცეში (მათ შორის საქართველოშიც) ჯაზის სტილების დახასიათებისას შეიმჩნევა ტერმინის “fusion” ხშირი გამოყენების ტენდენცია, რომლითაც იხინი ცდილობენ ჯაზის ყველა იმ უჩვეულო და არაორდინალური მოვლენის განსაზღვრას, რომლითაც ასე მდიდარია თანამედროვე ჯაზი” (ებრალიძე, 2019: 75). ჩვენი საკვლევი ობიექტის, ფოლკ-ფიუჟენის კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა ებრალიძის მიერ ერთ-ერთი ენციკლოპედიიდან მოხმობილი გაცილებით განზოგადებული განმარტება: „ფიუჟის უანრი (არ ვეთანხმები სიტყვას უანრი, აქ საუბარია სტილზე და არა უანრზე – ი.გ.) არის მუსიკა, რომელშიც ორი ან მეტი სტილია შერწყმული... ჯაზფიუჟი, ფიუჟი, ან ჯაზროკი მუსიკალური ფიუჟის ვარიანტებია” (ებრალიძე, 2019: 76). მართლაც, ინგლისურ ტერმინ „ფიუჟენს“ სიტყვა-სიტყვით თუ ვთარგმნით, შერწყმად, „ერთი ობიექტის/ერთეულის მისაღებად ორი ან მეტი საგნის შეკავშირების პროცესად“ (Lexico, XX) წარმოგვიდგება. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფოლკ-ფიუჟენის ტერმინი მკაფიოდ გამოხატავს ფოლკლორული ელემენტების თანამონაწილებით შექმნილი სინთეზური მუსიკალური ერთეულის არსე, სადაც, როგორც წესი, სწორედ „ორი-სამი საგნის“, ამ შემთხვევაში, ორი-სამი მუსიკალური მიმართულების (კონკრეტულად, ფოლკლორული მუსიკისა და პოპულარული მუსიკის რომელიმე მიმდინარეობის/მიმდინარეობების ელემენტების) შეკავშირება-შერწყმას აქვთ ადგილი.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ტერმინ ფოლკ-ფიუჟენს ვერ მივაკვლიერ არა მხოლოდ ქართულ, არამედ დასავლურ ეთნომუსიკოლოგიურ ნაშრომებშიც. ინფორმაციულად დატვირთულ ვიკიპედიაში კი ის „თანამედროვე ფოლკ მუსიკის“ (contemporary folk

music) ტერმინითაა ჩანაცვლებული, რაც, ძირითადად, ამერიკული ფოლკლორის განახლების პროცესსა და ამ დროს წარმოქმნილ მუსიკალურ სიმბიოზებს აერთიანებს და შემდეგნაირადაა განმარტებული: „მე-20 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, ტრადიციული ფოლკ მუსიკიდან პოპულარული ფოლკ მუსიკის ახალი ფორმა აღმოცენდა. ეს პროცესი და პერიოდი ცნობილია, როგორც ფოლკლორის განახლება (folk revival), რომელმაც 1960-იანებში ზენიტს მიაღწია. ამ ახალი მუსიკალური ფორმის ყველაზე გავრცელებული სახელი, ასევე, „ფოლკ მუსიკა”, მაგრამ განსასხვავებლად ის ხშირად მოიხსენიება, როგორც „თანამედროვე ფოლკ მუსიკა” ან „ფოლკლორის განახლების მუსიკა”. გარდამავალი მდგომარეობა ცენტრალური იყო აშშ-ში და მას ამერიკული ფოლკლორული მუსიკის განახლება ეწოდა. ფიუჯენის ჟანრები, როგორიცაა ფოლკ-როკი, ფოლკტრონიკა და სხვები, ასევე ამ ფენომენიდან განვითარდნენ” (Wikipedia, XX).

მიუხედავად წყაროების სიმწირისა, უნდა ითქვას, რომ ინტერნეტ-სივრცეში ტერმინი ფოლკ-ფიუჯენი (ან მისი რომელიმე ქვემიმართულების სახელწოდება) მაინც ფიგურირებს და ის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მუსიკოსების შემთხვევაშია ნახსენები (ბალკანური ფოლკ-რეპი, ინდო-უელსური ჯაზ-ფიუჯენი და ა.შ.), როგორც „კატეგორია, რომელიც მიზნად ისახავს დაიკავოს უზარმაზარი ნაწილი იმ ნამუშევრებისა, რომლებსაც არტისტები ტრადიციული მუსიკის ხელახლი გადააზრებით ქმნიან” (Estaff, 2018). ინდოელი ფოლკ-ფიუჯენ მუსიკოსი, რაღუ დიქსითი (Raghu Dixit) კი შემდეგნაირად განმარტავს ფოლკ-ფიუჯენის არსეს: „ფოლკი ყველაზე ძირითადი და ნამდვილი/ნაღდი მუსიკალური ფორმაა, რაც კი ადამიანს ოდესმე შეუქმნია. მე ვფიქრობ, ესაა ყველაზე ნამდვილი გამოხატულება იმისა, თუ საიდან მოდიხარ, სად ცხოვრობ და სადაა შენი იდენტობა. ფიუჯენი ჩემთვის ორი აბსოლუტურად განსხვავებული სამყაროს საერთო ნიადაგზე ერთ მთლიანობაში მოსვლა და შეხვედრაა იქ, სადაც რადაც ჯადოსნური იქმნება. ერთის მეორისგან განცალკევება სრულიად შეუძლებელია. ჩემთვის, ესაა ფიუჯენისეული ჯადოქრობა” (Websinger, 2015). ინდოელი მუსიკოსის მიერ მოხმობილი კონკრეტული მაგალითების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ამ ტერმინში სწორედ ის მნიშვნელობაა მოაზრებული, რა მნიშვნელობითაც ჩვენ ქართულ ფოლკ-ფიუჯენს განვიხილავთ – ფოლკლორული მუსიკისა და პოპულარული მუსიკის რომელიმე მიმდინარეობის

სინთეზი, როგორც წესი, ორი ან მაქსიმუმ სამი მუსიკალური კომპოზიტით. ამასთან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, შემსრულებლებიდან ერთი მუსიკოსი მაინცაა იმ ტრადიციული მუსიკალური კულტურის წარმომადგენელი, რომლის მუსიკალური ელემენტებითაც იქმნება პოპულარულ მუსიკასთან ფიუჟენი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მასში გამოვლენილი ქვემიმართულებების გათვალისწინებით (ქართულ პრაქტიკაში ესაა ეთნო-ჯაზი, ფოლკ-როკი, ფოლკ-ელექტრონიკა და ა.შ.), ფოლკ-ფიუჟენი ქოლგა ტერმინად წარმოგვიდგება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ქოლგა ტერმინის მახასიათებლების მქონეა თავად ფოლკლორული მუსიკის განახლების ტერმინიც (ფოლკ-ფიუჟენის, პოპ-ფოლკისა და სასცენო ფოლკლორის გამაერთიანებელი), სადისერტაციო ნაშრომში ფოლკ-ფიუჟენს უკვე მეორე რიგის ქოლგა ტერმინად მოვიხსენიებთ.

ამდენად, ამ ქვეთავაში წარმოდგენილი ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესის ქვეშ მოაზრებული ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალურ-ტერმინოლოგიური სინონიმები, ინტერპრეტაციები თუ ანალოგები. მათ შორისაა, მსოფლიო მუსიკა, ელექტრო ფოლკი, პოსტფოლკლორი და ეთნო-მუსიკა, თუმცა არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა ჩვენი საკვლევი მუსიკალური მიმართულების თავისებურებების ზუსტად აღმნიშვნელი. ამდენად, ზემოთ მოხმობილ წყაროებზე დაყრდნობით და ჩვენს საკვლევ არეალში მოქცეული მუსიკალური ობიექტის ძირითადი სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველაზე მართებულად მიგვაჩნია მისი ფოლკ-ფიუჟენად სახელდება. ჩვენ მიერ შემუშავებული დეფინიციის მართებულობის რწმენა კიდევ უფრო განგვიმტკიცა იმ ფაქტმა, რომ ინდური მუსიკის კონტექსტში აღმოცენებული ანალოგიური მუსიკალური სიმბიოზის სახელდებისთვის ადგილობრივმა ინდოელმა მუსიკოსმა სწორედ ფოლკ-ფიუჟენის ტერმინს მიმართა. ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალურ მიმართულებაზე საუბარს შემდგომი თავების განმავლობაში არაერთხელ მივუბრუნდებით, თუმცა სხვადასხვა კონტექსტში და განსხვავებული მიზნებით.

თავი II

ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესი ისტორიულ დინამიკაში

პირველი თავის ფორმატში ტრადიციული მუსიკის განახლების ზოგადი თეორიების წარმოდგენის შემდგომ ამ თავში თვალს გავადევნებთ, უშუალოდ, ქართული ხალხური მუსიკის განახლების დინამიკას და მიმოვისილავთ იმ ძირითად მუსიკალურ მოვლენებსა თუ მიმართულებებს, რაც, დაახლოებით, უკანასკნელი საუკუნენახევრის მანძილზე ქართული მუსიკალური ფოლკლორის სფეროში გამოვლინდა. აღნიშნული ცვლილებები ქართული ფოლკლორული მუსიკის განვითარების ბუნებრივი გზისათვის აბსოლუტურად უჩვეულო გახლდათ და ის ცალსახად „ხალხური მუსიკალური შემოქმედების ცოცხალი გარემოსა და საზოგადოებრივი მუსიკალური ცნობიერების შეცვლით“ (ორჯონიქიძე, 1984: 221-223) იყო განპირობებული. ერთი მხრივ, ფოლკლორული ნიმუშების პირველადი სოციალური ფუნქციის ჩანაცვლებამ თუ გაქრობამ, მეორე მხრივ კი საზოგადოებაში გაჩენილმა ახალმა კულტურულმა თუ პოლიტიკურმა ორიენტირებმა ქართული მუსიკალური ფოლკლორის სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარდატეხას დაუდო საფუძველი – ქართული ხალხური მუსიკის სასცენო შესრულების ტრადიციის ჩასახვას, რამაც სრულად განაპირობა ფოლკლორის განვითარების შემდგომი კურსი. მოგვიანებით, საბჭოთა ეპოქაში ფოლკლორის სფეროში მომხდარი ცვლილებები კიდევ ახალი და მანამდე უჩვეულო პრაქტიკის დასაბამად იქცა და ქართული ფოლკლორის გარდაქმნაში უდიდესი როლი ითამაშა. 1980-90-იანების ეროვნული მოძრაობის კვლადაკვალ გააქტიურებული ქართული ხალხური მუსიკის განახლების მოძრაობა კიდევ სხვა იმპულსების მომტანი აღმოჩნდა ამ კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. რომ არაფერი ვთქვათ, ოცდამეერთე საუკუნეში საერთაშორისო წრეების აღიარებისა და ინტერნეტ-გავრცელების გავლენით ერთი მხრივ, ფოლკლორის პოპულარობის ზრდაზე, მეორე მხრივ კი, ამ სფეროს საზღვარზე გაჩენილი ახალი მუსიკალური ტენდენციების გააქტიურებაზე. ამდენად, უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში ქართულმა ფოლკლორმა ტრანსფორმაციის არაერთი ტალღა გამოიარა და შედეგად, სამ ძირითად სტილურ ერთეულს თუ მუსიკალურ მიმართულებას დაუდო საფუძველი (რამდენიმე შედარებით მცირე მასშტაბის

მუსიკალურ წარმონაქმნთან ერთად). ესენია: სასცენო ფოლკლორი, თანამედროვე სააგტორო ფოლკლორული ნიმუშები, ე.წ. „ფსევდო-ფოლკლორი”, რომელსაც ჩვენ „პოპ-ფოლკის” სახელწოდების ქვეშ ვაერთიანებთ და ქართული ფოლკ-ფიუჯენ მუსიკა, რომელიც, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ქართული ფოლკლორული მუსიკისა და პოპულარული მუსიკის ამა თუ იმ მიმდინარეობის სინთეზს წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად არ ისახავს სასცენო შესრულებით წარმოდგენილი ფოლკლორული მუსიკის შრის დეტალურ ანალიზს, რადგან ის საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული ედიშერ გარაფანიძეს (გარაფანიძე, 2007). თუმცა მიგვაჩინა, რომ სადისერტაციო პრელეგის მთავარი ობიექტის, ფოლკ-ფიუჯენის ფენომენის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად იმ პროცესებითაა განპირობებული, რაც ქართული ხალხური მუსიკის განახლების პროცესში გამოვლინდა. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დისერტაციის II თავის I ქვეთავი - „სასცენო ფოლკლორიდან ფოლკ-ფიუჯენამდე“ - სწორედ ამ ფენომენზე საუბარს მივუძღვნათ და ამ კონტექსტშივე წარმოვადგინოთ თანამედროვეობაში გაჩენილი მეორე მუსიკალური მოვლენა, პოპ-ფოლკი. იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი სრულიად განყენებული მიმართულებაა თანამედროვე ქართულ მუსიკაში და მისი აქტუალობიდან თუ საზოგადოებაში მის მიმართ არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ღრმა, სოციოლოგიურ და ანთროპოლოგიურ ანალიზს საჭიროებს, ამ ეტაპზე მის სიღრმისეულ შესწავლას არ ვისახავთ მიზნად. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატში აქცენტი გაკეთებულია მესამე შრეზე, ფოლკ-ფიუჯენ მუსიკაზე, რომელიც საქართველოში საკმაოდ დიდი ისტორიის მქონეა. სწორედ მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეული ეტაპების ანალიზი იქნება წარმოდგენილი დისერტაციის II თავის II ქვეთავში - „ქართული ფოლკ-ფიუჯენის ჩასახვიდან მის თანამედროვე გამოვლინებამდე”.

ქვეთავი I

სასცენო ფოლკლორიდან ფოლკ-ფიუჯენამდე

როგორც პირველ თავში, ტრადიციული მუსიკის განახლების ზოგადი პროცესების ანალიზისას აღვნიშნეთ, ტრადიციული მუსიკა, ისევე, როგორც თავად ტრადიცია, აწმყოში მუდმივად ცვალებადი მოვლენაა. თუმცა უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მასში განხორციელებულმა ცვლილებებმა სრულიად ახალი სახე შეიძინა და ფოლკლორული მუსიკის განახლების მსოფლიო პროცესი წარმოშვა. „გლეხურ ფოლკლორში (მათ შორის, ქართული გამონაკლისი არა) შეცვლილი სოციალური კონტექსტის გამო თვისებრივი ძვრები მოხდა, რამაც შეცვალა მისი არა მარტო საუკუნეების მანძილზე ტრადიციულად ქცეული არსებობის ფორმები, არამედ ხალხური სიმღერის იმანენტური თვისებებიც” (წურწუმია, 2005:115). მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან ქართულ ხალხურ მუსიკაში მიმდინარე ცვლილებები ამ სფეროში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ძირითადი კანონზომიერებების ფარგლებს გასცდა და ქართული ფოლკლორული ტრადიციისათვის მანამდე უჩვეულო ელემენტები შეითვისა. ამდენად, ამ პერიოდიდან ქართულ ფოლკლორში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი, ტრადიციული მუსიკის განახლების ზოგადი თავისებურებების გათვალისწინებით, ქართული ფოლკლორის განახლებად წარმოგვიდგება, რაც, თავის მხრივ, მსოფლიო ტენდენციის ლოკალურ, ქართულ გამოხატულებას ქმნის.

როგორც აღნიშნავენ, „XX საუკუნეში ტრადიციულ ეროვნულ მუსიკალურ ცნობიერებაში მომხდარ ძვრებს სათავე დაუდო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, რომელთა წიაღში ორი ტენდენცია გამოიკვეთა: პირველი მიმართული იყო ეროვნული კულტურის თვითმყოფადი დირებულებების გადარჩენისაკენ, ხოლო მეორე – მისი გამდიდრებისაკენ სხვა კულტურულ გამოცდილებასთან ურთიერთობის გზით” (წურწუმია, 2005:129). მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ამ იდეის განვითარებას ქართული პროფესიული მუსიკის ჩამოყალიბების ფარგლებში ახდენს, საინტერესო პარალელად გვესახება აღნიშნული ტენდენციის სასცენო ფოლკლორის კონტექსტში წარმოდგენაც. სწორედ სასცენო ფოლკლორის ტრადიციის ჩასახვას მოვიაზრებთ ქართული ხალხური მუსიკის განახლების პროცესის დასაბამად, რადგან, როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, განახლების კონცეფცია ფოლკლორული მასალის ახალ კონტექსტში წარმოდგენასა და მის თანამედროვე სოციო-კულტურული რეალობის გათვალისწინებაში მდგომარეობს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ეროვნული დირებულებების გადარჩენა და მათი გამდიდრება ევროპული კულტურული

გამოცდილებით, გარკვეულწილად, სასცენო ფოლკლორის გაჩენის იდეოლოგიურ საფუძვლადაც შეგვიძლია მოვიაზროთ.

პირველ რიგში, ვეცდებით განვმარტოთ, თუ რას ვგულისხმობთ სასცენო ფოლკლორის ტერმინში და რატომ ავირჩიეთ ეს უკანასკნელი ქართული ხალხური მუსიკის განახლების საწყის ეტაპზე გამოვლენილი მუსიკალური ერთეულის სახელდებისათვის. უნდა ითქვას, რომ ედიშერ გარაფანიძის ნაშრომი „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა“, უდავოდ, ცენტრალურია სასცენო ფოლკლორის ფენომენის განხილვისას, თუმცა მეცნიერი სასცენო ფოლკლორის ტერმინს გვერდს უვლის და „მეორეული ფოლკლორის“ მომიჯნავე სახელდებას მიმართავს (საპირისპიროდ „პირველადი ფოლკლორისა“). გარაფანიძის განმარტებით, „ფოლკლორს, წარმოდგენილს ფოლკლორული ტრადიციის მატარებლების მიერ, დამუშავების გარეშე, შეგვიძლია ვუწოდოთ პირველადი (აუთენტური) მუსიკალური ფოლკლორი, ხოლო ფოლკლორს, წარმოდგენილს „გარეშეთა“ მიერ ან ტრადიციის მატარებელთა მიერ დამუშავებული სახით – მეორეული მუსიკალური ფოლკლორი“ (გარაფანიძე, 2007: 17). დამუშავებაში კი მეცნიერი გულისხმობს საგანგებოდ სასცენო შესრულებისათვის შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც ქართული ხალხური მუსიკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებულ და ფუნქციონირებად კანონზომიერებებზე დამყარებულ ფოლკლორის ბუნებრივი განვითარების პროცესებს ეწინააღმდეგება. მიუხედავად იმისა, რომ „პირველადისა და მეორეულის“ ცნებები მეცნიერს რუსული ეთნომუსიკოლოგიიდან (დ. ალექსეევი, ი. ზემცოვსკი) აქვს ნასესხები, მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ, რომ სასცენო ფოლკლორის იზალი ზემცოვსკისეული გაგება, აერთიანებს როგორც გარკვეული ტიპის პირველადი, ისე მეორეული ფოლკლორის შემსრულებლებს. მეცნიერი თვლის, რომ „სცენაზე გადმოტანილი ფოლკლორი, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად წმინდადაა დაცული მისი დამახასიათებელი ნიშნები სცენური ინტერპრეტაციისას, ყველა შემთხვევაში უკვე ფოლკლორიზმია, ვინაიდან სცენა თავისთავად გახლავთ მუსიკალური ფოლკლორისა და პროფესიული მუსიკის ურთიერთქმედების საწყისი ეტაპი, გადასვლა არაფოლკლორულ ფორმებზე“ (გარაფანიძე, 2007: 16).

ამდენად, სასცენო ფოლკლორის ფენომენმა, რომელიც ფოლკლორიზმის სინონიმურ ტერმინადაა მოაზრებული, შეიძლება როგორც პირველადი, ისე მეორეული ანსამბლების შესრულება მოიცვას და, ცხადია, ორივე ტიპის კოლექტივის

შესრულებაზე ახდენს გავლენას, სხვა თუ არაფერი, ბუნებრივი საშემსრულებლო გარემოს ჩანაცვლების თვალსაზრისით მაინც. ამასთან, სცენის სპეციფიკა გარევულად გარდაქმნის შემსრულებლის პრიორიტეტებს, ზრდის არტისტულობის ელემენტს (გარაფანიძე მიიჩნევს, რომ არტისტულობას ფოლკლორის ბუნებრივ, სოფლურ ყოფაში შესრულების დროსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა [გარაფანიძე, 2007:86], თუმცა, ცხადია, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, სასცენო გარემო ერთიათად ზრდის ამ ელემენტს) და შემსრულებელს აუდიტორიაზე ორიენტირებულს ხდის. მეტიც, ბუნებრივ გარემოში ვარიანტულობასა და იმპროვიზებულ შესრულებას შეჩვეულ მუსიკოსს სცენა ერთგვარ ჩარჩოებში აქცევს და გარკვეულწილად, შემოქმედებით თავისუფლებასაც უზღდავს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასცენო ფოლკლორის ფენომენი განცალკევებულ მოგლენად მიგვაჩნია, რომელიც სწორედაც რომ გამყოფ ზღვარს დებს ფოლკლორული მუსიკის ბუნებრივი ფუნქციონირების ფორმასა და მის ტრანსფორმაციას შორის.

ქართული ხალხური მუსიკის განახლების პროცესის ნაწილად მივიჩნევთ, ასევე, ფოლკლორული სიმღერების ნოტირების ტრადიციის გაჩენას, რომელიც მოგვიანებით, სასცენო ფოლკლორის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად იქცა. ყოფაში დამკვიდრებული ბუნებრივ კილოურ სისტემაზე შესრულებული სიმღერები ნოტირებისას მაჟორულ-მინორული სისტემის ფარგლებში მოექცა, რამაც ფოლკლორული ნიმუშების ქდერადობა მნიშვნელოვნად გარდაქმნა და მისი ორიგინალობა ბევრად შეასუსტა. თუმცა ეს გარდაუგალ პროცესს წარმოადგენდა, რადგან ქართული გალობის მსგავსად, ხალხურ სიმღერასაც დაკარგვა-გაქრობის დიდი საფრთხე ემუქრებოდა და სასწრაფოდ იყო მოსაფიქრებელი ამ ნიმუშების ჩაწერა-დაფიქსირებისა და შთამომავლობისთვის შემონახვის გზები. XIX საუკუნის 70-იან წლებში, მაშინ როცა ედისონის ფონოგრაფი ჯერ შექმნილი არ იყო, ხალხური სიმღერების სანოტო სისტემაზე ჩაწერა უალტერნატივო გამოსავლად მოიაზრებოდა, მიუხედავად კომპრომისების გაწევის აუცილებლობისა. ამდენად, ხალხური სიმღერის ნოტირება, რომელიც ფოლკლორის სასცენო შესრულების პარალელურად მიმდინარეობდა, ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ისევე, როგორც, XX საუკუნის დასაწყისიდან ფოლკლორული მასალის ფონოჩანაწერების სახით დაფიქსირების ტრადიცია, რამაც, ასევე, მოახდინა ხალხური მუსიკის შემსრულებლობაში გარკვეული გარდაქმნები –

არტისტულობის ზრდა, მასალის შერჩევითი დაფიქსირება-შენახვა და ა.შ., თუმცა ეს გარდაქმნები ისეთი ტოტალური ცვლილებების მომტანი არ ყოფილა ქართული ფოლკლორის ბუნებრივი განვითარების გზიდან გადახვევის თვალსაზრისით, როგორიც სასცენო შემსრულებლობისა თუ ფოლკლორის ნოტირების პროცესი იყო.

ქართული ხალხური მუსიკის სასცენო შემსრულებლობის დასაბამად 1885 წელს ლადო აღნიაშვილის მიერ „ქართული ხოროს“ ჩამოყალიბება მიიჩნევა, თუმცა ქართული ხალხური სიმღერის გუნდები მანამდეც არსებობდა ხარლამპი საგანელის (ლეკიშვილი, 1961: 10), მიხეილ მაჭავარიანის, ანდრია ბენაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, ფილიმონ ქორიძისა და სხვათა ხელმძღვანელობით, რომელთა რეპერტუარი და შემოქმედებითი კურსი ცნობების სიმცირის გამო ჩვენთვის უცნობია. პარალელურად, 60-70-იან წლებში არსებობდა სასიმღერო ჯგუფები გურიაში (გიგო ერქომაიშვილისა და სამუელ ჩავლეიშვილის), 80-იან წლებში ოზურგეთსა (ა. კონტრიძის) და თბილისში (ა. ბერიძის), თუმცა არსებული გუნდების ნოვატორობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება (გარაფანიძე, 2007: 87).

ამდენად, ჩვენამდე მოღწეულ ცნობებზე დაყრდნობით, ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში ცვლილებების ახალი ტალღა სწორედ აღნიაშვილის „ქართული ხოროს“ შექმნით დაიწყო. თავად ლადო აღნიაშვილი კახეთის სოფელ შილდაში იყო დაბადებული და, ხალხური სიმღერის ოსტატების გარემოცვაში გაზრდილს, ამ მუსიკის ღირებულება და მისი შენარჩუნების მნიშვნელობა კარგად ესმოდა. პროფესიონ „პედაგოგი და მთარგმნელი, სათეატრო სანახაობების მომწყობი, საბავშვო ჟურნალ-გაზეთების აქტიური მონაწილე და ზეპირსიტყვიერების შემკრები“ (ლეკიშვილი, 1961: 11), საოცარი მენეჯერული ალდოთი იყო დაჯილდოებული. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური განათლება თუ სიმღერის განსაკუთრებული ნიჭი არ გააჩნდა, იგი კარგად ხვდებოდა ქართული ფოლკლორული მუსიკის შემსრულებელი გუნდის პოტენციალს, რომელსაც არა მხოლოდ საქართველოს კუთხეებში, არამედ რუსეთსა და მის შემოგარენშიც შეეძლო უძველესი ქართული კულტურის წარდგენა და პოპულარიზაცია. 1914 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნახსენებია, თუ რამხელა ზეგავლენა მოახდინა აღნიაშვილზე დიმიტრი აგრენევ-სლავიანსკის ხოროს მოგზაურობამ ევროპასა და ამერიკაში, რომელმაც რუსული სიმღერა მსოფლიოს მიაწვდინა. მალე ლადო აღნიაშვილი აარსებს ქართულ ხოროს „არა მარტო იმისათვის, რომ საქართველოს

დაბებში და ქალაქებში ჩამოუაროს თავის ხალხს და მშობლიური სიმღერით გულის უერში ჩააგდოს და გამოაფხიზლოს, არამედ სამშობლო საზღვარსაც გასცდეს და იქ, დიდ რუსეთში, მოსკოვსა და პეტერბურგსაც მოასმენინოს ქართული ჰანგი, აჩვენოს ჩაცმა-დახურვა ქართულ ხოროსი, გააცნოს სიმღერებით განათლებულ საზოგადოებას ზნე-ჩვეულება და შემოქმედება თავის ერისა” (მარალიძე, 1914: 10-11).

როგორც ჩანს, ლადო აღნიაშვილის მიზანი იყო ევროპული საშემსრულებლო დონის მქონე გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც სწორედ საკონცერტო და საგასტროლო საქმიანობით იქნებოდა დაკავებული, მით უფრო, რომ XIX საუკუნის II ნახევარში არა მხოლოდ რუსეთში, არამედ აღმოსავლეთევროპის ქვეყნებში (მათ შორის, ბალტიისპირეთში) ფოლკლორის საკონცერტო შესრულების ტრადიცია თანდათან უფრო პოპულარული ხდებოდა (Kuutma, 1997: XX). ამდენად, „ქართული ხოროს” შემოქმედებითი კურსი თავიდანვე განისაზღვრა, როგორც სასცენო შემსრულებლობაზე ორიენტირებული პროფესიული მუსიკალური უნარების მქონე ფოლკლორული (როგორც ხშირად უწოდებენ, ეთნოგრაფიული) გუნდისა, რომელსაც მკვეთრად „ევროპული ორიენტაცია” ექნებოდა. ამის მიხედვით შეირჩა გუნდის მუსიკალური ხელმძღვანელის კანდიდატურაც, რომელზეც თავდაპირველად პოლონელი მუსიკოსი ფელიქს პეტელინი მოიაზრებოდა (გარაყანიძე, 2007:89), მისგან უარის მიღების შემდეგ კი ამ პოზიციაზე პრაღის კონსერვატორიაში განსწავლული ჩეხი მუსიკოსი იოსებ რატილი შეირჩა. რატილი საკმაოდ წარმატებული დრამატული ტენორი გახლდათ, რომელმაც 1880 წლიდან თბილისის საოპერო თეატრის სოლისტად განაგრძო მოღვაწეობა. საოპერო თეატრის დატოვების შემდეგ აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და საკუთარ მოსწავლეებთან ერთად საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში მართავდა კონცერტებს (ძირითადად, საგუნდო ვოკალური მუსიკის). ამდენად, რატილის კანდიდატურა შესანიშნავად მოერგო აღნიაშვილისეული გუნდის კონცეფციას.

უნდა ითქვას, რომ „ქართული ხოროს” ჩამოყალიბება 1860-იანებში დაწყებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მომხრეებისაგან უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენად შეფასდა, მით უფრო არსებული რთული პოლიტიკური რეალობის პირობებში, როდესაც ნებისმიერი ეროვნული წამოწყება რუსეთის იმპერიის მესვეურთა მიერ დევნისა და შევიწროების საგანი ხდებოდა. „აღნიშნული წამოწყება მათ ესმოდათ, როგორც დიდი ეროვნულ-

კულტურული საქმე და არა როგორც უბრალო გასართობი სანახაობა“ (ლეკიშვილი, 1961: 13). ამდენად, არაერთი გამოხმაურება მოჰყვა ხოროს დაარსების ფაქტს. ალექსანდრე ყაზბეგი ამ მოვლენას ხალხური სიმღერების აღდგენის მისის ხორცშესხმად ხედავდა და იმ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენათა შორის მოიაზრებდა: „დაგვეწყო ახალი კიდევ სხვა ხანა აყვავებისა, აღდგენისა... მოვესწარ მწერლობის აღდგენას, მოვესწარ თეატრის დაფუძნებას და წარმატებას, მოვესწარ კიდევ საერო სიმღერების აღდგენას“ (ლეკიშვილი, 1961: 14). ხალხის დადებით გამოხმაურებაზე იუწყებოდა გაზეთი ივერიაც: „საზოგადოებას ძალიან მოსწონს ზოგიერთი ამ ხოროსაგან თქმული სიმღერები. ზოგიერთი ხმა გავრცელდა ტფილისში და ქუჩებშიაც-კი მდერიან“ („ივერია“, 1887, №55).

„ქართული ხოროს“ სადებიუტო კონცერტს გამოეხმაურა ქართული კულტურის აღორძინების საქმეში აქტიურად ჩართული ილია ჭავჭავაძეც, რომელიც თავად გახდა 1878 წელს „გალობის აღმაღგინებელი კომიტეტის“ დაარსების ერთ-ერთი მხარდაჭერი და არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ხალხური მუსიკის ჩაწერის საქმეს. მართლაც, იმ პერიოდისთვის უკვე გამოცემული იყო ხალხური სიმღერის რამდენიმე სანოტო კრებული: დ. ერისთავის მიერ პეტერბურგში დაბეჭდილი „ქართული სიმღერების პოპული“ (1871 წ.), მ. მაჭავარიანის სიმღერების კრებული „სამშობლოს ხმები“, რომელშიც 20-მდე სიმღერა შედიოდა (1878 წ.), ანდრია ბერიაშვილის კრებული „ქართული ხმები“ (1886 წ.), ორ ნაწილად: პირველ ნაწილში შესულია საეკლესიო საგალობლები „იოანე ოქროპირის წირვის წესი“-დან, ხოლო მეორე ნაწილში – 34 ხალხური სიმღერა (დონაძე, ჩიჯავაძე, ჩხილაძე, 1990: 74).

„ქართული ხოროს“ კონცერტს ილიამ საგანგებო წერილი მიუძღვნა, სადაც წერდა: „ქართულმა ხორომ – თუ არ ვცდებით, ოცი, ოცდათი კაცი იქნებოდა – ბ-ნ რატილის ლოგბარობით იგალობა თეატრში თერთმეტამდე სხვათა შორის ქართული საერთო სიმღერები, ნოტებზედ გადაღებული. ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო და სიამოვნებით კი არა, აღტაცებით დაჭხვდა და მიეგება ამ ახალს და სასიამოვნო ამბავს. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ყველა ქართული ხმები კარგად იყო გადაღებული, მაგრამ მაინც კიდევ ჩვენ მიერ ქება და დიდება ეკუთვნის ამ საქმის დამწყებოა... დიდი მაღლობა გვმართებს ბ-ნ აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მართლა სახელობანი საქმე იკისრა, შეჰვარა ხორო, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატკბო იმ მივიწყებულის ხმებით, რომლითაც მდეროდნენ ჩვენი წინაპარნი და რომელსაც ისეთის

აღტაცებით ისმენდა იმ დამეს თეატრში შექრილი საზოგადოება... არა ნაკლებ მადლობის დირსია ბ-ნი რატილი, ეგ უცხო კაცი, რომელმაც მოამზადა და გასწურონა იგი ხორო“ (ჭავჭავაძე, 1986: 136).

თუმცა „ქართული ხოროს“ კონცერტის ჩატარებას არაერთი მოწინააღმდეგე პყავდა თავად ქართულ საზოგადოებაშიც, „პეტილშობილთა წრიდან“ გამოსული კვაზი-პატრიოტები, რომლებიც თაკილობდნენ ქართულ სიმღერას მისი „არაკეთილხმოვანების“ გამო“ (ლეკიშვილი, 1961: 9). იმ პერიოდის მაღალჩინოსანთა გარკვეულ ნაწილს გლეხური ფოლკლორის სცენაზე ატანის ფაქტი არ ხიბლავდა, მეტიც, შემსრულებელთა სამარცხინოდ და აუდიტორიის დამამცირებლადაც კი მიაჩნდა. ერთ-ერთი წარჩინებული გენერალი ყველანაირად არწმუნებდა აღნიაშვილს საკუთარ გადაწყვეტილებაზე უარი ეთქვა: „რას ბრძანებთ, ბატონო, ხომ თავი მოგეჭრათ თქვენც და ქართველობასაც, სოფლად რომ მოგისმენიათ დელა-დელა, განარა შესაწყნარებელია, რომ „არალალო“ იგივე გაჩირალდნებულ დარბაზში იმდეროთ საგანგებოდ მოწვეული საზოგადოების წინაშე; არა, ნუ უზამთ მაგას, სირცხვილია და შეუძლებელიც არის!“ (ლეკიშვილი, 1961: 18).

ამას გარდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს არ მოსწონდა, რომ აღნიაშვილის მიერ „ქართული ხოროს“ ხელმძღვანელად მოწვეულმა ჩეხმა რატილმა გუნდს არა მხოლოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფოლკლორული ნიმუშები შეასწავლა (საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული აქტიური საექსპედიციო საქმიანობის შედეგად მოძიებული, ხოროს რეპერტუარში შეტანილი, ნოტებზე გადაღებული და გამოსაცემად გამზადებული 200-მდე სიმღერა (ბერიძე: 2010: 117), არამედ ევროპული ფოლკლორული საგუნდო ნიმუშებითა და მის მიერ დაწერილი სიმღერებითაც გაამდიდრა მისი რეპერტუარი. ფაქტია, რომ ევროპული კლასიკური მუსიკის ტრადიციებზე აღზრდილმა რატილმა მისთვის ბუნებრივი შემოქმედებითი პრიორიტეტებით შეიმუშავა გუნდის რეპერტუარიც და მისი საშემსრულებლო მანერაც, რაც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდა ქართული ხალხური მუსიკის მანამდე არსებულ სახეს.

„ქართული ხოროს“ შემოქმედებითი კურსით უკმაყოფილო მსმენელის არსებობის ფაქტი არც ილიას გამოპარვია და მსგავს ამბავს ხოროს ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ დაწერილ წერილშიც იხსენებს: „პირველი განყოფილება რომ შეასრულეს, გამოვედით ბადში სასეირნოდ. აირია ხალხი, ზოგი აქებდა, ზოგი აძაგებდა. იმათში

ერთი ყმაწვილი კაცი მეტად ცერცვივით ხტოდა და ყველას იმას ჩასძახოდა, აი, ქულაჯები ჩაუცვამთ და რუსეთში უნდა წავიდნენ და ფრანციული ხმები იმღერონო... თუ იმ გაცხარებულს ყმაწვილკაცს ქართული ხმები უფრო უყვარს სხვა ხმებზე და ის აწუხებდა, რომ ამ სიამოვნებას რათ მოაკლო ქართულმა ხორომა, ესეც დიდი უსამართლობაა, იმიტომ, რომ რატილის ხოროს ქართველები სულ არ ეტანებიან; იმათის იმედით რომ დარჩენენ, შიმშილით დაიხოცებიან ეს მომდერალნი და არამც თუ რუსეთში, ვგონებ მცხეთამდისაც ვერ მიაღწიონ; მეორე ისა, რომ ევროპული ხმები, რომელსაც ესენი მშვენივრად მდერიან, განა ქართველებს-კი გულს დასძმარავს, რომ გაიგონონ; მესამე ისა, რომ მარტო ოროველას სიმდერითა და დელა-ოიდასით განა წინ წავდგებით და კარგის რისამე გემოს გავიგებთ? მეოთხე ისა, რომ ხომ ხედავს ის დალოცვილი ამ არეულ-დარეულ ხალხს, სიმდერები როგორ-და გადარჩება შეურეველი? თეატრში იყო-მეთქი ძალიან ცოტა ხალხი, მაგრამ ეს ცოტა ხალხიც შერეული იყო; იქ იყვნენ ძალიან ცოტა ქართველები, ბლომად რუსები, ნემენცები და ფრანცუზებიც. რა დააშავა ხორომ, რომ ყოველგვარი ხმები იმდერა, ყველას მოაგონა თავისი სასიამოვნო სიმდერა?“ (ჭავჭავაძე, 1986: 478) როგორც ციტატიდან ვიგებთ, თავად ილია ჭავჭავაძე ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებდა „ქართული ხოროს“ შემოქმედებით კურსს, რადგან ითვალისწინებდა იმ პერიოდის თბილისის ევროპულ კულტურულ ორიენტაციასა და კონკრეტულად, „ქართული ხოროს“ მსმენელთა „შერეულ“ კატეგორიას. ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ ამტკიცებს „ქართული ხოროს“ სახით ახალი ტიპის ფოლკლორულ-საშემსრულებლო კოლექტივის გაჩენის ფაქტს, რომელიც ქართულ ფოლკლორულ ყოფაში დამკვიდრებული გუნდებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, პირველ რიგში, სწორედ სასცენო მოდგაწეობაზე ორიენტირებით. სწორედ ესაა თანამედროვეობის პირობებში ფოლკლორის განვითარების ახალი კურსის მაჩვენებელი, რაც, თავის მხრივ, ფოლკლორის ძირეულ ტრანსფორმაციას განაპირობებს. როგორც ეთნომუსიკოლოგი ოთარ ჩიჯავაძე აღნიშნავს, „განვითარების თანამედროვე ეტაპზე სიმდერის ჭეშმარიტ შემოქმედად, სახალხო გუნდი კი აღარ გვევლინება, არამედ თვითმოქმედი კოლექტივი, რომლის ბაზაზე ხდება სოფლისა და ქალაქის სამუსიკო შემოქმედების დაახლოვება და შერწყმა. ამის გამო ხალხური სიმდერის სამუსიკო კანონზომიერებანი ელფერს იცვლიან მაჟორულ-მინორული სისტემის გავლენით და თუმცა ხალხური სიმდერა მდიდრდება, მაგრამ კარგავს თავის დამახასიათებელ ელფერს“ (ჩიჯავაძე, 1995: 14).

საბოლოოდ, მიუხედავად აღნიაშვილისეული ჩანაფიქრისა, „ქართული ხოროს” „ევროპულ ყაიდაზე მოწყობა” მთლიანად რატილს „დაბრალდა” და განაწყენებულმა ქართველმა თავადაზნაურობამ მოახერხა, რომ რატილი გუნდისთვის ჩამოეშორებინა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბერიძემ ხოროს ედერადობა საგრძნობლად „გააქართულა”, რატილის ხელმძღვანელობით „ქართული ხოროს“ რამდენიმეწლიანი მოღვაწეობა (1885-1889 წწ.) საკმარისი აღმოჩნდა ქართული ფოლკლორის შემსრულებლობაში მრავალი მანამდე უჩვეულო თავისებურების დასანერგად.

კერძოდ, ევროპული საგუნდო ტრადიციისამებრ გუნდის ოთხ ხმად – პირველ ტენორებად, მეორე ტენორებად, ბარიტონებად და ბანებად დაყოფამ წაახალისა სამხმიანი ქართული სიმღერების გაოთხების პროცესი. ამასთან, ტრადიციულად, ზედა ხმების თითო ადამიანის მიერ მღერა, რაც შემსრულებელს იმპროვიზაციისათვის დიდ თავისუფლებას აძლევდა, ჩანაცვლა ამ ხმების გაორმაგების, გასამმაგებისა და ა.შ. პრაქტიკამ. გარდა ამისა, ქართული ფოლკლორული გუნდის წევრებს შეემატა ახალი ფიგურა – დირიჟორი, რომელიც ევროპული პრაქტიკის თანახმად, გუნდის წინ იდგა, შესაბამისი ჟესტიკულაციით წარმართავდა სიმღერის შესრულების პროცესს და ამასთან, ხალხურ სიმღერას მრავალი მანამდე უჩვეულო ნიუანსით ტვირთავდა. ქართული ფოლკლორის ტრანსფორმაცია-გარდაქმნის ამ მნიშვნელოვანმა ტალღამ შემდგომში დაარსებულ არაერთ გუნდზე იქონია გავლენა და „ქართულ ხოროში“ გაჩენილი ზემოაღნიშნული თავისებურებები, ფაქტობრივად, ახალ საშემსრულებლო ტრადიციად იქცა. ამ მოვლენას განსაკუთრებული გულისტკივილით შეხვდნენ ქართულ ფოლკლორში გათვითცნობიერებული ადამიანები, მაგალითად, ბუკუ ლოლუა, რომელიც გულდაწყვეტით წერდა: „მე ვერ ვიწამებ, რომ ჩვენს სახალხო მუსიკას გადაგვარება, გაეგროპელება სჭიროდეს და საჭირო არ იყოს მისი იმ ფორმითა და შინაარსით შენახვა, როგორც ის თავიდანვე იყო” (გარაფანიძე, 2007: 92). არაყიშვილმა კი ამ პროცესს „ქართული ფოლკლორის შერყვნა” უწოდა და ამ ტენდენციის სავალალო შედეგებზე ალაპარაკდა: „ქართულ სიმღერებს ერთგვარი შერყვნა დაეტყო. ამ შერყვნამ შემდეგში მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და ამის მიზეზი იყო, რომ პაცი ვერ ნახავდა გუნდს, რომელსაც ქართული სიმღერები ტერციით არ ემდერა და ყველა სამი ხმა არ გაეთანასწორებინა თანახმად ევროპული პრინციპისა. ხოდო ეს

პრინციპი ქართული სიმღერის პრინციპის სრულ კონტრასტს წარმოადგენს” (გარაფანიძე, 2007: 90).

შემდგომში დაარსებული სანდრო კავსაძის, მიხეილ კავსაძის, ძუკუ ლოლუასა და ავქსენტი მეგრელიძის გუნდები არა მხოლოდ „ქართული ხოროს” მიერ ნაკარნახევ ტენდენციებს გაჰყვნენ, არამედ გარევაულმა მათგანმა კიდევ ახალი საშემსრულებლო ცვლილებები შემოიტანა: სიმღერების (ან ერთი და იმავე სიმღერის სხვადასხვა ვარიანტის) კონტამინაცია, სხვა კუთხეების სიმღერების მეგრულ ყაიდაზე ამდერება (ძუკუ ლოლუა), ნოტების საშუალებით სიმღერების გადაცემა-შესწავლის ძირითად პედაგოგიურ პრაქტიკად ქცევა (მიხეილ კავსაძე და ფილიმონ ქორიძე), ქალთა და ვაჟთა შერეული გუნდის შექმნა, საჩონგურო ანსამბლის ჩამოყალიბება (აქვსენტი მეგრელიძე) (გარაფანიძე, 2007:93-95). ამგვარად, ქართული ფოლკლორისათვის მანამდე უჩვეულო, სასცენო შესრულების პრაქტიკა, რითიც ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესს ჩაეყარა საფუძველი, ერთგვარ ტრადიციად იქცა და საბოლოოდ, სასცენო ფოლკლორი ცალკე მიმართულებად დაკანონდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო ათწლეულების განმავლობაში მანაც არაერთი ცვლილება განიცადა.

როგორც 1874 წელს დაარსებული ხარლამპი სავანელის გუნდის, ისე აღნიაშვილის „ქართული ხოროს“ დაშლის მთავარი მიზეზი ფინანსური პრობლემები გახდა. როგორც ჩანს, მსგავსი გუნდების არსებობა მაინც ცალკეული ენთუზიასტების წამოწყებზე იყო დამოკიდებული: „იმ დროს მათი საქმიანობა კერძო ხასიათს ატარებდა და პირად ინიციატივაზე იყო დამყარებული, რადგან სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული ამ საქმით. მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა ქართული საგუნდო კულტურის მძლავრი აღმავლობის აუცილებელი პირობები” - აღნიშნავს გრიგოლ ჩხიოგაძე (ჩხიოგაძე, 1954: 15). 1961 წელს დაწერილი ჩხიოგაძის ეს სიტყვები, ცენზურით ნაკარნახევი პათოსის მიღმა საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის კომუნისტურ ეპოქაში ფოლკლორული მუსიკის სფეროში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. თუმცა საინტერესოა, თუ რა პირობებში წარიმართა ოფიციოზის მიერ ასე „მხარდაჭერილი” ფოლკლორის განვითარების პროცესი და რეალურად რას გულისხმობდა კულტურის პოლიტიკის ახალი კომუნისტური იდეოლოგია საბჭოთა რესპუბლიკების ტრადიციული მუსიკის დაცვის მიმართულებით.

საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა იდეოლოგიური დოქტრინა „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების“ შესახებ. ერთი შეხედვით, საბჭოთა კავშირში შემავალი ეთნიკური ჯგუფებისა თუ სახელმწიფოების კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას საბჭოთა იდეოლოგია ერთ-ერთ მისიად სახავდა. საბჭოთა მოქალაქეებს საკუთარი ტრადიციული კულტურის „წახალისების“ გზით ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების ილუზია ექმნებოდათ. სინამდვილეში, საბჭოთა „დიადი იდეის“ ქვეშ საკმაოდ ეშმაკური გეგმა იმაღლებოდა: ყველანაირი ხელოვნება და მათ შორის, ხალხური მუსიკაც საბჭოთა ცენტურის მიერ დადგენილ ფორმებსა და სტანდარტებში იყო მოქცეული.

ამდენად, საბჭოთა პერიოდში ქართული მუსიკალური ფოლკლორი ადმინისტრაციული ჩარევისა და პოლიტიკური ზეგავლენის მაქსიმუმს განიცდის. „ხალხის მთავრობა“ ხალხური შემოქმედების წარმართვის ინიციატივას მთლიანად თავის თავზე იდებს. იგი ამკვიდრებს „თვითმოქმედების“ კულტურას, რომლის ქართულ ვერსიაშიც განვითარების ორი ვექტორი თანაარსებობს: ა) ტრადიციულის, როგორც არსებული ხალხური სიმდიდრის ელიტარული მუსიკის ფონზე წინწამოწევისა და ბ) ახლის დამკვიდრების, როგორც მისი „გამდიდრებისა“ (გაბისონია, 2014:15). საბჭოთა დაკვეთამ და ამ ეპოქაში გაჩენილმა ტენდენციებმა ქართულ ფოლკლორში ისეთი არაორგანული ტრადიციები დაამკვიდრა, როგორიცაა მასობრივი გუნდები, რომელთა მეშვეობითაც ქართულ ფოლკლორში შემოიჭრა დირიჟორის ინსტიტუტი, გაორმაგებული ზედა ხმებით მღერა, ფოლკლორული ნიმუშების გაოთხებიანების ტენდენცია, ხალხურ საკრავთა ორკესტრები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ „ქართული ხოროს“ მოღვაწეობისას, XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა ფოლკლორის შემსრულებლობაში რამდენიმე მანამდე უცნობი პრინციპი, მათ შორის დირიჟორის ინსტიტუტი და გაორმაგებული ზედა ხმებით მღერის პროცესი, ეს მაინც ერთეული შემთხვევები იყო, რაც ჯერ კიდევ რთული კომუნიკაციის პირობებში ზოგად მდგომარეობაზე დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენდა. საბჭოთა პერიოდში კი ამ პროცესმა საყოველთაო, მასობრივი ხასიათი მიიღო და სულ უფრო მზარდ ტენდენციად იქცა.

მასობრიობა ერთ-ერთ ღია მოთხოვნას წარმოადგენდა 1920-იანი წლების ბოლოდან გამართულ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, რამაც საგრძნობლად გაზარდა

ქართულ ფოლკლორულ გუნდებში შემსრულებელთა რიცხვი, ისე რომ 100 კაციანი გუნდების პრეცედენტიც გაჩნდა. ბუნებრივია, ზედა ხმებში ჯგუფურად წარმოდგენილ მომღერლებს არანაირი სივრცე და შესაძლებლობა აღარ რჩებოდათ ინდივიდუალური ინიციატივებისა და იმპროვიზაციისათვის. ამას გარდა, ფოლკლორის გამარტივების პროცესზე გავლენა იქონია სიმღერის თანმხლები საკრავების როლის გაზრდამაც, „ამ უკანასკნელმა კი (იგულისხმება ფოლკლორული საკრავები, თ.ლ.) თავისი შესაძლებლობების შეზღუდული ხასიათის გამო გამოიწვია თანხლებული სიმღერის გამარტივება. ამრიგად, ერთი ხმის შესრულების რამოდენიმე მომღერლისათვის დაკისრებამ და თანმხლები საკრავების უხვმა გამოყენებამ ბოლო მოუღო სიმღერის იმპროვიზაციულ ხასიათს“ (ჩიჭავაძე, 1995:15). ყოველივე ამან მნიშვნელოვნად წაახალისა ერთი ტიპის, სტანდარტული საკონცერტო რეპერტუარის გაჩენა და სიმღერათა ცალკეულ ვარიანტებად დამკვიდრება, უკიდურესად შეზღუდული ვარიაციული განვითარებით. ასე გახდა ქართული ფოლკლორი სტანდარტიზაციის მსხვერპლი. საინტერესოა, რომ პოპულარული მუსიკის კონტექსტში ჩამოყალიბებული თეოდორ ადორნოს სტანდარტიზაციის თეორიას (რომელიც დისერტაციის პირველ თავში დაწვრილებითაა განხილული), როგორც ზემოთაც აღვნიშნე, რიჩარდ მიდლტონი „ფორმულით“ ანაცვლებს და აღნიშნავს, რომ ფორმულური სქემები ხშირად გამოიყენებოდა როგორც ეკროპული, ისე არაეკროპული ქვეყნების ფოლკლორულ მუსიკაში, სადაც მუსიკალური ნიმუშები სწორედ მსგავს, წინასწარ დაღგენილი მელოდიურ-რიტმული ფორმულების განმეორებასა თუ ვარირებაზეა აგებული (Middleton, 1990: 55-56). მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში სტანდარტიცაზის ტერმინი კონკრეტული ფოლკლორული რეპერტუარის შერჩევა-დამკვიდრებასთან მიმართებაში მოვიხეთ, ფაქტია, რომ ამ ტიპის სტანდარტიზაციის ტენდენციამ საგრძნობლად გააღარიბა არა მხოლოდ რეპერტუარი, არამედ ქართული ფოლკლორის მრავალფეროვანი საშემსრულებლო შესაძლებლობები და ამ მუსიკის მხატვრული სახეც კი.

არანაკლებ საზიანო აღმოჩნდა ის კულტურული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ცნობილი ლოტბარები არა მათივე მშობლიური კუთხის, არამედ სრულიად განსხვავებული მუსიკალური ტრადიციების მქონე რეგიონის გუნდებს ხელმძღვანელობდნენ. შესაბამისად, თავისთვის ახლობელ, მაგრამ კონკრეტული კუთხის მომღერალთათვის არაორგანულ რეპერტუარსა თუ შესრულების მანერას

ამკვიდრებდნენ. რუსუდან წურწუმია ამ პროცესში კიდევ უფრო დიდ საფრთხეს ხედავს და აღნიშნავს: „ჩემი აზრით, ყველაზე „არაფოლკლორული“ იყო სარეპერტუარო პოლიტიკა, როცა არა მარტო ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი, არამედ საქალაქო, რაიონული და სასოფლო გუნდებიც კი მდეროდნენ ყველა კუთხის სიმღერებს. ასე მონაწილეობდა კახელი, გურული, სვანი მომღერალი „ფოლკლორიზმში“, როცა მას იმერული, მეგრული ან რაჭული სიმღერის შესრულება უხდებოდა, ასე იქცეოდა ჩვეულებრივი ხალხური მომღერალი ფოლკლორის „მზა სახით მიმღებად“ ანუ სხვა ლოკალური ტრადიციის „მომხმარებლად“. სწორედ ეს ტენდენცია უქმნიდა ყველაზე დიდ საფრთხეს ქართული სიმღერის დიალექტური მრავალფეროვნების შენარჩუნებას“ (Tsurtsinia, 2010:261).

ამასთან ერთად, საბჭოთა იდეოლოგიის კარნახითა და „სახელმწიფო დაკვეთით“ მრავალმა გუნდის ლოტბარმა დაიწყო საბჭოთა ოქმატიკის მქონე სიმღერების შექმნა. „ძნელია მოიძებნოს 30-40-50-იან წლებგამოვლილი ლოტბარი, რომელსაც საკუთარი სიმღერები არ შეექმნას... კომპოზიციის მსგავსი პრაქტიკა კიდევ უფრო აშორებდა ქართულ ანსამბლებს ხალხურ პირველწესაროს“ (გარაყანიძე, 2007:98). გარაყანიძის ცნობის ერთგვარი დასტურია გრიგოლ ჩხილავაძის მიერ ჩატარებული ქართული რევოლუციური და საბჭოთა სიმღერების კვლევა, რომლის მიხედვითაც საწყის ეტაპზე (1905-1907 წლები) რუსეთსა და ევროპიდან შემოსული რევოლუციური სიმღერები გახდა აქტუალური, რომელთა ტექსტი ქართულად იყო გადმოთარგმნილი, ხოლო მუსიკალური ენა უცვლელად იყო დატოვებული. თუმცა, თანდათან იქმნებოდა ქართული საბრძოლო სიმღერებიც, რომლებიც სოფლურ და ქალაქურ კილოებზე იყო აგებული. ამის საპირისპიროდ, საბჭოთა ოქმატიკის ნიმუშების გაჩენისას სიმღერები თავდაპირველად თუ მხოლოდ ტექსტუალური თვალსაზრისით მიჰყებოდა საბჭოთა იდეოლოგიურ ქარგას და მასში ქართული ფოლკლორისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და რეგიონალური მრავალფეროვნება ასე თუ ისე შენარჩუნებული იყო, სულ მალე ნიმუშებში თანდათანობით გაიზარდა საბჭოთა ეპოქის საერთო მუსიკალური ტენდენციების გავლენა, რაც სწორედ ტრადიციული ფოლკლორული მუსიკალური მახასიათებლების შესუსტების ფონზე განხორციელდა (ჩხილავაძე 1970-1971:11). არსებული ცვლილებები ფოლკლორის განვითარების ბუნებრივ პროცესს არ მოუტანია, არამედ ეს საბჭოთა კულტურული იდეოლოგიის მიერ ჩანერგილი და მართული ტენდენციების შედეგი იყო, რასაც საბოლოოდ, ტოტალური სახე მიეცა.

იმდენად, რომ სულ მალე, ამა თუ იმ კუთხის ფოლკლორში ღრმად განსწავლული ლოტბარებიც კი საკუთარ სიმღერებში შედარებით მარტივი, საბჭოთა პერიოდში დანერგილი მუსიკალური ჟღერადობის დიაპაზონით შემოიფარგლენენ. ამასთან, ამა თუ იმ კუთხეში შექმნილი საბჭოთა სიმღერების უმრავლესობაში ადგილობრივი, რეგიონული მუსიკალური მახასიათებლები წაიშალა და ის საერთო საბჭოური ჟღერადობის ფარგლებში მოექცა. ბუნებრივია, კუთხეების მიხედვით ეს სურათი გარკვეულ სხვაობას იძლევა, მაგრამ არის რეგიონები, სადაც სრულად იქნა ნიველირებული ადგილობრივი მუსიკალური მახასიათებლები. ამის მაგალითს წარმოადგენს ეთნომუსიკოლოგ სოფიკო კოტრიკაძის მიერ ჩატარებული საბჭოთა პერიოდის აჭარული სიმღერების კვლევა, რომლის საფუძველზეც მეცნიერი ასკვნის, რომ „აჭარაში ჩატერილ საბჭოთა პერიოდის სიმღერებს მიანც და მაინც აჭარულ-შავშურ მუსიკალურ დიალექტს ვერ მივაკუთვნებთ, რადგან ამ კუთხის სასიმღერო ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები მათში აშკარად არ იკვეთება. აქედან გამომდინარე ამ ნიმუშებს აჭარულ საბჭოთა სიმღერებად ვერ განვიხილავთ: უფრო სწორია, მათ აჭარაში ჩატერილი საბჭოთა პერიოდის სიმღერები ვუწოდოთ“ (კოტრიკაძე, XX).

ფოლკლორის სფეროში მიმდინარე ზემოადნიშნულმა პროცესებმა ქართულ (ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების) ტრადიციულ მუსიკაში თვისობრივი გარდაქმნა მოახდინა და მრავალი მანამდე არაორგანული ელემენტი დაამკვიდრა. შედეგად, ქართული ხალხური მუსიკის რეგიონული, სტილური, საშემსრულებლო თავისებურებების მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად დაიკარგა და პირველწყაროსაგან საკმაოდ დაშორებული ფოლკლორული კულტურა სრულიად სხვა მიმართულებით – საბჭოთა მასობრივ ხელოვნებად განვითარდა.

პოლიტიკური ცნობიერების ხელახალ გარდატეხას დაემთხვა ქართული ფოლკლორის განახლების პროცესის შემდგომი ფაზა. 1970-80-იანებში ჩასახული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად, რომელიც საბჭოთა პერიოდამდელი ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ იღწვდა, ქართული ფოლკლორის განახლების ახალი ტალღაც საბჭოთა ფოლკლორამდელი ხალხური მუსიკის აღდგენასა და ხელახალ დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. 1960-იანი წლებიდან ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა ბალტიისპირეთშიც, სადაც საბჭოთა იდეოლოგიით შექმნილი „ეთნოგრაფიული გუნდების“ საპირისპიროდ,

სოფლად შემონახული საშემსრულებლო ტრადიციების აღდგენაზე ორიენტირებული კოლექტივები გაჩნდა (Kuutma, 1997: XX). 1970-იანების ბოლოს კი ბალტიისპირეთის ქავენებში უკვე მივიწყებული მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციების აღორძინებისთვის მებრძოლ „ნეო-ფოლკლორულ“ მოძრაობას ჩაეყარა საფუძველი (Račiūnaitė-Vyčinienė, 2012: 97). „უკან ფესვებისაკენ“ იყო ამ მოძრაობის მთავარი ლოზუნგი, რომელიც ჩანასახშივე დაუპირისპირდა საბჭოთა რეჟიმს (Boiko, 2001: 114).

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1957 წელს ჯანსურ კახიძის მიერ დაარსებული „შვიდკაცა“ მნიშვნელოვან საძირკველს ქმნის სასცენო ფოლკლორის კონცექსტში ქართული ტრადიციული მუსიკის რამდენიმე ძირეული საშემსრულებლო ტრადიციის აღსაღენად. მეტიც, გარაფანიძე „შვიდკაცას“ გაჩენას „ქართული ხალხური სიმღერის საკონცერტო ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებადაც“ კი მოიაზრებს და აღნიშნავს, რომ „სოკოებივით მომრავლებული დიდშემადგენლობიანი გუნდების ფონზე რვაკაციანი ჯგუფის გამოჩენა ნამდვილი სიახლე იყო“ (გარაფანიძე, 2007:100). ამასთან, „შვიდკაცამ“ ქართულ სცენაზე ასულ და ევროპულ აკადემიურ მანერაში მოქცეულ, შემდეგ კი საბჭოთა მასობრივი ხელოვნების მუსიკალურ რუპორად ქცეულ ფოლკლორს შესრულების ბუნებრივი მანერა და კუთხური კოლორიტი დაუბრუნა. თუმცა ხალხური სიმღერების გვერდით საავტორო და დამუშავებული ფოლკლორული სიმღერების მღერაც განაგრძო. შემდგომში დაარსებულმა გუნდებმა („გორდელა“, „რუსთავი“, „ფაზისი“ და ა.შ.) მეტ-ნაკლები ინტენსივობით აიტაცეს შვიდკაცასეული „ფოლკლორის ბუნებრივად შესრულების“ კურსი. მაგრამ ქართული სასცენო ფოლკლორის შემსრულებლობაში რადიკალური გარდატეხა მხოლოდ 1980 წელს განხორციელდა, როდესაც ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაფანიძემ ქართული ხალხური სიმღერის რამდენიმე მოყვარული შემსრულებელი ანსამბლ „მთიებში“ შეკრიბა.

აქედან დაიწყო ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებლობაში ახალი ეტაპი, დევიზით – სწორება ფოლკლორული ტრადიციის მატარებლებზე. იმავე ანსამბლ „მთიებმა“ სცენაზე ნებისმიერი მუსიკალური სირთულის ნიმუშის აუდირება ერთ-ერთ შემოქმედებით პრინციპად დანერგა, რაც შემდგომ, 1987 წელს დაარსებულმა ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მზეთამზემ“ ასევე აიტაცა. თუმცა ამ უკანასკნელმა ფოლკლორულმა ჯგუფმა სცენის სპეციფიკით განსაზღვრულ დროით რეგლამენტზე

უარი თქვა და თუნდაც გრძელი რიტუალური ფოლკლორული ნიმუშების ყოველგვარი შემოკლება-შეკვეცის გარეშე შესრულების პრაქტიკა დანერგა (რასაც ე. გარაფანიძე „სცენის კანონების გაუთვალისწინებლობად“ სახავდა).

უნდა ითქვას, რომ აქცენტი გაკეთდა არა მხოლოდ საკონცერტო ფოლკლორული რეპერტუარის დიაპაზონის გაზრდასა და ნიმუშების პირველადი ფორმით წარმოდგენაზე, არამედ სპეციფიკური ლოკალური საშემსრულებლო მანერის დაუფლებაზე, ადგილობრივი მუსიკალური კოლორიტის ზედმიწევნით ზუსტად გადმოსაცემად. შესაბამისად, ფოლკლორული მასალის ჩანაწერებიდან შესწავლა თანდათან უმთავრეს სასწავლო მეთოდად იქცა. 1980-იანებში „მთიებისა“ და „მზეთამზეს“ მიერ შემუშავებული ხალხური მუსიკის შემსრულებლობის ეს ხაზი მაღევე განაგრძო „ანჩისხატის ტაძრის გუნდმა“, რომელთაც არა მხოლოდ ქართული ფოლკლორის ვირტუოზული შესრულებით გაითქვეს სახელი, არამედ ქართული ტრადიციული გალობის საღვთისმსახურო პრაქტიკაში დაბრუნების მისიაც იკისრეს. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსგავსი საშემსრულებლო მიმართულების მქონე არაერთი ანსამბლი ჩამოყალიბდა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად განაპირობა შემსრულებელთა დაინტერესება ტემპერირებული წყობის საუკუნოვანი ლიდერობის პირობებში თითქმის გამქრალი ქართული ტრადიციული მუსიკის ორიგინალური წყობების აღდგენით. შედეგად, გარკვეული მეცნიერ-შემსრულებლები სწორედ ამ მიმართულებით სპეციალიზდნენ (მაგ. ეთნომუსიკოლოგი მალხაზ ერქვანიძე, რომელმაც საკუთარი კვლევის შედეგების პრაქტიკაში რეალიზება 2000-იანებში დაარსებულ ფოლკლორულ ჯგუფ „სახიობაში“ განახორციელა; 2010-იან წლებში კი, ამ საკითხის შესწავლაში წვლილი შეიტანეს „ანჩისხატის ტაძრის გუნდის“ მომდერლებმა ლევან ვეშაპიძემ და ზაალ წერეთელმა). ამასთან, გარკვეულ ტენდენციად იქცა ფონჩანაწერების ზუსტი ასლის გაკეთება, რასაც ედიშერ გარაფანიძე სწორედაც რომ ფოლკლორული ტრადიციის საწინააღმდეგო პროცესად მიიჩნევდა: „ესა თუ ის ნიმუში პირველწაროს „ფოტოგრაფიული ასლია“, რის გამოც უკანა პლანზე გადადის იმპროვიზაციის ელემენტი“ (გარაფანიძე, 2007:111).

ეველაზე დიდ სირთულეს სცენის კონტექსტში მოქცეული ქართული ფოლკლორული მუსიკის ბუნებრიობის შენარჩუნება წარმოადგენდა, მით უფრო, იმპროვიზირების ტრადიციის შეზღუდვის პირობებში. ამ პრობლემის გადასაწყვეტად,

ანსამბლმა „მთიებმა“ ქართული ხალხური მუსიკის შესრულება ფოლკლორისთვის ყველაზე ბუნებრივი, სინკრეტული ფორმით განიზრახა. „მთიები“ შეეცადა ფოლკლორული ყოფა შესაძლებლობისამებრ გადმოეტანა სცენაზე და ყველა იმ აუცილებელი ელემენტით დაეტვირთა, რაც, საბოლოო ჯამში, ფოლკლორული ხელოვნების სინკრეტიზმს ქმნის. შესაბამისად, ეთნოგრაფიული მასალით გამდიდრებული სასცენო დეკორაციების ფონზე მომღერალი გუნდი საცეკვაო ელემეტებით, შესტიკულაციით, რიტუალური ქმედებებით, ხშირად წინასწარ დაუგეგმავი მხატვრული გადაწყვეტებით „თამაშობდა გლეხს“. თუმცა ფოლკლორის მსგავსი ტიპით წარმოდგენამაც ვერ დაძლია სცენის სპეციფიკა და „მთიების“ მიერ გათამაშებული რიტუალები და ფოლკლორული ყოფის დამახასიათებელი სხვა სცენები ეთნომუსიკის თეატრის კონტექსტში მოექცა.

როგორც ვხედავთ, ქართული ხალხური მუსიკის განახლების ყოველი ეტაპი სასცენო ფოლკლორის განვითარების ახალ ფაზად იქცა და მნიშვნელოვნად გასცდა ტრადიციული მუსიკის განვითარების ბუნებრივ ხაზს, რომელიც დღევანდელი გლობალიზებული გარემოს პირობებშიც მეტ-ნაკლებად მიმდინარეობს ფოლკლორული ტრადიციის მატარებელთა გარემოში.

მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ამ ქვეთავში უკვე მიმოხილული პროცესები ფოლკლორული მუსიკის განახლების მხოლოდ ერთ მიმართულებას – სასცენო ფოლკლორსა და ისტორიულ პერსპექტივაში მისი ტრანსფორმაციის პროცესს ასახავს. ქართული ფოლკლორის განახლების ფარგლებში გაჩენილი მეორე ძირითადი მიმართულების, პოპ-ფოლკის დაწვრილებით ანალიზს, როგორც ამ თავის შესავალში აღინიშნა, ჩვენი სადისერტაციო კვლევის მიზნების ფარგლებში არ მოვიაზრებთ, თუმცა ამ მუსიკალურ მიმართულებაში გამოკვეთილ რამდენიმე ძირითად ტენდენციაზე მაინც შევაჩერებთ ყურადღებას.

როგორც II თავის შესავალში უკვე აღვნიშნეთ, პოპ-ფოლკი (ფოლკლორის წრეებში აქამდე ცნობილი, როგორც „ფსევდო-ფოლკლორი“) ფოლკლორული ელფერის მქონე, თანამედროვე საქართველოში ძალზე პოპულარული მუსიკალური მიმართულებაა. ფოლკლორული მუსიკის ზოგიერთი ელემენტის, მათ შორის, ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების (ძირითადად, ფანდური) გამოყენება, ამ მუსიკას ფოლკლორის ფენომენთან აახლოვებს. თუმცა როგორც, ზოგადად, ფოლკლორული ხელოვნების მახასიათებლების (ანონიმურობა, ზეპირი გადაცემა,

კარიანტულობა), ისე ქართული მუსიკალური ფოლკლორის კანონზომიერებებისა და მისი მრავალფეროვნების (მრავალხმიანობის ფორმებისა თუ დიალექტური მუსიკალური მახასიათებლების თვალსაზრისით) არარსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ მუსიკალური მიმართულების ფოლკლორისგან განსაცალკევებლად. ფოლკლორული მუსიკის ახლებურად გააზრებული ზოგიერთი ელემენტის გვერდით, ამ მუსიკისთვის დამახასიათებელია დემოკრატიულობა, ფართო გავრცელება და სტანდარტიზებული ტექსტი, რაც მას ფოლკლორული და პოპ-მუსიკის თავისებურებების ერთგვარ სიმბიოზად წარმოგვისახავს. ამდენად, საკსებით ლოგიკურად მიგვაჩნია ამ მუსიკალური მიმართულების ტერმინ პოპ-ფოლკით სახელდება, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი კარგად ირეკლავს ამ ფენომენის მუსიკალურ სახეობრიობას. ამ მუსიკალურ მიმართულებას, მიუხედავად მისი სინთეზური ბუნებისა, ფოლკ-ფიუჟენის ქვეშ არ მოვიზრებთ, რადგან მასში გაერთიანებული მუსიკალური ელემენტები ცალ-ცალკე მხატვრულად სრულქმნილ ორ დამოუკიდებელ მუსიკალურ მიმართულებას კი არ წარმოადგენენ, არამედ ამ მიმართულებებთან კავშირს მხოლოდ ირიბად და ერთგვარად, მეტაფორულად ამჟღავნებენ (პოპ-ფოლკის შემთხვევაში, ქართულ ფოლკლორსა და პოპულარულ მუსიკასთან).

მიუხედავად მისი პოპულარობისა, ეს მუსიკა დღემდე არაა ღრმად გამოკვლეული ქართველი ეთნომუსიკოლოგების მიერ, რომელთა ნაწილსაც (ისევე, როგორც ფოლკლორული წრის წარმომადგენელთა უმრავლესობას) ის არალეგიტიმურ მუსიკალურ სტილად მიაჩნია. ეთნომუსიკოლოგი თამაზ გაბისონია, ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქართველ მკვლევრებს შორის, რომელთაც ამ მუსიკის შესახებ დაუწერიათ. მისი მოსაზრებით, ესაა „ეთნიკურად შეფერილი არააკადემიური მუსიკა, რომელიც საზრდოობს ფოლკლორული ან ფსევდო-ფოლკლორული მოტივებით. ძირითადად, ხასიათდება ზეპირი გადაცემით, მსმენელთა გარკვეულ სეგმენტი დიდი პოპულარობით და ფსევდო-ფოლკლორის სახელწოდებით“ (Gabisonia, 2014:39). უნდა დავაზუსტოთ, რომ თავად შემსრულებლები/მსმენელები არ იყენებენ ტერმინ „ფსევდო-ფოლკლორს“ საკუთარი მუსიკის სახელდებისთვის, რადგან ერთგვარად დამამცირებელ სახელწოდებად მიაჩნიათ, ამიტომ თვითიდენტიფიკაციის სხვა პრაქტიკას მისდევენ – ძირითადად, საკუთარ მუსიკალურ სტილს ფოლკლორად წარადგენენ, რაც ყველაზე მეტ გაზიდიანებას იწვევს ქართული ფოლკლორის

სფეროს წარმომადგენლებში და კიდევ უფრო ამძაფრებს ფარულად მიმდინარე კონფლიქტს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველი ეთნომუსიკოლოგები ამ თანამედროვე, ფოკლორით შთაგონებული მუსიკის კვლევით არც თუ ისე აქტიურად არიან დაკავებული. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ რამდენიმე მეცნიერმა დაიწყო საკუთარ ნაშრომებში ამ საკითხის გაუღერება, ძირითადად იმ მიზნით, რომ მუსიკის ამ მიმართულებისთვის უკეთესი სახელი მოექმნათ, გაიაზრეს რა ტერმინ „ფსევდო-ფოლკლორის“ გამკიცხავი კონოტაცია. მათგან, თამაზ გაბისონია გვთავაზობს ტერმინს „პარაფოლკლორი“, როგორც ფენომენი, რომელსაც არ აქვს კავშირი ხალხური მუსიკის ტრადიციულ მიმართულებასთან და ამის პარალელურად ვითარდება” (Gabisonia, 2014:39). მისი მოსწავლე მალხაზ რაზმაძე უკმაყოფილებას გამოხატავს თანამედროვე მუსიკალური სტილის ქართულ ხალხურ მუსიკასთან არევის გამო და იყენებს ტერმინს „მოდერნიზებული ფოლკლორი“ (რაზმაძე, XX:10). სოფიო კოტრიკაძე ახლადშექმნილ სიმღერებზე ქართული ფოლკლორის ჭრილში საუბრისას მტკიცებ გამოყოფს ტრადიციულ ფოლკლორს პოპულარული ფოლკლორისგან, რომელსაც „საავტორო სიმღერების“ სახელით მოიხსენიებს: „შეიძლება ითქვას, რომ დამუშავებული და გაკეთებული სიმღერები ტრადიციული ნიმუშების სახეცვლილი ვარიანტებია, ხოლო საავტორო სიმღერები თვითმოქმედ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი ნიმუშებია, რომელთა უმეტესობა ტრადიციულ მუსიკალურ კანონზომიერებებს ემყარება, თუმცა თემატურად ერთ შემთხვევაში საბჭოურ, ხოლო ჩვენს თანამედროვეობაში სატრანსლარო ან პატრიოტულ მოტივებს უკავშირდება” (კოტრიკაძე, XX:5).

ჩვენ მიერ პოპ-ფოლკად სახელდებული ეს მუსიკალური სტილი ტრადიციული მუსიკალური ელემენტების მოდერნიზაციით იქმნება. ძირითადად, აღმოსავლეთის მთის კუთხებისთვის (როგორც საქართველოს, ისე ჩრდილო-კავკასიის) დამახასიათებელი კილო-ჰარმონიისა და მელოდიური ინტონაციების გამოყენებით, რადგან ავტორთა უმრავლესობა სწორედ მთიანი რეგიონებიდანაა ქალაქში მიგრირებული. სიმღერების ტექსტების მთავარი მოტივი სასიყვარულო თემატიკა, სამშობლოს დიდება, ძლიერი ქართველი ვაჟების იდეალიზებული ასახვა. სიმღერები ქართული ტრადიციული ინსტრუმენტების ტრანსფორმირებული

ანალოგების თანხლებით სრულდება, რომელთა შორის ყველაზე პოპულარული ფანდურია. როგორც ვიცით, საბჭოთა პერიოდში, ფოლკლორული ინსტრუმენტული ორკესტრის ტრადიციის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, დიატონური ფანდურის ქრომატული წყობის ინსტრუმენტად გარდაქმნა ერთგვარ ტენდენციად იქცა და მალე ამ ინსტრუმენტის გარკვეული ვარიაციებიც შეიქმნა (მაგ. ბას ფანდური). არსებობს ფანდურის უფრო რადიკალური ტრანსფორმაციის მაგალითებიც, მეტალის დამჭერებითა თუ სიმებით, ხმის გამაძლიერებლებით და მისი ელექტრო-ინსტრუმენტებთან კომბინაციით, რაც აქტიურადაა ათვისებული პოპ-ფოლკის შემსრულებელთა მიერ.

უნდა ითქვას, რომ ტრადიციული მუსიკის მიმდევართა კრიტიკის მიუხედავად, მედიისა და ინტერნეტის საშუალებით უკვე ფართოდ გავრცელებული მუსიკის ეს მიმართულება თანამედროვე საქართველოში ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით, ისეთ სოციალურ ჯგუფებში, როგორიცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლები, გარე მოვაჭრეები და უბრალოდ, ფანდურზე შემსრულებელი ახალგაზრდები, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან დიდ ქალაქებში არიან გადმოსახლებული. ხშირად შეხვდებით მათ შესრულებას საზოგადოებრივ ადგილებში: ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან პარკებში, თუმცა მათი მოტივი ყოველთვის შემოსავლის გამომუშავების ფაქტორი არაა, არამედ, მსგავსი შესრულება ხშირად გართობა-თავშექცევისა და თანატოლებთან სოციალური ინტერაქციის მიზანს ემსახურება.

ფანდურის ასეთი პოპულარობის გამო კანადელი ეთნომუსიკოლოგი მეთიუ ნაითი პოპ-ფოლკის მთელ ამ მუსიკალურ სტილს „ფანდური პოპ“-ის ტერმინით მოიხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მუსიკაში ხშირად სხვა ინსტრუმენტებიც ფიგურირებს (არა მხოლოდ ტრადიციული). დღევანდელ საქართველოში ამ ტიპის მუსიკის ტოტალური გავრცელების გამო ტურისტებს ხშირად ის შეცდომით ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობად მიაჩნიათ, რომელსაც იცნობენ, როგორც UNESCO-ს მიერ აღიარებულ კულტურულ ფენომენს. ამასთან, ზოგიერთ ცნობილ პოპ-ფოლკ შემსრულებელს საზღვარგარეთაც იწვევენ ფოლკლორულ ფესტივალებსა თუ ქართველი ემიგრანტებისთვის გამართულ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად. შესაბამისად, პოპ-ფოლკ შემსრულებლები, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის სახელის ერთგვარი გამყალებელები

ხდებიან, რაც უდიდეს პროტესტს იწვევს ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებელთა და მკვლევართა შორის, რომელთაც სჯერათ, რომ ასეთი მუსიკოსები აზიანებენ ქართულ ფოლკლორს. რეალურად, ხალხური მუსიკის შემსრულებელთა უმრავლესობამ პირად საუბრებში აღნიშნა, რომ თავად პოპ-ფოლკ მუსიკა ნაკლებ გამაღიზიანებელია მათვის, ვიდრე ის ფაქტი, რომ ეს მუსიკოსები საკუთარი შემოქმედების ფოლკლორად პრეზენტაციით, ქართული ფოლკლორის ავტორიტეტს „საკუთარი სარგებლისთვის იყენებენ“.

ამდენად, საზოგადოების გარკვეული ნაწილის (ძირითადად, ქართული ფოლკლორის მსმენელები და შემსრულებლები) აზრით, ეს შედარებით ახლად წარმოშობილი, მაგრამ ძალზე პოპულარიზებული მუსიკა რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ქართული ტრადიციული მრავალხმიანობისთვის, რადგან თანამედროვე პოპ-ფოლკ მუსიკოსები ზოგჯერ თავად ხალხურ სიმღერებსაც მიმართავენ და მათ არანუირებასა თუ ახლებურად ინტერპრეტაციას ახდენენ, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფუნდამენტური მახასიათებლების ყოველგვარი გათვალისწინების გარეშე. მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელებული პოპ-ფოლკ მუსიკის ელემენტები, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის მუსიკალურ მახასიათებლებს ეფუძნება და ბურდონული მრავალხმიანობის გამარტივებულ ვერსიას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი ქართული მუსიკალური ფოლკლორისთვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის ოთხი ტიპიდან მხოლოდ ერთ-ერთია. ამდენად, ქართული ტრადიციული მუსიკის უნიკალობის განმსაზღვრელი მრავალხმიანობის ფორმების მრავალფეროვნება, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დადგეს სწორედ მრავალხმიანობის გამარტივებული ფორმების, შეზღუდული რაოდენობის პარმონიებისა და სტანდარტიზებული მელოდიური ინტონაციების ვირუსული გავრცელების გამო. მით უფრო იმ პირობებში, როცა ყოველივე ეს ხშირად ქართული ფოლკლორის სახელითაა გავრცელებული. ყოველივე ეს, მაღაზ რაზმაძის აზრით, „ქართული ხალხური მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა და გარკვეულწილად ქართველი ხალხის სიამაყის საგნის სახელის დაკნინებას ემსახურება. საჭიროდ მიმაჩნია, მოხდეს ზუსტი იდენტიფაკაცია ამ მოვლენისა, რაც შექმნის იმის წინაპირობებს, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის სხვადასხვა გზა მოიძებნოს“ (რაზმაძე, XX:1).

უოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ძალზე აქტუალურ სამეცნიერო პრობლემატიკად გვესახება ამ მუსიკალური მიმართულების სიღრმისეული კვლევა და სათანადო სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება, რაც, შესაძლოა, თავად ამ მუსიკის შემსრულებლებმაც აითვისონ. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტერმინი პოპ-ფოლკი ამ მუსიკის ზემოთ განხილულ თავისებურებებს მკაფიოდ აირეკლავს. ამასთან, პოპ-ფოლკი ნაკლებ სამეცნიერო, ბევრად დემოკრატიული და საერთაშორისოდ აღქმადი ტერმინია, რომლის გამოყენება თავად მუსიკოსების თვითწარდგინებისთვისაც გაცილებით მოსახერხებელი შეიძლება იყოს.

როგორც ვხედავთ, ამ მუსიკალური მიმართულების სიღრმისეული კვლევა, მათ შორის, ტერმინოლოგიური მიმართულებით, მეტად მნიშვნელოვანია და ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ჯერჯერობით კი საკუთარი შემოქმედების წარსადგენად ქართულ ფოლკლორულ ჯგუფად სახელდება ამ მიმართულების მუსიკოსებისთვის ისევ უაღმერნატივოა, რაც კიდევ უფრო ზრდის მავანთა მიერ ქართული ტრადიციული მუსიკის რეპუტაციით სარგებლობისა და მსმენელთა შეცდომაში შეყვანის შანსს, მეცნიერებს კი ცხადად გვიჩვენებს შესაბამისი დეფინიციის შემუშავების პრობლემის აქტუალობას.

ქვეთავი II

ქართული ფოლკ-ფიუჟენის ჩასახვიდან მის თანამედროვე გამოვლინებამდე

ამ ქვეთავში ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების მესამე და ჩვენი სადისერტაციო კვლევისათვის ცენტრალურ მუსიკალურ მიმართულებას, ფოლკ-ფიუჟენს წარმოვადგენთ. კერძოდ, ჩვენი მიზანია, ისტორიულ დინამიკაში დავაკვირდეთ ქართული ფოლკ-ფიუჟენის საწყისების გაჩენისა და განვითარების მრავალწლიან პროცესს (1920-30-იანი წლებიდან ვიდრე XXI საუკუნემდე) და იმ ძირითადი სოციო-პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენების ჭრილში წარმოვადგინოთ, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ამ მუსიკალური მიმართულების გაჩენის აუცილებლობა და წარმართა მისი შემდგომი კურსი. ამდენად, ამ ქვეთავში ქრონოლოგიურად იქნება განხილული ქართული ფოლკ-ფიუჟენის მეორე რიგის

ქოლგა ტერმინში შემავალი ძირითადი ქვე-მიმართულებების (ეთნო-ჯაზი, ფოლკ-როკი, ფოლკ-ალტერნატივა, პროგერსივ-ფოლკი) ისტორია.

გავრცელებული მითის – „საბჭოთა კავშირში ჯაზი მუდამ აკრძალული იყო“ – საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ 1920-იან წლებში ჯაზი არა მხოლოდ პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში, არამედ უკვე მისი ადგილობრივი ანალოგი, ე.წ. „საბჭოთა ჯაზიც“⁹ არსებობდა, რომელიც შემდგომ ორი მიმართულებით განვითარდა. მისი თავდაპირველი ფორმა საესტრადო და მსუბუქი ინსტრუმენტული მუსიკა იყო, რომელსაც „სასიმღერო ჯაზს“ უწოდებდნენ¹⁰. 60-იანი წლები კი საბჭოთა ჯაზის ისტორიაში თვისობრივად ახალ ეტაპს წარმოადგენს, როდესაც ჯაზი და მსუბუქი მუსიკა ერთმანეთს გაემიჯნა და ჯაზი ახალი მიმართულებით განვითარდა – „აქცენტით ინსტრუმენტული ფორმების მიმართ“. როგორც ცნობილია, საბჭოეთში ყველანაირი „მსუბუქი“, „გასართობი“ მუსიკა (კლასიკური, ე.წ. „სერიოზული“ მუსიკის საწინააღმდეგოდ) ესტრადის კატეგორიაში ერთიანდებოდა (Adorno, 1941: 17-48), რომელიც დასავლური პოპულარული მუსიკის ლოკალური ანალოგი იყო და მის პარალელურად ვითარდებოდა. თავად ტერმინ „საესტრადო მუსიკას“¹¹ 30-იანი წლების შუა პერიოდისთვის რუსი კომპოზიტორისა და ჯაზ-ბენდ-ლიდერის, ლეონიდ უტიოსოვის საკონცერტო პრაქტიკაში ჩაეყარა საფუძველი, სადაც სინთეზირებული იყო ეროვნული მუსიკალურ-პოეტური მასალა, უცხოური თეატრალიზებული წარმოდგენებისა და ჯაზის ცალკეული ელემენტები. საქართველოში საესტრადო მუსიკა, ერთი მხრივ, ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორიდან აღმოცენდა (ცოცხალაშვილი, 2015: 40), მეორე მხრივ კი, შეითვისა როგორც რუსული საესტრადო

⁹1922 წლის 1 ოქტომბერს თეატრალური ხელოვნების საკავშირო ინსტიტუტის დიდ დარბაზში გამართული ვ. პარნახის ექსპერიმენტული ჯაზ-ორკესტრის („ჯაზ-ბანდი“) კონცერტი საბჭოთა ჯაზის დაბადების თარიღად ითვლება. თუმცა, რუსული საზოგადოება შავგანიანების ხელოვნებას პირველად 1873 წელს გაეცნო, როდესაც პეტერბურგში საგასტროლოდ ჩამოვიდა სპირიტულსების შემსრულებელი ამერიკელი სტუდენტების კაპელა „Fisk Jubilee Singers“ (ჯალიაშვილი, 1988: 64).

¹⁰ ამ მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობილი კომპოზიტორი და საბჭოთა ჯაზ-ორკესტრის ხელმძღვანელი უტიოსოვი თავადვე განმარტავს: „ჩემი ჯაზი შესაძლოა ჯაზად მხოლოდ ინსტრუმენტების გამო იწოდება, თორებ არსით სასიმღერო და თეატრალიზებული ორკესტრია“ (Медведев, 1987: 33).

¹¹ „ეს უანრი, რომელსაც ჯერ „თეატრალიზებული ჯაზი“, შემდეგ კი „სასიმღერო ჯაზი“ დაერქვა, ომის შემდეგ „საესტრადო მუსიკის“ სახელწოდებით დამკვიდრდა“ (ჯალიაშვილი, 1988: 71-72).

მუსიკის, ისე დასავლური ჯაზის თავისებურებები და თანდათან, საბჭოთა ესტრადის ქართული ანალოგი შექმნა.

საკუთრივ, ქართული ჯაზის საწყის ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 1945-46 წლები, როცა ჯანო ბაგრატიონის მიერ პირველი ჯაზ-ორკესტრი შეიქმნა და მიუხედავად იმ პერიოდში ჯაზისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე იარსება (ცქიტიშვილი, 2018: XX). ჯაზ-ორკესტრის რეპერტუარში, ძირითადად, საესტრადო სიმღერები იყო შესული, მათ შორის, დღემდე პოპულარული „ყვავილების ქვეყანა“. იყო შემთხვევები, როდესაც იმ დროის ანსამბლები თავის სახელწოდებებში ჯაზს მოიხსენიებდნენ, მაგრამ უშუალო კავშირი არ ჰქონდათ ამ უანრთან. მათ შემოქმედებაში უფრო საბჭოთა საესტრადო მუსიკის ელემენტები ჭარბობდა, სადაც აქტიურად ინერგებოდა ეროვნული საკრავები და ინტონაცია. ამის საილუსტრაციოდ მშვენიერი მაგალითია 1933-1934 წლებში თეატრ „შუქურასთან“ არსებული მუსიკალური კოლექტივი, „ჯაზ-ხურჯინი“. წყაროების არქონის გამო ქართული ხალხური ინსტრუმენტებით (ფანდური, ჩონგური, დოლი, დიპლიპიტო, სალამური, დაირა) დაკომპლეტებული ამ საესტრადო ტიპის ანსამბლის საშემსრულებლო სტილზე მხოლოდ სახელწოდებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ. შესაძლოა, ეს სახელწოდება განაპირობა მათ მუსიკაში ჩართულმა იმპროვიზაციულმა ელემენტმა, ან სულაც ხურჯინში „ჩაყრილი“ ჯაზის სატირულმა მეტაფორამ. დღეს ამაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეგვიძლია, ისევე, როგორც კირილ ზდანევიჩის ნახატზე „თბილისური ჯაზი“, რომელზეც ქართული ხალხური ინსტრუმენტების გვერდით ჯაზური საკრავებია გამოხატული. შესაძლოა, ეს ყოფილიყო ქართული ეთნო-ჯაზი, რომელიც შემდგომ, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ განვითარდა (ქარუმიძე, 2014: XX).

ეს მიზეზები, რა თქმა უნდა, 40-იანი წლების ბოლოს დაწყებული „ანტიკოსმოპოლიტიზმის“ კამპანიასთან¹² იყო დაკავშირებული. შეცვლილ საბჭოთა

¹² „ახალი ტენდენცია გამოიკვეთა 1946 წლის აგვისტოში, როცა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ანდრე უდანოვის სიტყვით გამოსვდას სამი რეზოლუცია მოჰყვა, რომლის თანახმად, „კომუნისტური ზნეობა“ ერთადერთი კრიტერიუმი იყო კულტურული საქმიანობისათვის. უფერებელი ეს სწრაფად გავრცელდა სხვა სფეროებზეც, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების, მეცნიერებებისა და მედიის. რეზოლუცია გულისხმობდა „კრიტიკისა და ოვითკრიტიკის“ გააქტიურებას რამდენიმე მიმართულებით: შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც საბჭოთა რეალობისა და მისი პრიორიტეტებისათვის „შეუსაბამო“ ჩანდა; დასავლეთისა და მისი კულტურული და სამეცნიერო დირექტულებებისადმი „პირფერობა“; „ბურუუაზიული ნაციონალიზმი“, თუმცა ეს, როგორც ჩანს,

პოლიტიკურ კურსეს – „მაქსიმალური დისტანცირება დასავლეთისგან“, იმპულსური რეაქციის სისწრაფით მოჰყვა ჯაზის აკრძალვა. მით უფრო, რომ ამ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა იდეოლოგიური დოქტრინა „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების“ შესახებ, რომლის მთავარი დანიშნულება იყო „საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის იდეების რუპორი გამხდარიყო“ (წურწუმია, 2015: 211). ბუნებრივია, რომ ამ პერიოდის საბჭოთა ხელოვანს ბევრ კომპრომისზე უწევდა წასვლა.

50-60-იან წლებში, ხრუშჩოვისეული „დათბობის“¹³ ლიბერალური კულტურული პოლიტიკის პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში ჯაზის სფეროში მოღვაწე ინსტრუმენტული ანსამბლების რიცხვი. ამ დროს ოფიციალური ცენზურა არა მხოლოდ კლასიკური მუსიკისა თუ ფოლკლორის შემსრულებლებზე ვრცელდებოდა. კიდევ უფრო მგაცრი მეთვალყურეობა იყო პოპულარული მუსიკის სფეროზე – „გასართობი“ ესტრადის წარმომადგენლებს არა მარტო ცენზურა, არამედ თავად „კაგებეც“ კი ამოწმებდა. საბჭოთა სოციუმის გარეგნულად ერთსახოვან, რუხი ფერებით დომინირებულ მასაში ყველასგან გამოირჩეოდნენ დასავლური მოდის გავლენით ჭრელ სამოსში გამოწყობილი ეს ახალგაზრდები, რომელთაც თავისი განსხვავებული იმიჯის გამო „სტილიაგას“ (стиляга¹⁴) უწოდებდნენ, მსგავსად დასავლური „პიპებისა“. თუმცა როგორც ვიცით, დასავლელი ახალგაზრდების გარეგნულ იმიჯს განსხვავებული ცხოვრების წესი და მკვეთრად გამოხატული სოციო-პოლიტიკური შეხედულებები სდევდა თან, ზემოთ ნახსენები საბჭოთა ახალგაზრდები კი, მხოლოდ საკუთარი ჩაცმის სტილით გამოხატავდნენ ირგვლივ გამეფებული რუხი ფერების ატმოსფეროს მიმართ თავიანთ პროტესტს.

მიუხედავად ასეთი წნევისა, 50-იანი წლებიდან ქართულ საბჭოთა რეალობაში ჯაზმა თანდათან მძლავრად მოიკიდა ფეხი: თბილისის კინოთეატრ „ამირანში“

ეოსმოპოლიტიზმის ანტითეზას წარმოადგენდა, რომელიც უნივერსალური და, შესაბამისად, ანტინაციონალისტურიც იყო” (Ro'i, 2017).

¹³ ესება 1950-იანი წლების შუა პერიოდიდან 1960-იანი წლების დასაწყისამდე ნიკიტა ხრუშჩოვის პარტიის თავმჯდომარეობის პერიოდს, როდესაც საბჭოთა კავშირში რეპრესიები და ცენზურა შემსუბუქდა. ხრუშჩოვის დათბობა უზრუნველყოფდა მეტ თავისუფლებას მედიაში, ხელოვნებასა და კულტურაში: საერთაშორისო ფესტივალების, უცხოური ფილმების, პოპულარული მუსიკისა შოუებისა და ა.შ. მეტ-ნაკლები დაშვების სახით (Khrushchev Thaw, 2013).

¹⁴ რუსული სიტყვა, რომელიც მოხდენილად ჩაცმის მოყვარულს ნიშნავს.

სეანსების დაწყებამდე ჯაზური რეპერტუარის შემსრულებელი საესტრადო ორკესტრი გაჩნდა; საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში დაარსდა გადაცემების ციკლი „ესტრადა და თანამედროვეობა“, რომელიც ხშირად სწორედ ჯაზური მუსიკის ისტორიას ეძღვნებოდა; 1956 წელს ფილარმონიის საესტრადო ორკესტრის სახელწოდება შეიცვალა „ჯაზ-ორკესტრით“, თუმცა მის ხელმძღვანელს, მესაყვირე გიორგი გაბისკირიას „ამერიკული მუსიკის პროპაგანდის“ გამო მუდმივად კონფლიქტური სიტუაციები ჰქონდა საბჭოთა პარტიულ მუშაკებთან, რის გამოც ისეთი საკონცერტო ნომერიც კი მოიგონა, რომელიც ჯაზს გროტესკული სახით წარმოადგენდა და ამით ოფიციოზისათვის მისაღებს ხდიდა¹⁵. ამ ყველაფერმა ახალი თაობის მრავალშრიან კულტურულ იდენტობაში შეფარვით ახალი, დასავლური ორიენტაციის ფორმირებას შეუწყო ხელი.

ჯაზის პოპულარიზაციის გზით დასავლური კულტურის პროპაგანდაში ყველაზე დიდი წელილი მაინც ამერიკული მიუზიკლის, „მზიანი ველის სერენადა“ გამოჩენამ შეიტანა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ათასობით ევროპული და ამერიკული კინოფილმი წამოიღო გერმანიიდან, რომლებიც 1948 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით კინოთვატრებში გაუშვეს¹⁶. ამ ე.წ. „ნადავლი ფილმებიდან“ საბჭოთა ადამიანებმა სრულიად სხვა ცხოვრება დაინახეს, სხვაგვარი ურთიერთობებითა და მოდის ტენდენციებით, რამაც მნიშვნელოვანი

¹⁵ „სცენაზე გამოჰქონდათ დიდი უკო პალმით. პიანისტი იწყებდა ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო ქონცერტის დაკვრას, ამ დროს უკო მჯდომი ადამიანის დახმარებით აალმა ლამაზად იშლებოდა, უცებ ჩაიკოვსკის მუსიკა წყდებოდა და სცენაზე წინ გამოსული გიორგი გაბისკირია თავის სამ მესაყვირსთან ერთად იწყებდა ცნობილი ამერიკელი მესაყვირის – პარი ჯემსის პიესის – „რაფსოდია თოხი საცეკვისათვის“ – დაკვრას, ამ დროს, პალმა ნელ-ნელა ჭენობას იწყებდა უკო მჯდომი ადამიანის დახმარებით, რომელიც პალმის ფოთლებს მათზე მიმაგრებული მავთულების საშუალებით დაბლა უშვებდა. ეს კურიოზული ნომერი დარბაზში სიცილს იწვევდა, ხოლო ჯაზური კომპოზიცია ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე სრულდებოდა“ (იაშვილი, 2009: 87).

¹⁶ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ათასობით კინოფილმი მოიპარა გერმანიიდან და ნადავლი მოსკოვთან ახლოს მდგბარე დასახლება ბელიე სტოლბიში დააბინავა. 1948 წელს მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, ეს ფილმები კინოთვატრებში გაეშვა. ასეც მოხდა და საბჭოთა მაყურებელმა პირველად იხილა უკანებზე ამერიკული, გერმანული და სხვა ევროპული ფილმები მარიკა როკის, დაგლას ფერბენქსისა და სხვა კინოვარსკვლავების მონაწილეობით. ხშირად ამ სურათების სათაურები შეცვლილი, ხოლო ტიტრები ამოღებული იყო. გადმოცემის მიხედვით, გაქირავებაში გასვლამდე სტალინი ე.წ. ნადავლი ფილმების უმეტესობას თავად სინჯავდა (გვახარია, 2018).

გავლენა იქონია მათზე. ცნობილი ქართველი დიპლომატი და პუბლიცისტი გელა ჩარკვიანი, რომელიც საბჭოთა მაღალჩინოსნის ოჯახში იზრდებოდა და შიდა პერსპექტივაშიც ხედავდა სისტემაში მიმდინარე პროცესებს, მიიჩნევს, რომ "Chattanooga Choo Choo"¹⁷-მ მეტი გააკეთა საბჭოთა კომუნიზმის ძირგამოსათხელად, ვიდრე ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ“ (ჩარკვიანი, 2018: XX).

„მზიანი ველის სერენადა“ ყველაზე ახლოს აღმოჩნდა ქართველი ადამიანის ბუნებასთან, რადგან ის მუსიკის და განსაკუთრებით, მრავალხმიანობის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო. გარდა იმისა, რომ ქართველებს მრავალხმად მდერის ტრადიცია მრავალი საუკუნეა მოსდევთ, ეთნომუსიკოლოგ იზალი ზემცოვსკის თეორიის თანახმად, ისინი „პომოპოლიფონიკუსებს“, ანუ მრავალხმად მოაზროვნე ადამიანთა ტიპს წარმოადგენენ, რომელთა „ცნობიერებაში მუსიკა არსებობს მრავალხმიანობის სახით. პოლიფონიური საზოგადოების თითოეულ წევრს მუსიკა ესმის პოლიფონიურად“ (Zemtsovsky, 2003: 47). ქართული ისტორიის ფურცლებში ამ თეორიის არაერთი დადასტურებაა ჩაკარგული და მოგვითხოვთ იმაზე, თუ როგორ გამრავალხმიანდა საქართველოში შემოსული სხვაკულტურული ერთხმიანი მუსიკა და ამ სახით დამკვიდრდა ქართულ კულტურაში. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა შუა საუკუნეების ქართული მრავალხმიანი გალობა, ქართველებმა გაქრისტიანების შემდეგ საბერძნეთიდან შემოსული მონოდიური ორთოდოქსული ჰიმნების ნაცვლად რომ შექმნეს (ფირცხალავა, 2003: 109-126). ამრიგად, გასაკვირი არ უნდა იყოს პოპულარული მუსიკით გატაცებული თანამედროვე ქართველების ამერიკული ჯაზის მრავალხმიანი ფორმებით დაინტერესება.

სწორედ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი 1954 წელს გურამ ბზვანელის ხელმძღვანელობით დაარსებულ პირველ ქართულ და ამ მიმართულებაში მეტად გავლენიან პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზ-კარტეტის (ეწ. „გეპეის კვარტეტი“) სტილშიც, რომელიც სწორედ „მზიური ველის სერენადაში“ მომდერალი მოდერნეარის (Modernaires) ვოკალური კვარტეტიდან იღებდა სათავეს. „გეპეის კვარტეტმა“, ერთი მხრივ, ზუსტად აითვისა მოდერნეარისეული ამერიკული ჯაზის ჰარმონია, მეორე

¹⁷ „Chattanooga Choo Choo“ ჰარი უორნის ავტორობით შექმნილი სიმღერაა, რომელიც თავდაპირველად, გლენ მილერის და მისი ორკესტრის დიდი ჯგუფის მიერ 1941 წლის ფილმში Sun Valley Serenade შესრულდა (Chattanooga Choo Choo, XX).

მხრივ კი, მას კარგად შეუხამა ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის თავისებურებები.

„გეპეის კვარტეტის“ გაჩენის შემდგომ ქართული საესტრადო მუსიკის სფეროში ფოლკლორისადმი მიმართვა თანდათან ტრადიციად იქცა, რამაც განაპირობა კიდევ საბჭოთა ესტრადის უზარმაზარ სივრცეში ორიგინალური ქართული საესტრადო მუსიკის ჩამოყალიბება. მიუხედავად საბჭოთა მუსიკისთვის დამახასიათებელი „ადგილობრივი წარმოების ელექტრო ინსტრუმენტების არარაფინირებული ელერადობისა და საყოველთაოდ გავრცელებული რუსული შლაგერების გავლენისა, ქართულმა საბჭოთა ესტრადამ მოახერხა ორიგინალური ნიშა მოეპოვებინა“ (ცქიტიშვილი, 2014: XX). საბჭოთა მუსიკოლოგიაში პოპულარული მუსიკის შესახებ პირველი სამეცნიერო სტატიების ავტორი ვალენტინა კონენი ერთ-ერთ ნაშრომში საგანგებოდ საუბრობს ქართული მრავალხმიანობის „განსაცვიფრებელ სილამაზეზე“. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც XIX საუკუნის რუსმა კლასიკოსებმა ვერ შეიგრძნეს ქართული მუსიკის თვითმყოფადი ბუნება, ქართულმა ესტრადამ ქართული ფოლკლორი გააცნო მთელ უკიდებანო საბჭოთა ქვეყანას, რადგან „ეს ჰარმონიები ჟღერს არა მხოლოდ ქართულ სოფლებში, არამედ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქში, სადაც ქართული საესტრადო ანსამბლები გამოდიან“ (Konen, 1975: 399). ამ უკანასკნელთა შემოქმედება რომ მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ მუსიკალურ ელემენტებს ეყრდნობოდა, როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირში უკვე ჩვეულ მოვლენად აღიქმებოდა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ 1978 წელს თბილისში ჩატარებული პირველი საკავშირო ჯაზ-ფესტივალი რუსმა მუსიკოლოგმა არკადი პეტროვმა მხოლოდ იმიტომ გააკრიტიკა, რომ „ქართველმა მუსიკოსებმა ფესტივალზე არ წარმოადგინეს ჯაზში ეროვნული მუსიკის ელემენტები“ (იაშვილი, 2009: 95).

იმ პერიოდის ოფიციალური ანუ ფილარმონიული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებიდან პირველი იყო „ორერა“, რომელმაც 1960-70-იან წლებში თავისი ფოლკლორული ელფერის მქონე კომპოზიციებით მთელი საბჭოეთი (და არა მხოლოდ) შემოიარა (■ მაგალითი №1). მიუხედავად იმისა, რომ „ორერა“ ფილარმონიული ანსამბლების რიცხვს განეკუთვნებოდა, მან მაინც შეძლო და განსხვავებული მუსიკის ელემენტები შეიტანა საკუთარ რეპერტუარში. უცხო ენების ინსტიტუტთან არსებული „ორერა“ პირველი ანსამბლი იყო, რომელმაც ინგლისურ

ენაზე დაიწყო სიმღერების შესრულება, მათ შორის, ბითლზების რეპერტუარიდანაც. ანსამბლის დამაარსებელი, რობერტ ბარძიმაშვილი იხსენებს: „იმ დროს აკრძალული იყო უცხოური სიმღერების რეპერტუარში შეტანა, მაგრამ ჩვენ ეს შეგვეძლო, რადგან პრაქტიკულ მეცადინეობაში გვეთვლებოდა” (გაბუნია, 2001). ქართული ხალხური ვოკალური მუსიკისთვის დამახასიათებელი სამღერისების ჯაზურ ინსტრუმენტაციასთან შერწყმის ორერასეული მიდგომა, „ქართული მელოდიები დასავლურ/ევროპულ ჰარმონიულ კონტექსტში, თუმცა „მოდერნიზებული ფოლკლორის“ საბჭოთა რეცეპტის შესაბამისად” (Ninoshvili, 2009: 411). ფაქტობრივად, „ორერა“ და მსგავსი მუსიკალური ორიენტაციის მქონე შემდგომი ფილარმონიული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები („დიელო“, „ივერია“, ანსამბლი „75“ და სხვ.) ქმნიდნენ იმ პერიოდის ქართულ საესტრადო მუსიკას, იმავე ქართულ საბჭოთა პოდ მუსიკას. ამ ანსამბლების შემოქმედებაში 1970-80-იანების დასავლური მუსიკის (იმ პერიოდის პოპის, მსუბუქი როკისა და სვინგის) და საბჭოთა ესტრადის (ძირითადად, რუსული შლიაგერების) მუსიკალურ სიმბიოზთან ორგანულად იყო შერწყმული ქართული ხალხური მუსიკის ელემენტები, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენთვის ნაცნობ ქართულ საესტრადო მუსიკას ქმნიდა. თუმცა, ზემოაღნიშნული მუსიკალურ-ტექნილოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ის ფოლკ-ფიუჯენის (ქართული ხალხური და დასავლური პოპულარული მუსიკის სინთეზური ფორმა) კატეგორიის ნაწილად, მის ადრეულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში პოპულარული მუსიკის და როკის ორი ფორმა თანაარსებობდა. პირველი იყო ფილარმონიული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, მეორე კი – „იატაკქვეშა“ როკ-კულტურა, ანუ ის როკ-ანსამბლები, რომლებიც თავიანთი მუსიკის რადიკალურობისა და გამოკვეთილად დასავლური იერის გამო არ იყო ოფიციალურად აღიარებული თუ მხარდაჭერილი (Tsitsishvili, 2005: 505-512). ამასთან, მათი უმრავლესობა საავტორო მუსიკას არ ქმნიდა და დასავლელი როკ-მუსიკოსების რეპერტუარს ასრულებდა, თუმცა არსებობდა გამონაკლისებიც. კერძოდ, გიტარისტი კაკო ვაშალომიძე, რომელიც არა მხოლოდ საავტორო კომპოზიციებს ქმნიდა, არამედ 70-იანი წლებიდან დაწყებული, აქტიურად მიმართავდა ქართულ ტრადიციულ მუსიკას. სწორედ ისინი იყვნენ ინსტრუმენტული როკის პირველი წარმომადგენლები, ვინც ადგილობრივი მუსიკალური სტილებისა და

დასავლური როკის ელემენტების შერწყმა დაიწყეს, იმ მოტივით, რომ ეს მუსიკა აუცილებელი იყო ჩვენი მომავლისთვის, ქართველი ერისთვის. ამ მუსიკოსების რეპერტუარი შედგებოდა ხალხური პირველწევაროს სახელწოდების მქონე კომპოზიციებისაგან („მწყემსური“, „ქალაქური“, „თუშური“ (კაკო ვაშალომიძე), „დიდავოი ნანა“, „არწივი“ (ბერმუხა) და ქართული ფოლკლორული ინტონაციების როკ-გიტარის იმპროვიზაციულ პარტიებში ორგანულ შერწყმას ისახავდა მიზნად (■ მაგალითი №2).

უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ქართულ როკში საპროტესტო განწყობა სპეციფიკური ფორმებით იყო გამოხატული (განსხვავებით მისი დასავლური პირველწევაროსაგან), რაც, შესაძლოა, არსებული უმკაცრესი ტოტალიტარული რეჟიმითა და კულტურული პოლიტიკით იყო განპირობებული, რომლის მიხედვითაც მხოლოდ კლასიკური მუსიკა, ხალხური მუსიკა და ჯაზი ითვლებოდა მუსიკის სერიოზულ და ღირსეულ ფორმებად. ქართული იატაკქვეშა როკი მხოლოდ იმ თვალსაზრისით იყო საპროტესტო, რომ „იგი გახდა საბჭოთა ცხოვრების შეზღუდული კულტურულ-საზოგადოებრივი და მუსიკალური გარემოცვისაგან გაქცევის, მუსიკალური გამოცდილების გაფართოების და დასავლურ ცხოვრებაზე ოცნების სიმბოლო“ (Tsitsishvili, 2005: 507), როგორც ეს ამ პერიოდის რუსული იატაკქვეშა კულტურის განვითარების შემთხვევაში ხდებოდა. თუმცა ქართულ როკში იყო რაღაც უფრო მეტი. ის, ამავდროულად, იყო საბჭოთა რეჟიმისგან შევიწროებული, დამოუკიდებლობადაკარგული ქართველი ახალგაზრდების პროტესტი და, ამ მხრივ, - ეროვნული იდენტობის რაიმე ფორმით დეკლარირების საშუალება. როგორც ციციშვილი აღნიშნავს, „ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, საქართველოში როკი ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის საშუალებადაც იქცა. ამის მაგალითია ხალხური ჰანგების ფართოდ გამოყენება“ (Tsitsishvili, 2005: XX). მეცნიერი სწორად შენიშნავს ამ პროცესის გაცნობიერებულობასა თუ გაუცნობიერებლობასაც, თუმცა დღეს, ისტორიული პერსპექტივიდან საუბრისას, ამაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეგვიძლია. ის კი ფაქტია, რომ ქართული ფოლკლორისადმი მიმართვა საკუთარი ეროვნული იდენტობის დაფიქსირების კარგი საშუალება იყო. ამავდრულად, ის ხელს უწყობდა ალტერნატიულად მოაზროვნე ახალგაზრდებში ფოლკლორული ჰანგების გავრცელებასა და ამ გზით, ფოლკლორისადმი მათი დამოკიდებულების შეცვლას -

საბჭოთა მუსიკალური ატრიბუტიდან კულტურული ინდივიდუალობის მარკერისაკენ. ამის დასტურია ფოლკ-ფოშქენ ჯგუფ „დეციშის“ დამაარსებლის, სამსონ ლეჟავას მოგონება, რომ მისი თაობა „ინსპირირებული იყო 1960-1970-იანების დასავლური მუსიკით და, ამასთანავე, საბჭოთა კავშირის მიერ განადგურებული ქართული ფოლკლორის „მნიშვნელობისა და სიღრმის“ აღდგენისათვის იღწვოდა“ (Ninoshvili, 2009: 412).

იატაკევეშა კულტურაში არსებული ამ საპროტესტო განწყობის სოციუმში უფრო ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო 1970-80-იანების საქართველოში იმ მკვეთრად დასავლური იდეოლოგიური ტალღის გაჩენამ, რომელმაც სიახლეებისაკენ მისწრაფებულ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებზე უდიდესი გავლენა მოახდინა. მისი მიმდევრები, პირველ რიგში, საკუთარი ცხოვრების სტილით გამოხატავდნენ პოზიციას – რადიო ტალღა „ამერიკის ხმაზე“ უსმენდნენ დასავლურ პოპულარულ მუსიკას, საბჭოთა კავშირის საზღვარს გარეთ კანტიკუნტად გაღწეული ადამიანების ან ქვეყანაში ჩამოსული ტურისტებისაგან ყიდულობდნენ დასავლური კულტურის ნებისმიერ ატრიბუტს – პოპულარული მუსიკის ფირფიტებიდან დაწყებული, საღეჭი რეზინითა და სიგარეტით დამთავრებული, ცდილობდნენ როგორმე მოქოვებინათ ყველაზე ძვირფასი განძი – არასაბჭოთა წარმოების, ნამდვილი ამერიკული ჯინსი. ყოველივე ეს შეზღუდული თავისუფლების კომპენსაციას და ერთგვარ იმიტაციას წარმოადგენდა. მსგავს ახალგაზრდებს „პაგებე“ ჩატმის სტილისა თუ თმის ვარცხნილობის მიხედვითაც კი გამოარჩევდა და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ პყავდა, როგორც პოტენციური „ხალხის მტრები“.

საბოლოოდ, ეს დასავლური ორიენტაციის, „კოსმოპოლიტური“ იდენტობის მატარებელი ახალგაზრდობა ეროვნული სულისკვეთებით სავსე ჯგუფს შეერწყა და 1980-იანების ბოლოს ქართული სოციუმი ერთადერთი იდეის – საქართველოს დამოუკიდებლობის მოქოვების გარშემო გაერთიანდა. აღნიშნული საზოგადოებრივი ცვლილებების შედეგად პოლიტიკურმა ცვლილებებმაც არ დააყოვნა და 1991 წელს ქართულმა სახელმწიფომ 70 წლით დაკარგული დამოუკიდებლობა აღიდგინა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქვეყნის სოციალურ-კულტურული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ერთი მხრივ, ქართული კულტურა და ხოგადად, საზოგადოება განთავისუფლდა საბჭოთა ცენტურის მარწუხებისაგან,

თუმცა, მეორე მხრივ, როგორც ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი ვარაუდობდა (ჩორთოლანი, 2016: XX), საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა მოპოვებული თავისუფლებისათვის – არც ეკონომიკურად და არც მენტალურად. მრავალი წლის განმავლობაში ერთიან საბჭოთა სისტემაში ჩართული ქვეყნის ახალ ეკონომიკურ გამოწვევებთან ადაპტაციას დიდი დრო დასჭირდა. ამას დაემატა პოლიტიკური კონფლიქტი და ორ ბანაკად დაყოფილი საზოგადოების დაპირისპირება, რაც სამოქალაქო ომში გადაიზარდა (1991-1993 წწ.). შიდა არეულობას მოჰყვა ომი იდეოლოგიურად რესეთის მიერ მართულ სეპარატისტულ ჯგუფებთან, რის შედეგადაც ოკუპირებული იქნა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ისტორიული ტერიტორიები (1991-1993 წწ.). ყველაზე დიდი დანაკარგი, განსაკუთრებით საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის ამ ბრძოლებში დაღუპული მრავალი ათასი ახალგაზრდა იყო, ვისაც დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი უნდა წარემართა. შესაბამისად, მამაკაცების გარეშე დარჩენილ უამრავ ოჯახს ქვეყანაში დამდგარ უმძიმეს ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობასთან გამკლავება მარტოს მოჟედა.

ბუნებრივია, ამ ვითარების გათვალისწინებით, 1990-იანების საქართველოში კულტურის სფეროს განვითარება აქტუალურ ამოცანას არ წარმოადგენდა და შესაბამისად, ეს პროცესი ძალზე ნელი ნაბიჯით წარიმართა. ეროვნული მოძრაობიდან ამოზრდილი ახალი, რადიკალური ფრთა, რომელმაც გარკვეული თვალსაზრისით, კომუნისტური იდეოლოგიური წნევი ჩაანაცვლა, ეროვნული ტალღის პირობებში საქმაოდ პრობლემატურად უყურებდა ახალგაზრდების საპროტესტო განწყობას და მისი გამოხატვის ფორმებს. „თუ ადრე, სისტემის მიერ თავსმოხვეულ ფასეულობებთან დაპირისპირებისას, საზოგადოების გარკვეული სიმპათია მეამბოხე ხელოვანთა მხარეს იყო, ახალ, „ეროვნულ“ იდეოლოგიასთან ნებისმიერი შეჯახება ამ უკანასკნელთა სრულ მარგინალიზაციას იწვევდა. ყველაზე მეტი სწორედ ახალი თაობის როკმუსიკოსებს მოხვდათ. მათი გარეგნობაც კი, როგორც პროვოკაცია, ისე აღიქმებოდა და დიდ გაღიზიანებას იწვევდა ფსევდოეროვნულ ბრბოში“ (ხადური, 2015: XX). თუმცა ამ ახალგაზრდების ცხოვრების სტილი თუ თვითგამოხატვის ფორმები, გარკვეულწილად, არსებული მძიმე სოციო-ეკომონიკური რეალობიდან იდეალისტური ილუზიისკენ გაქცევას ჰგავდა. 1990-იანების ქართული ალტერნატიული მუსიკის ერთ-ერთი ვარსკვლავისა და კრიტიკოსის, არტიომ ტროიცკის აზრით, ქართულ როკთან

ეთნიკური გაგებით ყველაზე ახლოს მდგომი მუსიკოსი (ცოცხალაშვილი, 2015: 49), ლადო ბურდული იხსენებს: „ჩემ გარშემო საზოგადოება იმდენად რადიკალური და აგრესიულად განწყობილი იყო, რომ სიმღერის დაწერა და დაკვრა მთელ სისტემასთან და იდეოლოგიასთან ბრძოლას ნიშნავდა, დაწყებული მშობლებიდან და დამთავრებული აეროპორტის მებაჟით“ (მაჭავარიანი, 2012).

ასეა თუ ისე, ეს პროვოკაციული გარეგნობის მქონე, დასავლური წარმომავლობის მუსიკის მიმდევრები ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად არა მხოლოდ ქართულ ენას, არამედ ზოგჯერ ქართული ფოლკლორული მუსიკის ელემენტებსაც მიმართავდნენ. ქართული ფოლკლორი კი იმ პერიოდის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთგვარ მუსიკალურ ლაიტმოტივს წარმოადგენდა. ამდენად, მიუხედავად ინტერესების ჭიდილისა, ის თავისი განვითარების გზას ქართული მუსიკალური საზოგადოების ორივე ფრთაში განაგრძობდა – ქალაქური ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარის, თუ 90-იანების დასაწყისში აყვავების პიგში მყოფი ქართული ალტერნატიული მუსიკის¹⁸ კონტექსტში.

ამ უკანასკნელი მიმდინარეობის ყველაზე გამოკვეთილი ფიგურები დადა დადიანი და ირაკლი ჩარკვიანი იყვნენ – ხელოვან-აქტივისტები, რომლებიც „ყოველთვის ცდილობდნენ შექმნათ ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით ორიგინალური და, რაც მთავარია, აქტუალური ქართული მუსიკა“ (ხადური, 2015: XX). 1993 წელს საცხოვრებლად ბრიტანეთში გადასვლამდე განხორციელებულ დადა დადიანის ბოლო პროექტს Georgian Dance Empire (ქართული ცეკვის იმპერია), სადაც ერთმანეთს ჰარმონიულად შეერწყა ხელოვანის ინტერესების სფეროები (ქართული ფოლკლორი, ბრიტანული ელექტრონული მუსიკა და ამერიკული ჰიპ-ჰოპი), დღემდე მუსიკოსის ერთ-ერთ საუკეთესო ალბომად თვლიან (☞ მაგალითი №3).

ამავე წელს გამოვიდა (გერმანიაში) ირაკლი ჩარკვიანის პირველი სოლო ალბომი Swan Song (გედის სიმღერა), რომელიც ქართული ალტერნატიული მუსიკის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ალბომადაა აღიარებული. ამ ალბომში უკვე გამოვლინდა ირაკლის „სიმარტივიდან სრულყოფილების შექმნის“ იშვიათი უნარი სწორედ მისი

¹⁸ აქ იგულისხმება ნაკლებად ინტენსიური როკის ვერსია და უფრო ინტენსიური პოპის ვერსია, რომელიც წესი, პოპის ზოგადი სახისგან გამოირჩევა. ალტერნატიული მუსიკის მრავალი ქვეკატეგორია არსებობს, მაგრამ მათგან ორია ძირითადი - ალტერნატიული როკი და ალტერნატიული პოპი. (Urban dictionary, 2018).

ქართულ ენაზე დაწერილი ღრმად ემოციური სიმღერებისა და მათი შესრულების მეტად გამომსახველი, ორიგინალური მანერის გამო. გასაკვირი არცაა ქართული ალტერნატიული კულტურის ერთ-ერთ ლიდერად რომ იქცა, რადგან გელა ჩარკვიანის ოჯახში გაზრდილი ირაკლი ბაგშვილიდანვე მიჩვეული იყო „არასტანდარტულ“ ხელოვნებას – სწორედ გელა ჩარკვიანია პირველი ქართული როკ-ოპერის („ნარგიზა“) ავტორი. ცხადია, ირაკლი, როგორც ხელოვანი ამ ერთგვარ პრივილეგირებულ მდგომარეობას თავადაც მშვენივრად აანალიზებდა, როცა წერდა: „იმ დროის, 1970-იანების პიკურ წლებში მუსიკალური კონტრკულტურის კერა ჩემი საკუთარი სახლი იყო და ჭეშმარიტი „ანდერგრაუნდი“, თანამედროვე ქართული ტექსტებით ჩემს ოჯახში იშვა“. ამდენად, არც თავად ერიდებოდა საკუთარი სათქმელის მუსიკისა თუ პოეზიის საშუალებით უკიდურესად მძაფრად გადმოცემას. მოგვიანებით, ფსევდონიმით „მეფე“, ცნობილმა მუსიკოსმა ქვეყანაში არსებული რეალობისადმი საკუთარი პროტესტი დაუფარავად გამოხატა 1999 წელს დაწერილ სიმღერაში „საქართველო“. ქართული ხალხური მუსიკის ელემენტები საუკეთესოდ გამოხატავენ სიმღერის ძირითად იდეას. კერძოდ, ქართული ფოლკლორული დასარტყამი ინსტრუმენტის, დოლის იმიტაცია მეტად ძლევამოსილ ატმოსფეროს ქმნის დასკვნითი ფრაზის გასაჟღერებლად - „ჩვენ მოვიგებთ ომს“. ამასთან, ქართული ქალაქური სიმღერის „პატარა გოგო დამეკარგა“ ციტირება სიმბოლიზირებს სამშობლოს (საქართველოს), რომელიც 1990-იანების სოციო-პოლიტიკურ ქაოსშია ჩაკარგული (☞ მაგალითი №4).

ეროვნული მუსიკალური ელემენტების ინკორპორაცია თვითგამოხატვის ფორმას წარმოადგენდა ქართული ეთნო-ჯაზის მიმართულებაშიც, თუმცა ტრადიციულად, მისი წარმომადგენლები სოციალური პოზიციის მანიფესტაციის თვალსაზრისით ნაკლებ აქტიურები იყვნენ, განსაკუთრებით 90-იანების ქართულ ალტერნატიულ მუსიკასთან შედარებით. მათ ერთგვარი მუსიკალური მოდელი უკვე ნაპოვნი პქონდათ, ერთი მხრივ, ჯაზისა და ქართული მუსიკის სინთეზის საბჭოთა გამოცდილების თვალსაზრისით, უფრო მეტად კი, 80-იანების მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული ჯგუფების, „ჯაზ-ქორალისა“ და „ადიოს“ მუსიკალური სტილის სახით.

ალექსანდრე კილაძის მიერ 1985 წელს შექმნილი „ჯაზ-ქორალი“ აქტიურ საგასტროლო მოღვაწეობას ეწეოდა საბჭოთა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. ჯგუფის ერთ-ერთი ვოკალისტის, ზურაბ ედიშერაშვილის ცნობით, 1987 წელს ჯგუფი

საბჭოთა კავშირის სახელით წარსდგა დანიაში, სტოკოლმის “All star” ფესტივალზე (ტატიშვილი, 2019). „ჯაზ-ქორალის“ შემადგენლობაში თერთმეტი ვოკალისტისა და ოთხი ინსტრუმენტალისტის (ფორტეპიანო, საქსაფონი/ფლეიტა, კონტრაბასი, დრამი) არსებობა უკვე მეტყველებს ჯგუფში მრავალხმიანი ვოკალური ანსამბლის ცენტრალურ როლზე. სწორედ, ვოკალურ პარტიაშია ჩაქსოვილი ქართული ფოლკლორული მუსიკის ელემენტები – ძირითადად, დასავლეთ საქართველოს მუსიკალური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ჰარმონიების, ინტონაციებისა და სამღერისების/გლოსოლალიების სახით. სწორედ აღნიშნული მუსიკალურ-საშემსრულებლო სპეციფიკის – ვოკალური ანსამბლისა და ჯაზ-ინსტრუმენტალისტების ერთობლიობა აყალიბებს „ჯაზ-ქორალს“ ეთნო-ჯაზის მუსიკალური მიმართულების კოლექტივად (► მაგალითი №1).

რაც შეეხება ჯგუფ „ადიოს“, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათი 1995 წლის ალბომი დღემდე ერთგვარ მუსიკალურ იდეალს წარმოადგენს ქართული ეთნო-ჯაზის მიმდევრებისთვის. მასში შემავალი კომპოზიციები ქართული ტრადიციული მუსიკის ელემენტებისა და ჯაზის შერწყმის სხვადასხვაგვარ ტექნიკაზეა აგებული და შესაბამისად, მრავალფეროვან კომპოზიციურ სპექტრს ქმნის (► მაგალითი №2).

უნდა ითქვას, რომ ქართული ეთნო-ჯაზ ჯგუფებიდან ყველაზე პოპულარული მაინც 90-იანებში დაარსებული და, ძირითადად, გერმანიაში მოღვაძე ქართული ეთნო-ჯაზ ჯგუფი „შინ“ გახდა, რომელმაც საერთაშორისო პროექტების საშუალებით არაერთ უცხოელ მუსიკოსთან ითანამშრომლა და, ამ მხრივ, საკუთარი ეთნო-ჯაზ კომპოზიციები ახალი ელემენტებით გაამდიდრა. ჯგუფი, მართალია გარკვეულად სახეცვლილი შემოქმედებითი კრედოთი, მაგრამ 2019 წლის ზაფხულამდე განაგრძობდა მოღვაწეობას, მაგრამ უკვრად მომხდარმა ტრაგედიამ (ჯგუფის ვოკალისტისა და დრამერის, მამუკა ლადანიძის გარდაცვალებამ) მისი არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ჯერ კიდევ 2015 წლიდან ჯგუფის ლიდერი, გიტარისტი ზაზა მიმინშვილი შტუტგარდში მის მიერვე დაარსებულ მუსიკის აკადემიაში საკუთარი ახალი მუსიკალური კონცეფციის, „ერთი მსოფლიოს მუსიკის“ განვითარება-პოპულარიზაციითა დაკავებული. როგორც თავად ხსნის, „ერთი მსოფლიოს მუსიკა“ მოიაზრებს ყველანაირი მუსიკალური სტილის, მიმდინარეობისა და ტრადიციის სინთეზის შესაძლებლობას, მათ შორის მისთვის საყვარელი მასალის – ქართული ფოლკლორული მუსიკის ინტონაციების, ინდური რიტმისა და შუა

საუკუნეების პოლიფონიის სინთეზსაც. ამ თვალსაზრისით, მუსიკოსის მუსიკალური მოღვაწეობა ეთნო-ჯაზის სფეროს უკვე გასცდა (მიმინოშვილი, 2019) (▣ მაგალითი №5).

საკუთარი მუსიკის საშუალებით ქართველებად და, ამავდროულად, მსოფლიო მოქალაქეებად წარმოაჩენენ თავს საქართველოში პროგრესივ-ფოლკის მიმართულების ჯგუფის, „დეციშის“ წევრებიც. 1994 წელს ლეჟავების საოჯახო ჯგუფის „ლეჟავები“ სახელწოდებით შექმნილი და მოგვიანებით, ჯგუფ „დეციშის“ სახელით ცნობილი კოლექტივი საქართველოში პროგრესივ-ფოლკის მიმართულების წამომწყებად შეგვიძლია ჩავთვალოთ (თავად ზოგჯერ “Contemporary Georgian ethno-music“-ად [თანამედროვე ქართული ეთნო-მუსიკა] მოიხსენიებენ საკუთარ სტილს). მათ კომპოზიციებში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ნიმუშები თუ ინტონაციები შერწყმულია ჯაზის, როკისა და პოპის ელემენტებთან, რაც ამ ჯგუფის მუსიკას პროგრესივ-ფოლკად აქცევს. ისინი „ცდილობენ ქართული ტრადიციული მუსიკის ლექსიკა და სინტაქსი გამოიყენონ ახალი, ორიგინალური სინთეზის შესაქმნელად და არა ფოლკლორის ძველი და სუფთა სახით აღდგენისათვის“ (Ninoshvili, 2009: 413). ახალი სტილის განვითარება განსაკუთრებით მათ ინსტრუმენტულ კომპოზიციებზე აისახება, რომლებშიც, ძირითადად, გიტარისა და ქართული ხალხური სიმებიანი საკრავების (ჩონგური, ფანდური) საშემსრულებლო თავისებურებების სინთეზის გზით ახდენენ უკვე არსებული ფოლკლორული თუ ფოლკლორულ სტილში დაწერილი საავტორო თემების ვარირებას (▣ მაგალითი №3).

ამავე პერიოდში (1994 წ.) დაარსდა პროგრესივ-ფოლკის მიმართულების ცნობილი ბენდი „ზუმბალენდი“, რომელმაც 2000-იანებში განსაკუთრებული პოპულარულობა მოიპოვა. მისი დამაარსებელი და ვოკალისტი, ქარიზმატული მუსიკოსი ზაზა კორინთელი („ზუმბა“) წლების მანძილზე აქტიურად იყო ჩართული ქართულ ფოლკლორულ ფესტივალ „არტ-გენის“ საორგანიზაციო ჯგუფში და ძირითადად, სწორედ ფესტივალის კონცერტებზე ხდებოდა ჯგუფის ახალი კომპოზიციების საქართველოში წარდგენა (ჯგუფი აქტიურ საგასტროლო მოღვაწეობას ეწეოდა, უმთავრესად, აღმოსავლეთევროპის ქვეყნებში). როგორც ჯგუფის წევრები განმარტავდნენ, თავდაპირველად, „უკრავდნენ ყველაფერს ტექნოს გარდა“, თუმცა 2006 წელს გამოცემული ალბომი „ადილა“ (ძირითადად, საკუთარ საექსპედიციო

მასალაზე დაყრდნობით) მკვეთრად პროგრესივ-ფოლკის მიმართულების პროექტია, რომელიც „არ არის გათანამედროვებული ქართული ხალხური მუსიკა – ეს არის მსოფლიო ფოლკლორის უძველეს არქტიპულზე დაფუძნებული თანამედროვე მუსიკა” (გეგუჩაძე, XX). ბოლო ალბომი, „Multi Test” კი ჯგუფმა 2011 წელს გამოსცა და შეფასებულია, როგორც პროგრესივ-ფოლკ და ჯაზ-როკ ალბომი (ცქიტიშვილი, 2012). მართლაც, მასში გაერთიანებული კომპოზიციები ერთი მხრივ, სხვადასხვა პოპულარული მუსიკალური სტილისათვის დამახასიათებელი რიტმებისა და დახვეწილი ინსტრუმენტული პასაჟების, მეორე მხრივ კი ქართული ფოლკლორული მუსიკის ელემენტებისა თუ ციტატების სინთეზითაა შექმნილი და ამდენად, სწორედ პროგრესივ-ფოლკის მიმართულების ალბომს წარმოადგენს (► მაგალითი №4).

როგორც ისტორიულ პერსპექტივაში წარმოდგენილი ქართული ფოლკ-ფიუჯენის ჩასახვისა და განვითარების აღრეული ეტაპების მიმოხილვიდან ჩანს, ქვეყანაში არსებული სოციო-კულტურული რეალობა და მისი ესა თუ ის პოლიტიკური კურსი მნიშვნელოვნად აირეკლა ამ მუსიკალურ მიმართულებაზე – ეს იქნებოდა საბჭოთა რეჟიმის ფარგლებში, მისადმი პროტესტის სადემონსტრაციოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვალდაკვალ თუ დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნის სოციო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარე მუსიკალური პროცესები, წამოწყებები თუ ექსპრიმენტები. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ფოლკ-ფიუჯენის ბუნებას, მისი შემადგენელი ორივე ჟანრობრივი კომპონენტის – ფოლკლორული და პოპულარული მუსიკის (განსაკუთრებით, როგორც და ალტერნატივის მიმართულებები) ერთ-ერთი მახასიათებელი სოციუმის აწმყოსეული მდგომარეობის უშუალო ასახვა და მასზე რეაგირებაა. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ქართული ფოლკ-ფიუჯენის კვლევა იზოლირებულად, მხოლოდ მუსიკალურ ჰრილში, არსებული სოციო-კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, ობიექტური სურათის შესაქმნელად საკმარისი არაა. შესაბამისად, დისერტაციის მომდევნო, III-IV თავებში შევეცდებით ამ ორი, მუსიკალური და სოციალოგიური ასპექტის მეტნაკლები ბალანსით წარმოვადგინოთ თანამედროვე ქართული ფოლკ-ფიუჯენის ანალიზი.

თავი III

ქართული ფოლკ-ფიტჟენის მუსიკალური და სოციალური ასპექტები

დისერტაციის ამ თავში განვიხილავთ ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების ფარგლებში გამოვლენილ თანამედროვე ფორმებს შორის ერთ-ერთ ცენტრალურს, ფოლკ-ფიტჟენ მუსიკას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ქართული ხალხური მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის ამა თუ იმ მიმდინარეობის სინთეზის შედეგად შექმნილ მუსიკალურ ერთეულს წარმოადგენს. ჩვენი დაინტერესება კონკრეტულად ამ მუსიკალური მიმდინარეობის კვლევით და, განსაკუთრებით, მის თანამედროვე ფორმებზე ყურადღების შეჩერებით, განპირობებულია როგორც საქართველოში ამ მუსიკალური მიმდინარეობის მდიდარი საფუძვლებით, ისე მისი მზარდი აქტუალობით დღევანდელ ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით საინტერესოდ გვმარტინება ფოლკ-ფიტჟენის მნიშვნელობა საერთაშორისო დონეზე ქართული კულტურის წარმოჩენის თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნული ფაქტორებისა, ფოლკ-ფიტჟენის მიმდინარეობა ჯერჯერობით არ მოხვედრილა ქართველი ეთნომუსიკოლოგების საკვლევ არეალში. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როგორიცაა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგის, ნინო ციციშვილისა და ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, ლორენ ნინოშვილის ნაშრომების მცირე ნაწილი (Tsitsishvili, 2005, 2009; Ninoshvili, 2009, 2010, 2011), თუმცა ისინი მხოლოდ ირიბად ეხებიან ფოლკ-ფიტჟენის მუსიკალურ მიმართულებას. ამდენად, არსებული სურათი კიდევ უფრო რთულსა და, ამავდროულად, აქტუალურს ხდის ამ უკანასკნელის კვლევას.

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ თანამედროვე ფოლკ-ფიტჟენში არსებული მრავალფეროვნება. ერთი მხრივ, ქართული ხალხური მუსიკის ელემენტების გამოყენების ამა თუ იმ ფორმის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, ამ უკანასკენლის პოპულარულ მუსიკასთან სინთეზში მიღებული ახალი მუსიკალური ერთეულების ორიგინალობისა და გამოვლენის ინდივიდუალური პრაქტიკის კუთხით. ამასთან, მიზნად ვისახავთ ზოგადად, ფოლკ-ფიტჟენის მსგავსი მიმართულების მუსიკალური ანალიზის შესაძლო ვარიანტების განხილვას და შედეგად, ქართული ფოლკ-ფიტჟენისათვის ყველაზე ტიპური მოდელის გამოვლენას,

რომელსაც გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული ქართული ფოლ-ფიუჟენ ჯგუფის/პროექტის ანალიზისას გამოვიყენებთ.

შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის მესამე, ფოლკ-ფიუჟენის კვლევისადმი მიძღვნილ თავში ამ მუსიკალური მიმართულების ანალიზს ორი განსხვავებული – მუსიკალური და სოციოლოგიური პერპექტივიდან ვახორციელებთ. ამდენად, I ქვეთავი ეძღვნება ფოლკ-ფიუჟენისათვის კველაზე შესაფერისი მუსიკალურ-საანალიზო სისტემის შემუშავებას და შემდგომ, ამ სისტემის მიხედვით, სხვადასხვა კრიტერიუმით შერჩეული ფოლკ-ფიუჟენ ჯგუფების/პროექტების შემოქმედების მუსიკალურ ანალიზს. II ქვეთავში კი ქართულ ფოლკ-ფიუჟენს სოციოლოგიური პერსპექტივიდან შევისწავლით, და მისი შემსრულებლებისა და მსმენელების მოტივაციის საკითხის სხვადასხვაგარ ანალიზს წარმოვადგენთ.

ქვეთავი I

ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალური ფორმაქმნადობის პრინციპები

2000-იანი წლებიდან, გლობალიზაციისა და ინტერნეტ-გავრცელების გავლენით, დასავლური მუსიკის უახლესი ტენდენციები კიდევ უფრო აქტიურად შემოვიდა საქართველოში. ამასთანავე, 0768სპოს მიერ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის „მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად“ აღიარებამ კიდევ უფრო გააძლიერა მსოფლიოში ქართული მრავალხმიანობისადმი გაჩენილი ინტერესი, შესაბამისად, გაიზარდა მისი პრესტიჟი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ამ პროცესმა დადებითი გავლენა მოახდინა ქართული ფოლკლორისადმი, როგორც შემოქმედებითად აქტუალური მუსიკისადმი ინტერესზე და საგრძნობლად გახშირდა სხვადასხვა მუსიკალურ ექსპერიმენტში ქართული ხალხური მუსიკის ელემენტების გამოყენების ფაქტები (როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე). შედეგად, ქართული ფოლკ-ფიუჟენ მუსიკის ხტილური მრავალფეროვნება გაიზარდა და ადგილობრივი ფოლკ-ფიუჟენ სცენა ბევრად მრავალწახნაგოვანი გახდა. შესაბამისად, მრავალი ურთიერთგადამკვეთი წერტილის არსებობის გამო, დღეს

საკმაოდ რთულია ფოლკ-ფიუჟენში შემავალი მკვეთრად გამოხატული საზღვრების მქონე ქვემიმართულებების გამოვლენა-დეფინირება. ამიტომ ხშირად მკვლევრები თავად მუსიკოსების მიერ შემოთავაზებულ სახელდებას ვიყენებთ, თუ, რა თქმა უნდა, მათი სახელდება ობიექტურად ასახავს ჯგუფის/პროექტის მუსიკალურ ორიენტაციას. თუმცა, როგორც სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიაში საკმაოდ მძლავრია მიდგომა ყოველგვარი კატეგორიზაციისა და ახალი დეფინიციების შემუშავებისაგან თავის არიდებისა (სარდო, 2019), ერთგვარი პირობითობისა და გარკვეული ჩარჩოებით შემოსაზღვრის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, როგორც ცნობილია, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ინტერპრეტაციის დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ, რის გამოც ნებისმიერი დეფინიციის შერჩევის შემთხვევაში შეუძლებელია სრული ობიექტურობის მიღწევა. მით უფრო, დღევანდელ პოსტმოდერნულ სამყაროში, რომელიც ერთი პერპექტივიდან ხედვასა და ერთი ჭეშმარიტების არსებობას არ აღიარებს, ამდენად, პოსტმოდერნული ხედვით, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი სიმართლე არსებობს. ეს მიდგომა საზოგადოებრივი აზროვნებისა და ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე განივრცობა, მათ შორის აქამდე მიღებულ კატეგორიებსა და ესთეტიკურ ნორმებზეც კი. პოსტმოდერნულ ეპოქას შესანიშნავად ახასიათებს ცნობილი მოაზროვნე უან ბოდრიარი: „არადიფერენცირებულ სამყაროში მე ვერ გადავწყვეტ, სადაა მშვენიერება და სად სიმახინჯე, ცუდი და კარგი, ორიგინალური და მოძველებული. ჩემი ორგანიზმიც კი ვერ არკვევს, რაა მისთვის კარგი და ცუდი“ (ბოდრიარი, XX).

ამ ფონზე, რთულია მოიძებნოს ისეთი საზომები, რომელიც გააადგილებდა ფოლკ-ფიუჟენის ამ დუალური და, შესაბამისად, კიდევ უფრო რთულად მოსახელთებელი ბუნების კვლევას. ამ მუსიკაში ხომ ორი (ან მეტი, თუმცა იშვიათად) დამოუკიდებელი მუსიკალური ერთეულის სინთეზია წარმოდგენილი, ორივე მკაფიოდ ჩამოყალიბებული მუსიკალურ-სახეობრივი და ფუნქციური დატვირთვის მატარებელია და ერთობლიობაში კიდევ ახალ, დამოუკიდებელ მუსიკალურ ორგანიზმს ქმნის, ორივე მიმართულებიდან გარკვეული ორიგინალური მახასიათებლების შენარჩუნებით. პიბრიდული ბუნების მიუხედავად, პოპულარული მუსიკის ხვედრითი წილი, მრავალი თვალსაზრისით, დომინანტურია და მთლიანად უზრუნველყოფს ფოლკლორული მუსიკის ამა თუ იმ ელემენტის თანამედროვე მუსიკალურ კონტექსტში წარმოდგენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნებოდა

ქართული ხალხური მუსიკალური ნიმუშის არანეირებასთან. შესაბამისად, ფოლკფიუჟენის საკვლევი მიდგომების შემუშავება, პირველ რიგში, სწორედ პოპულარული მუსიკის კვლევისა და ანალიზის არსებული მეთოდებისა და პრაქტიკის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის, კერძოდ კი, მისი III თავის ფარგლებში დასახული ფოლკფიუჟენის მიმართულების ანალიზისათვის პირველ რიგში, აუცილებელია პოპულარული მუსიკის არსებული საანალიზო მიდგომების განხილვა და შემდგომ, უშუალოდ, ქართული ფოლკფიუჟენის საკვლევად მათგან ერთი ან რამდენიმე ყველაზე მისაღები მიდგომის შერჩევა-ადაპტირება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ოდითგანვე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში მუსიკის ანალიზის განსხვავებული პრაქტიკა იყო დამკვიდრებული, რამაც, მნიშვნელოვნად განაპირობა მუსიკის ანალიზის დღეს არსებული მიდგომები. XX საუკუნეშიც კი, როცა ერთი შეხედვით, ფორმალიზმი¹⁹ ბატონობს, მხოლოდ მცირეოდენი კავშირია ცენტრალური და აღმოსავლეთევროპული მუსიკალური მეცნიერების მიდგომებს შორის, რის საილუსტრაციოდაც შეგვიძლია ვახსენოთ ორი მეცნიერი – ერნსტ კურტი, რომელმაც თავისი ანალიზიკური თეორია დააფუძნა დაძაბულობის პროცესებით მანიფესტირებულ „ენერგიებზე“ და ბორის ასაფიევი, რომლის „ინტონაციური თეორია“ მუსიკას ედერადობების დინამიკური ურთიერთობების პროდუქტად წარმოაჩენდა, ჩაფიქრებულს სოციო-კულტურული ურთიერთობების მოდელებად (Kurth, 1991; Assafiev, 1977).

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპაში კუპი (Cook, 1990) დროდადრო უახლოვდება „ქესტიკულაციურ თეორიას“. ეს უკანასკნელი აერთიანებს აფექტურ, კოგნიტურ და კინეტიკურ ასპექტებს, რაც გულისხმობს, რომ „ჩვენ მიერ მუსიკალური უღერადობის შეგრძნება და სმენითი აღქმა ორგანიზებულია პროცესუალური ფორმებით, რაც ფიზიკური ქესტების ანალოგურად გამოიყერება“ (Middleton, 1993: 177). ეს მუსიკალური ქესტიკულაციის მეტად ფართო გაგებაა და თავის თავში გარკვეულწილად, რიტმსაც მოიაზრებს, მაგრამ არა მუსიკალური პარამეტრებით დეფინირებულ რიტმის ცნებას, არამედ რიტმს, როგორც ყველანაირი რეალობის

¹⁹ „მუსიკის თეორიასა და, განსაკუთრებით, მუსიკის ესთეტიკაში, ფორმალიზმის კონცეფციის ქვეშ იგულისხმება მუსიკისადმი წმინდად რაციონალური მიდგომა, რომლის მიხედვითაც კომპოზიციის მნიშვნელობას მთლიანად განსაზღვრავს მუსიკალური ფორმა და ედერადობების სისტემა“ (Formalism, 2020).

საწყისს – არა მხოლოდ ფიზიოლოგიური პროცესების, ბგერითი თუ სინათლის ტალღების, არამედ ენერგიის მთელი სპექტრის საწყისს, დაწყებული მიკროფიზიკური პროცესებიდან, კოსმიური ურთიერთდამოკიდებულებებით დამთავრებული. მუსიკაც, როგორც ბიოკომუნიკაციის შემადგენელი, მთელი სპექტრის ერთ ნაწილს იკავებს და რიტმი მსგავსი ფართო გააზრებით ადამიანებს დეტალებისგან და ინდივიდუალურისგან უნივერსალურისკენ იზიდავს. უნგრელი მეცნიერის, იანუშ მაროთის ამ პერსპექტივით, მუსიკალური ჟესტიკულაცია – ისეთი დრმა სტრუქტურების პრინციპების კონტექსტში, რაც მუსიკალური კულტურის ერთიანობას განაპირობებს – დაფუძნებულია სილრმისეულად წარმოქმნილ „ჟესტიკულაციაზე“: კინეტიკურ მოდელებზე, კოგნიტურ რუკებზე, აფექტურ მოძრაობებზე, რაც კულტურების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვადება. თუმცა მაროთის თუ დავუჯერებთ, ეს ჟესტიკულაცია ყოველთვის მუსიკალურ ფორმას იღებს და არასდროსაა ავტონომიური: „მუსიკალური სივრცე სხვა არაფერია, თუ არა წარმოსახვითი და იდეალური ადგილი ადამიანის ჟესტიკულაციის ევოლუციისთვის“ (Marothy, 1986: 106).

მართალია, ეს ყველანაირ მუსიკას ახასიათებს, მაგრამ პოპულარული სიმღერების ანალიზისთვის ექსპერიმენტირების კარგ ნიადაგს იძლევა, რადგან მასში „ჟესტიკულაცია“ და „მოძრაობა“ ძალზე მნიშვნელოვანია (Middleton, 1993: 178). კლასიკურ სიმფონიურ თუ კამერულ მუსიკასთან შედარებით, ამ მუსიკის ფესვები დაფუძნებულია ადამიანის სხეულის სტრუქტურებზე, შინაგან პროცესებსა და ოპერაციულ მოდელებზე. თუნდაც არასაცეკვაო კომპოზიციების შემთხვევაში, მსმენელი თავისდაუნებურად იწყებს მოძრაობას რეალურად, ან წარმოსახვითად. რიტმი, უდავოდ, მთავარი ასპექტია, მაგრამ არა იზოლირებული და ვიწრო მნიშვნელობით. რიჩარდ მიდლტონი აქტიურად განიხილავს ჟესტიკულაციური ანალიზის ეფექტურობას სწორედ პოპულარული მუსიკის კონტექსტში და ამის სადემონსტრაციოდ რამდენიმე ამერიკული პოპულარული სიმღერის ანალიზსაც გვთავაზობს.

ამდენად, უკვე იკვეთება, რომ მიუხედავად გარკვეული საერთო მახასიათებლებისა, პოპულარული მუსიკის ანალიზისას განსხვავებული აქცენტებია გაკეთებული, ვიდრე ეს კლასიკური/პროფესიული მუსიკის (განსაკუთრებით, XX

საუკუნემდე) შემთხვევაშია მიღებული. ერთ-ერთ მთავარ განსხვავებად გვესახება ფოკუსირება არა თავად მუსიკალურ მასალაზე, როგორც პროდუქტზე, არამედ მის მნიშვნელობაზე, უშუალოდ, შემსრულებლისა და მსმენელის როლების გათვალისწინებით: „ანალიზის სფეროში ძირითად მეთოდებთან დაკავშირებით არსებული მთავარი პრობლემა ფორმალიზმის ტენდენციაა. ამის საპირისპიროდ, პოპულარული მუსიკის ანალიზში (ჩემი აზრით, სწორედ) პრიორიტეტულია მნიშვნელობა (meaning). შესაბამისად, საუკეთესო ნაშრომებს შორის უმეტესობა სემიოტიკური ან განმარტებითია (Laing, Tagg, Bradby, Grossberg) ან სოციალური და კულტურული ერთგვაროვნების თეორიებს მიჰყვება (Hebdige, Shepherd). თუმცა არსებობს ეჭვი, რომ ზოგჯერ არასაკმარისი ყურადღება ექცევა თავად შიდამუსიკალური სტრუქტურების უდერადობას (sound), რასაც მე მნიშვნელობის თვალსაზრისით, „პირველად“ საფეხურს ვუწოდებ (Middleton 1990, p. 220). ჩვენ როგორდაც უნდა ვიპოვოთ გზები ამ უდერადობაშივე წარმოქმნილი ფორმულების წინა პლანზე გამოსაყვანად, თუმცა ისე, რომ ფორმალიზმთან კვლავ დისტანცია დავიჭიროთ. და თუ ჩვენ ამას შევძლებთ, დიდ წვლილს შევიტანოთ ზოგადად, მუსიკის ანალიზში” (Middleton, 1993: 177). როგორც ვხედავთ, პოპულარული მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მკაფიოებას, რიჩარდ მიდლტონს არსებულ ორ მეთოდს შორის ოქროს შუალედის დაჭერა პოპულარული მუსიკის (და არა მხოლოდ) ანალიზისას მთავარ გამოწვევად და სირთულედ მიაჩნია. შევცდებით, ქართული ფოლკლიურის ანალიზისას გავითვალისწინოთ ეს საფრთხე და არსებულ მეთოდებს შორის ამ მუსიკალური მიმართულების ანალიზისათვის ყველაზე შესაფერისი შუალედი დავიჭიროთ.

პოპულარული მუსიკისა და უშუალოდ, ფოლკლიურის მსგავსი პიბრიდული მუსიკის ანალიზის არსებული პრაქტიკიდან რამდენიმე განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ჩვენთვის, განსაკუთრებით, დისერტაციის ამ თავზე მუშაობისას. ამ მხრივ, გამოვყოფთ ირინე ებრალიძის სადისერტაციო ნაშრომს, „ქართული ფოლკლიური ჯაზის ელემენტების სინთეზის შედეგად შექმნილ ეროვნული ჯაზის კონცეფციას წარმოადგენს და მის ფარგლებში ორ მუსიკალურ ერთეულს – ფოლკჯაზსა და ეთნოჯაზს განასხვავებს.

როგორც სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში უკვე აღვნიშნეთ, ქართული ხალხური მუსიკისა და ჯაზის სინთეტურ ფორმას ჩვენ ეთნო-ჯაზის ტერმინის ქვეშ ვაერთიანებთ, რადგან ვითვალისწინებთ, ერთი მხრივ, საქართველოში ამ ფართოდ დამკვიდრებული ტერმინის ფუნქციონირების ხანგრძლივ ისტორიას, მეორე მხრივ კი, თავად შემსრულებლების მიერ ეთნო-ჯაზ მუსიკოსებად თვითიდენტიფიკაციის მრავალწლიან პრაქტიკას. ამასთან, ირინე ებრალიძე თავადვე აღნიშნავს, რომ ფოლკჯაზისა და ეთნოჯაზის ტერმინები დღემდე ბუნდოვანებითაა მოცული, გამომდინარე მკვლევართა არაერთგვაროვანი განმარტებებიდან. მართლაც, თუ გადავხედავთ არსებულ განმარტებებს, დავინახავთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ტერმინებს „ეთნოჯაზი“ და „ფოლკჯაზი“ შორის არსებითი განსხვავება არც იკითხება: „ფოლკჯაზის ფართო ტერმინი ასახავს მუსიკას, რომელიც აერთიანებს ფოლკლორული მუსიკისა და ჯაზის ელემენტებს, ძირითადად, წარმოდგენილია მდიდარი ფაქტურის მქონე სიმღერებით“ (Dimery, 2005: 180); „ფოლკჯაზის ტერმინი გამოიყენება იმ მუსიკოსთა სტილის სახელდებისათვის, ვინც (1950-ანი წლებიდან მოყოლებული) ხშირად იყენებს ხალხურ მელოდიებს...“ (Allmusic, XX); „სახელწოდება ეთნოჯაზი პირველად 1980 წლებში მასმედიაში გაჟღერდა, მუსიკის იმ ნაირსახეობის აღსანიშნად, რომელშიც ჯაზი ეთნიკური ელემენტებითაა გამდიდრებული, და, ასევე, იმისთვის, რომ მუსიკის სხვა მიმართულებებისგან განესხვავებინათ იგი...“ (ებრალიძე, 2016: 5). აღნიშნული მაგალითები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ჩვენ მიერ სამუშაო ტერმინად ეთნო-ჯაზის არჩევის მართებულობაში, მით უფრო, რომ სადისერტაციო ნაშრომი ამ მუსიკალური ერთეულის დეტალურ ანალიზს არ ისახავს მიზნად და ის მხოლოდ ერთ-ერთ ქვემიმართულებას წარმოადგენს ფოლკ-ფიუჟნის მეორე რიგის ქოლგა ტერმინში, რომელიც ეთნო-ჯაზის გარდა, აერთიანებს ფოლკ-როკს, ფოლკ-ელექტრონიკას, პროგრესივ ფოლკს და ა.შ.

ასეა თუ ისე, გამომდინარე იქიდან, რომ ირინე ებრალიძისა და ჩვენ მიერ გამოკვლეული ორივე მუსიკალური მოვლენა ქართული ფოლკლორული მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის მიმდინარეობის (ჩვენი კვლევის შემთხვევაში, რამდენიმე ძირითადი მიმდინარეობის) სინთეზურ ფორმას წარმოადგენს, ყურადსალებად მიგვაჩნია, ამ გამოცდილი მეცნიერისა და ავტორ-შემსრულებლის მიგნებები. შესაბამისად, დიდწილად ვიზიარებთ ირინე ებრალიძის სადისერტაციო

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული მუსიკალური ანალიზის სქემას და ანალიზისას გაკეთებულ აქცენტებს. კერძოდ, მეცნიერს წარმოდგენილი აქვს, როგორც თავად უწოდებს, „ქართული ეთნოჯაზისა და ფოლკაზის სტილში“ მის მიერ შექმნილი მუსიკალური კომპოზიციების ანალიზი – „ნამუშევრების კონცეპტუალური და ესთეტიკური მხარე, მათი ფორმა და სტრუქტურა, გამოყენებული საკომპოზიტო, საშემსრულებლო ტექნიკები და არანუირების მეთოდები, გამოყენებული სტილების და მუსიკალური ენის დახასიათება, მნიშვნელოვანი გავლენების იდენტიფიკაცია და შეფასება“ (ებრალიძე, 2016: 1). ჩვენთვის საინტერესო იქმ ის, თუ რამდენადაა შესაძლებელი მის მიერ წარმოდგენილი მიდგომის სრული ან ნაწილობრივი გამოყენება თანამედროვე ქართული ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალური ანალიზისას. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, საჭიროა მეცნიერის მიერ შემუშავებული მიდგომის განხილვა. ფოლკ-ჯაზისა და ეთნო-ჯაზის განსხვავებული ბუნების სადემონსტრაციო შემუშავებულ საანალიზო სისტემაში მეცნიერს შემდეგი კრიტერიუმები აქვს გამოყოფილი:

„1. ეთნიკური მასალის გამოყენების არეალები: კილო, მელოდია, ჰარმონია, მეტრ-რიტმი;

2. კომპოზიციის აგების პრინციპები: სტილისტიკა, ფორმა (თემის ქორუსი²⁰, საიმპროვიზაციო ქორუსები), არანუირების ელემენტები;

3. ეთნიკური საკრავების რეგლამენტი;

4. ვოკალის საშემსრულებლო ტექნიკების რეგლამენტი“ (ებრალიძე, 2016: 6).

მეცნიერს აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით აქვს გაანალიზებული არა მხოლოდ ცნობილი დასავლელი მუსიკოსების, არამედ საკუთარი კომპოზიციებიც, რომლებსაც ფოლკჯაზისა და ეთნოჯაზის სტილებს შორის ანაწილებს, თუმცა მათ შორის მრავალი გადაკვეთის წერტილის არსებობის გამო ერთ საერთო მიმართულებაში, ეროვნულ ჯაზში (National Jazz) აერთიანებს: „ფოლკჯაზი და ეთნოჯაზი, ზოგადი კლასიფიცირების ფონზე, შეიძლება ერთ ტიპს მივაკუთვნოთ, რომელსაც მე ეროვნულ ჯაზს დავარქმევდი, რადგანაც ამ ორივე მიმართულებას

²⁰ „ქორუსი (ინგლ. Chorus) – ჯაზსტანდარტის (ან ნებისმიერი სხვა გამოყენებული ნაწარმოების) თემა (მელოდია, ფორმა, ჰარმონიული ბადე) და მასზე დაფუძნებული საიმპროვიზაციო და/ან არანუირებული მონაბეჭები; ჯაზური კომპოზიცია უმეტეს შემთხვევაში ქორუსების სერიისგან შედგება“ (ებრალიძე, 2016: xiv).

ახასიათებს მუსიკალურ ფოლკლორთან მჭიდრო ურთიერთობა. მაგრამ ეთნიკურ-ხალხური მასალისადმი მიღომით და კომპოზიციებში მისი გამოყენების თვალსაზრისით ისინი სხვადასხვა ქვეტიპებს მიეკუთვნებიან“ (ებრალიძე, 2016: 10). სწორედ ეს მიღომაა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო, იმდენად, რამდენადაც მეცნიერი ქართული ხალხური მუსიკალური მასალისადმი მიმართვის ფორმების მიხედვით ახდენს საკვლევი მასალის კლასიფიკაციას. შესაბამისად, ამ მეთოდს აქტიურად მივმართავთ ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავზე მუშაობისას, ქართული ფოლკ-ფიუჯენის ფარგლებში ფუნქციონირებადი ფოლკლორული მუსიკის ელემენტების გამოყენებისას განსხვავებული კომპოზიციური პრინციპების გამოსავლენად.

თუმცა არის შემთხვევები, როცა ზუსტი კლასიფიკაციის გაკეთება რთულდება ამა თუ იმ მუსიკალურ ქვემიმართულებას შორის არსებული მრავალი ურთიერთგადაკვეთის წერტილის არსებობის გამო. განსაკუთრებით, თანამედროვე პროექტების შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ მუსიკალურ ექსპერიმენტში ქართული ფოლკლორული მუსიკის ელემენტების სხვადასხვაგარი გამოყენების ფორმები გაჩნდა და შედეგად, ქართული ფოლკ-ფიუჯენ სცენა გაცილებით მრავალწახნაგოვანი გახდა. მაგალითად, ქართული ეთნო-ჯაზის ქვემიმართულების შემთხვევაში ხშირად საკმაოდ რთულდება გარკვეული პროექტების ეთნო-ჯაზად სახელდება, იმდენად, რამდენადაც დღეს თავად ჯაზის ცნებაც გაფართოვდა და ერთგვარად ბუნდოვანიც კი გახდა, მასში მრავალი უანრისა თუ სტილის გადაკვეთის წერტილების გაჩენის გამო.

ამ ვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საინტერესოა ირინე ებრალიძის მიერ ზოგიერთი ქართული ჯგუფის სტილურ მიკუთვნებულობასთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნა: „ზოგიერთი ქართველი შემსრულებელი ქართული მუსიკალური ფოლკლორის სვინგის, ან რაიმე სხვა სტილში დამუშავებას საჯაროდ „ეთნოჯაზს“ უწოდებს, რაც, ჩემი აზრით, ძირეულად არასწორია. მათ შორის გამონაკლისს მხოლოდ ჯგუფი „შინ“ წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის საკუთარ შემოქმედებით მიხრილობას მკაფიოდ და მართებულად განსაზღვრავს როგორც ფოლკჯაზს“ (ებრალიძე, 2016: 4). თუმცა ჯგუფ „შინ“-ის კომპოზიციებს ირინე ებრალიძის მიერვე წარმოდგენილი საანალიზო სისტემის მიხედვით თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ზოგ შემთხვევაში ისინი ცდებიან ფოლკჯაზის

განმსაზღვრელ კრიტიკოუმებს და ეთნოჯაზში ინაცვლებენ. ამდენად, ამ ორ ქვემიმართულებას შორის გადაკვეთის წერტილების არსებობის გარდა მათ შორის ზღვარი საკმაოდ ფაქტია და ზოგ შემთხვევაში, იშლება კიდეც. ამდენად, მსგავსი ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად მაინც უმჯობესად მივიჩნევთ „შინ“-ის მსგავსი პროექტების ეთნო-ჯაზის (ირინე ებრალიძის ტერმინოლოგიის მიხედვით, ეროვნული ჯაზის) შედარებით ფართო მიმართულებაში გაერთიანებას. თუმცა, უშუალოდ, „შინ“ თავისი ფართო კონცეფციით უკანასკნელ პერიოდში ქართული ეთნო-ჯაზის საზღვრებსაც ცდება და მსოფლიო მუსიკის (world music) კატეგორიაში ინაცვლებს, რაზეც მოგვიანებით საგანგებოდ შევაჩერებთ ყურადღებას. ამჯერად კი მსჯელობას განვაგრძობთ ირინე ებრალიძის ნაშრომის გარშემო.

განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რას მოიაზრებს ავტორი საკუთარ საანალიზო სისტემაში მეოთხე პუნქტად გამოტანილი „ვოკალის საშემსრულებლო სქემების რეგლამენტის“ ფარგლებში. რამდენადაც მის მიერ წარმოდგენილი შედარებითი სქემიდან ვიგებთ, ფოლკჯაზის შემთხვევაში, ვოკალისტი „მეტწილად ხალხურ საშემსრულებლო მანერას ინარჩუნებს, არა მხოლოდ თემის შესრულების დროს, არამედ სხვა ქორუსებშიც“, ეთნოჯაზის შემთხვევაში კი „ძირითადად ჭარბობს ჯაზური ვოკალის ტექნიკი და „სკეტი“²¹, თუმცა ხანდახან შეიმჩნევა ეთნიკური საშემსრულებლო მანერის იმიტაცია, მისთვის დამახასიათებელი ვოკაბელების გამოყენებით“. უნდა ითქვას, რომ მეცნიერის მიერ დასახელებული ორივე საშემსრულებლო მიდგომას მეტნაკლებად აქტიურად მიმართავენ ქართული ფოლკ-ფიურენის ამა თუ იმ მიმართულების შემსრულებლები, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ მუსიკაში ებრალიძის მიერ ვოკაბელებად დასახელებული²² სამღერისების გამოყენების დიდი როლი, რაც ამ მრავალწლიანი პრაქტიკის გათვალისწინებით, ქართული ტრადიციული მუსიკისადმი მიმართვის ყველაზე გავრცელებულ ვოკალურ ტექნიკად/ფორმად ჩამოყალიბდა.

ქართულ ფოლკ-ფიურენში მუსიკასა და ტექსტს შორის ურთიერთმიმართების საკითხზე დაკვირვება ამ მუსიკის ანალიზის კიდევ განსხვავებულ მიდგომას წარმოადგენს. ეს საკითხი სამღერისების მაგალითზე დაწვრილებით აქვს განხილული

²¹ სკეტი ჯაზის ვოკალისტის, ეგრეთ წოდებული, „მარცვლოვანი“ მელოდიურ-რიტმული იმპროვიზაციაა. მისი პირველი ნიშნები XX საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს ბლუზის შემსრულებლების ჩანაწერებში შეიმჩნევა (გოგხაძე, 2018).

²² სამღერისების ინგლისურენოვანი კრებითი დასახელება – vocables.

ამერიკელ ეთნომუსიკოლოგ ლორენ ნინოშვილს საკუთარ სადისერტაციო ნაშრომში: „მღერა სიტყვებს შორის: ქართული პოლიფონიის პოეტიკა“ (Singing between the Words: The Poetics of Georgian Polyphony). მიუხედავად იმისა, რომ ადნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა, ზოგადად, ქართული ტრადიციული მუსიკის მაგალითზეა განხორციელებული, ის სამი ქართული ფოლკლორული ჯგუფის („შინი“, „დეკოში“, „სტუმარი“) შემოქმედების ანალიზსაც შეიცავს, რაც განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის კონტექსტში.

როგორც ირკვევა, სამდერისებით მდიდარი „შინის პოეტიკა“ როგორც ესთეტიკურ, ისე სოციალურ დატვირთვას ატარებს, „ისინი წინა პლანზე აყენებენ ტრადიციული და ორიგინალური სასიმღერო ტექსტების პოეტურ ფუნქციას, რათა წაახალისონ არაქართველი აუდიტორიის ჩართულობა მუსიკაში, რომელიც არაა დაფუძნებული სტანდარტულ მნიშვნელობებსა თუ სემანტიკური კავშირების საერთო კონტექსტე“ (Ninoshvili, 2010: 160). ამასთან, ცდილობენ, ქართული მუსიკალური გამომსახველობის ფორმებიდან უნივერსალური მასალის იდენტიფიცირებას და საკუთარ კომპოზიციებში ისე ჩართვასა და განვითარებას, რომ ნებისმიერი ეროვნების მსმენელისთვის მშობლიური სახე მიიღოს და თავი შინ, სახლში აგრძნობინოს. ქართული სამდერისების ჩართვა ჯგუფის წევრებს სწორედ ერთ-ერთ მსგავს საშუალებად ესახებათ. თუმცა, რადგან ისინი არა მხოლოდ ქართული მუსიკალური ატმოსფეროს შექმნას ისახავენ მიზნად, ქართული სამდერისები არ არის მათთვის ერთადერთი ვერბალური მასალა, არამედ აქტიურად მიმართავენ ინდურ სოლკატუსაც²³ (► მაგალითი №5, ▷ მაგალითი №1). ასევე, 1999 წელს განხორციელებული პროექტით „ცერული“, „შინ“-ის წევრებმა ქართული ფოლკლორული მუსიკის კიდევ ერთ ტრადიციულ მუსიკალურ სტილთან, ესპანურ ვლამენკოსთან შერწყმა მოახდინეს. „კოსმოპოლიტურ, მრავალენოვან მსმენელში, მათი სემანტიკური იდუმალება სხვადასხვა თაობასა და კულტურას შორის ინტერტექსტუალური კავშირების გაბმის ახალ შესაძლებლობებს აჩენს. ესთეტიკის დონეზე, ვოკაბელები გარკვეული ტიპის მუსიკალური შემოქმედების, ახალი ჟანრული ჰიბრიდების და ვოკალური ვირტუოზულობის საშუალებას იძლევა“ (Ninoshvili, 2010: 161). ამდენად, ლორენ ნინოშვილის საგვებით სამართლიანი შენიშვნით, ჯგუფი „შინ“

²³ ინგლისურად, Solkattu სამხრეთ ინდური, კარნატიკული ტრადიცია გულისხმობს ინსტრუმენტის მნემონიკურ, ვერბალურად იმიტირების სისტემას, ენას (Ninoshvili, 2010: 173).

მსოფლიო მუსიკის (world music) შემსრულებლადაა სახელდებული, რაც, ასევე, დაგვიდასტურა გიტარისტმა ზაზა მიმინოშვილმა (მიმინოშვილი, 2019). ამდენად, ჩვენი სადისერტაციო პვლევის ფარგლებში მათ შემოქმედებას დაწვრილებით აღარ შევეხებით. ამ შემთხვევაში, „შინ“-ის მიერ ქართული სამდერისებისა თუ მათ მიერვე შემუშავებული მნიშვნელობის არმქონე მარცვლებისა და ვერბალური წარმონაქმნების (რომლებსაც ნინოშვილი ვოკაბელებს უწოდებს) განხილვა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის ერთ-ერთ წამყვან საკომპოზიციო ტექნიკად გვევლინება ქართული ფოლკ-ფიუჯენის შემსრულებლებშიც, რასაც მოგვიანებით კონკრეტული მაგალითის ფარგლებში შევეხებით.

ამჯერად კი ყურადღებას შევაჩერებთ იმ ერთეულ შემთხვევებზე, სადაც არა მხოლოდ ქართული ვოკაბელები, არამედ ქართული ანბანის ამა თუ იმ ფორმით ჩართვა კომპოზიციის ქართულობას აძლიერებს და მასალის ორიგინალობას ზრდის, ამასთან, კომპოზიცია თემატურადაც დაკავშირებულია ქართულ ენასა თუ ანბანთან. ამ მხრივ, საინტერესოა ფოლკ-ფიუჯენ ჯგუფ „დეციშის“ კომპოზიცია „ანბანთქება“, 2008 წლის ალბომიდან „კვლავ აქ ვართ“. აკუსტიკური და ბას-გიტარით გადმოცემული ჩონგურის საშემსრულებლო ტექნიკების იმიტაცია კომპოზიციის დასაწყისშივე ქართული ფოლკლორული (უმეტესად, მეგრული) ინტონაციებისგან აგებულ საინტერესო ვარიაციებად ვითარდება. აქვე ყალიბდება კომპოზიციის რეფრენი, რომელიც ვირტუოზული როკ-სოლოს დონეზე განვითარებული შუა ნაწილის კულმინაციის შემდეგ ისევ გიტარისა და ბასის პარტიაში ბრუნდება და მალევე ორმაგდება ვოკალით, რომელიც მეგრულიდან მომდინარე სამდერისებით უერთდება ინსტრუმენტებს. თავდაპირველად, სწორედ ამ რეფრენშია ჩართული მოკლე ფრაზებად განაწილებული ქართული ანბანი, რომელიც გიტარების პაუზისას დოლის იმიტაციის მქონე რიტმულ პულსაციაზე ორი მომდერლის სწრაფი მონაცვლეობითაა ნამდერი. ის ფაქტი, რომ ანბანი მხოლოდ ერთხელ, კომპოზიციის დასასრულს და ისიც, საკმაოდ სწრაფ ტემპში, განსაკუთრებული გამომსახველობითა და ვირტუოზულობით, ნახევრად ა-კაპელაზეა ნამდერი, ამ მუსიკალურ-ვერბალურ ფორმულას განსაკუთრებით გამოკვეთს და, ფაქტობრივად, მთელი კომპოზიციის ცენტრის ფუნქციას ანიჭებს (► მაგალითი №6, ▷ მაგალითი №2). ლორენ ნინოშვილი ამ საკომპოზიტო ხერხის განსაკუთრებულ ეფექტურობას ხაზს უსვამს და აღნიშნავს, რომ „ტრადიციული ქართული ვოკალური სეკვენციის ჩვეული

მუსიკალობით დემონსტრირება, გარკვეულწილად, მუსიკალურ კომპოზიციაში ანბანის პრეზენტაციის ფორმას აყალიბებს, ისე რომ მისი მნიშვნელობა არაქართველი აუდიტორიისთვისაც შესაბამისადაა კონტექსტუალიზებული” (Ninoshvili, 2010: 171).

ქართული ხალხური ვოკალური მუსიკის ელემენტებისა თუ უბრალოდ, ქართულენოვანი ტექსტის ფოლკ-ფოუჟენ კომპოზიციაში ჩართვისას მუსიკოსები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც საკუთარ მუსიკას საერთაშორისო ასპარეზზე მოიაზრებენ, ცდილობენ, მოძებნონ ალტერნატიული საშუალებები, რითაც ქართულ ტექსტს უცხოური აუდიტორიისთვის უფრო მისაწვდომს გახდიან. ამ მხრივ, საინტერესო გადაწყვეტას გვთავაზობს ამერიკაში მოღვაწე, წარმოშობით ქართველი ფოლკ-ფოუჟენ მუსიკოსი ილუშა ცინაძე ახალ ალბომში შესული კომპოზიციების ვიდეორგოლებში. კერძოდ, სიმღერის პარალელურად, ვიდეოკადრებს გამუდმებით გასდევს ქართული ფოლკლორული ტექსტის ინგლისური თარგმანი, თუმცა ტიტრებისთვის ისეთი ფორმატია მოძებნილი, რომლითაც ის ძალზე ორგანულადაა ჩამჯდარი დოკუმენტური ფილმის ესთეტიკის მქონე ვიდეო კლიპების საერთო ხასიათში (☞ მაგალითი №6).

ქართული ვერბალური ტექსტის გამომსახველობის გაზრდის განსხვავებული მეთოდი აქვს არჩეული ფოლკ-ფოუჟენ ჯგუფ „სტუმარს“, რომლის მთავარ ორიენტირებაც, როგორც აღმოჩნდა, სწორედ უცხოელი მსმენელი წარმოადგენს, „რადგან ქართველები ნაკლებად გახსნილი არიან ინდივიდუალური და „არავის მსგავსი“ მუსიკის მისაღებად“ (ჯანჯდავა, 2020). ეს მით უფრო საინტერესოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯგუფის მიერ არჩეული შემოქმედებითი გეზი თითქოს იმ მითოლოგიურ-ზღაპრული ატმოსფეროს გაცოცხლებაა, რომელიც მათ მიერ გამოყენებულ არქაულ ქართულ ხალხურ ლექსებშია ჩაბუდებული. „თითო კომპოზიცია თითო სახლია, სადაც მუდამ რადაც ახალი ხდება“ – გაგვანდო თავის ხედვა ჯგუფის ვოკალისტმა, კომპოზიტორმა ნინო ჯანჯდავამ, რომელიც ხშირად მიმართავს ვოკალურ ბგერწერით ეფექტებს (მაგ. განსხვავებული ტემბრებითა და ინტონაციებით ლექსის შინაარსობრივად მნიშვნელოვანი პასაჟების ხაზგასმა და არტისტული გამომსახველობით გამოთქმა), უესტიკულაციას, რიტუალური ტექსტების შემთხვევაში, შესრულებისას გათამაშებულ პერფორმანსს და ა.შ. (☞ მაგალითი №7) საინტერესოა, რომ რიტუალურ პერფორმანსს ჯანჯდავა მსმენელთან კონტაქტის დამყარებისთვის დამატებით მედიუმად, „მსმენელთან ენერგიის გაცვლის“ ეფექტურ

საშუალებად მოიაზრებს (ჯანჯლავა, 2019). ყოველივე ეს „ფორმისა და დრამატურგიის განვითარებაზე ორიენტირებულ“ ჯგუფის მუსიკას მეტ თეატრალურობას სძენს და მათ მუსიკალურ სტილს ნამდვილ „ბგერით პერფორმანსად“ (ნინო ჯანჯლავას ტერმინი) აქცევს.

როგორც ვხედავთ, ფოლკ-ფიუჯენ კომპოზიციებში მუსიკისა და ტექსტის ურთიერთმიმართება საკმაოდ აქტუალური პრობლემაა. მის მიმართ ქართველი მუსიკოსების მეტნაკლებად ინდივიდუალური დამოკიდებულებაც გამოიკვეთა. მაგრამ საერთო სურათს თუ გადავავლებთ თვალს, ისტორიულად გამომუშავებულ-დამკვიდრებულ ყვალაზე ფართოდ გაგრცელებულ პრაქტიკას მაინც ქართული სამღერისების გამოყენება წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ვოკაბელების ფენომენი არა მხოლოდ ქართული კულტურისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მრავალ სხვა მუსიკალურ კულტურაშიც გვხვდება, ქართველი მუსიკოსების აღქმაში ის მასალის ქართულობის დაფიქსირების ერთ-ერთ მთავარ გზადაა ფორმულირებული. რიგ შემთხვევაში, ქართულ ფოლკ-ფიუჯენ კომპოზიციაში გამოყენებული სამღერისები ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებელი უცხოელების მიერ ნამდვილად აღიქმება, როგორც მასალის ქართულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ნიშანი, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ რეაგირებენ ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ კულტურას ჯერ არ ზიარებული მსმენელები, რომელთაც პირველად სწორედ ქართულ ფოლკ-ფიუჯენ მუსიკასთან მოუწიათ შეხება. საკითხის ორმხრივობას შენიშნავს ნინო შვილიც, როდესაც კითხულობს - „ნონსენსი“ (მნიშვნელობის არმქონე მარცვლების ერთობლიობის მნიშვნელობით – თ.ლ.) შეიძლება გასაგები იყოს ქართველისთვის, მაგრამ არის კია გასაგები სხვებისთვისაც?” (Ninoshvili, 2010: 243).

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის განსხვავებული აქცენტებიდან გამომდინარე ამ როგორ კითხვას რიტორიკული კითხვის ფორმით თუ დაგტოვებთ, თუმცა არსებული სურათი ერთი დასკვნის გაკეთების საფუძველს მაინც იძლევა: ქართულ ფოლკ-ფიუჯენში სამღერისების ასეთი დიდი დატვირთვა, მიუხედავად იმისა, ამა თუ იმ ეროვნების მსმენელში მასალის ქართულობას თანაბრად განაპირობებს თუ არა, ერთგვარი დასტურია, რომ მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრით ცნობილი ქართული ფოლკლორის მუსიკალური პოტენციალის ათვისება სათანადოდ არ ხდება. არამედ, მუსიკოსები ხშირად სამღერისების საშუალებით

ცდილობები მასალის „ქართულობის” ხაზგასმას. საინტერესოა, თუ რამ განაპირობა მათი ეს მიმართება – ფოლკლორული მასალის სიმდიდრემ და მისი ელემენტებით ვარირების სირთულემ თუ ქართული ფოლკლორის „დამახინჯების” შიშმა? ან იქნებ ჯერ კიდევ ფოლკ-ფიუჟენის ჩანასახში გაჩენილმა სამღერისების აქტიურად გამოყენების ტექნიკიამ? თუ სულაც, ქართულ ფოლკ-ფიუჟენის მიმართულებით თავისუფალი ექსპერიმენტების გაკეთებისათვის არასაკმარისმა პროფესიულმა თუ ფსიქოლოგიურმა მზაობამ?

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მუსიკოსების წინ შესაძლებლობების უდიდესი სპექტრია, რაც ქართულად მაიდენტიფიცირებელი სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყოფა-ათვისების საშუალებას იძლევა. სხვა თუ არაფერი, თუნდაც მხოლოდ კრიმანჭული-გამყივანის რეპერტუარიდან ათასგარი ვარიაციისა და ბგერათწარმოების ხერხის შექმნით ან ქართული ინსტრუმენტული ფოლკლორის შესაძლებლობების უფრო ღრმად ათვისებით ბევრად მკაფიო ქართულობის ეფექტის მიღებაა შესაძლებელი. რომ არაფერი ვთქვათ, საერთაშორისო დონეზე ქართული მუსიკალური კულტურის გამორჩეულობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ, ტრადიციული მრავალხმიანობის მრავალფეროვან ფორმებში არსებულ მდიდარ შესაძლებლობებზე. თუმცა ფოლკ-ფიუჟენის მიმართულების მუსიკოსებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ტრადიციულად, რთულ ამოცანას წარმოადგენდა ქართული პროფესიული მუსიკის წარმომადგენელი სხვადასხვა თაობის კომპოზიტორებისთვისაც, რომელთა ნაწილსაც, გაცნობიერებული ჰქონდა რა ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის კომპლექსურობა, შეგნებულად არიდებდა თავს საკუთარი ნაწარმოებების ფარგლებში მის გარდაქმნასა თუ ახალ სახეობრიობაში წარმოდგენას. ამის შესანიშნავი მაგალითია თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, გია ყანჩელი, რომელმაც ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში განაცხადა: „მე ვიცი, ისე დავტოვებ ამ წუთსოფელს, რომ ვერ მივიღებ პასუხს ერთ კითხვაზე – როგორ შეიქმნა ქართული ხალხური მრავალხმიანობა. ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარი ფენომენია. ერთადერთი ვიცი ის, რომ ხალხური მუსიკა ხალხის მიერ მოედნებზე არ იქმნებოდა, ამას ქმნიდნენ გენიალური ანონიმები. ამიტომ შევეცადე, მთელი ჩემი შემოქმედების მანძილზე ახლოს არ შევხებოდი აი ამ ანონიმების მიერ შექმნილ შედევრებს“ (ID – ყანჩელი, 2019). მიუხედავად დიდი ავტორიტეტისა და უდავო ნიჭიერებისა, ყანჩელს მართლაც არასდროს „გაურისკავს“ უნიკალური

მრავალხმიანობის მქონე ქართული ფოლკლორის ე.წ. გლეხური შტოს ნიმუშები თავისი ინსპირაციის წყაროდ ექცია.

არსებული მოკრძალებისა და სიფრთხილის მიუხედავად, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა ამა თუ იმ შემოქმედებითი მიმართულების მრავალი მუსიკოსის შთაგონების წყარო გამხდარა. შესაბამისად, როგორც პროფესიულ მუსიკაში, ისე ფოლკფონეტიზი საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება ვლინდება ქართული ფოლკლორული ნიმუშებისადმი მიმართვის ფორმებსა და ამ მუსიკალური მასალის დამუშავების საკომპოზიციო მეთოდებში. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ანალიზია ჩატარებული რუსული წურწუმიას ნაშრომში „XX საუკუნის ქართული მუსიკის ტრადიციასთან დამოკიდებულების შესახებ”, თუმცა ის ქართული პროფესიული მუსიკის მაგალითზეა განხორციელებული. ავტორი გამოყოფს ფოლკლორული მასალისადმი მიმართვისა და საკომპოზიტორო მუსიკაში გამოყენების ორი სახის პრაქტიკას – „უშუალო და გაშუალებული“. პირველი შემთხვევა გულისხმობს საკომპოზიტორო თხზულებაში ფოლკლორული მასალის სემანტიკური საზრისის ჩართვას და დამახასიათებელია 1960-იან წლებამდელი, მაურულ-მინორული სისტემის ჩარჩოებში მოქცეული ქართული მუსიკისათვის. 1960-იანი წლებიდან კი, ზოგადად, მუსიკალური აზროვნების ინდივიდუალიზაციის პირობებში ახალი თაობის კომპოზიტორთა შორის ახალი მხატვრულ-ესთეტიკური პოზიცია ჩამოყალიბდა, რომლის მიხედვითაც, მთავარი გახდა არა ის, თუ „რა“ არის ნაწაროებში ჩადებული, არამედ – „როგორ“ არის გამოყენებული. შესაბამისად, გამოიკვეთა ახალი საკომპოზიტორო მიღორმები, რაც ნებისმიერ მუსიკალურ მასალასთან მიმართებაში გამოვლინდა, მათ შორის, ფოლკლორულ მასალასთანაც. ამდენად, ეროვნულობის გამოსახატავად აუცილებელი აღარ იყო კონკრეტული ხალხური ელემენტების ჩართვა. ფოლკლორული მასალა ავტორის მიერ წარმოდგენილია ახალ, თანამედროვე სტილურ კონტექსტში, მისი პირველადი სემანტიკისაგან დამოუკიდებლად, კომპოზიტორისეული ორიგინალური მასალის შესაქმნელად. „ეს – ფოლკლორთან გაშუალებული დამოკიდებულებაა, მისი ხედვა არა „შიგნიდან“, არამედ გარკვეული დისტანციიდან, განსხვავებით ფოლკლორთან უშუალო დამოკიდებულებისგან, როცა ხალხურის კომპოზიტორული გარდასახვის მიუხედავად, ფოლკლორული მონაწილეობს მხატვრული იდეის ქმნადობაში“ (წურწუმია, 2005: 170).

საინტერესოა, რა სურათს მივიღებთ, თუ ფოლკლორთან კომპოზიტორის უშუალო და გაშუალებული დამოკიდებულების თეორიას თანამედროვე ფოლკ-ფიუჟენის ანალიზისას მივმართავთ. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ფოლკ-ფიუჟენის მთავარი არსი ქართული ხალხური მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის სინთეზშია, თუმცა ეს პროცესი, შესაძლოა, ქვეცნობიერ დონეზე იყოს მართული, ფოლკლორისადმი წინასწარ გამიზნული მიმართვის გარეშე, რისი მაგალითებიც საკმაოდ მრავლადაა ქართულ ფოლკ-ფიუჟენში („33ა”, „სტუმარი”, „Asea sool” და ა.შ.). თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ქართული ფოლკლორული მასალა ამა თუ იმ კომპოზიციაში წმინდად მხატვრული მიზნებითაა ჩართული, სწორედ მისი სპეციფიკური, ეგზოტიკური ელერადობისა თუ დიდი ემოციური გამომსახველობის გამო. ამ შემთხვევაში, ფოლკლორისადმი სწორედ გაშუალებელ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე, როდესაც მისი ელემენტები ყოველგვარი შინაარსობრივი კონტაციის გარეშე, სულ სხვა, დამოუკიდებელი მხატვრული იდეის განხორციელებას ემსახურება. ამის მაგალითები ხშირია უცხოელი ხელოვანების მიერ ქართული ფოლკლორული წყაროებისადმი მიმართვისას.

უნდა ითქვას, რომ ფოლკ-ფიუჟენის დუალური ბუნებიდან გამომდინარე, მასში დასავლური პოპულარული მუსიკის სფეროში არსებული არაერთი ტენდენცია იჩენს თავს, მათ შორისაა, ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობის გამოყენებაც. რა თქმა უნდა, ქართული ფოლკ-ფიუჟენის შემთხვევაში ეს ტენდენცია, პირველ რიგში, მრავალხმიანი მუსიკის მდიდარმა ადგილობრივმა ტრადიციებმა განაპირობა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ, პოპულარულ მუსიკაში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა ვოკალური მრავალხმიანობის გზით ე.წ. „პოლიფონიური ეფექტის“ მიღწევა. აღნიშნული ტერმინი პოლონელ ეთნომუსიკოლოგ ანა პიოტროვსკას ეკუთვნის, რომელიც თავის ნაშრომში, „პოლიფონია თუ პოლიფონიური ეფექტი: მრავალხმიანი სიმღერა და პოპ-მუსიკა“, ამა თუ იმ ცნობილი კომპოზიციის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ რამდენიმე კარგად შერწყმული და გაწონასწორებული ხმის თანაარსებობა „არ არის საკმარისი, რომ ვისაუბროთ პოლიფონიაზე, სადაც ერთდროული და დამოუკიდებელი (შეიძლება ურთიერთდაკავშირებული) მელოდიური ხაზების არსებობაა აუცილებელი“ (Piotrowska, 2019: 75). ამდენად, როგორც აღმოჩნდა, პოპულარულ მუსიკაში საქმე გვაქვს არა

პოლიფონიასთან, არამედ პოლიფონიურ ეფექტთან. რამდენად შეიძლება იდენტური ფორმულა მოერგოს ქართულ ფოლკ-ფიუჟენს? არის თუ არა შესაძლებელი გამოიყოს შემთხვევები, როცა საქმე გვაქვს არა მრავალხმიანობასთან, არამედ, მრავალხმიანობის ეფექტთან? ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, ზოგადად, რას ვუწოდებთ მრავალხმიანობას და რამდენად ვითვალისწინებთ მასში სოციალური ფაქტორის მნიშვნელობას.

ეთნომუსიკოლოგები თანხმდებიან, რომ ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობა წმინდად სოციალური ფენომენია და ამა თუ იმ რაოდენობის ადამიანთა ჯგუფის მიერ ერთობლიობაში, კოლექტიურად მდერის დროს შექმნილ მრავალხმიან მუსიკალურ სტრუქტურას მოიაზრებს. თუმცა თანამედროვე, ტექნოლოგიურად უკიდურესად განვითარებული ეპოქის მკვიდრებს, სხვადასხვა მუსიკალური ხელსაწყოს საშუალებით თავისუფლად შეგვიძლია ერთი ადამიანის მღერისას მრავალხმიანი სტრუქტურა შევქმნათ, თანაც ცოცხლად შესრულების პროცესში. ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებით პოლიფონიური ფაქტურის შექმნა პოპულარულ მუსიკაში ჯერ კიდევ 1950-იანი წლების ბოლოდან დაიწყეს, როდესაც შეყოვნების, ერთგვარი „ექოს“ ეფექტის მქონე ელექტრონული ხელსაწყოს, Echoplex-ის გამოყენებით ელვის პრესლის პიტების ჩაწერა დაიწყეს (Piotrowska, 2019: 75). მას შემდეგ, ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, მრავალი ახალი მოწყობილობა გაჩნდა, თუმცა ამ მიმართულებით დღეს უდავო ფავორიტი ე.წ. „ლუპერია“ (Looper).

ამ მუსიკალური ხელსაწყოს მთავარი მახასიათებელი მის სახელწოდებაშივეა ჩადებული. ინგლისურად სიტყვა „loop“, იგივე „მარყუჟი“ კინოპარატში და კომპიუტერულ პროგრამებში რაიმე ერთი ფორმულის მუდმივ გამეორებას ნიშნავს. ლუპერის მთავარი პრინციპიც სწორედ ესაა, ერთხელ დაკრული/ნამდერი მუსიკალური ფორმულის დუბლირება სასურველი რიტმული, ბერათსიმაღლებრივი და ტემბრული გარიაციებით. როგორც დუბლების შექმნა, ისე მათი რაოდენობის განსაზღვრა შესრულების პროცესშივეა შესაძლებელი. ამასთან, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ უკვე ჩაწერილი და ლუპერის მიერ გამეორებული ფორმულის ფონზე შესაძლებელია სრულიად ახალი ფრაზის შესრულება და ამგვარად, თანდათან მრავალხმიანი ქსოვილის აგება. ლუპერების მრავალი ნაირსახეობა არსებობს, თუმცა

არჩევანის გაკეთებისას განსხვავებული მუსიკალური ეფექტების მიღების მრავალფეროვან შესაძლებლობებთან ერთად მთავარი განმსაზღვრელი ე.წ. არხების (channel) რაოდენობაა, რომლებიც პოლიფონიური ფაქტურის ნიმუშის შემთხვევაში საშუალებას იძლევა კიდევ უფრო გაიზარდოს ხმების რაოდენობა და შესაბამისად, მრავალხმიანი მუსიკალური სტრუქტურის შექმნის შესაძლებლობები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ლუპერის პოპულარობა ისე გაიზარდა, რომ დღეს ეს ხელსაწყო დამოუკიდებელ მუსიკალურ ინსტრუმენტად აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ ლუპერის გამოყენება თითქმის ნებისმიერი ინსტრუმენტალისტისთვისაა შესაძლებელი (სურვილისამებრ, ხელის ან ფეხის პედალის გამოყენებით, რომლითაც როგორც ჩანაწერის გაკეთება, ისე ჩაწერილის აუდირება კონტროლდება), პირველ რიგში, ადამიანის ხმის განუსაზღვრელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ის განსაკუთრებით ვოკალისტების საყვარელ ინსტრუმენტად იქცა. ზემოთ აღნიშნული პოლიფონიური ფაქტურის აგების თითქმის შეუზღდავი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დღეს ლუპერის საშუალებით მრავალხმიანი სიმღერის შესრულება უკვე ერთ ადამიანსაც შეუძლია. თუმცა, ერთი მხრივ, ვოკალური მრავალხმიანობის სოციალური ბუნების გათვალისწინებით, მეორე მხრივ კი, პიოტროვსკას თეორიის შესაბამისად, მსგავსი შემთხვევები შეიძლება არა მრავალხმიანობად, არამედ მრავალხმიანობის ეფექტად ფორმულირდეს. შესაბამისად, ქართულ ფოლკ-ფიუჯენში შესაძლებელია არა მხოლოდ ქართული ხალხური ვოკალური მრავალხმიანობის ჩართვა, არამედ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ეფექტის შექმნაც, სწორედაც რომ ლუპერის და სხვა მსგავსი ტექნიკობის გამოყენებით.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ხელსაწყოს ევროპასა თუ ამერიკაში აქტიურად მიმართავენ ფოლკ-მუსიკოსებიც, თუმცა ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ქართული რეალობისაგან განსხვავებით, ფოლკლორის ცნების გაცილებით ფართო მნიშვნელობით გამოყენება. რეალურად, ჩვენ მიერ ნახსენები დასავლელი ფოლკ-მუსიკოსების შემოქმედება სწორედ ფოლკ-ფიუჯენის სტილის მახასიათებლების მატარებელია. ამ მხრივ, საინტერესო მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე ესტონურ ფოლკლორულ წრეში მეტად ცნობილი მუსიკოსი მარია ნუტი, რომელიც ვიოლინოსა და ვოკალის პარტიის ლუპერით გამრავალხმიანებას ახდენს, როგორც სოლო კომპოზიციებში, ისე სხვადასხვა მუსიკოსთან განხორციელებულ კოლაბორაციულ

პროექტებში. მარიასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მისთვის განსაკუთრებით მომხიბლავია ტრადიციულ მუსიკაში ჩაბუდებული სპონტანურობა, შესრულების უველ მომენტში ნიმუშის თავიდან შექმნის შესაძლებლობა, ერთგვარი მედიაცია აწყოსთან და არსებულ სივრცე-გარემოსთან. სწორედ ამ მიღგომის რეალიზებას ცდილობს მუსიკოსი საკუთარ შემოქმედებაში, რის მისაღწევადაც ლუპერის ტექნიკურ შესაძლებლობებს დაიხმარს. „მიუხედავად იმისა, რომ ვიყენებ ლუპერს, რისი მთავარი პრინციპიც ერთი და იმავეს გამეორებაა, მე ძალიან გრძელი ლუპების შექმნით ვახერხებ, რომ უველ ჯერზე, როცა მელოდია უკან ბრუნდება, ის შედარებით განსხვავებულია. ვფიქრობ, ხშირი ვარირება და მცირე დეტალების ცვალებადობით დაკვრა მოდის როგორც ტრადიციიდან (გულისხმობს ესტონურ ტრადიციულ მუსიკას), ისე ჩემ მიერ შესწავლილი ჩრდილოეთ ინდური მუსიკიდან, რომელიც მნიშვნელოვნად ტამბურას ინტონაციებზე და მსგავს რამეებზეა დაფუძნებული” (ნუუტი, 2017). თუმცა უნდა ითქვას, რომ მუსიკოსის კომპოზიციები, უმთავრესად, დაფუძნებულია ესტონურ კილოებსა და ბგერათრიგებზე, ხშირად ტრადიციულ მელოდიებსა და ინტონაციებზე, საცეკვაო ფოლკლორულ რიტმებსა და ხალხურ ტექსტებზე. ამდენად, მისი მუსიკა მნიშვნელოვანწილად, ესტონურ ტრადიციულ მუსიკას ეყრდნობა, თუმცა ამ ფოლკლორული ელემენტებისა და ლუპერის მიერ შემოთავაზებული საშემსრულებლო შესაძლებლობების სინთეზით სრულიად ორიგინალურ სოლო კომპოზიციებს ქმნის. ამ ნიმუშებს უბრალოდ, ტრადიციული მუსიკის რემიქსად ან თანამედროვე არანურებად ვერ ჩავთვლით და შეგვიძლია, თამამად მიგაკუთვნოთ ფოლკ-ფიუჟენის მიმართულებას, განსაკუთრებით, ესტონელი მუსიკოსის მიერ ელექტრონული მუსიკის შემსრულებლებთან ერთად განხორციელებული სინთეზური პროექტები, რაც უველი მსგავსი მუსიკალური კოლაბორაციის შედეგს ტიპურ ფოლკ-ელექტრონიკად (ფოლკ-ფიუჟენის ერთ-ერთი ქვემიმართულება) წარმოგვიდგენს (**მაგალითი №8**).

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კონტექსტში, ასევე, ადსანიშნავია ლუპერზე შემსრულებელი ამერიკელ-ლიეტუველი ფოლკ-მუსიკოსის, აბრაამ ბროუდის შემოქმედება, რადგან ის ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვანი უცხოელი მუსიკოსებიდან, ვისაც ქართული ფოლკლორის შემსრულებლებთან, ამ შემთხვევაში, ჯგუფ „ადილეისთან“ კოლაბორაციული პროექტის შექმნის იდეა პქონდა, სწორედ ლუპერის ტექნოლოგიის გამოყენებით. მუსიკოსის მთავარი მხატვრული მიღგომა, ლიეტუვური პოლიფონიური მუსიკის, სუტარტინესის ინსპირაციით შექმნილი საკუთარი

კომპოზიციების „ადილეის“ მიერ შესრულებულ ქართულ მრავალხმიან ფოლკლორულ ნიმუშებთან შერწყმა იყო. თუმცა მუსიკოსის მიზანი არ ყოფილა ქართული ფოლკლორის ცალკეული ელემენტების ასევე ლუპერის დახმარებით დამუშავება ან სუტარტინესის ფორმულებთან მათი სინთეზი, არამედ საკუთარი კომპოზიციის პარალელურად, რომელიმე ერთი ქართული ნიმუშის პირველადი სახით აუდირება, ფაქტობრივად, ამ ორი მუსიკალური სტრუქტურის ერთმანეთზე დაშრევებით. ეს მიღვომა, ძირითადად, შემდეგნაირადად განხორციელებული – ქართული სიმღერის მიმდინარეობისას სუტარტინესის ხმების თანდათანობით დამატებით და საბოლოოდ, ორი დამოუკიდებელი მრავალხმიანი მუსიკალური სტრუქტურის მსგავსი თანაუდერადობით, კომპოზიციის დრამატურგიის განვითარების კულმინაციურ მომენტი ერთგვარი კლასტერი იქმნება, რომლიდანაც ქართული ფოლკლორული ნიმუში თანდათან ქრება და ადგილს უთმობს ბროუდის სოლო კომპოზიციას. ეს უკანასკნელი კი დამოუკიდებლად განაგრძობს განვითარებას, ლუპერის საშუალებით ვოკალური შრეების თანდათან დამატებით მრავალხმიან ფაქტურას ქმნის და შესაბამისად, მრავალხმიანობის ეფექტის კიდევ ერთ მაგალითად წარმოგვიდგება. ხშირ შემთხვევაში, სოლო კომპოზიციას სავიოლინო პასაუებით კიდევ უფრო ამდიდრებს, ან პირიქით, მუდერი მუსიკალური სტრუქტურის შრეების თანდათან გამოკლებით, მინიმალისტური ჟღერადობით ასრულებს კომპოზიციას (► მაგალითი №7). საბოლოოდ, მთავარ საკომპოზიტორო მეთოდად სწორედ ორი დამოუკიდებელი მუსიკალური ნიმუშის – ქართული ფოლკლორული სიმღერისა და ლიტვურ სუტარტინესზე დაფუძნებული საავტორო კომპოზიციის ერთმანეთს შენაცვლების, ერთიდან მეორეში გადაზრდის ეფექტია გამოყენებული. ბროუდის მხატვრულმა ჩანაფიქრმა, სამწუხაროდ, არ გაამართლა და ლიეტუვური და ქართული ფოლკლორის ფიუჯენ-პროექტის ჩანაფიქრი მხოლოდ ორიოდე რეპეტიციაზე განხორციელებული ცალკეული ექსპერიმენტით შემოიფარგლა (ბროუდი, 2017).

ლუპერზე შემსრულებელი ქართველი მუსიკოსებიდან ყველაზე ცნობილი სანდრო კვაჭაძეა, რომელიც ა კაპელა მრავალხმიან ვოკალურ კომპოზიციებს ქმნის, თუმცა მუსიკოსი ქართული ტრადიციული მრავალხმიანი მუსიკის ელემენტების გამოყენებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს. რაც ეხება ქართულ ფოლკ-ფიუჯენს, ჯერჯერობით, ლუპერის ტექნოლოგიით მრავალხმიანობის ეფექტის მიღების მხოლოდ ერთული შემთხვევები გვაქვს. ერთ-ერთი მათგანია ლელა ნაყეურისა და Ellarge-ს

თანამშრომლობა სატელევიზიო პროექტ „აკუსტიკას“ ექსპერიმენტის ფარგლებში. როგორც ინტერნეტში განთავსებულ ოფიციალურ ვიდეოზეა მითითებული, „მუსიკა და ტექსტი ხალხურია, არანუირება Ellarge-ს ეპუთვნის“ (☞ **მაგალითი №9**). რეალურად, ინსტრუმენტულ მელოდიკას იმპროვიზაციული პასაჟებით სრულიად ახალი და დამოუკიდებელი მუსიკალური ელემენტი შემოაქვს და კომპოზიცია ბევრად ცდება უბრალოდ, ფოლკლორის არანუირებას. ამასთან, სინთეზატორის ეფექტებით შეტანილი მისტიკური ქდერადობა „ხევსურული ნანას“ პირველად მუსიკალურ სახეობრიობას რადიკალურად ცვლის. ამ შემთხვევაში, არა ლუპერი, არამედ სინთეზატორი უზრუნველყოფს მრავალხმიანობის ეფექტის მიღებას, როდესაც ხევსურული ნანას მრავალჯერ განმეორებულ სტროფს კიდევ ერთი, კულმინაციური გატარებისას ტერციით ზემოთ აორმაგებს, ანუ ორხმიანობის ეფექტს ქმნის, მაგრამ არა ტრადიციული ხევსურული ორხმიანობის, სადაც დამწყებ ხმას ტერციული გაორმაგებით მიღებული ზედა ხმის ნაცვლად, ბანის პარტია თუ დაემატებოდა, „შეუბანებდა“. ამდენად, სინთეზატორის ტექნიკური შესაძლებლობებით შექმნილი მრავალხმიანობის ეფექტი ქართული მუსიკალური ფოლკლორის აღმოსავლეთის მთის დიალექტისთვის დამახასიათებელ ჰარმონიული განვითარების ლოგიკურ ჯაჭვს არ მისდევს, თუმცა მრავალხმიანობის ეფექტის მთავარი დატვირთვა არა მხოლოდ დრამატურგიული განვითარება და კულმინაციური მომენტის მეტი ხაზგასმაა, არამედ, ჩვენი აზრით, კომპოზიციის ქართულობის გამძაფრებაც, გამომდინარე ქართული ფოლკლორის, როგორც მრავალხმიანი მუსიკალური კულტურის, რეპუტაციიდან.

ლუპერის ტექნოლოგიური შესაძლებლობები საინტერესოდაა ათვისებული ქართული ფოლკლორის შემსრულებელი ფრანგი მუსიკოსის, ზოე პერეს მიერ ელექტრონული მუსიკის ქართველ შემსრულებელთან, Tete Noise-თან ერთად განხორციელებულ ფოლკ-ფიუჟენ ექსპერიმენტში. მუსიკოსებმა 2018 წლის 30 მაისს თუშური მითოლოგიის სადამოს ფარგლებში „ფორაქიშვილების დარბაზის“ ალტერნატიულ სივრცეში წარმოადგინეს დაახლოებით ნახევარსაათიანი სეტი²⁴, რომელშიც ხალხურ მოტივებზე შექმნილ ლელა თათარაიძის სიმღერაზე „ლომო, შე ლომის მოკლულო“ და, ძირითადად, აღმოსავლეთის მთის ინტონაციებზე აგებული იმპროვიზაციული ელექტრონული კომპოზიცია დაუკრეს. ამ შემთხვევაში, ზოე პერეს

²⁴ ელექტრონულ მუსიკაში მიღებული საშემსრულებლო დროის მონაკვეთი, დაახლოებით იგივეა, რაც საკონცერტო ფორმატის შემთხვევაში ერთი განყოფილება.

მიერ ლუპერის გამოყენება მიმართული არ ყოფილი ქართული ფოლკლორისთვის დამახასიათებელი მრავალხმიანი სტრუქტურის მისაღებად. მისი მიზანი იყო ამა თუ იმ საშემსრულებლო ტექნიკითა და ეფექტით (ხშირ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორიდანვე აღმოცენებული), ერთგვარი ხალხურობისა და მისტიკურობის შემცველი სპეციფიკური ესთეტიკის შექმნა და ამ ჟღერადობის გამოყენება თუშური სიმღერის ფონად. საბოლოო შედეგად, კვლავ ერთი ადამიანის სასიმღერო ხმებისა თუ ეფექტების ვერტიკალში დაშრევებით შექმნილი მრავალხმიანი სტრუქტურა მივიღეთ, თუმცა სრულიად სხვა საშემსრულებლო საშუალებებითა და მიზნით განხორციელებული. ასეა თუ ისე, ვოკალის პარტიის ლუპერზე ექსპერიმენტირებით შესრულებული იმპროვიზაციული კომპოზიციის საბოლოო შედეგად კვლავ „მრავალხმიანობის ეფექტი“ წარმოგვიდგება (**მაგალითი №10**). თავად ზოე პერე ამჟამად ქართული ტრადიციული ფოლკლორული მუსიკის შემსრულებელ კვარტეტს, „კიმილიას“ ხელმძღვანელობს. ცოტა ხნის წინ მისი ერთ-ერთი წევრის (ბანის) წასვლის შემდეგ მუსიკოსი გარკვეული პერიოდი შესაძლებლად მიიჩნევდა მისი ჩანაცვლება არა ახალი მომღერლით, არამედ სწორედ ლუპერით მოეხდინა. ერთი მხრივ, კარგი ბანის მქონე და ამავდროულად, ჯგუფის ესთეტიკასთან მორგებისა და მათი შეხედულებების გაზიარების თვალსაზრისით, შესაბამისი კანდიდატურის მოძებნა არც ისე ადგილია, მეორე მხრივ, კი ლუპერის მრავალფეროვან შესაძლებლობებში ჩახედული მუსიკოსისთვის მსგავსი გადაწყვეტა საკმაოდ რეალისტურად გამოიყერება, ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებლობის ფორმატშიც კი (პერე, 2020). ამ შემთხვევაში, ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობასა და ტრადიციული მრავალხმიანობის ეფექტს შორის ჭიდილისა და თავად მრავალხმიანი ვოკალური მუსიკის კონცეფციის გადახედვის საშიშროებაც კი ჩნდება. დღეს, მსგავსი თანამედროვე შესაძლებლობების პირობებში, უნდა იყოს თუ არა სოციალური ფაქტორი კვლავ გადამწყვეტი ამა თუ იმ მრავალხმიანი სტრუქტურის მქონე მუსიკის მრავალხმიანობად დეფინირებისთვის?!

ამ პრობლემის უკეთ გასაცნობიერებლად, როგორც ეთნომუსიკოლოგმა და მონაწილე-დამკვირვებლის როლში მყოფმა მკვლევარმა, თავადაც ვცადე ლუპერის შესაძლებლობებში გარკვევა, კერძოდ, ფოლკ-ფიუჯენის კონტექსტში ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ეფექტის მიღების შესაძლებლობების თვალსაზრისით. პორტუგალიაში სწავლისას (2019 წლის თებერვალ-ივნისში)

საგანგებოდ დავუფლე ლუპერზე შესრულების ტექნიკას, თუმცა საკუთარი ლუპერის უქონლობის გამო, ხანმოკლე სასწავლო კურსის განმავლობაში ამ ხელსაწყოს მხოლოდ საწყისებს გავიცანი და სულ რამდენიმე მცირე ექსპერიმენტით შემოვიფარგლე. მიუხედავად ამისა, საკმარისი წარმოდგენა შემექმნა იმის გასაცნობიერებლად, რომ ლუპერის გამოყენებით ქართული ვოკალური მრავალხმიანობის ფორმებისა თუ საშემსრულებლო ტექნიკების ელემენტების ათვისება-დამუშავება უდიდესი პოტენციალის მქონეა ქართული ფოლკ-ფიუჯენის ახალი მიმართულებით განვითარების თვალსაზრისით. ამასთან, მსგავსი მიმართულების ექსპერიმენტული და ტექნოლოგიურად თანამედროვე ბუნების გამო, მასში მოღვაწე მუსიკოსები საგრძნობლად გაზრდიან ადგილობრივ თუ მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიაში ქართული ფოლკ-ფიუჯენის აქტუალობას.

ზემოაღნიშნული ამა თუ იმ საანალიზო მეთოდის განხილვის საფუძველზე ჩვენთვის საინტერესო და ფოლკ-ფიუჯენის კონტექსტში შედარებით რელევანტური კრიტერიუმები შევარჩიეთ და ჩვენებული საანალიზო სისტემა ამგვარად ჩამოვაყალიბეთ:

1. ფოლკლორული მასალისადმი მიღეომა - რას იყენებს?

- რომელი მიმართულების? – გლეხური, ქალაქური;
- რა ჟანრის? – შრომის, საცეკვაო, სუფრული და ა.შ.
- რომელი კუთხის ან მუსიკალური დიალექტის/ეთნიკური მიკუთვნებულობის?
 - იყენებს თუ არა ფოლკლორულ ინსტრუმენტებს (და რას)?
 - ვოკალურ ერთხმიანობას მიმართავს თუ მრავალხმიანობას (და რომელ ფორმებს)?
 - როგორ ფოლკლორულ რეპერტუარს იყენებს? – პოპულარული თუ ნაკლებად ცნობილი, რთული თუ შედარებით მარტივი მუსიკალური სტრუქტურის;
 - რა სახის წყაროს მიმართავს? – სანოტო ჩანაწერები, საარქივო აუდიო ჩანაწერები, თანამედროვე აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, თავად იწერს მასალას;

2. ფოლკლორული მასალის დამუშავების პრინციპები – როგორ იყენებს?

- უშუალოდ – ციტატურად, ფოლკლორული ნიმუშის სემანტიკური დატვირთვის შენარჩუნებით;
- გაშუალებულად – ცალკეული მუსიკალური ელემენტების (მელოდია, აკორდიკა, კილო, მეტრ-რიტმი) დონეზე, ახალი სემანტიკური დატვირთვით;
- ვოკალურ პარტიაში თუ საკრავიერ თანხლებაში (თუ ორივეში);
- ვოკალურ მრავალხმიანობას მიმართავს თუ მრავალხმიანობის ავექტებს?
- რა ტექსტს იყენებს და როგორ? – ხალხური ტექსტი, ახალი ტექსტი ხალხურ სტილში, სამღერისები, გლოსოლალიები და ა.შ.

3. ფიუჟენის განხორციელების სტილური მრავალფეროვნება – რა განსხვავებული ქვემიმართულებები გვხვდება (მეტ-ნაკლებად იდენტიფიცირებადი) ?

- ეთნო-ჯაზი
- ფოლკ-როკი
- ფოლკ-ელექტრონიკა
- პროგრესივ-ფოლკი
- ფოლკ-ალტერნატივა

ჩვენი მიზანია, ეს საანალიზო სისტემა ქართულ ფოლკ-ფიუჟენს მოვარგოთ, რასაც ამ მიმართულების ერთ-ერთი, ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო ჯგუფის მაგალითზე განვახორციელებთ. შერჩევისას ჩვენი მთავარი პრინციპი ჯგუფის შემოქმედებაში გამოვლენილი ფოლკ-ფიუჟენის შექმნის მიღებობისა და ფოლკლორულ წყაროსთან მიმართების მრავალფეროვნებაა. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმით გამოვყავით ქართული ფოლკლორული მუსიკის დასავლურ პოპულარულ მუსიკასთან სინთეზის ყველაზე ძველი ფორმის, ეთნო-ჯაზის შემსრულებელი ჯგუფი „ირიაო“, როგორც მეტ-ნაკლებად ტიპური და, ამავდროულად, ამ სფეროში დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ჯგუფი. ამასთან, მათ

შემადგენლობაში წარმოდგენილი მამაკაცთა ვოკალური ტრიო თავისი მკვეთრად დომინირებული ფუნქციით „ირიაოს“ ერთგვარად გამორჩეულ თანამედროვე ფოლკ-ფიუჟენ ჯგუფად აქცევს. სრულფასოვანი კვლევის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორია საანალიზო მასალის სიმდიდრე და მრავალფეროვნება. „ირიაო“, ამ თვალსაზრისითაც, უდივოდ გამოირჩევა ქართულ ფოლკ-ფიუჟენ მუსიკის სივრცეში. ჩვენ მიერ გამოკითხულ შემსრულებელთაგან ის ერთადერთი ჯგუფია, ვისაც გარდა აუდიო-ვიდეო ჩანაწერებისა, რეპერტუარის დიდი ნაწილის სანოტო პარტიტურებიც (მათ შორის, საორკესტრო ვარიანტებისაც) გააჩნიათ (ჯგუფის ხელმძღვანელის, კომპოზიტორ დავით მალაზონიას წყალობით). სხვადასხვა ტიპის მასალის ანალიზმა კი, განსაკუთრებით, მათი მუსიკის იმპროვიზაციული ბუნების გათვალისწინებით, ბევრი საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა. აქვე დავძენთ, რომ „ირიაოს“, ან რომელიმე სხვა ჩვენთვის საინტერესო ფოლკ-ფიუჟენ ჯგუფის მუსიკის გაშიფვრა, ამ მუსიკისთვის დამახასიათებელი მრავალშრიანი ვოკალურ-ინსტრუმენტული სტრუქტურისა და თანამედროვე ტექნოლოგიური ხელსაწყოებისა თუ ხერხების გამოყენების გამო, შეიძლება ითქვას, რომ განუხორციელებელი ამოცანაა (სპეციალური კომპიუტერული პროგრამების ფლობის გარეშე).

ჯგუფი „ირიაო“ 2013 წელს შეიქმნა თბილისში, როდესაც კულტურის სამინისტროს ინიცირებული ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში შექმნებილმა მუსიკოსებმა გადაწყვიტეს მათი თანამშრომლობა „ირიაოს“ ფორმატში გაეგრძელებინათ. ჯგუფის ხელმძღვანელი დავით მალაზონია კომპოზიტორი და ამ სფეროში მეტად გამოცდილი მუსიკოსია. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოში ეთნო-ჯაზის შესრულება დაიწყო, 1980-იანების ბოლოს მის და ზაზა მიმინოშვილის მიერ დაარსებული „ადიოს“ ფარგლებში, რომლის რეპერტუარის უმრავლესობა სწორედ დავით მალაზონიას კომპოზიციებს წარმოადგენდა. ამდენად, ბუნებრივიცაა, რომ „ირიაოს“ მუსიკალური ხელმძღვანელი და კომპოზიციების ავტორი სწორედ დავით მალაზონიაა. ჯგუფი მრავალმხრივი და ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული მუსიკალური გამოცდილების მქონე მუსიკოსებითაა დაკომპლექტებული, რაც მალაზონიასეულ კომპოზიციებს სტილურად ფერადოვანსა და გაცილებით ორიგინალურს ხდის. საინტერესო გადაწყვეტაა ჯგუფში სოლისტი ვოკალისტის ნაცვლად, მამაკაცთა ვოკალური ტრიოს ჩართვა, რაც ჩვენი აზრით,

სწორედ ქართული ტრადიციული მუსიკის ესთეტიკიდან მომდინარეობს და ჩანასახშივე განსაზღვრავს ჯგუფის მუსიკალურ ორიენტაციას – ქართული ხალხური მუსიკის თანამედროვე პოპულარულ მუსიკასთან სინთეზის თვალსაზრისით. მით უფრო, რომ ვოკალური ტრიოს ახალგაზრდა წევრები – მიშა ჯავახიშვილი, გაგა აბაშიძე და ბუბა მურდულია ქართული ტრადიციული მუსიკის გამოცდილი შემსრულებლები არიან. ხალხური სიმღერის შემსრულებელ საბავშვო ჯგუფებში – „მართვესა“ და „ბიჭებში“ აღზრდილი მიშა ჯავახიშვილი და გაგა აბაშიძე დღეს ერთ-ერთ წამყვან ფოლკლორულ ანსამბლ „შავნაბადას“ წევრები არიან, ბუბა მურდულია კი საზღვარგარეთ განსაკუთრებით ცნობილ ხალხურ გუნდ „იბერს“ ხელმძღვანელობს. როგორც თავად აღნიშნავს, მთელი ცხოვრება ქართული ფოლკლორულ ინსტრუმენტებზე უკრავს ჯგუფის წამყვანი სოლო ინსტრუმენტალისტი დავით ქავთარაძე, რომელსაც, ასევე, სხვადასხვა ფოლკ-ფიურენ პროექტში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. როგორც ვხედავთ, ამ შემსრულებლების მუსიკალური იდენტობის უმთავრეს შემადგენელს სწორედ ქართული ტრადიციული მუსიკა წარმოადგენს. ჯგუფის ბას-გიტარისტი შაკო ლელეყვა და დრამერი ლევან აბშილავა კი დასავლური პოპულარული მუსიკის გამოცდილი და მეტად დახელოვნებული შემსრულებლები არიან, რომელთა განსხვავებული მუსიკალური გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეთნო-ჯაზ ბენდის კონცევციის სრულყოფილი რეალიზაციისთვის.

ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ჯგუფმა „ირიაომ“ შექმნისთანავე, 2013 წლის გაზაფხულზე, მონაწილეობა მიიღო ტალინის მუსიკის კვირეულში, რომელიც მთელი მსოფლიოდან მოწვეულ პროდიუსერებს განსაკუთრებით საინტერესო და პერსპექტიულ მუსიკალურ კოლექტივებს წარუდგენს. ფესტივალში მათი მონაწილეობა მეტად შედეგიანი აღმოჩნდა – ბენდმა პოლონელი პროდიუსერებისგან დისკის ჩაწერის შემოთავაზება და მალაიზიური „ბორნეო ჯაზ-ფესტივალის“ ორგანიზატორებისგან მოწვევა მიიღო. ამას მოჰყვა მონაწილეობა მსოფლიოს პირველ ხუთეულში შემავალ ინდონეზიურ ჯაზ-ფესტივალში „ჯავა-ჯაზი“, ბობი მაკფერენის, რიჩარდ ბონას, ჩაკა ჰანისა და სხვა დიდი ვარსკვლავების გვერდით. ამდენად, მუსიკოსებიც აღნიშნავენ, რომ „თავიდანვე „ირიაოს“ უფრო კარგად იცნობდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ვიდრე საქართველოში“ (მიშა ჯავახიშვილი), თუმცა მან მაღე საქართველოშიც მოიპოვა საკუთარი ნიშა და ერთგული მსმენელი. ჯგუფის

შემოქმედებითმა კურსმა (ტრადიციული და თანამედროვე მუსიკის სინთეზი), მათი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით, მუსიკალური ელიტის ნდობაც დაიმსახურა, განსაკუთრებით, რამდენიმე ისეთ ლონისძიებაში მონაწილეობის შემდგომ, როგორიც იყო 2015 წელს განხორციელებული დავით მალაზონიას პროექტი „გზაგნილები გია უანჩელს“, სადაც „ირიაო“ ორკესტრთან და სოლო ვოკალისტთან ერთად საშემსრულებლო ჯგუფის ნაწილი აღმოჩნდა. მსგავსი ფორმატის, თუმცა ჯგუფისთვის გაცილებით წარმატებული იყო 2018 წელს თბილისის სიმფონიურ თრკესტრთან (ვახტანგ კახიძის დირიჟორობით) ერთად განხორციელებული „ირიაოს“ სოლო კონცერტი, რასაც მოჰყვა 2018 წლის ნოემბერში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტში „ტრადიცია და თანამედროვეობა“ მონაწილეობა და უცხოელი ეთნომუსიკოლოგ-შემსრულებლებით დომინირებული აუდიტორიის მაღალი შეფასებები, რომლებიც მათ სიმპოზიუმის ორგანიზატორებს გაუზიარეს.²⁵ თუმცა, საქართველოში ცნობადობის მოპოვების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჯგუფის არჩევა 2018 წელს პორტუგალიაში გამართულ „ევროვიზიის“ კონკურსში საქართველოს წარსადგენად. მიუხედავად იმისა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეს გადაწყვეტილება „ირიაოს“ კონკურსის ნახევარფინანსირების გამოვარდნის შემდეგ საზოგადოების კრიტიკის ქარცეცხლში მოყვა, თავად ფაქტი, რომ ეთნო-ჯაზ ჯგუფი დღეს ერთ-ერთ ყველაზე მაღალრეიტინგულ კონკურსზე საქართველოს წარსადგენად გაიგზავნა, ფოლკ-ფიუჯენის მიმართულების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მაგრამ ამ თემას დისერტაციის IV თავში შედარებით ფართოდ შევეხებით.

ამჯერად კი, სადისერტაციო ნაშრომის III თავის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ჯგუფ „ირიაოსთან“ ჩატარებული კვლევიდან განსაკუთრებულ აქცენტს მათი შემოქმედების მუსიკალურ ჭრილში განხორციელებულ ანალიზე გავაკეთებთ. ადსანიშნავია, რომ ამ პროცესში გამოვიყენეთ ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებული და ჩვენ მიერ მოპოვებული (ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის არქივიდან, ინტერნეტ-სივრციდან) მუსიკალური (აუდიო-

²⁵ მსოფლიოში აღიარებული ეთნომუსიკოლოგების სიმპა არომის, პიტერ გოლდის, დაივა რაჩიუნაიტ-გიჩინიერეს და სხვ. შეფასებები, გამოთქმული სიმპოზიუმის ორგანიზატორებთან, ტმკც-ის თანამშრომლებთან.

ვიდეო) მასალა. ეს მასალა და მათგან, 8 კომპოზიციის არსებული სანოტო პარტიტურა, ერთი მხრივ, ჩვენ მიერ შედგენილი ფოლკლორული მასალისადმი მიმართვის თავისებურებების დასადგენი საანალიზო სისტემის, მეორე მხრივ (მუსიკალური ენის სხვადასხვა პარამეტრის ანალიზისას), კი ირინე ებრალიძის მიერ წარმოდგენილი მუსიკალური კრიტერიუმების ნუსხის მიხედვით შევისწავლეთ. ნიმუშად წარმოვადგენთ ზემოაღნიშნულიდან ერთ-ერთი კომპოზიციის, „ხელხვავი“-ს მუსიკალურ ანალიზს.

პირველ რიგში, ადგნიშნავთ, რომ ჯგუფს შესრულებული აქვს კომპოზიციის ორგვარი ვერსია – მხოლოდ ბენდის (მაგალითი №11) და ბენდისა და ორკესტრისათვის (მაგალითი №12), სადაც, ბუნებრივია, გაცილებით კომპლექსური მუსიკალური ფაქტურა და მასშტაბური ჟღერადობაა მიღწეული. სამწუხაროდ, მხოლოდ ბენდის ვერსიის სანოტო პარტიტურა ავტორს არ აღმოაჩნდა, ამიტომ, პირველ რიგში, არსებულ საორკესტრო პარტიტურაზე დაყრდნობით განვახორციელეთ კომპოზიციის ანალიზი, პარალელურად კი შევადარეთ ის ბენდისათვის დაწერილ ვერსიას და შევეცადეთ, განსხვავებული არანუირებისას გამოვლენილი ძირითადი ცვლილებების დაფიქსირებას. კომპოზიციის ანალიზისას აქცენტს ვაკეთებთ ფოლკლორული მასალისადმი მიმართებაზე და, ძირითადად, სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავთ ნიმუშის მუსიკალურ ენას.

პოპულარული მუსიკის მკვლევარ რიჩარდ მიდლტონის ზემოთ მოხმობილი პოზიციის გათვალისწინებით, ჩვენ როგორდაც უნდა ვიპოვოთ გზები მუსიკალურ ჟღერადობაშივე წარმოქმნილი ფორმულების წინა პლანზე გამოსაყვანად, ისე, რომ ფორმალიზმთან²⁶ კვლავ დისტანცია დავიჭიროთ, ამდენად, შევეცადეთ ფორმალური ანალიზისა და და მნიშვნელობის განსაზღვრას შორის ოქროს შუალედის დაჭერას. აქედან გამომდინარე, კომპოზიციის განხილვისას ყურადღებას ვამახვილებთ, როგორც მნიშვნელოვან მუსიკალურ ელემენტებზე, ისე მუსიკალურ პროცესებზე, რაც მის საბოლოო ფორმას ქმნის. ამ თვალსაზრისით, ვიზიარებთ ასაფიევისეულ მიდგომას, რომლის თანახმად ფორმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროცესი და როგორც კრისტალი (Асафьев, 1971). თუმცა, კომპოზიციის ფორმის დეტალური ანალიზის პარალელურად, ცალკეულ მონაკვეთებში გამოვლენილი ქართული

²⁶ განმარტება იხ. გვ. 101-ზე.

ფოლკლორისათვის დამახასიათებელი რიტუალი, ინტონაციური, აკორდული თუ კილო-ჰარმონიული თავისებურებების იდენტიფიცირებას ვახდენთ.

როგორც ვიცით, „ხელხვავი” დასავლეთ საქართველოში (ძირითადად, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში) გავრცელებული შრომის სიმღერაა, შესაბამისად, კომპოზიციის სათაურად მისი გამოტანა უკვე მეტყველებს ნიმუშის ფოლკლორულ ხასიათსა და მასში ჩართულ გლეხური ფოლკლორის ელემენტებზე. ამასთან, ვოკალური ტრიოს მიერ შესრულებული კომპოზიციის მთავარი თემის ტექსტი ერთ-ერთი ხალხური ლექსის – „ხელხვავია, ხელხვავია”²⁷ ამონარიდს წარმოადგენს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ კომპოზიციის მთავარ თემაში არ არის გამოყენებული რაიმე ციტატა ჩვენთვის ცნობილი ხალხური ხელხვავებიდან, მეტიც, ის ქართლური შრომის სიმღერების ინტონაციებთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ტრადიციულ დასავლურ ხელხვავებთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიციაში ფიგურირებს დასავლური მუსიკალური დიალექტებისათვის დამახასიათებელი მუსიკალური თავისებურებებიც.

უნდა ითქვას, რომ საორკესტრო პარტიტურაში საორკესტრო ინსტრუმენტების გვერდით გამოყოფილია დოლის პარტია, რადგან ის არა მხოლოდ სათანხლებო ფუნქციისაა, არამედ, მცირე სოლო-ჩანართებიც აქვს, ხოლო ბენდის ინსტრუმენტების (ბასი, დრამი, პერკუსია და ელექტრო ფ-ნო) პარტიები საერთოდ არაა პარტიტურაში აღნიშნული, სავარაუდოდ, კომპოზიციაში მათი სათანხლებო ფუნქციიდან გამომდინარე. „ირიაოს” მუსიკის სოლისტი – ვოკალური ტრიო პროფესიული მუსიკის ტრადიციისამებრ, ტენორებად (I-II) და ბანადაა დაყოფილი. უნდა ითქვას, რომ ამავე კომპოზიციის მხოლოდ ბენდისათვის არანჟირებულ ვერსიაში დოლის გარდა ქართული ფოლკლორული ინსტრუმენტები სალამური და ფანდური მონაწილეობს.

²⁷ „ხელხვავია, ხელხვავია, ხელბარაქელაო.
ღმერთო, მომე მკლავში მალა,
მუხლში მალა, ხელბარაქელაო.
ასი ურემი, ერთადო, ხელბარაქელაო,
კურდდედსა შეშა მოჰქონდა, ხელბარაქელაო,
ასი ურემი ერთადო, ხელბარაქელაო
ეზოში ვერ ჩამოტია, ხელბარაქელაო,
ღობე მოტეხა შარისა, ხელბარაქელაო,
მიქელი და გაბრიელი, ხელბარაქელაო,
ყანა მოგვცა ხვავრიელი, ხელბარაქელაო” (კიკნაძე, მახაური, 2010: 110).

კომპოზიციის შესავალი (↗ მაგალითი №3.1), ჯაზური ტერმინოლოგიით, ინტრო²⁸ (16 ტაქტის მოცულობის), მთავარი თემის საწყისი ფრაზის რიტმულად თავისუფალი განვითარება (თუმცა პარტიტურაში მითითებული არ არის rubato), რომელსაც სოლო ვოკალისტი ასრულებს ბურდონული ბანის იმიტაციის მქონე სიმებიანების გაბმულ ფონზე. კომპოზიციის საწყის, ბურდონის ფუნქციის მქონე სეკუნდკვინტაკორდში სეკუნდური ჟღერადობა პირველივე წუთებიდან ქართული ფოლკლორის ატმოსფეროს ქმნის, რასაც აძლიერებს ვოკალისტის ქართლ-კახური შრომის სიმღერების („ურმულებისა“ და „ოროველების“) მსგავსი ფართოდ გადაჭიმული და მცირე მელიზმებით გამშვენებული ფრაზა.

შესავლის შემდგომ აჟღერებული დოლის რიტმი (↗ მაგალითი №3.2) მთელი კომპოზიციის პულსაციას აყალიბებს, რაც ვოკალურ სკეტჩებშია²⁹ ატაცებული და დრამატურგიული აღმასვლით მთავარი თემისთვის ნიადაგს ამწიფებს. კომპოზიციას თუ კლასიკური ფორმის ანალიზის მიდგომებით განვიხილავთ, შეგვიძლია ვოქვათ, რომ აღნიშნული მონაკვეთი (24 ტაქტი) ექსპოზიციის დასაწყისს წარმოადგენს, ხოლო ჯაზური კომპოზიციებისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიიდან, ის ხიდის (bridge)³⁰ ვრცელ მონაკვეთად შეიძლება იწოდოს.

თემის ქორუსი³¹ (↗ მაგალითი №3.3) ორი მსხვილი ნაწილისაგან შედგება, თითოეული კი სამ-სამი ნაგებობისაგან, შესაბამისად, მისი ფორმა შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვსახოთ – AABABC, სადაც ტაქტების რაოდენობა ასე ნაწილდება – 8+8+8+8+8+10. გამომდინარე იქიდან, რომ კომპოზიციის თემა ვოკალური ტრიოს პარტიაშია გაშლილი, მისი ფორმა შემსრულებლებთან მიმართებაში შემდეგნაირად წარმოგვიდგება: A (სოლისტი), A (ტრიო), B (სოლისტების გადაძახილი), A (ტრიო), B (სოლისტების გადაძახილი), C (ტრიო). როგორც ვხედავთ, საწყის ნაგებობაში A, ქართული ფოლკლორული მუსიკისათვის დამახასიათებელი რესპონსორული

²⁸ „ინტრო (ინგლ. Intro – შემოკლებული Introduction) – თანამედროვე მუსიკალურ მიმდინარეობებში (ჯაზი, როკი, პოპი) ნაწარმოების ერთგვარი შესავალი; ინტრო, როგორც წესი, მოკლე და კომპაქტურია“ (ებრალიძე, 2016: xiii).

²⁹ „სკეტი – უტექსტო, ვოკალიზებული სიმღერა; ჯაზში – ვირტუოზული იმპროვიზაციის ნაირსახეობა, როდესაც ადამიანის ხმა მუსიკალურ საკრავს უთანაბრდება და თავისებურ უშინაარსო ფონემებს ასრულებს“ (ებრალიძე, 2016: xiii).

³⁰ „ხიდი (bridge) – ჯაზურ კომპოზიციებში ქორუსებს შორის მოთავსებული სხვადასხვა ხანგრძლიობის მედოდიურ-ქარმონიული ნაგებობები“ (ებრალიძე, 2016: xiv).

³¹ განმარტება იხ. გვ. 105-ზე.

შესრულების ფორმის შესაბამისად, სოლისტისა და ტრიოს (გუნდის ფუნქციით) მონაცემლებაა მოცემული. ნაგებობა B კი შრომის სიმღერებისთვის ტიპურ ელემენტზე, გადაძახილებზეა აგებული. ამდენად, თემის ქორუსში უკვე იპვეტება კომპოზიტორის მიერ ფოლკლორული მუსიკალური მასალის გაშუალებულად გამოყენების მიღომა.

დოლისა და ვოკალის იმპროვიზაციული ხასიათის ხიდის (30 ტაქტი) შემდეგ დამუშავების ფუნქციის მქონე კომპოზიციის შუა ნაწილია მოცემული, რომელიც ორი ნაგებობისგან შედგება (**მაგალითი №3.4**). მათგან, საორკესტრო დამუშავება სხვადასხვა საორკესტრო საკრავში მცირე მოტივების გადაძახილებისა (32 ტაქტი) და ფლეიტა-ფაგოტის მონაცემლებითი იმპროვიზაციული ხასიათის მონაკვეთებისგან (40 ტაქტი) შედგება. ამ უკანასკნელში ქართლური საცეკვაო ინტონაციების სალამურზე შესრულებაა იმიტირებული, რაც გასაკვირი არცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბენდისათვის არანჟირებულ ვერსიაში მთელ ამ პარტიას სწორედ სალამური ასრულებს. ამდენად, კომპოზიტორის ჩანაფიქრია კომპოზიციის ყოველ ნაწილში (თუნდაც მისი საორკესტრო არანჟირებისას) შეინარჩუნოს ფოლკლორული ესთეტიკა, ხალხურობის ატმოსფეროს შემქმნელ ძირითად ელემენტებად კი ის შრომისა და საცეკვაო უანრის ნიმუშების ინტონაციებს მიმართავს.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ კომპოზიციის საორკესტრო ვერსიაში გაორკესტრების სპეციფიკის, მათ შორის, კლასიკური ინსტრუმენტებისათვის ჩვეული, ზუსტად გაწერილი პარტიტურის გათვალისწინებით, კომპოზიციის ჯაზური ხასიათი ნაკლებ თვალსაჩინოა, ვიდრე მის ბენდისათვის არანჟირებულ ვერსიაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით, საინტერესოა კომპოზიციის შუა ნაწილის მეორე მონაკვეთი, ერთგვარი კოლაჟის პრინციპით ჩართული ვოკალის იმპროვიზაციაა, რომელიც მხოლოდ ბენდის ინსტრუმენტების თანხლებით სრულდება. „ირიაოს“ ერთ-ერთი ვოკალისტის, მიშა ჯავახიშვილის მიერ შესრულებული იმპროვიზაცია ქართული ფოლკლორისთვის დამახასიათებელ სამღერისებზეა აგებული და, ძირითადად, დოლის რიტმების ვოკალურ იმიტაციას წარმოადგენს. ამავდროულად, მასში გამოყენებულია სხვადასხვა ჯაზური ეფექტი, მათ შორის, ვოკალისტის სახასიათო საიმპროვიზაციო ფრაზების იმიტაციური პასუხი სხვადასხვა ინსტრუმენტის მიერ (ამ შემთხვევაში, ბასი, დოლი, პერკუსია, კლავიში). იმპროვიზაციის დასასრულს, ქართლ-კახური

შრომის სიმღერებისათვის დამახასიათებელი ფრაზა – „მოუსვით ნამგალი ბიჭებო, ჰერიო” ჯაზისთვის ჩვეულ იმპროვიზაციის დამამთავრებელ ნიშნად, „მუსიკალურ შუქურად”³² გვევლინება, რომელიც ამ შემთხვევაში, კომპოზიციის რეპრიზული ნაწილის მაუწყებელიცაა.

ორკესტრისა და დოლის მაორგანიზებელი რიტმის ფონზე სკეტებით მომღერალი ვოკალისტები აღმავალი ქრომატული მოდულაციით თანდათან კვლავ სამხმიანობაში ერთიანდებიან და ქართული შრომის სიმღერების დასასრულისთვის ტიპური გადაძახილების იმიტაციას ახდენენ (↗ მაგალითი №3.5). მართალია, რეალურად საწყის პულსაციას არ ცდებიან, დინამიური აღმასვლითა და დაძაბულობის ზრდით მსმენელს ტემპის მომატების ილუზიას უქმნიან. დრამატურგიული განვითარების მწვერვალის მიღწევისას კი მთელი ეს დაძაბულობა თემის საწყის ქორუსში განიმუხებება (↗ მაგალითი №3.6). ამდენად, კომპოზიცია ოდნავ სახეცვლილი რეპრიზით სრულდება, რაც მას სამნაწილიან ფორმად აყალიბებს – ABA². აქედან, ექსპოზიცია მარტივი ორნაწილიანი ფორმისაა (AB) და მის შესავალ ნაგებობასა და უშუალოდ, თემის ქორუსს აერთიანებს.

როგორც ვხედავთ, კომპოზიციაში „ხელხვავი” კომპოზიტორი ფოლკლორული მასალისადმი გაშუალებულ მიღომას მიმართავს, თუმცა მუსიკალური სტრუქტურას მთლიანად მსჭვალავს ხალხური ელემენტებით, იქნება ეს კილო-ინტონაციური, რიტმული, ჰარმონიული თავისებურებები თუ ხალხური საკრავების ჩართვა ან მათი იმიტაცია (როგორც ეს ფლეიტა-ფაგოტის დუეტში სალამურის იმიტაციის შემთხვევაში იყო წარმოდგენილი). ამასთან, ეთნო-ჯაზისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ჯაზური ელემენტის (იმპროვიზაციების ტიპი, რიტმი, ჰარმონია და ა.შ.) ჩართვით, საორკესტრო ვერსიად არანჟირებულ კომპოზიციაშიც კი ინარჩუნებს ჯაზურ ესთეტიკას. თუმცა მალაზონიას მიერ გამოყენებული კომპოზიციური განვითარებისა და ფორმაქმნადობის პრინციპები მის ეთნო-ჯაზ კომპოზიციას

³² „შუქურა“ – ჯაზის მუსიკოსებში გავრცელებული, გარკვეული აშკარა ან შეფარული ნიშნები ან უესტები, რომელიც საჭიროა კომპოზიციის სხვადასხვა კომპონენტზე გადასასვლელად; „შუქურა“ წინასწარი მოღაპარაკებით განისაზღვრება და თითოეული შემსრულებლისთვის ორიგინალური და განსხვავებულია (მაგალითად, თავზე ხელის გადასმა ნიშნავს, რომ გარკვეული მონაკვეთი თავიდან უნდა დავიწყოთ და ა.შ.); აღსანიშნავია, რომ ხანდახან ჯაზის მუსიკოსები იყენებენ ე.წ. „მუსიკალურ შუქურას“, როდესაც რომელიმე შესრულებული მუსიკალური ფრაზა ანიშნებს ანსამბლს კომპოზიციის მომდევნო მონაკვეთზე გადასვლას” (ებრალიძე, 2006: xiv).

პროფესიული მუსიკის ესთეტიკასთანაც აახლოვებს (განსაკუთრებით, კომპოზიციის საორკესტრო არანჟირებაში).

წარმოდგენილი კომპოზიციის მსგავსად გვაქვს განხილული ჯგუფ „ირიაოს“ სხვა ნიმუშებიც, რომელთა ანალიზის საფუძველზე ჯგუფის შემოქმედებითი სტილის შესახებ შემდგები დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვიცა (მეტი თვალსაჩინოებისათვის, შედეგები პუნქტებისა და ქვეპუნქტების მიხედვით გვაქვს წარმოდგენილი):

1. ფოლკლორული მასალისადმი მიღომა – რას იყენებს?

- რომელი მიმართულების? – გლეხურს, ქალაქურს

„ირიაოს“ შემოქმედებაში, ქართული ხალხური მუსიკის გ.წ. გლეხური შტოს ფოლკლორული ელემენტები ჭარბობს, რაც პირველ რიგში, ჯგუფში ვოკალური ტრიოს მონაწილეობითაა განპირობებული. მაგრამ მათი რამდენიმე კომპოზიცია ქალაქური მუსიკის ელემენტებს ემყარება. მაგალითად, კომპოზიცია „ქალაქური მოტივი“ მთლიანად ქალაქური მუსიკის აღმოსავლური შტოს ფოლკლორულ ელემენტებზეა დაფუძნებული. თავად ის ფაქტი, რომ ბენდის მრავალ კომპოზიციაში ედერს დუდუკი (ფოლკლორული თუ არაფოლკლორული წარმოშობის მუსიკალური მასალით), ასევე, მიუთითებს მათი მუსიკის ქალაქურ, ამ შემთხვევაში, თბილისურ მუსიკასთან კავშირზე.

- რა ჟანრის? – შრომის, საცეკვაო, სუფრული და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც „ირიაოს“ კომპოზიციებში ცალკეული ფოლკლორული ელემენტებია (სამღერისები, კილო-ჰარმონიული ფორმულები) გამოყენებული, რთულია მასალაში რაიმე კონკრეტული ფოლკლორული ჟანრის იდენტიფიცირება. მაგრამ გარკვეულ კომპოზიციებში, სადაც სრული ტექსტი ან ციტატურად ჩართული ფოლკლორული ინტონაციებია, უკვე შეგვიძლია განვსაზღვროთ ფოლკლორული მასალის ჟანრი. ამ თვალსაზრისით, მათ კომპოზიციებში შრომის, აკვნის, პატრიოტული, ეპიკური, სუფრული, ლირიკულ-სატრიალო და საცეკვაო ჟანრის ნიმუშები ან ფრაგმენტებია დაფიქსირებული.

• რომელი გუთხის ან მუსიკალური დიალექტის/ეთნიკური
მიკუთვნებულობის?

ჟანრობრივი მიკუთვნებულობის მსგავსად, საკმაოდ რთულია განვსაზღვროთ „ირიაოს“ შემოქმედებაში გამოყენებული ფოლკლორული ელემენტების ამა თუ იმ მუსიკალური დიალექტისადმი მიკუთვნებულობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მუსიკალური მასალა ციტატურადაა ჩართული, ან შედარებით ვრცელი მელოდიური ფორმულებია გამოყენებული. თუმცა მასალის ეთნიკურ მიკუთვნებულობაზე ხშირად თავად ინსტრუმენტი ან სპეციფიკური საშემსრულებლო მანერა მიგვითითებს, ისევე, როგორც დუდუკისა (ქართული ქალაქური მუსიკის ტრადიციული ინსტრუმენტი) და სპეციფიკური ვოკალური მელიზმატიკისა (ძირითადად, ეთნიკურად აზერბაიჯანელი შემსრულებლების, მაგ. აშუდების პრაქტიკიდან).

თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გურული მუსიკალური დიალექტის მახასიათებლები აშკარად დომინირებს „ირიაოს“ შემოქმედებაში. ჯგუფში არსებული ვოკალური ტრიოს ფენომენი ყველაზე მეტად სწორედ გურული ფოლკლორისთვისაა დამახასიათებელი. თავად „ირიაოს“ ხელმძღვანელი, დაგით მალაზონია საგანგებოდ უსვამს ხაზს გურული ფოლკლორის ესთეტიკასთან განსაკუთრებულ კავშირს: „გურული ფოლკლორის ფილოსოფია, ესაა სამი ინდივიდუალისტის ერთიანობა, რომლებიც ბოლოში უნისონში ერთდებიან, დამოუკიდებელი მუსიკალური ხაზი აქვთ და ბოლოს სრულ თანხმობაში მოდიან. ძალიან მომხიბვლელი ფოლოსოფიაა ეს და ამის ბაზაზე იქმნება ჩვენი კომპოზიციები“ (მალაზონია, 2018).

• იყენებს თუ არა ფოლკლორულ ინსტრუმენტს (და რომელს)?

ფოლკლორული ინსტრუმენტებიდან ჯგუფის რეპერტუარში აქტიურადაა ჩართული დუდუკი. ეს წარმოშობით სომხური წარმოშობის თბილისური ქალაქური მუსიკალური ინსტრუმენტი კომპოზიციაში როგორც თანმხლებ, ისე სოლო-იმპროვიზატორულ ფუნქციას ატარებს და არა მხოლოდ ქალაქური მუსიკის აღმოსავლეთის შტოსათვის დამახასიათებელ კილო-ინტონაციურ მასალას ეყრდნობა, არამედ ხშირად ასრულებს კომპოზიციის მთავარ თემასა თუ დომინირებულ მუსიკალურ პასაუს, რომელიც, შესაძლოა, არავითარ კავშირში არ იყოს ფოლკლორულ საფუძვლებთან. მაშასადამე, დუდუკი ფოლკლორული ინსტრუმენტის

ფარგლებიდან გამოდის და ელექტრო ინსტრუმენტებით დაკომპლექტებული ბენდის კიდევ ერთ სრულფასოვან ინსტრუმენტად წარმოგვიდგება. გარდა დუდუკისა, პერკუსიაზე შესრულებისას ხშირად მიმართავენ დოლის ეფექტს, რომელიც ან თავად დოლითად მიღწეული, ან სხვა დასარტყამი ინსტრუმენტით. ამასთან, იშვიათად, დუდუკზე შემსრულებელი მას სიმებიანი ხალხური საკრავებით ანაცვლებს (ფანდური, ჩონგური, ჭუნირი).

- გოგალურ ერთხმიანობას მიმართავს თუ მრავალხმიანობას (და რომელ ფორმებს)?

„ირიაოს“ კომპოზიციების სრულ უმრავლესობაში ვოკალურ მრავალხმიანობას აქვს ადგილი. არის კომპოზიციები, სადაც ერთხმიანი ნიმუშის ვოკალური აკომპანირება, სოლოსა და გუნდის რესპონსორული შესრულების ერთგვარი იმიტაციაა მოცემული, სადაც გუნდის პარტია ვარიაციულად ასრულებს რეფრენს (მაგალითი №13). რაც ეხება მრავალხმიანობის ფორმებს, ყველაზე ხშირია თავისუფალ-კონტრასტული და კომპლექსური მრავალხმიანობის ფორმებისადმი მიმართვა, კომპოზიციებში იშვიათია ბურდონული მრავალხმიანობის მაგალითები და იქაც ბანი რეჩიტატიული ბურდონის სახით წარმოგვიდგება.

- როგორ ფოლკლორულ რეპერტუარს იყენებს? – პოპულარულს თუ ნაკლებად ცნობილს, რთული თუ შედარებით მარტივი მუსიკალური სტრუქტურისას.

უნდა ითქვას, რომ „ირიაოს“ კომპოზიციებში გამოყენებული ფოლკლორული რეპერტუარი როგორც სირთულის, ისე პოპულარობის თვალსაზრისით უზარმაზარ გრადაციას ქმნის, ამიტომ, ამ შემთხვევაში, ცალსახად ერთგვაროვანი დასკვნის გაკეთება და რაიმეს განზოგადება შეუძლებელია. ზოგადად, მათ შემოქმედებაში ერთი გამოკვეთილი ტენდენცია შეინიშნება – რამდენად მარტივი/სადა მუსიკალური სტრუქტურისაც არ უნდა იყოს ფოლკლორული პირველწყარო, „ირიაოს“ კოპოზიციაში მისი მუსიკალური სტრუქტურა ყოველთვის საკმაოდ დატვირთული ხდება, რაც მეტწილად, თავად ეთნო-ჯაზის სტილის კომპექსურობითა და მასში ჩართული მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების ფართო სპექტრითაა განპირობებული.

- რა სახის წყაროს მიმართავს? – სანოტო ჩანაწერებს, საარქივო აუდიო ჩანაწერებს, თანამედროვე აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს, თავად იწერს გასაღას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ირიაოს“ სამივე ვოკალისტი ქართული ხალხური სიმღერის ცნობილი და წარმატებული გუნდების წევრია, რომელთა მრავალრიცხვან რეპერტუარში არსებული მასალა (როგორც სანოტო, ისე საარქივო უდიო-ჩანაწერებიდან შესწავლილი) უკვე საკმარის წყაროს იძლევა კომპოზიციებისთვის ფოლკლორული საფუძვლის მისაცემად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „ირიაოს“ შემთხვევაში, მისი ხელმძღვანელი დავით მალაზონია პროფესიით კომპოზიტორია და თითქმის სრულად საკუთარ თავზე აქვს აღებული ახალი კომპოზიციების შექმნის პასუხისმგებლობა. მაგრამ არა ვოკალური ტრიოსა და ამა თუ იმ ინსტრუმენტის საიმპროვიზაციო მონაკვეთებში, სადაც მუსიკოსებს სრული თავისუფლება ეძლევათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავით მალაზონიას დიდი პროფესიონალიზმის წყალობით, ხშირად მსმენელის მიერ იმპროვიზებულ მონაკვეთებად აღქმული გარკვეული ვირტუოზული პასაჟები რეალურად, ავტორს პარტიტურაში აქვს გაწერილი, მეტნაკლები სიზუსტით (☞ მაგალითი №14). მსგავსი შემთხვევები არა იმპროვიზაციად, არამედ იმპროვიზაციის ეფექტად უფრო ფორმირდება და მავანს, შესაძლოა, ეთნო-ჯაზ ჯგუფის რეპერტუარში ჯაზის ელემენტის დაკნინებადაც მოეწვენოს. თუმცა, ჯაზის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ მსგავს პრაქტიკას ზოგიერთი ცნობილი ჯაზ-შემსრულებელიც კი მიმართავს და საკუთარ საიმპროვიზაციო მონაკვეთებს წინასწარ გაწერილი და კარგად დაუფლებული იმპროვიზაციული პასაჟებისგან აგებს.

2) ფოლკლორული მასალის დამუშავების პრინციპები – როგორ იყენებს?

- უშუალოდ – ციტატურად, ფოლკლორული ნიმუშის სემანტიკური დატვირთვის შენარჩუნებით.

„ირიაოს“ შემოქმედებაში იშვიათია რომელიმე ხალხური ნიმუშიდან ციტატის ჩართვა, მით უფრო, ფოლკლორული ნიმუშის სემანტიკური მნიშვნელობის შენარჩუნებით. მსგავსი შემთხვევები, ძირითადად, განსაკუთრებით პოპულარული

ფოლკლორული ნიმუშის ეთნო-ჯაზის სტილში გადამუშავების შემთხვევაში ფიქსირდება (მაგ. „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს”, იეთიმ გურჯის ტექსტე, კომპოზიციაში „ქალაქური მოტივი”) (**■ მაგალითი №15**).

- გაშუალებულად – ცალკეული მუსიკალურ ელემენტების გამოყენებითა და ახალი სემანტიკით.

„ირიაოს“ კომპოზიციებში გაცილებით ხშირია ქართული ფოლკლორული მუსიკის ცალკეული ელემენტების გამოყენება, ან მათი მსგავსი, თუმცა, ასევე, ფოლკლორული ელფერის მატარებელი ელემენტების შექმნა. მუსიკოსები ერთი კომპოზიციის ფარგლებში უმთავრესად, რომელიმე ერთი ქართული მუსიკალური დიალექტის (უფრო ხშირად გურულის ან მეგრულის) დამახასიათებელ კილო-ინტონაციურ მასალას მიმართავენ. მათ შორისაა, პირველ რიგში, ვოკალური ტრიოს საშემსრულებლო მანერა, დამახასიათებელი მელოდიური ინტონაციებისა და სამღერისების უხვი გამოყენებით, კონკრეტული კუთხისთვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის ტიპი და ჰარმონიები. მართალია, მელოდიური ტიპი ხშირად მსგავსია კომპოზიციის სახელწოდებაში ასახული ფოლკლორული ნიმუშისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა პირდაპირი სახით ციტირებას, არამედ მსგავს ინტონაციებზე შექმნილი ახალი, ორიგინალური მელოდიის შემოტანას (**■ მაგალითი №8**).

- გოგალურ პარტიაში თუ საკრავიერ თანხლებაში მიმართავს (თუ ორივეში)

„ირიაოს“ შემთხვევაში, ჯგუფში ვოკალური ტრიოს არსებობა უკვე ნიშნავს იმას, რომ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ელემენტების ტრიოს საშემსრულებლო პარტიაში მაქსიმალურადაა ასახული. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოპოზიციების სრულ უმრავლესობაში ერთი ხალხური ინსტრუმენტი მაინცაა ჩართული (ხშირად, ესაა დუდუკი, იშვიათად, ჩონგური, ჭუნირი, დოლი). მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტების საშემსრულებლო პარტიები ფოლკლორული მუსიკის ელემენტებს შეიცავს თუ არა, თავად ბგერათწარმოქმნის ხერხები და ინსტრუმენტების ტემპოული გამომსახველობა თავისთავად უზრუნველყოფს მათ ფოლკლორულ მასალად იდენტიფიცირებას. რომ აღარაფერი ვთქვათ, მსმენელის მიერ

სცენიდან თუ ალბომის ყდიდან აღქმულ ფოლკლორულ საკრავზე, რაც ქვეცნობიერად უკვე ფოლკლორულობის ატმოსფეროში აქცევს მათ არა მხოლოდ ვიზუალურ, არამედ სმენით აღქმასაც.

რაც ეხება არაფოლკლორულ საკრავებს, განსაკუთრებით ხშირია პერკუსიის მიერ ქართული რიტმების იმიტირება, თუმცა ხშირად, გაცილებით მრავალშრიანი რიტმული სტრუქტურის ფარგლებში მოქცევით, რაც, შესაძლოა, ნაკლებად მკვეთრს ხდიდეს მსმენელის მიერ ქართული რიტმების აღქმას. ამასთან, ბასის-გიტარისტისა თუ პიანისტის პარტიაში ხშირად გაიელვებს-ხოლმე კომპოზიციის მთავარი თემა, რომელიც იმ შემთხვევებში, როცა ფოლკლორული ელფერის მატარებელია, ამ ფოლკლორულ ესთეტიკას ინსტრუმენტებზეც განავრცობს.

• **ვოკალურ მრავალხმიანობას მიმართავს თუ მრავალხმიანობის ეფექტს?**

„ირიაოს“ შემთხვევაში, ვოკალური ტრიოს არსებობა კომპოზიციაში სასურველი მრავალხმიანი ვოკალური შრის მიღების გარანტია და ადარ საჭიროებს სხვადასხვა აპარატურის საშუალებით ვოკალური ხმების დუბლირებასა და მრავალხმიანობის ამგვარად მიღებას. ამდენად, „ირიაოს“ კომპოზიციებში მრავალხმიანობის ეფექტი კი არაა შექმნილი არამედ, რეალური ვოკალური მრავალხმიანობა ჟღერს.

• **რა ტექსტს იყენებს და როგორ? – ხალხური ტექსტი, ახალი ტექსტი ხალხურ სტილში, სამდერისები, გლოსოლალიები და ა.შ.**

„ირიაოს“ კომპოზიციებში შემავალი სიმღერების უმრავლესობა ცნობილი ავტორების ლექსებზეა დაწერილი (ვაჟა-ფშაველა, იეთიმ გურჯი, რობერტ ბერნსი და ა.შ.). მათგან, ზოგიერთ ავტორთა ლექსები ჯგუფის კომპოზიციებში გამოყენებული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშის ტექსტს წარმოადგენს. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ჯგუფის რეპერტუარში შესული ყოველი კომპოზიცია ქართული გლოსოლალიებით, სამდერისებითა თუ არახალხური მუსიკიდან მომდინარე, ქართულ კინომუსიკასა და XX საუკუნის პოპულარულ მუსიკაში (ე.წ. საესტრადო მუსიკაში) დამკვიდრებული მარცვლებით, ე.წ. ვოკაბელებითაა დატვირთული. შეიძლება ითქვას, რომ შინაარსის არმქონე მსგავსი სპეციფიკური სამდერისებისა და

მარცვლების ერთობლიობა, ჯაზური მუსიკის (ამ შემთხვევაში, ეთნო-ჯაზის) კონტექსტში ქართული სკეტჩების მრავალფეროვან სისტმად წარმოგვიდგება.

3) ფოლკლიურენის განხორციელების სტილური მრავალფეროვნება – რა განსხვავებული ქვემიმართულებები გვხვდება?

ჯგუფი „ირიაო“ შექმნის დღიდანვე ახდენდა საკუთარი შემოქმედების ეთნო-ჯაზად სახელდებას და, შესაბამისად, ასე იცნობს მათ ქართული აუდიტორია, თუ ყველა იმ უცხოური ფესტივალის მსმენელ-ორგანიზატორები, რომელშიც ჯგუფს დღემდე მიუღია მონაწილეობა. წმინდა მუსიკალური ანალიზის პერსპექტივიდანაც ცხადია, რომ მათ შემოქმედებაში ორი ძირითადი (მიუხედავად, ფრაგმენტულად, სხვა სტილების გავლენებისაც) მუსიკალური მიმართულებაა შერწყმული – ქართული ფოლკლორული მუსიკა და დასავლური ჯაზი. მიუხედავად ამისა, დასავლური ეთნომუსიკოლოგიური მიღომით, მკვლევრები ამა თუ იმ მუსიკალური ფენომენის შესწავლისას არა მხოლოდ მეცნიერულად შემუშავებულ სახელდებას, არამედ თავად მუსიკოსების მიერ საკუთარი სტილის იდენტიფიკაციისთვის არჩეულ სახელწოდებას ითვალისწინებენ, მით უფრო, თუ ის საზოგადოებაშიცაა დამკვიდრებული. „ირიაოს“ შემთხვევაში, ეს ორი ფაქტორი (მეცნიერისა და შემსრულებელ-აუდიტორიის მოსაზრება) სრულ თანხვედრაშია და შესაბამისად, ჩვენ მიერ „ირიაოს“ ეთნო-ჯაზ ჯგუფად სახელდებაც სრულიად გამართლებულად მიგვაჩნია. ჩვენი მიღომა განსხვავდება ირინე ებრალიძის პოზიციისაგან, რაც მის მიერ შემუშავებული ზემოთ ნახსენები საანალიზო სისტემის კრიტერიუმებში გამოსჭვივის და ჯგუფ „ირიაოს“ შემოქმედებაზეც შეიძლება განივრცოს. ებრალიძის კრიტერიუმებით განხილვის შემთხვევაში, ჯგუფი ფოლკ-ჯაზის პროფილს მოირგებდა, თუმცა ეთნო-ჯაზთან არაერთი გადაკვეთის წერტილით. ჯაზისა და ქართული ფოლკლორის სინთეზური მუსიკალური ფორმების მსგავსი დეტალური დიფერენციაცია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გარკვეული ორაზროვნების საფრთხის მატარებელია, რადგან ამ მიმართულებაში იშვიათად თუ მოიძენება ჯგუფი, რომლის შემოქმედებითი თავისუფლებისა თუ მიღომების დიაპაზონი ებრალიძისეული „ეროვნული ჯაზის“ მხოლოდ ერთ-ერთ მიმართულებაში (ფოლკ-ჯაზში ან ეთნო-ჯაზში) აკუმულირდება.

რაც შეეხება თავად „ირიაოს“ წევრების საკუთარი მუსიკალური სტილისადმი მიმართებას, ის კარგადაა დაფიქსირებული პოლონურ გამომცემლობაში გამოშვებული

ჯგუფის ინგლისურენოვანი ალბომის გარეგანზე – „ჩვენი ბენდი ქმნის მუსიკას, რომელიც ჯაზისა და ქართული ფოლკლორული მუსიკის შერწყმას წარმოადგენს. თუმცა, ჩვენი მიზანი არ ყოფილა იუნესკოს მიერ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარებული უნიკალური ქართული მრავალხმიანი მუსიკის მოდერნიზება, არამედ მისი შემკობა და გამსჭვალვა ჯაზის ელემენტებით”. როგორც უკვე აღინიშნა, ეს შემოქმედებითი მიდგომა ჯგუფის ხელმძღვანელის, კომპოზიტორ დავით მალაზონიას მიერაა ინიცირებული, რომელმაც დაარსებიდანვე ეთნო-ჯაზ ჯგუფად მონათლულ „ადიოში” ჩასახული შემოქმედებითი ხაზი ერთგვარად „ირიაოში“ განაგრძო, თუმცა სრულიად ახალ ფორმატში, ახალი შემადგენლობითა და მუსიკალური ინიციატივებით.

ირიაოსეული ჯაზი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ყოველთვის არ შეიცავს იმპროვიზაციის ფართო არეალს და რიგ შემთხვევაში, იმპროვიზაციულობის ეფექტს ქმნის, თუმცა ეს დამკვიდრებული პრაქტიკაა ჯაზში. მაგრამ ჯგუფის ყოველი შესრულება მაინც იმპროვიზაციულია, თუნდაც მცირე ნიუანსების ცვალებადობის თვალსაზრისით. ამასთან, ჯაზური ჰარმონიები, კლავიშის, ბასისა თუ დრამის პარტიები აშკარად ჯაზსა და თანამედროვე პირობებში გაფართოებულ მის სტილურ საზღვრებშია მოქცეული. განსაკუთრებით საინტერესოა „ირიაოს“ ვოკალური ტრიოს წევრების მიმართება ჯაზისა და ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერის სინთეზისადმი. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ამ ორი რადიკალურად განსხვავებული წარმომავლობის მქონე მუსიკალურ კულტურას შორის არსებულ პარალელებს, განსაკუთრებით მათი მუსიკალური ფორმაქმნადობის არაფიქსირებული, ცოცხალი პროცესის მიმართულებით, სადაც თავისებურადაა შერწყმული განვითარების იმპროვიზაციული და კომპოზიციური პრინციპები (წურწუმია, 2005: 125). მართლაც, ქართულ მრავალხმიანობასა და ჯაზს შორის პარალელები დღემდე არაერთ ქართველ თუ უცხოელ მუსიკოსს დაუფიქსირებია.

შეიძლება ითქვას, რომ იმპროვიზაციულობისაკენ მისწრაფება, როგორც ჯაზის, ისე ტრადიციული მუსიკის კარგ შემსრულებელს თანაბრად ახასიათებს, თუმცა სხვადასხვა მუსიკალური პრინციპებისა და საშემსრულებლო ტექნიკების გავლით. ქართულ ეთნო-ჯაზში აქამდე დამკვიდრებული და დღემდე ბევრად გავრცელებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შემსრულებლებს იმპროვიზაციის ელემენტი, პირველ რიგში, სწორედ ჯაზიდან პქონდათ შეთვისებული და ქართული ფოლკლორული

მუსიკის მორიგ საიმპროვიზაციო მასალად გადამუშავებას ახდენდნენ. ამის საპირისპიროდ, ქართული ტრადიციული მუსიკის წიაღიძან მომდინარე „ირიაოს“ მომდერლები ჯაზთან შეხვედრამდე, სწორედ ხალხურ მუსიკაში ეზიარნენ იმპროვიზაციულობის ფენომენს და აქედან შეიტანეს ეს ელემენტი ეთნო-ჯაზ ჯგუფის კონტექსტში საკუთარ საშემსრულებლო სტილსა და რეპერტუარში. „ხალხური სიმღერიდან ჩვენ მოგვდევს ის მიღგომა, რომ შეგიძლია რაღაც სივრცეში გარკვეული იმპროვიზაციის ხაზი შექმნა და მიყვე ამ დინებას შენებური ხაზით, შენებური ხედვით. ეს არის ალბათ ყველაზე საინტერესო, რაც წამოგვყვა ჩვენ, „ირიაოს“ ვოკალისტებს ქართული ხალხური სიმღერიდან“ (მურდულია, 2019). სწორედ ამგვარად გახდა ეთნო-ჯაზის შესრულება ორგანული იმ მუსიკოსებისთვის, ვისთვისაც „ხალხური მუსიკა ყოველდღიური ცხოვრების წესია“ (ჯავახიშვილი, 2019). სხვაგვარად, შეუძლებელიც კი იქნებოდა ქართული ფოლკლორული მუსიკის ინტონაციების ჩართვითა თუ პარმონიული ქარგის დაცვით სამ ხმაში იმპროვიზაციისას ხმათა კოორდინირება. ამდენად, ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა ქართულმა ფოლკლორმა ეთნო-ჯაზის გავლით მუსიკოსებს იმპროვიზირებული მუსიკის კიდევ ერთი კუნძულისკენ, დასავლური ჯაზისკენ გაუხსნა კარი. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ხდის ჯგუფ „ირიაოს“ ქართული ეთნო-ჯაზის მიმართულებაში უნიკალურს და, ამავდროულად, მას დღეს არსებული შემსრულებლებიდან ერთ-ერთ ყველაზე მაღალპროფესიულ ჯგუფად აქცევს.

ქვეთავი II ფოლკ-ფიუჟენი, როგორც ქართველი მუსიკოსების იდენტობის გამომხატველი: სოციოლოგიური ანალიზის ცდა

ამ ქვეთავში წარმოდგენილი ანალიზი, ძირითადად, სოციოლოგიური კვლევის მთავარ მეთოდს – ჩართული ინტერვიუების წარმოებას ემყარება. ამ შემთხვევაში, ჩვენი მთავარი მიზანი იყო ამ ინტერვიუების დახმარებით დაგვედგინა, თუ როგორ ვლინდება ფოლკ-ფიუჟენის მუსიკალურ სტილში ეროვნული იდენტობის საკითხი, რამდენად ცხადად თუ დაფარულად, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მიმდინარეობს ეს

პროცესი და რა როლს თამაშობს მის განსაზღვრაში მოტივაციის ფენომენი. საბოლოო ჯამში, შეიძლება თუ არა ფოლკ-ფიუჟენი თანამედროვე მულტიკულტურულ ქვეყანაში მცხოვრები ქართველის ეროვნული იდენტობის გამომხატველად მივიჩნიოთ? ამ ქვეთავში შევეცდებით, ეს საკითხები ინტერდისციპლინარული (ეთნომუსიკოლოგიის, ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიის) პერსპექტივიდან გავაანალიზოთ და საბოლოოდ, ამ კითხვებზე ჩვენეული პასუხები წარმოვადგინოთ. აღნიშნული საკითხების კვლევის პროცესში ვეურდნობით, ერთი მხრივ, ჩვენ მიერ წარმოებულ ინტერვიუებსა და სხვადასხვა პუბლიცისტურ თუ ინტერნეტ წყაროებიდან მოპოვებულ მასალას, მეორე მხრივ კი – იდენტობისა და მოტივაციის საკითხებთან დაკავშირებულ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურას (ძირითადად, ინგლისურენოვანს).

ზოგადად, იდენტობის რაობა არაერთმნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და შესაბამისად, მისი მრავალი სახის განმარტება არსებობს (Smith, 1991; Turino, 2008; Oyserman, Elmore, Smith, 2012). ისიც ფაქტია, რომ იდენტობის ერთმნიშვნელოვანი ხედვის შემთხვევაში მისი სხვა ფენომენში აღრევის საშიშროებაც არსებობს, როგორც ამას ტომას ტურინო გვაფრთხილებს: „დღესდღეობით ადამიანები სიტყვა იდენტობას ისე გამოიყენებენ, თითქოს ეს სიტყვა ნიშნავდეს იმავეს, რასაც სიტყვა საკუთარი ნიშნავს, მაგრამ მნიშვნელოვანია კონცეპტუალურად ორი საწყისი განვასხვაოთ, სოციალურ სამყაროში ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობების ფუნქციებიდან გამომდინარე. საკუთარი – ეს არის კომპოზიტი, რომელიც ჩვევების ჯამურ რაოდენობას მოიცავს და ეს ჩვევები ჩვენი აზროვნების, გრძნობის, გამოცდილებისა და ქმედების ტენდენციებს განსაზღვრავს. ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, იდენტობა იმ ჩვევების ნაწილობრივ და ცვალებად შერჩევას გულისხმობს, რომლებსაც ჩვენ საკუთარი თავის წარსადგენად ვიყენებთ, როგორც ჩვენივე თავის, ისე სხვების წინაშე” (Turino, 2008: 101). ეროვნული იდენტობა სწორედ რომ კოლექტიური იდენტობის ფუნქციის მატარებელია და კოლექტიური მეხსიერების საშუალებითაა ფორმაქმნილი (Halbwachs, 1992). ამა თუ იმ მუსიკის შექმნა/შესრულებით გამოხატვის ეროვნული იდენტობის არჩევანიც ინდივიდის სოციუმში და, ზოგადად, სამყაროში თვითპრეზენტაციის გზაა.

საკუთრივ, ეროვნულ იდენტობაზე მსჯელობას, ხშირად, ერისა და ეთნოსის, ეროვნულისა და ეთნიკურის ცნებების გამიჯვნითა და ანალიზით იწყებენ. მიუხედავად იმისა, რომ სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ამ თეორიების განხილვას არ ვისახავთ მიზნად, ქართული ფოლკლორის დაკავშირებით მათი აღნიშვნა აუცილებლად გვესახება. სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი ეროვნული იდენტობის ქართული მუსიკის კონტექსტში განხილვისას ხშირად მხოლოდ ეთნიკურად ქართულ მუსიკას ვგულისხმობთ, თუმცა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მუსიკა საუკუნეების განმავლობაში მრავალეთნიკურად ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოს „მელოსფეროს“ (Земцовский, 2012: 30-36) განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

უნდა ითქვას, რომ დომინანტი ეთნოსის კულტურა საქართველოში ეროვნული იდენტობის ერთგვარ მსაზღვრელად გვევლინება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ტრადიციულ პოლიფონიას ეხება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ფოლკლორის შემთხვევაში გამოყენებული მუსიკალური მასალის ეთნიკური მიკუთვნებულობა ნაკლებ ხაზგასმულია. მეტიც, ტრადიციულ პოლიფონიასთან ერთად (რომელიც ცალსახად ქართული ეთნოსის კუთვნილებაა) წარმოშობით სომხური დუდუკი, აზერბაიჯანული მელიზმატური მღერის მანერა თუ შვიდსიმიან გიტარაზე შესრულებული ადგილობრივი სიმღერები მასალის „ქართულობას“ ერთნაირად უზრუნველყოფს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ფოლკლორული მუსიკის ორი შტოდან გლეხური ფოლკლორი ეთნიკურად ქართული ტრადიციაა, ხოლო ქალაქური მუსიკის შტო, ძირითადად, გარეშე გავლენებიდანაა ამოზრდილი. ქართული ქალაქური მუსიკის აღმოსავლური ქვემიმართულება სომხურ, აზერბაიჯანულ, სპარსულ და სხვა აზიური წარმოშობის ქართველი ეთნიკური უმცირესობების მუსიკით, დასავლური ქვემიმართულება კი – მე-19 საუკუნეში, ძირითადად, იტალიური ოპერებიდან შემოსული და დამკვიდრებული ევროპული მუსიკითაა ნასაზრდოები. საუკუნეების მანძილზე მჟღერი ყველა ეს მუსიკალური მიმართულება დღეს უკვე გრთიანი ქართული მუსიკალური იდენტობის სხვადასხვა შრეს ქმნის.

როგორც თანამედროვე პრაქტიკა გვიჩვენებს, ფოლკლორის შემსრულებლები (მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა), ვინც გარკვეულ ადგილობრივ მუსიკალურ ტრადიციას მისი ქართულობის ხაზგასასმელად მიმართავენ, ერთნაირი

წარმატებით იყენებუნ სომხურ დუდუკსა თუ ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობას. აქედან გამომდინარე, ქართული ფოლკფოუჟენი საქართველოს მოქალაქეების მულტიეთნიკური ეროვნული იდენტობის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს.

ფოლკფოუჟენ მუსიკის ამ მრავალეთნიკური იდენტობის გამომხატველ პოტენციალს ლორენ ნინოშვილი „იდენტობებს შორის მორიგების“ (identity negotiation) პროცესის გაძლიერების საშუალებად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერი ქართული სამდერისების შესწავლის კონტექსტში ახდენს რამდენიმე ფოლკფოუჟენ ჯგუფზე დაკვირვებას, იგი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ ამ სპეციფიკური ადგილობრივი ნიშნების მატარებელი მუსიკის მობილურობა და საერთაშორისო ხასიათი მის ინტერკულტურულ მოვლენად ქცევას უზრუნველყოფს. როგორც ვხედავთ, თანამედროვე ფოლკფოუჟენში ინტერკულტურული იდენტობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ხშირ შემთხვევაში, ის ყველაზე ცხადად მუსიკოსების მოტივაციებზე დაკვირვებისას ვლინდება. ამ შემთხვევაში, მათ მოტივაციაში ვგულისხმობთ იმ სტიმულს, რომელიც ფოლკფოუჟენ კომპოზიციების ავტორებსა თუ შემსრულებლებს მსგავსი ნიმუშების შექმნა-შესრულებისკენ უბიძგებს.

შესაბამისად, ამ ქვეთავის ფარგლებში მიზნად ვისახავთ, თანამედროვე ქართველი ფოლკფოუჟენ მუსიკოსების ინტერვიუებზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ მათი განსხვავებული მოტივაცია, შემდეგ კი გავაანალიზოთ ის რამდენიმე უკვე არსებული მოტივაციის თეორიის ჭრილში. ასევე, შევცდებით, ქართული მუსიკის კონტექსტში ეროვნული იდენტობის თანამედროვე გამოხატულებებზე ვიმსჯელოთ, რამდენადაც ფოლკფოუჟენ მუსიკოსების მოტივაციის ანალიზი ხშირად ამ საკითხთან მჭიდრო კავშირში გვევლინება. მეორე მხრივ, განვიხილავთ იმ ხელისშემსლელ ფაქტორებს, რამაც მუსიკოსებში ქართული ხალხური მუსიკის გამოყენებით ექსპერიმენტების განხორციელების მოტივაციის შესუსტება განაპირობა.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ მოტივირებულობა არის მდგომარეობა, როდესაც რაღაც გიბიძგებს რამის განხორციელებისკენ. შესაბამისად, ადამიანი, რომელიც მოქმედებისთვის არანაირ შთაგონებასა თუ იმპულსს არ განიცდის, დახასიათებულია, როგორც არამოტივირებული, მაშინ როცა ადამიანი, რომელიც აქტიურად და ენერგიულადაა მომართული რაიმე ქმედების განსახორციელებლად, მოტივირებულად მიიჩნევა. ამდენად, კონკრეტული მოქმედების პროვოცირების იმპულსად სწორედ ემოციებია მიჩნეული. საინტერესოა, რა გარემოებები განაპირობებს ჩვენს

მოტივაციას?! როგორც ჩანს, გარემოულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული პიროვნული შეგრძნებები და შეხედულებები ჩვენი ქმედებების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებია. „ადამიანთა გრძნობები დიდ გავლენას ახდენს მათ რწმენასა და საკუთარი ქმედებების აღქმაზე, რაც, თავის მხრივ, მოტივაციის შეუცვლელი წყაროა. ეს განსაკუთრებით ცხადად ვლინდება მუსიკაში, სადაც პირადი გრძნობები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის კეთილდღეობის შეგრძნებას და მის სოციალურ იდენტობას“ (Woody, Mcpherson, 2010: 402-403).

ფსიქოლოგების განმარტებით, მოტივაცია შეიძლება იყოს გარეგანი ან შინაგანი (intrinsic/extrinsic). ამასთან, შინაგანი მოტივაციით შესრულებული სამუშაოსგან, როგორც წესი, ადამიანი დიდ სიამოვნებას და კმაყოფილების გრძნობას იღებს, გარეგანი მოტავაციის დაუფლების იმპულსი კი, ჩვეულებრივ, სოციუმისგან მოდის და, შესაძლოა, ავტორს სამუშაოსაგან სიამოვნებაც მოუტანოს, მაგრამ, ძირითადად, საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება (Ryan, Deci, 2000: 55).

„შინაგანი მოტივაცია აღნიშნავს რამის კეთებას იმის გამო, რომ ის შინაგანად საინტერესო და სასიამოვნოა, გარეგანი მოტივაცია კი გულისხმობს რამის კეთებას, რადგან მას განსხვავებულ შედეგამდე მივყავართ“ (Ryan, Deci, 2000: 55). ჩვენი კვლევის ფარგლებში, შეგვეცადეთ, ეს თეორია ქართველი ფოლკ-ფიუნენ მუსიკოსებისთვის მოგვერგო და შედეგად, მათი მოტივაციის ხასიათი განგვესაზღვრა. ჩვენი აზრით, ორივე გარემოების გაანალიზება თანამედროვე ქართველი ფოლკ-ფიუნენის სფეროში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის პოტენციალზე მეტ-ნაკლებად კომპლექსურ სურათს შეგვიქმნის.

თუ მივიჩნევთ, რომ შინაგანი მოტივაციის თეორია მხოლოდ იმ ქმედებებს ეხება, „რომლებიც ადამიანში სასიამოვნო სიახლისა და გამოწვევის ან ესთეტიკური ფასეულობის შეგრძნებას აღძრავს“, ვნახავთ, რომ საქართველოში შინაგანად მოტივირებული მუსიკოსები ჭარბობენ. მიუხედავად მათი მოტივაციის წყაროს განსხვავებისა, ხშირ შემთხვევაში, ამ მოტივაციას პირადთან ერთად, პროფესიულ-სოციალური ფონიც აყალიბებს.

ამ ქვეთავში შერჩეული გვყავს რამდენიმე ქართველი ფოლკ-ფიუნენ მუსიკისი, რომელთა ასაკი, ბიოგრაფია, კულტურული გავლენები და მუსიკალური პრიორიტეტები საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ამრიგად, განსხვავებულია

მათ შემოქმედებაში გამოვლენილი მიდგომები, რომლებიც ფოლკ-ფიუჟენის შექმნის პროცესს წარმართავდა და, ხშირ შემთხვევაში, ფოლკლორულ წყაროსთან მიმართება. ამავე დროს, მათი უმრავლესობა ფოლკ-ფიუჟენის განსხვავებულ ქვემიმართულებებს წარმოადგენს. აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით შემდეგი შემსრულებლები გამოვყავით: დავით მალაზონია („ირიაოს“ ხელმძღვანელი), ნიაზ დიასამიძე (ჯგუფ „კვა“-ს დამაარსებელი და წევრი), მიშა მდინარაძე (ჯგუფ „ბარაკას“ ხელმძღვანელი), კახაბერ ცისკარიძე („კახაბერი და ხანუმების“ შემქმნელი), ილუშა ცინაძე (ავტორ-შემსრულებელი). ჩვენი მიზანია, დავადგინოთ, თუ რითად განპირობებული ამ მუსიკოსების მიერ საკუთარ კომპოზიციებში ქართული ფოლკლორული მუსიკის ელემენტების გამოყენება და რა ტიპის მოტივაციასთან გვაქვს საქმე თითოეული მათგანის შემთხვევაში (შინაგანი მოტივაცია, გარეგანი მოტივაცია, შინაგანი და გარეგანი მოტივაციების კომბინაცია).

ეთნო-ჯაზ მუსიკოსი დავით მალაზონია საკუთარ კომპოზიციებში ქართული ხალხური მუსიკისადმი მიმართვის ბუნებრივ, ქვეცნობიერ სურვილზე საუბრობს. ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კომპოზიციის ფაკულტეტზე სწავლისას მას ყველაზე ბუნებრივად სწორედ ქართული ტრადიციული მუსიკის ფარგლებში იმპროვიზირება და ამ მუსიკის საფუძველზე საკუთარი კომპოზიციების შექმნა მიაჩნდა. ბითლზებისა და მოგვიანებით, ჯაზის სიყვარულმა სწორედ ამ მუსიკალურ სიმბიოზამდე მიიყვანა – ეროვნული ფასეულობების მატარებელი თანამედროვე ქართველი მუსიკოსის თვითგამოხატვის ლოგიკურ ფორმამდე, რასაც 90-იანებში ეთნო-ჯაზ ჯგუფ „ადიოს“ რეპერტუარში ახორციელებდა, დღეს კი ჯგუფ „ირიაოს“ შემოქმედებაში უყრის თავს. თუმცა ქართული ფოლკლორის ელემენტების გამოყენებით მუსიკის შექმნის მისეული მოტივაცია, როგორც ჩანს, საკუთარი ფესვების შეგრძნებასთან ერთად, კიდევ ერთმა ფაქტორმა განაპირობა – ინდივიდუალური მუსიკის შექმნის მოთხოვნილებამ, რისი მიღწევის საუკეთესო გზადაც, ასევე, ქართული ხალხური მუსიკის ინკორპორაცია მიიჩნია: „შინაგანად ეს ხომ ჩვენი ფესვებია და ამას გრძნობ, შინაგანად ამის შეგრძნება გაქვს – ნალდის, სიმართლის და რაღა მეორადი პროდუქცია აკეთო მიბაძვით და ამერიკელ ჯაზმენს ან ვინმე სხვას მიბაძო?! ეს არის უმოკლესი გზა, სადაც შენი ინდივიდუალობა შეიძლება გამოჩნდეს. და ეს არის მუსიკაში მთავარი“ (მალაზონია, 2019).

ქართული ტრადიციული მუსიკის ელემენტებისადმი მიმართვის თვალსაზრისით, კიდევ უფრო ქვეცნობიერ და წინასწარ დაუგეგმავ პროცესთან გვაქვს საქმე ნიაზ დიასამიძისა და ჯგუფ „ვვა“-ს შემთხვევაში. მუსიკოსი ქართულ ფოლკლორულ ინსტრუმენტებზე (ფანდური, ჩონგური და ჭუნირი) და მათ ტრანსფორმირებულ ანალოგებზე ტრადიციული თუ საკუთარი არასტანდარტული ტექნიკით უკრავს და კომპოზიციებს არა მხოლოდ ქართული, არამედ ხშირად, ჩრდილოკავკასიური ინტონაციებით ამდიდრებს და მათ რეგისა და ფრანგული შანსონის ელემენტებთან სინთეზში წარმოადგენს (☞ მაგალითი №16). დიასამიძის კომპოზიციების თემატიკა უმრავლეს შემთხვევაში XXI საუკუნის ქართველის სათქმელს გამოხატავს, რითიც ნებისმიერი თაობის მსმენელში იწვევს სიმპათიას. არაერთი მცდელობის მიუხედავად, მუსიკოსი ინტერვიუს მოცემაზე ვერ დავითანხმეთ, თუმცა სხვადასხვა წყაროებში გაბნეული მასალიდან მაინც შესაძლებელი გახდა ამ საკითხისადმი მისი მიმართების დადგენა: „ჩემი მუსიკის იდეა ეს არის – იყოს ღრმად ქართული და, ამავე ღროს, თანამედროვე“ (Chateau Leon, 2016). ნიაზ დიასამიძის ამ პოზიციაში უკვე ასახულია მისი მუსიკის საშუალებით ქართველის იდენტობის დაფიქსირების მნიშვნელობა. მეტიც, თავად მუსიკის მთავარ აზრსა და მიზანშია ჩადებული, იყოს ღრმად ქართული. თუმცა, ამავდროულად, დიასამიძის მიერ მორგებული მუსიკის გამოხატვის თანამედროვე ფორმების შესაბამისად, იყოს სწორედ თანამედროვე ქართველის იდენტობის გამომსახველი.

საინტერესოა, რომ ნიაზ დიასამიძე საკუთარ მუსიკაში ქართული ფოლკლორული ელემენტებისადმი მიმართვას არ აღიარებს, როგორც წინასწარ განზრახულ აქტს. პერსონის თეორიას თუ მოვიშველიებთ, დიასამიძის მოტივი შეგვიძლია „ჰედონურ“ მოტივად ჩავთვალოთ, რაც „დადებითი ემოციების წარმოქმნის საშუალებაა, რომელიც, ძირითადად, საკუთარ კმაყოფილებას ეძღვნება“ (Persson, 2001: XX). მეორე მხრივ, დიასამიძე საკუთარ კომპოზიციებში ეროვნული მუსიკალური ელემენტების ინკორპორაციას აღიქვამს, როგორც ქვეცნობიერ პროცესს და მისი, როგორც ქართველის თვითგამოხატვის ბუნებრივ მდგომარეობას: „ჩვენი ცხოვრების სტილი და წესია ეგ, რაც, როგორც ჩანს, მუსიკაშიც აისახება. ეს არ არის რაღაცა ძალით გაკეთებული სტილი, ის, რასაც ჩვენ მუსიკაში ვდებთ არის ჩვენი ცხოვრების ხედვა, დამოკიდებულება ოჯახის, მეგობრების, ქვეყნისადმი“ (Chateau Leon, 2016).

თუმცა ქართულ ფოლკლიუმენ სფეროში არიან მუსიკოსები, რომლებიც უარს ამბობენ, სხვა ტრადიციული მუსიკალური კულტურების ფონზე მხოლოდ თავიანთი ეროვნების გამო მიანიჭონ უპირატესობა ქართულ ფოლკლორულ ელემენტებს. ისინი თავს ნამდვილ კოსმოპოლიტებად მიიჩნევენ, რომლებსაც ნებისმიერი მუსიკალური მასალის გამოყენება შეუძლიათ, მისი წარმომავლობის მიუხედავად. ერთ-ერთი მათგანი, ცნობილი მუსიკოსი მიშა მდინარაძე, ექსპერიმენტული მიღგომით აკავშირებს ქართულ ხალხურ სიმღერასა და არაბულ მელიზმატურ მანერას, აფრიკულ ვოკალურ პოლიფონიასა და ინდური დასარტყამი ინსტრუმენტების რიტმებს და ა.შ. „მე ნამდვილი კოსმოპოლიტი ვარ და ყოველთვის ვამბობდი, რომ მუსიკას ეროვნება არ გააჩნია“ (მდინარაძე, 2019) – აღნიშნავს ის ინტერვიუს დასაწყისში. მუსიკოსს მაგალითად მოჰყავს თბილისი, საქართველოს მულტიკულტურული დედაქალაქი, სადაც საუკუნეების განმავლობაში უამრავი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობდა და „თბილისელობასაც იჩემებდა“, შესაბამისად, მათი მუსიკაც თბილისური მუსიკა იყო. ეს პოზიცია ირეკლება მიშა მდინარაძის ყველაზე ცნობილ ფოლკლიუმენ პროექტში, რომელიც თბილისური მუსიკის დასავლური პოპულარული მუსიკის უანრებთან, ძირითადად, ჯაზთან სინთეზს გულისხმობდა. მდინარაძის კომპოზიციები ჯგუფ „ბარაკასთვის“ შეიქმნა, რომლის სახელი მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების ამსახველ ცნობილ დუკუმენტურ ფილმს უკავშირდება. სწორედ ამ მრავალფეროვნების ჩვენება სურდა მუსიკოსს თავის ნაწარმოებებში, რომლებიც თბილისის მულტიეთნიკურ გარემოს ასახავდა. მეორე მხრივ, კოსმოპოლიტი მუსიკოსის იდენტობის მატარებელი მდინარაძე და მისი მულტიეთნიკური ჯგუფი „ბარაკა“ მათ მიერ გამოყენებული თბილისური მუსიკალური ტრადიციების ქართულობას მაიც აღნიშნავენ, თუმცა არ განასხვავებენ ამ კულტურული ელემენტების ეთნიკურ წარმომავლობას – იქნება ეს სომხური დუდუკი, აზერბაიჯანულის მსგავსი ვოკალური მელიზმატური მანერა, ქართული ხალხური ვოკალური მრავალხმიანობა თუ სხვა რამ (« მაგალითი №17). თუმცა, როგორც მდინარაძე აღნიშნავს, იმის მიუხედავად, რომ თბილისური ტრადიციული მუსიკალური კულტურა მართლაც გასაოცარია, ამ მუსიკის ელემენტების გამოყენების მთავარ მოტივაციად, შესაძლოა, თბილისურ მუსიკასთან მისი დრმა კავშირი მივიჩნიოთ: „ის ფაქტი, რომ ქართველი ვარ, გავლენას ახსენს ჩემს ამ მუსიკასთან კავშირზე. ამას მთელი უჯრედებით ვგრძნობ. ეს ისეთი სიყვარული არაა, როცა რამე მოგწონს ან

აღგაფრთოვანებს, ის სხვანაირად მიუვარს, გენეტიკური მებსიერების დონეზე უკელაფერი, რაც აქამდე გითხარით (გულისხმობს მის, როგორც კოსმოპოლიტი მუსიკოსის მოსაზრებებს – თ.ლ.), ჩემი ცნობიერის გადმოსახედიდანაა, იმ მომენტიდან, როცა ცნობიერად დავინტერესდი ამ მუსიკით. სხვა მხრივ, ეს მუსიკა ყოველთვის იქ იყო, ჩემ გარშემო და ჩემში“ (დიასამიძე, 2019).

განხილული შემთხვევებისაგან განსხვავებით, მკვეთრად გამოხატული გარეგანი მოტივაციითაა განპირობებული პროდიუსერისა და მუსიკოსის, კახაბერ ცისკარიძის მიერ ქართული ფოლკლორისადმი მიმართვა. მისმა ფოლკ-ელექტრონიკის მიმდინარეობაში განხორციელებულმა პროექტმა – „კახაბერი და ხანუმები“, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კლუბური მუსიკის მსმენელებში საკმაო პოპულარობა მოიპოვა. ერთი შეხედვით, გამოცდილმა პროდიუსერმა კახაბერმა სათანადოდ შეაფასა ქართული მუსიკალური ფოლკლორის, როგორც ეგზოტიკური მუსიკის კომერციული პოტენციალი და აღნიშნული პროექტი, პირველ რიგში, საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული და მაღალანაზღაურებადი არტისტის კარიერის შექმნის მოტივაციით განახორციელა. მაგრამ თუ მუსიკოსის მოტივაციას არა მხოლოდ გარეშე თვალის, არამედ თავად კახაბერის პოზიციიდან დაგაკვირდებით, დაგინახავთ რომ ეს მუსიკალური პროექტი, ამავდროულად, კახაბერის, როგორც ქართველი მუსიკოსის მუსიკალური იდენტობის ლოგიკური გამოვლინებაა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2000-იანების დასაწყისში, როდესაც, ერთი მხრივ, ქართული მუსიკალური ფოლკლორი საზღვარგარეთ არც ისე ცნობილი იყო და, შესაბამისად, არც მისი გამოყენება იყო ამდენად მომგებიანი, კახაბერმა, იმ პერიოდში კახუჩელას სახელწოდებით მოღვაწე დრამერმა, კლუბურ მუსიკაში უკვე შეიტანა საკუთარი რეგიონის, აჭარის ფოლკლორული მუსიკის ელემენტები. ამ შემთხვევაში, მიუხედავად მკვეთრად შეცვლილი კულტურული კონტექსტისა და სამიზნე აუდიტორიისა, პროექტზე „კახაბერი და ხანუმები“ ოცწლიანი მუშაობის განმავლობაში კახაბერი კვლავ ინარჩუნებს საწყის დამოკიდებულებას ქართული ტრადიციული მუსიკის მიმართ (მაგალითი №18), რაც ამ მუსიკისადმი მიმართვის დღევანდელ მოტივაციაშიც ვლინდება. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მრავალწიანი მცდელობის მიუხედავად, მუსიკოსთან ინტერვიუ დღემდე გერ შედგა, თუმცა მისი პოზიცია ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მიცემულ ინტერვიუში კარგად გამოიკვეთა: „მე ყოველთვის ვეცდები გავაკეთო ისე, რომ ქართველობა არ ტეხავდეს. სამწუხარო ისაა, რომ

ხშირად თვითონ ქართველები „ტეხავებ“ და არა ქართველობა. ვთვლი, რომ ჩემი მისია ესაა – ჩემი მუსიკალურობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვეცადო, რომ ქართველობა არ ტეხავდეს“ (კოვზირიძე, 2016).

ქართული ფოლკ-ფიუჯენის შემსრულებელ მუსიკოსთა მოტივაციისა და იდენტობის ჭრილში ანალიზი საკმაოდ განსხვავებულ სურათს გვაძლევს ემიგრანტი მუსიკოსების შემთხვევაში, რომელთა შემოქმედებაში ქართული ფოლკლორული მუსიკისადმი მიმართება არა მხოლოდ ტრადიციულისა და თანამედროვეს, არამედ მშობლიურისა და შეძენილის ერთი შეხედვით ურთიერთდაპირისპირებული კატეგორიების გაერთიანების და ამით საკუთარი გაორებული იდენტობის ერთ მთლიანობად ქცევის მოტივაციითაა განპირობებული. ეს გაცილებით რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია და მის სათანადოდ აღსაქმელად საკითხში ღრმად ჩახედვას საჭიროებს.

ზემოაღნიშნულის სადემონსტრაციოდ, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში წარმოვადგენთ ამერიკაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსის, ილუშა ცინაძის მშობლიური ფოლკლორისადმი დამოკიდებულებისა და საკუთარ შემოქმედებაში მისადმი მიმართვის მოტივაციების ანალიზს. შთამბეჭდავი ბიოგრაფიის, მრავალმხრივი მუსიკალურ-კულტურული გამოცდილების, ფოლკ-ფიუჯენის მიმართულებით აქტიური მოღვაწეობისა და ქართული ფოლკლორისადმი სპეციფიკური დამოკიდებულების გათვალისწინებით, ცინაძის შემთხვევის განხილვა განსაკუთრებით საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ილუშა ცინაძე 8 წლის იქნ, როდესაც ოჯახი ემიგრაციაში წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. წლების შემდეგ კი უკვე ჯაზ-გიტარისტის განათლებამიღებულმა საკუთარი მუსიკალური თვითგამოხატვის საშუალებად ქართული ფოლკლორული მუსიკა აირჩია. ჩვენი მიზანია, დავადგინოთ, თუ რა გავლენა იქონია მუსიკოსის ამერიკულმა კულტურულმა გამოცდილებამ მასთან გენეტიკურად და ფესვებით დაკავშირებული ქართული მუსიკის აღქმაზე, მეორე მხრივ კი, რაში მდგომარობს ილუშა ცინაძის მიერ ქართული ხალხური მუსიკის ელემენტების გამოყენებით საავტორო კომპოზიციების შექმნის მოტივაცია.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა ერთი მხრივ, 2018 წლის გაზაფხულზე ნიუ იორკში განხორციელებული ჩვენი საველე

მუშაობისას მოპოვებულ ჩანაწერებსა და მუსიკოსთან ინტერვიუებს, მეორე მხრივ კი, მის ორ აუდიოალბომს და ინტერნეტსივრციდან მოპოვებულ მასალას.

„ალპების იტალიის ნაწილში ვიყავი და ვიგრძენი, რომ საქართველოში უნდა დაგბრუნებულიყავი. მთებში ყოფნამ ეს „შემახსენა“ (ცინაძე, 2018) – ასე დაიწყო იღუშა ცინაძემ საკუთარი ფესვების ხელახლი ამოცნობის გზა. 2004 წელს, ნიუ ჯერსის უილიამ პატერსონის უნივერსიტეტში ჯაზის პროგრამის დასრულებისთანავე მუსიკოსი საქართველოში გამოემგზავრა, პირველად 1991 წლის შემდეგ, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. „1990 მძიმე წელი იყო, ყველა ელოდებოდა პურის რიგს და ჩვენც ასე ვცხოვრობდით. როდესაც საქართველო დაგტოვეთ, თითქოს ჩვენი სამყაროები გაიყო. ერთი წლის შემდეგ მამაჩემი უკვე ერთ-ერთ ნიუ-იორკულ მაღაზიაში მუშაობდა, ცდილობდა თავიდან აეშენებინა ცხოვრება. ამ დროს კი საქართველოში მისი მეგობრები ომში იბრძოდნენ, იღუპებოდნენ. ვფიქრობ, მას ჯერ კიდევ აქვს დანაშაულის გრძნობა ქვეყნის დატოვების გამო. მე კი საქართველოში დაბრუნებულს არანაირი მძიმე განცდები არ მქონია, მე უბრალოდ, მიყვარდა ეს ხალხი, ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი სახლია. როგორც იქნა ვიგრძენი, რომ შემეძლო საკუთარი თავის სრულფასოვნად გამოხატვა. ჩემი პიროვნების ნაწილებმა მას შემდეგ უფრო მეტი აზრი შეიძინეს“ (ცინაძე, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გამომგზავრებისას ამას არც კი გეგმავდა, იღუშა ცინაძის ქართულ მუსიკასთან ურთიერთობა ჩამოსვლისთანავე დაიწყო. თუ მანამდე მისი ერთადერთი გამოცდილება რამდენიმე წლით ადრე ნიუ-იორკის მუსიკალურ მაღაზიაში ძლივს მოძიებული ანსამბლ „რუსთავის“ აუდიოალბომი იყო, ახლა აღმოსავლეთ საქართველოს სოფელში ცხოვრებამ მას მოულოდნელი შანსი აჩუქა – ეს მუსიკა თავად შეესრულებინა. იქვე დაიბადა ამ მუსიკის შესწავლისა და მოგვიანებით, საკუთარი მუსიკალური გამომსახველობის წყაროდ ქვევის ერთ-ერთი მოტივი: „საქართველოში ჩემი პირველი სამთვიანი ვიზიტის მიზეზი იყო ის, რომ ვფიქრობდი, იქ ჩემი ფესვებია. ის, რისი დავიწყებაც არ მსურდა, რასთანაც მინდოდა კავშირი მქონოდა, რადგან ეს ყველაფერი ჩემს მეხსიერებას ჯერ კიდევ შემონახული ჰქონდა. მჯეროდა, მუსიკაც დამშორდა იმიტომ, რომ შემდეგ ისევ დავკავშირებოდი მას. მე ვიცოდი, თუ დავიწყებდი ქართული მუსიკის შექმნას, მას აღარ დავკარგავდი, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ვცხოვრობ“ (ცინაძე, 2018).

პირველი ნიმუშები მეზობლად მცხოვრები სოფლის მუსიკის მასწავლებლისგან ისწავლა, რომელიც მას პოპულარულ ფოლკლორულ ინსტრუმენტულ კომპოზიციებს აქტიურად აცნობდა: „ყოველდღე მივდიოდი მის სახლში, რადგან მინდოდა გამეგო უკელაფერი, რაც მან იცოდა (იცინის – თ.ლ.). ფორტეპიანოზე უკრავდა ქართულ სიმღერებს, მე ვიწერდი და მათ გიტარაზე შესრულებას ვსწავლობდი, ყოველდღე რაღაც ახალს ვუკრავდით“ (ცინაძე, 2018). ცხადია, ილუშა ცინაძის პირველი კავშირი ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობასთან, „უკვე არატრადიციული პრაქტიკას ემყარებოდა – ფორტეპიანოზე, შემდეგ კი გიტარაზე გადატანილი ფოლკლორული ნიმუშებით. ეს, შეიძლება, ერთ-ერთი მიზეზიც იყოს იმისა, რომ ილუშასთვის გაცილებით ბუნებრივია ქართული მუსიკის დაკვრა/მდერა ტემპერირებულ ტრადიციულ საკრავებზე; ქართველი ფოლკ-მუსიკოსების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ის არ ცდილობს ქართული ტრადიციული მუსიკის ძველი კილოების ათვისებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ის პროფესიონალი, აკადემიურ მუსიკალურ გარემოში ჩამოყალიბებული მუსიკოსია: „ჩემი სმენა მაჟორ-მინორულ სისტემაში აზროვნებს, ამიტომ მიჭირს მისი არეალიდან გამოსვლა. ჩემი მუსიკალური აღზრდიდან გამომდინარე, ეს არატემპერირებული ბგერები ჩემთვის უბრალოდ უსუფთაოდ ქდერს“ (ცინაძე, 2018).

ილუშას, როგორც ჯაზ გიტარისტის მთავარმა საქმიანობამ გავლენა მოახდინა მის მიმართებაზე იმპროვიზაციასთან, რომელიც ჯაზისა და ტრადიციული მუსიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პატეგორიაა. ქართველი ფოლკ-მუსიკოსები, განსაკუთრებით, წარსულში, იმპროვიზაციის განვითარებული უნარით იყვნენ ცნობილნი. ისინი ერთი და იმავე სიმღერას ყოველი შესრულებისას სხვადასხვაგვარად მდეროდნენ, თუმცა მათი იმპროვიზაციები მუსიკალური ტრადიციის მიერ დაღგენილ ზღვარს არ სცდებოდა. ჯაზის ძირითადი პრაქტიკა, ასევე, იმპროვიზაციას ემყარება – მთავარ მელოდიაზე, კ.წ. ჯაზ სტანდარტზე, თუმცა ჯაზური იმპროვიზაცია (განსაკუთრებით, თანამედროვე ჯაზში) ერთი სტილით არ შემოიფარგლება და ამა თუ იმ განსხვავებულ მუსიკალურ მასალასა თუ შესრულების მანერას მიმართავს. ამ მხრივ, ილუშა, როგორც ჯაზმენი, ქართული ტრადიციული მუსიკის ატმოსფეროს ადვილად შეეთვისა, თუმცა საკუთარ კომპოზიციებში ფოლკლორული მასალით იმპროვიზირების მისეული მცდელობა, რა თქმა უნდა, ჯაზიდან მომდინარეობს: „ვფიქრობ, სიმღერის დაწერაში

განსაკუთრებული არაფერია. გაცილებით საინტერესოა ამ ძველი სიმღერების შესრულება, რადგან ვგრძნობ, მე კიდევ ერთი ადამიანი ვარ, ვინც მათ შენარჩუნებას უწყობს ხელს. ჯაზის მრავალი მუსიკოსი არ წერდა თემებს, ჯაზი ძირითადად, იმაზეა, თუ როგორ ასრულებ უკვე არსებულ თემებს. სწორედ ასე ვგრძნობ თავს ქართული მუსიკის შესრულებისას“ (ცინაძე, 2018).

როგორც ვხედავთ, ილუმა ცინაძის მუსიკალური გამოცდილება და საძირკველი მთლიანად აყალიბებს ქართული ხალხური მუსიკის შესრულების მისეულ მიღებობებს და, საბოლოოდ, სხვა ქართველი მუსიკოსებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს მას. ამდენად, რთულია ცინაძის შემოქმედების განხილვა ქართული ტრადიციული მუსიკის განახლებისას გამოვლენილი რომელიმე ერთი მუსიკალური მიმართულების ფარგლებში (სასცენო ფოლკლორი, პოპ-ფოლკი, ფოლკ-ფიუჟინი). ის არ ცდილობს პირველი ჯგუფის – პირველადი ფოლკლორული მუსიკის შემსრულებლების ნაწილი გახდეს, იმიტომ, რომ ეს თანხვედრაში არ მოდის მის მუსიკალურ კრედოსა და პოზიციასთან: „ზოგი ამბობს, რომ გაცილებით გულწრფელი ვიქნებით, თუ ვეცდებით უძველესი, ე.წ. ავთენტიკური ტრადიციული მუსიკა შევასრულოთ, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ეს უბრალოდ გაყალბება იქნება. და ჩემი მხრიდან ეს არ იქნება სწორი, არც საინტერესო. ჩემთვის საინტერესოა ახალი სიმღერის გარჩევა და მისი უამრავჯერ, ყოველდღიურად შესრულება ფანდურზე, ბანჯოზე, გიტარაზე, იქამდე, სანამ ბოლომდე არ შევიცნობ მას. ამის შემდეგ სიმღერა უკვე მესმის და ისიც მპასუხობს მე. ჩემთვის ეს არის სწორი“ (ცინაძე, 2018).

ილუმა ცინაძის პირველი ალბომი ამ პოზიციის მანიფესტაციაა, ჯაზ-კოლეჯიდან, თინეიჯერული პერიოდის როკ-ბენდიდან, ბავშვობისეული ამერიკული ბლუგრას მუსიკიდან და ზაფხულის არდადებებზე ირლანდიაში ნასწავლი ხალხური ნიმუშებიდან მიღებული მუსიკალური შთაბეჭდილებების ლოგიკური და გულახდილი შედეგი. და, რა თქმა უნდა, მისი ბოლო აღმოჩენა, ქართული მუსიკა, რომელიც, მის შემოქმედებაში, ძირითადად, იმ პოპულარული ინსტრუმენტული ფოლკლორული მელოდიებითაა წარმოდგენილი, რომლებიც საქართველოში პირველი ვიზიტებისას შეისწავლა. ამდენად, ნიშანდობლივია, რომ ქართული ხალხური მუსიკის საწყისების დაუფლების პარალელურად გამოშვებულ პირველ აუდიოალბომს სწორედ „დედა ენა“ უწოდა.

რეალურად, ალბომში შესული სიმღერების უმეტესი ნაწილი (გარდა ორი საავტორო კომპოზიციისა) ილუმას მიერ გადამუშავებული ქართული ხალხური ინსტრუმენტული მელოდიების ვარიანტებია, რომლებიც ტრადიციული და არატრადიციული ინსტრუმენტული მუსიკის სინთეზითაა წარმოდგენილი და სხვადასხვა მუსიკალური გამოცდილების მქონე ამერიკელ მეგობრებთან ერთად შესრულებული: „ჩვენ ერთად ვაქცევთ ამ სიმღერებს ჩემი გლობალური მოგზაურობის კონტექსტში“ (together we bring these songs into the context of my global journey) – წერს მუსიკოსი აუდიოალბომის ბუკლეტის წინასიტყვაობაში.

ამდენად, ილუმა ცინაძის მუსიკა ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების ზემოთ ნახსენები სამივე კატეგორიის ელემენტებს შეიცავს და მათ შორის ბალანსი კომპოზიციიდან კომპოზიციამდე სხვაობს, მაგრამ მის კომპოზიციებში უმთავრესად მაინც ფოლკ-ფიუჟენის სპეციფიკა ჭარბობს. ცხადია, ცინაძისთვის რთულია თავისი შემოქმედება რომელიმე ერთ მუსიკალურ სტილს მიაკუთვნოს და, შესაბამისად, მუსიკოსის ვებ-გვერდზე მისი მუსიკა წარმოდგენილია, როგორც „ანარეკლი ცხოვრებისა, რომელშიც ერთი ფეხი ნიუ-იორკში, ხოლო მეორე პატარა ქვეყანაშია (იგულისხმება „საქართველო შავ ზღვაზე“)“. მაგრამ თუ მაინც აუცილებელია საკუთარი მუსიკა რომელიმე კონკრეტულ სტილს მიაკუთხოს (როგორც ამას ჩვენც შევეცადეთ), მას მაინც ურჩევნია საკუთარ თავს ხალხური მუსიკოსი უწოდოს: „სინამდვილეში, მე ვასრულებ ტრადიციულ მუსიკას, მაგრამ საკუთარ იდივიდუალურ სათქმელს ვპოულობ. გამიხარდებოდა თუ საქართველოშიც ხალხურ მუსიკოსს მიწოდებდნენ, რადგან სწორედ ხალხურ მუსიკას ვუკრავ, მაგრამ უფრო თანამედროვე ვერსიით“ (ცინაძე, 2018).

ამ გადმოსახედიდან აშკარაა, რომ ილუმას მუსიკალური სტილი, უპირველეს ყოვლისა, ხალხური მუსიკის კონცეფციის მისეული აღქმის ასახვაა, რაც უკვე განსხვავდება ქართული მიდგომისგან და მთლიანად უმყარება ამერიკულ პრაქტიკას, სადაც მასალის პირველადობის, ე.წ. აუთენტიკურობის საკითხი შემსრულებლებისთვის მთავარი არ არის. პირიქით, განსაკუთრებით ფასდება ამ მუსიკის შესრულების ინდივიდუალური მიდგომები. „ეს ყველაფერი ამერიკულ მუსიკასთან არის დაკავშირებული – ხალხი იღებდა ხალხური სიმღერების ჩანაწერებს და უკრავდა მათ ძალიან პირადი დამოკიდებულებით. ეს აქაური

ტრადიციაა, ეს ტრადიცია არ გვხვდება საქართველოში; ქართული გზა არის იმდერო ყოველთვის ისე, როგორც მას ძველი მომდერლები ასრულებდნენ. მაგრამ ამერიკაში მუსიკოსები ხალხურ სიმღერებს საკუთარი დამოკიდებულებით მღერიან. რეალურად, ეს არის ამერიკული ხალხური მუსიკა; აქ არავინ ცდილობს ოქვას, რომ ეს არის ფიუჟენი ან რამე მსგავსი“ (ცინაძე, 2018).

მუსიკოსის მოსაზრების სწორი ინტერპრეტაციისთვის აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ფოლკ-შემსრულებლებს, ასევე, ახასიათებთ პირადი დამოკიდებულებით მღერა და გარკვეულ საშემსრულებლო ინტერპრეტაციასაც ახორციელებენ, რისი საუკეთესო მაგალითიც ჰამლეტ გონაშვილია. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ჰამლეტ გონაშვილი და ამერიკელი ფოლკ-მუსიკოსები ფოლკლორის ინტერპრეტაციის შეკალაზე ორ სხვადასხვა მსარეს წარმოადგენენ. გონაშვილმა გარდაქმნა ფოლკლორის შესრულების მანერა, ამერიკელი ფოლკ-მუსიკოსები კი მანერის გარდა ხშირად მელოდიას, ჰარმონიას, თანხლებასაც გარდაქმნიან. მსგავსი სახეცვლის შემთხვევაში საბოლოო პროდუქტი ქართულ პრაქტიკაში დამკვიდრებულ, ფოლკლორის ცვალებადობის კანონზომიერებების ფარგლებში მომხდარ ცვლილებას ბევრად დაშორდებოდა. სწორედ მსგავს განსხვავებას გულისხმობს ილუშა ცინაძე ზემოთ მოხმობილ ციტატაში.

ნათელია, რომ ემიგრანტი მუსიკოსის პოზიცია მთლიანად განპირობებულია ამერიკული სოციალური და კულტურული კონტექსტით, სადაც ის გაიზარდა და ჩამოყალიბდა, როგორც პიროვნება და მუსიკოსი. სოციალურ-კულტურული კონტექსტი კი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სხვადასხვა სახის ინდივიდუალური იდენტობის დაღგენაში. როი ბ. ბაუმისტერი და მარკ მურვენი აცხადებენ, რომ ინდივიდუალური იდენტობა არის სოციალური კონტექსტის ადაპტაცია. „ისტორია, კულტურა და სოციალური ურთიერთობების უშუალო სტრუქტურა ქმნის კონტექსტს, რომელშიც ინდივიდუალური იდენტობა უნდა არსებობდეს“ (Baumeister, Muraven, 1996: 405). ილუშა ცინაძის პირადი ისტორია მის იდენტობას საქართველოსთან აკავშირებს, ხოლო მისთვის ჩვეული სოციალურ-კულტურული ურთიერთობების სტრუქტურა აშშ-დან მოდის. შესაბამისად, ილუშას პიროვნული თვითმყოფადობა და მუსიკალური იდენტობა ქართული და ამერიკული იდენტობის ნაზავს წარმოადგენს და მათი კულტურული სახეობრიობის ორიგინალურ სიმბიოზს ქმნის: „ამერიკული ოცნება

ნიშნავს იყო განსხვავებული და ორიგინალურობის მისაღწევად საკუთარი გზა იპოვო. საქართველოში ეს ცოტა რთულია, რადგან კულტურული ზეწოლა გაცილებით მეტია. სინამდვილეში, ამერიკული კულტურა წაგახალისებს იყო უნიკალური, მაშინ როცა ქართული კულტურა გსჯის ამის გამო. მე ყოველთვის ვცდილობდი ორიგინალური ვყოფილიყავი და არ შემიძლია ეს დავკარგო, ამიტომ როდესაც ქართულ მუსიკას ვუკრავ, მასში ერთგვარად საკუთარი თავის აღმოჩენას ვახდენ“ (ცინაძე, 2018).

როგორც ვხედავთ, ქართული მუსიკის შესრულებისას ორიგინალურობისა და განსხვავებულობის მიღწევის სურვილი იღუშა ცინაძის მიერ ქართული ხალხური მუსიკისადმი მიმართვის ერთ-ერთი ძლიერი მოტივაციაა. რა თქმა უნდა, ეს სხვა მუსიკოსებისგან განმასხვავებელი გზაა და, ამ მხრივ, მუსიკის სამყაროში კონკურენტუნარიანობის მიღწევის საშუალება: „ჯაზის სამყაროში მიღიონობით ჯაზ გიტარისტია, მაგრამ აქ შეიძლება ვიყო მე, რადგან ქართულ მუსიკას ჩემეული ხედვით ვასრულებ. ასე რომ, მე აღმოვაჩინე გზა, მქონოდა რადაც თითქმის უნიკალური, ის, რასაც ხალხი ნამდვილად აფასებს“ (ცინაძე, 2018). ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ემიგრანტი მუსიკოსის შემოქმედებით მისწრაფებებში ორივე ტიპის, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მოტივაციაა შერწყმული და ამ ორის ერთობლიობა ქმნის მის, როგორც მუსიკოსის წინსვლისა და განვითარების იმპულსს.

ბოლო წლების განმავლობაში, ფესტების ხელახალი აღმოჩენისა და ქართული ფოლკლორის უკეთ შესწავლის პროცესის კვალდაკვალ, იღუშა ცინაძის მუსიკა განაგრძობს განვითარებას და შესაბამისად, მისი შემოქმედებითი მიღგომაც გარევულად იცვლება. ეს ცვლილებები კარგადაა ასახული 2019 წლის ოქტომბერში გამოსულ მუსიკოსის მეორე ალბომში. მასში შესული კომპოზიციები, ძირითადად, ქართულ ვოკალურ მრავალხმიანობას ემყარება, რაც ქართულ ფოლკლორში უკეთ გათვითცნობიერების და მისი მრავალხმიანობის უნიკალობის გააზრების ლოგიკურ შედეგად შეგვიძლია აღვიქვათ. ამასთან, როგორც ჩანს, სწორედ ვოკალი გახდა ცინაძისთვის ყველაზე გამომსახველი იარაღი, იმდენად, რომ თავად მუსიკოსის როლიც შეიცვალა და ახალ ალბომში ის არა მხოლოდ გიტარისტად, არამედ წამყვან მომღერლადაა წარმოდგენილი (მაშინ, როცა წინა პროექტებში მუდმივად ყავდა სოლისტი ვოკალისტი გოგონა). მუსიკოსი თავადვე აღიარებს, რომ რაც უფრო ღრმად შეისწავლა ქართული ფოლკლორი, მით უფრო გაასადავა საკუთარი კომპოზიციები და მათში შეტანილი ცვლილებები სწორედ ინდივიდუალური განწყობის, ნიმუშისადმი

მისეული დამოკიდებულების ასახვად აქცია და არა საგანგებო მისიის – ფოლკლორის გათანამედროვების აღსრულებად – „რაც უფრო დიდხანს ვასრულებდი ამ სიმღერებს, მით უფრო ნაკლებად ვგრძნობდი მათში დიდი ცვლილების შეტანის საჭიროებას, ამიტომ ისინი უფრო ბუნებრივი გახდნენ“ (ცინაძე, 2018).

ერთი შეხედვით, შეიძლება გვეჩვენოს, რომ ილუმა ცინაძე ერთგვარად, ეწინააღმდეგება მისსავე მოსაზრებას ფოლკლორული მუსიკის „საკუთარი დამოკიდებულებით შესრულების“, ანუ მისი თავისუფალი ინტერპრეტაციის შესახებ. თუმცა, ჩვენი აზრით, ის მანამდეც და დღესაც თავისუფალია ფოლკლორის ინდივიდუალურად გააზრება-გადმოცემის პროცესში, უბრალოდ, ქართული მუსიკალური ტრადიცია უკეთ შეისწავლა და მასალის ინტერპრეტაციას დღეს უკვე ბევრად დახვეწილად და ბუნებრივად ახორციელებს. ფოლკლორისადმი ინდივიდუალურ-შემოქმედებითი დამოკიდებულება ილუმა ცინაძის შემთხვევაში მინიმალისტური გარდაქმნით გამოიხატა, მაგრამ სხვა მუსიკოსის შემთხვევაში, შესაძლოა, პირიქითაც ყოფილიყო – მუსიკალური ქსოვილის მაქსიმალური გართულების მიმართულებით.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ილუმას მინიმალისტური მუსიკალური მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი, ასევე, ქართული ხალხური სიმღერებისთვის დამახასიათებელი რთული პოლიფონიური სტრუქტურაცაა. ხშირად, ნიმუში მუსიკალურად უკვე იმდენად დატვირთულია, რომ ახალი ელემენტების შეტანისათვის მუსიკოსს დიდ სივრცეს აღარ უტოვებს. მით უფრო, რომ ცინაძე პრიორიტეტიდ აღარ სახავს არც სიმღერების პარმონიის ცვლილებას, მიიჩნევს რა, რომ მათ უკვე სრულყოფილი ხასიათი აქვთ.

მუსიკოსის ბოლო ალბომის სათაური “Yes and No” („კი და არა“) ილუმა ცინაძის პიროვნული განვითარებისა და მისი ორშრიანი იდენტობის უკეთ გაცნობიერების ერთგვარ შედეგად შეგვიძლია მოვიაზროთ. „ალბომის სათაური კარგად აირეკლავს ჩემი მუსიკის იდეას, რომელიც ტრადიციულიცაა და ამასთანავე, არატრადიციულიც, ისევე როგორც ჩემი იდენტობაა ქართულიც და არაქართულიც“ – აღნიშნავს მუსიკოსი ალბომის წინასიტყვაობაში. სწორედ ამ ორი იდენტობის სინთეზითაა ფორმირებული ის მთლიანობა, რაც ილუმა ცინაძის ინდივიდუალურ და გამორჩეულ პიროვნებაში განსხვაულდა. ეს კი ყველაზე უკეთ მის მუსიკაშია გამოხატული (**მაგალითი №19**).

როგორც ვხედავთ, დღევანდელ საქართველოში ფოლკლორულ ტრადიციათა ტრანსფორმაციის სხვადასხვაგვარი მიღობა არსებობს, თუმცა, ასევე, ძლიერია მისწრაფება ამ ტრადიციის ახალ მუსიკალურ-კულტურულ კონტექსტში წარმოჩენისა და ახალი აუდიტორიისთვის გაცნობისაკენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ხალხური მუსიკის ელემენტების დასავლურ პოპულარულ მუსიკასთან (ამ შემთხვევაში, ჯაზთან) ფიუჟენის მცდელობა უკვე 1950-იან წლებში შეინიშნება, საკმაოდ უცნაურია, რომ თანამედროვე ქართული ფოლკ-ფიუჟენ სცენა ჯერ კიდევ სულ რამდენიმე ასეთ ჯგუფსა თუ პროექტს ითვლის. ამ მხრივ, საინტერესოა მუსიკოსების მოტივაციის გადმოსახედიდან დაკვირვება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული მუსიკის მიმართ ინტერესი თანდათანობით იზრდება, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ, თუ რას შეეძლო გამოეწვია ქართული მუსიკალურ-ფოლკლორული ელემენტების საკუთარ კომპოზიციებში გამოყენების მოტივაციის ასეთი სიმცირე. ზოგიერთი ფოლკ-შემსრულებელი, რომელმაც ასეთ ექსპერიმენტში მოსინჯა საკუთარი შესაძლებლობები, პოპულარულ მუსიკაში კომპეტენციის სიმცირის გამო საწყის ეტაპზევე დანებდა. ზოგიერთი მუსიკოსი ამის მიზეზად მუზიკირებისთვის საჭირო სივრცის პრობლემასაც ასახელებს: „აქ არ არსებობს შესაბამისი სივრცე ამ ტიპის მუსიკის შესასრულებლად. მხოლოდ ერთი ბარია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის დიდად სასიამოვნო არცაა იქ სიარული, რადგან ვიცი, რომ ყოველ ჯერზე ერთსა და იმავეს უნდა მოვუსმინო – არ გვყავს ახალი შემსრულებლები და ახალი პროექტებიც საკმაოდ იშვიათია“ (ჯავახიშვილი, 2019).

ქართველ-ავსტრალიელი მუსიკოსი ნინო ციციშვილი კიდევ ერთ პრობლემას ასახელებს, რომელიც საქართველოში ფოლკ-ფიუჟენის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება იყოს: „საქართველოში ბევრი ეთნომუსიკოლოგისთვის ეს ახალი ფიუჟენ უანრები, რომლებიც საექსპერიმენტო მასალად ფოლკლორულ სიმდერებს იყენებს, სიმდერათა ავთენტურობის დაკარგვის ცალსახა საფრთხედ აღიქმება“ (Tsitsishvili, 2009: XX). მართლაც, ფოლკლორულ წყაროთა დამახინჯების შიში ქართველი ეთნომუსიკოლოგების ასეთი ექსპერიმენტების მიმართ კრიტიკის მთავარი მიზეზია. ის, ვისთვისაც საქართველოში დამკვიდრებული კრიტიკული დამოკიდებულება ნაცნობია, მიხვდება, თუ რატომაა ასე ცოტა ექსპერიმენტული ფოლკ-ფიუჟენ პროექტი იმის მიუხედავად, რომ ქართველ ახალგაზრდა ფოლკ-შემსრულებელთა უმრავლესობას რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების მუსიკის

შესრულების გამოცდილება გააჩნია, მათ შორის, მინიმუმ. ერთი დასავლური პოპულარული მუსიკის მიმართულებისა. მიშა ჯავახიშვილს, ქართველ ფოლკლორულ შემსრულებელსა და ეთნო-ჯაზ „ირიაოს“ წევრს, ეს კრიტიკა სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია: „არ ვფიქრობ, რომ ქართულ მუსიკას ასეთი ექსპერიმენტები აზიანებს. ასე ვერც მოხდება, რადგან ჩვენს ქვეყანაში მისი დაცვა საკმაოდ მნიშვნელოვნად ითვლება. თუმცა ეს რადიკალური კრიტიკა უცვლელია და სწორედ ეს იწვევს მუსიკოსებში ექსპერიმენტების მიმართ შიშს. მათ სიტყვებს აქვს ძალა, რომელიც სამუდამოდ დაგყვება, როგორც შემსრულებელს და, ხშირ შემთხვევაში, სრულად ბლოკავს შენს პიროვნებას. ხელოვნებაში ასეთი შიში დამდუპველია“ (ჯავახიშვილი, 2019).

როგორც ვხედავთ, ქართველი ფოლკ-ფიუჯენ მუსიკოსების მიერ საკუთარ შემოქმედებაში ქართული ხალხური მუსიკის ელემენტების გამოყენების შემთხვევაში, როგორც შინაგან, ისე გარეგან მოტივაციასთან გვაქვს საქმე. ჩვენ მიერ განხილული განსხვავებული მხატვრული აზროვნებისა და მოტივაციის მქონე მუსიკოსები გარდა ინდივიდუალურისა, სხვადასხვაგვარად ტრანსფორმირებული, მაგრამ მაინც ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გამოხატვის მოტივაციითაც ხელმძღვანელობენ. როგორც ჩანს, ქართული მუსიკალური ფოლკლორი ამ განსხვავებული თაობისა თუ მენტალობის მქონე ქართველი მუსიკოსების წარმოდგენაში იმდენად განუყოფელია ეროვნული დატვირთვისაგან, რომ ამ მუსიკის (ან თუნდაც მისი ცალკეული ელემენტის) აღქმა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ მაღალმხატვრული, ან თუნდაც ეგზოტიკური მუსიკალური მასალისა. ამასთან, მიუხედავად განსხვავებული შემოქმედებითი პრიორიტეტებისა თუ ფოლკლორისადმი მიმართვის ფორმებისა, თანამედროვე ფოლკ-ფიუჯენ მუსიკოსების დიდ ნაწილს ეროვნული იდენტობის გვერდით კოსმოპოლიტური იდენტობის თანაარსებობა აერთიანებთ. ლორენ ნინოშვილის აზრით, ამ მხრივ, ისინი „დასავლეთისკენ მიმართული იდეოლოგიური საზღვრების ფარგლებში და, სავარაუდოდ, კოსმოპოლიტური გლობალური იდენტობის „იმპორტირებულ იდეებთან“ შესაბამისობაში ყოფნის გარკვეულ ვალდებულებასაც გრძნობენ“ (Ninoshvili, 2009: 413). ყოველივე ამას კი, მნიშვნელოვანწილად, თავად მუსიკოსების წარსული გამოცდილება და საარსებო გარემო განაპირობებს, თავისი კულტურული თუ სოციალური აქცენტებით.

სამწუხაროდ, ქართული ფოლკ-ფიუჟენის სრული სურათი ჯერ კიდევ საკმაოდ მწირია და ფრაგმენტული გამოვლინებებით ხასიათდება. განხორციელებული პროექტების ნაწილი დოკუმენტირებული და ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულიც არაა (ამდენად, საკვლევადაც საკმაოდ რთულად მოსახელთებელ სფეროს წარმოადგენს). შესაძლოა, ერთი მხრივ, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის სირთულე და დახვეწილობა, მეორე მხრივ კი, მისადმი მოწიწებული დამოკიდებულება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმ ქართველი ფოლკ-მუსიკოსების ერთგვარი სიფრთხილისა, ვინც დღეს ტრადიციულ მუსიკალურ კულტურას ახალი ფორმების საძიებლად იყენებენ. ერთი მხრივ, ესენი არიან თანამედროვე ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ადეკვატურად გამოხატონ თავისი თავი, როგორც XXI საუკუნის წარმომადგენლებმა. მეორე მხრივ კი, ისინი გრძნობენ, რომ ქართველები და. ამრიგად, ძველ კულტურულ ტრადიციებთან მჭიდროდ დაკავშირებული არიან, ამიტომ უნდათ, რომ ეს გამომსახველობითი საშუალებების თვალსაზრისით მდიდარი, ორიგინალური ტრადიციული მუსიკალური კულტურა საკუთარი თანამედროვე ხედვის გამოსახატავად და ახლის ძიებისათვის გამოიყენონ.

ფოლკ-ფიუჟენ პროექტების განხორციელების მიმართულებით ხშირად სხვა ტიპის პრობლემებიც იჩენს თავს, როგორიცაა მუსიკოსთა დაბალი კომპეტენცია ფოლკლორსა და პოპულარული მუსიკის სფეროებში და ექსპერიმენტულ პროექტებში მონაწილეობის მწირი გამოცდილება, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ ერთ სირთულეს, ასეთი ინიციატივების მიმართ რადიკალურ კრიტიკას უკავშირდება. თუმცა, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ფოლკ-ფიუჟენ მუსიკის შესაქმნელად, სარეპერიციოდ და შესასრულებლად საჭირო შესაბამისი სივრცეების არარსებობაა. ამ მხრივ, მთავარი პასუხისმგებლობა ქართული მუსიკალური ინდუსტრიის ლიდერებსა და კულტურული სტრატეგიების შემუშავებლებს ეკისრებათ, რომელთა რეალური საქმიანობა თანამედროვე კონტექსტში ქართული კულტურის პოპულარიზაცია უნდა იყოს. სინამდვილეში, ფოლკ-ფიუჟენ მუსიკა, როგორც ქართულ და დასავლურ მუსიკალურ კულტურათა სინთეზი, შეიძლება საუკეთესო მეტაფორად აღვიქვათ, რომელიც მკაფიოდ ასახავს, ერთი მხრივ, უძველეს, თვითმყოფად მუსიკალურ ტრადიციას და, მეორე მხრივ, დინამიკური გლობალური კულტურის ნაწილს. ფოლკ-ფიუჟენ მუსიკის შემსრულებლები კი, სხვადასხვაგვარი მოტივაციით

გამსჭვალულები, ერთგვარ კულტურულ აგენტებად გვევლინებიან, რომლებიც, ცნობიერად თუ გაუცნობერებლად, ამ უძველეს კულტურას თანამედროვე ხმას სძენენ.

თავი IV

ქართული ფოლკფოუზენის სოციო-კულტურული ფუნქცია

დღეს საქართველოში ტრადიციულის გარდასახვის მრავალსახეობა, როგორც ტრადიციული კულტურის ახალ მუსიკალურ-კულტურულ კონტექსტში პროდუცირების ტენდენცია, საკმაოდ ძლიერია. ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს ტრადიციული მრავალხმიანობა მათი იდენტობის გამომხატველად მიაჩნიათ, რასაც არსებული მძლავრი ფოლკლორული მოძრაობა – მრავალი ფოლკლორული გუნდისა თუ ბავშვთა ფოლკლორული სტუდიის არსებობა ადასტურებს. ამის პარალელურად, ქვეყანაში აქტიურად შემოედინება და მკვიდრდება დასავლური პოპულარული მუსიკის ესა თუ ის მიმართულება, რაც სწრაფადვე ექცევა თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების ინტერესის არეალში. ისინი ხშირად საკუთარი თავის მუსიკალურ რეალიზებას პირველადი შრის ფოლკლორული მუსიკის საშუალებით ვერ ახდენენ, რადგან მათი თანამედროვე ცხოვრების წესი, გლობალიზებული მსოფლიოს მიერ შემოთავაზებული ლირებულებები თვითგამოხატვისთვის სხვა მედიუმების ძიებისაპერ უბიძგებენ. თუმცა, რადიკალურად პროდასავლური ორიენტაციის მქონე, მაგრამ მაინც ტრადიციულ საზოგადოებაში აღზრდილებიც კი, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, ისევ ატარებენ ქართული კულტურის გარევეულ ელემენტებს (მათ შორის მუსიკალურსაც), როგორც საკუთარი იდენტობის ნაწილს.

ამ მხრივ, საინტერესო მაგალითია დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული ექსპერიმენტული პიპ-ჰოპ დუეტი “KayaKata” („კაიაკატა“), რომელთა ქართულ ენაზე შესრულებული რეჩიტატივების გარდა, ერთ-ერთ კომპოზიციაში ფოლკლორული თემატიკაც გვხვდება. სიმღერის მთავარი მოქმედი გმირი სისონა დარჩია ამავე დასახელების ცნობილი გურული ფოლკლორული სიმღერის პერსონაჟის თანამედროვე პროტოტიპია, იმავე გენეტიკური კოდის მატარებელი: “Genetic code on a

high speed level I'm a time traveler, we gonna make a revolution”³³ (გენეტიკური კოდი სიჩქარის მაღალ დონეზე, მე დროში მოგზაური ვარ, ჩვენ რევოლუციას მოვაწყობთ) («**მაგალითი №20**»). საინტერესოა, რომ თანამედროვე ალტერნატიული მუსიკოსები ხშირად ემიჯნებიან ტრადიციულ ქართულ ფასეულობებს დღევანდელ საზოგადოებაში გამჯდარი მათი დამახინჯებული ფორმებისადმი პროტესტის ნიშნად, თუმცა როგორც კომპოზიციიდან ჩანს, “KayaKata”-ს მკვეთრად დასავლური მუსიკალური იდენტობის მატარებელ წევრებს (მაქსიმე მაჩაიძე და ზურაბ ჯიშკარიანი) თანამედროვე ქართველში „გენეტიკური კოდის“ არსებობა გააზრებული აქვთ.

ჩვენი აზრით, აქ „გენეტიკური კოდის“ კონტექსტში ეროვნული იდენტობა იგულისხმება, რადგან ქართველი ყოველთვის აიგივებდა საკუთარ ეთნიკურ ფასეულობებს ეროვნულთან. „აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ტრადიციულობისა, ძველმოდური შეხედულებების ტარება და თანამედროვეობას არც ისე მორგებული აზროვნება დღევანდელი ახალგაზრდების მიერ უარყოფითადაა აღქმული. თუმცა იყო „ეროვნული“ იმ თვალსაზრისით, რომ ატარებდე მახასიათებლებს, როგორიცაა ქართული მრავალხმიანობა, ქართული ფოლკლორული სიმღერები და ცეკვები, ქართული სუფრის ტრადიციები და ა.შ., რაც ქართულ კულტურას სხვებისაგან გამოარჩევს, განსაკუთრებით მოდურადაა აღქმული მათ მიერ“ (Tsuladze, 2009: 36). ამ დასკვნას აკეთებს სოციოლოგი ლია წულაძე 16-21 წლის ქართველ ახალგაზრდებთან ჩატარებულ ოცდახუთ სიღრმისეულ ინტერვიუზე დაყრდნობით. შესაძლოა, გამოკითხულთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე ეს მოსაზრება მთელ ქართულ ახალგაზრდობაზე ვერ განვავრცოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული კულტურის გარკვეული ელემენტები (მათ შორის, მუსიკალური) ამ კულტურასთან თვითიდენტიფიკაციის ან მინიმუმ, გენეტიკური მიკუთვნებულობის აღქმას მაინც იწვევს მათში. როგორც ჩანს, კოსმოპოლიტური ფასეულობებით მართულ თანამედროვე სამყაროში, ადამიანებისათვის კვლავ მნიშვნელოვანია რაიმე იდივიდუალური, განსხვავებული მახასიათებლების მქონე სოციალური თუ კულტურული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა. ამის ერთ-ერთი დასავლეთში

³³ ტრაზა კაიაკატა-ს კომპოზიციიდან „სისონა დარჩია“.

დღეს ასე პოპულარული თემის (community) – სხვადასხვა ტიპის საერთო ინტერესებით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფების კონცეფცია. მიგვაჩნია, რომ ეროვნულ კულტურასთან თვითიდენტიფიკაცია, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს, სწორედ დღევანდელობისთვის უმნიშვნელოვანეს ფასეულობებს – ინდივიდუალიზმსა და გამორჩეულობას უზრუნველყოფს. წულაძის დასკვნა რომ მოგიშველიოთ, „ეროვნულის“ აქცენტირება თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში „კულტურული ინტიმურობის“ შენარჩუნების საშუალებაა“ (Tsuladze, 2009: 36). ქართული კულტურის ელემენტებისადმი ამა თუ იმ სახით მიმართვა კი უკვე გარკვეული პოზიციის დაფიქსირება და წინ გადადგმული ნაბიჯია მისი შენარჩუნებისაკენ. ქართული ფოლკ-ფიუჯენი სწორედ თანამედროვეობის პერსპექტივიდან ტრადიციისადმი მიმართვის ერთ-ერთი მუსიკალური ფორმაა, რომელიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად თანამედროვე ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის ყოველდღიურობას მსჭვალავს.

სადისერტაციო ნაშრომის IV თავი სწორედ თანამედროვე ქართულ სოციალურ გარემოში ფოლკ-ფიუჯენის როლის განსაზღვრას ეხება. ჩვენი მიზანია, დავადგინოთ, ყოველდღიურობის რა ფორმებში იჩენს თავს ფოლკ-ფიუჯენისადმი მიმართვა და რა სოციო-კულტურული ფუნქციის მატარებელია ქართული მუსიკალური ფოლკლორის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ფორმით ინტეგრირება. ამავდროულად, ვცდილობთ განვსაზღვროთ, თუ რამდენად და რა სახითაა ჩართული ქართული ფოლკ-ფიუჯენი ქვეყნის კულტურულ პოლიტიკაში და რა სამომავლო პერსპექტივები შეიძლება არსებობდეს ამ მიმართულებით.

ცნობილი რესი მუსიკოლოგი ვალენტინა კონენი, რომელიც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირში პოპულარული მუსიკალური კულტურების (ძირითადად, საესტრადო მუსიკის) ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო, „მესამე პლასტს“ უწოდებს XX საუკუნის მასობრივ მუსიკას, „წარმოდგენილს საკუთარი სახეობებითა და ჟანრებით, რომლებიც, უმეტესად, დემოკრატიულ წრეებში ცხოვრობენ და თავიანთი ფუნდამენტური თვისებებით არ ემთხვევიან მუსიკის ორ სხვა პლასტს – პროფესიულ საკომპოზიტორო შემოქმედებასა და ფოლკლორს“ (Koneh, 1994: 34). თუმცა იქვე დასძენს, რომ მუსიკალური კულტურის ამ შრის ფოლკლორთან გაიგივების რეალური საშიშროება არსებობს, რადგან ისტორიის

სხვადასხვა ეტაპზე სწორედ ეს მუსიკა იყო ფოლკლორული ელემენტების „გადამტანი“ იმ ჟანრებში, რომლებიც სულაც არ განეკუთვნებიან ფოლკლორის სფეროს. მეტიც, პოპულარული მუსიკის განსაზღვრებისადმი მიძღვნილ რიჩარდ მიდლტონის კვლევას თუ გავიხსენებთ, მასში სავსებით დასაშვებადაა მიჩნეული მე-19 ს-ის რომანტიზმის „პოპულარული სიმღერების“ მიღება „გლეხურის“, „ნაციონალურისა“ და „ტრადიციულის“ სინონიმებად, იმის გამო, რომ აღნიშნული საუკუნის დასასრულს ყველა მაინც „ფოლკლორად“ გაერთიანდა (Middleton 1990: 3). ამ თეორიას ქართული ფოლკლორული მუსიკის პრიზმაში თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში მედერი „პოპულარული სიმღერები“ დღეს ქალაქური ფოლკლორის ნაწილს წარმოადგენენ. ამ მოსაზრებით, მიდლტონი ხაზს უსვამს პოპულარული და ფოლკლორული მუსიკის არსობრივ სიახლოვეს, რაც დღეს ვლინდება დემოკრატიულობაში, გარკვეულ შემთხვევებში, კოლექტიურობასა და ავტორის ანონიმურობაში. ფოლკ-ფიუჯენის მიმართულებაში კი ეს კონცეპტუალური სიახლოვე, ამასთანავე, პრაქტიკულ და მუსიკალურ-გამომსახველობით დონეზეა რეალიზებული. თუმცა ამ უკანასკნელის ფოლკლორთან გაიგივება ისევე შეუძლებელია, როგორც პოპულარული მუსიკის ამა თუ იმ მიმდინარეობისა. ერთ-ერთი მთავარი განსხვავება კი ფოლკ-ფიუჯენის ქმნადობის სპეციფიკაში მდგომარეობს, რასაც კონენი, ზოგადად, პოპულარული მუსიკის კონტექსტში შემდგენაირად აყალიბებს: „ისინი (მესამე პლასტის ნიმუშები – თ. ლ.) არა სტიქიურად მოქმედებენ, არამედ ექვემდებარებიან გარკვეულ ამოცანებსა და თავისებურ პროფესიულ მოთხოვნებს“ (Конен, 1994: 34). მართლაც, თუ ფოლკლორი სპონტანურად იბადება და შემდეგ თაობიდან თაობაზე გადაცემის გზით კრისტალიზდება, XX-XXI საუკუნის მიჯნაზე აღმოცენებული და ქართულ სინამდვილეში ფუნქციონირებადი ფოლკ-ფიუჯენი კონკრეტული მოტივაციებით შექმნილ მრავალშრიან მუსიკალურ მოვლენას წარმოადგენს. ამასთან, ის თავისი თანამედროვეობას მორგებული ფორმატით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც ესთეტიკური, აღმზრდელობითი, შემეცნებითი და საკომუნიკაციო, ისე ამა თუ იმ უტილიტარული ფუნქციითაა ჩართული. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, ქართული ფოლკ-ფიუჯენის ფუნქციების საკმაოდ ფართო სპექტრს ქმნის.

უურადღებას შევაჩერებთ ფოლკ-ფიუჟენის ესთეტიკურ ფუნქციაზე, რომელიც ისეთივე აქტუალურია, როგორც შედარებით პრაქტიკული, გამოყენებითი ფუნქციები. მუსიკის, როგორც ხელოვნების დარგის ესთეტიკური ფუნქცია მსმენელისათვის სიამოვნების მინიჭებას გულისხმობს, რაც ინდივიდუალური ადქმის შედეგია და, როგორც ჯერ კიდევ კანტი აღნიშნავდა, გემოვნებასთან არის დაკავშირებული. მართლაც, თანამედროვე საზოგადოების, მათ შორის, ქართული საზოგადოების (განსაკუთრებით, ახალგაზრდების) რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ფოლკ-ფიუჟენის პოპულარობა სწორედ სიამოვნების ფაქტორითაა განპირობებული.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მუსიკალური ჟღერადობის გამო ქართული ფოლკ-ფიუჟენი მსმენელს თავს გლობალიზებული სამყაროს სრულუფლებიან წევრად აღაქმევინებს, ხოლო მუსიკალურ სტრუქტურაში ფოლკლორული ელემენტების ჩართვით, იგი ქართველ მსმენელს ფეხებთან, წინაპრებთან კავშირის განცდას უჩენს და მას საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აგრძნობინებს თავს. ამდენად, ერთ ადამიანში ამ ორი მნიშვნელოვანი განცდის ერთობლიობა და მისით გამოწვეული პიროვნული სრულფასოვნების შეგრძნება ესთეტიკური სიამოვნების წყაროდ იქცევა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფოლკ-ფიუჟენის საკომუნიკაციო ფუნქცია – ეს მუსიკა აერთიანებს მრავალ ადამიანს, რადგან იგი მათ შორის ერთგვარი კომუნიკაციის დამყარების საშუალებაა.

ფოლკ-ფიუჟენის აღმზრდელობითი ფუნქცია გამოხატულია იმაში, რომ ის მონაწილეობს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში და როგორც შემსრულებლებში, ისე მსმენელში იდენტობის გრძნობის გაღვივებას უწყობს ხელს.

რაც შეეხება ქართული ფოლკ-ფიუჟენის შემეცნებით ფუნქციას, როგორც ყველა მხატვრული ნიმუში, ის ხელოვანის რეალობისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო კომუნიკაციის მეშვეობით ეს ინფორმაცია შემსრულებლიდან გადადის მსმენელში და, შესაბამისად, შემეცნებით დატვირთვასაც იძენს.

როგორც აღნიშნავენ, ქართული ფოლკლორი იმდენად მაღალმხატვრული დირებულებისაა, რომ კლასიკური მუსიკის მსგავსად, ისიც ყველას აძლევს მრავალჯერადი ინტერპრეტირებისა და ამ გზით, საკუთარი იდენტობის გამოვლენის

შესაძლებლობას, მათ შორის, თანამედროვე რეალობის პირობებში და თანამედროვე ადამიანის გადმოსახედიდან (წურწუმია, 2005: 128).

ფოლკ-ფიუჟენის ესთეტიკურ ფუნქციაში უაღრესად მნიშვნელოვანია ესთეტიკური ღირებულების პარამეტრი. მუსიკოლოგიაში ღღემდე მეტნაკლებად გაზიარებული შეხედულების მიხედვით, მსმენელის ესთეტიკური სიამოვნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მაღალმხატვრული ღირებულებისაა ესა თუ ის ნაწარმოები (ჩვენს შემთხვევაში, ქართული ფოლკლორული და დასავლური პოპულარული მუსიკის სინთეზის შედეგად შექმნილი ესა თუ ის ფოლკ-ფიუჟენ კომპოზიცია) და რამდენად პროფესიონალურია მისი შესრულების დონე. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ისედაც სადაც ესთეტიკური ღირებულების ცნება დღევანდელ პოსტმოდერნულ სამყაროში განსაკუთრებით ბუნდოვანი ხდება. რადგან პოსტმოდერნული ესთეტიკის მიხედვით, სამყაროში იმდენი ჭეშმარიტება შეიძლება არსებობდეს, რამდენი ადამიანიცაა. სხვადასხვა იდენტობის მქონე ადამიანს კი ესთეტიკური ღირებულების სხვადასხვაგარი აღქმა აქვს, რაც ლოგიკურიცაა, რადგან განსხვავებული მუსიკალურ-კულტურული გამოცდილების გავლენით ფორმირებული მისი მხატვრული გემოვნება და პრიორიტეტები მეტად ინდივიდუალური და სუბიექტურია. სწორედ აქედან მომდინარეობს დღევანდელობაში აქტუალური და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი, მეტ-ნაკლებად, მიღებულ-გაზიარებული ესთეტიკური ღირებულების კრიტერიუმი – აუთენტიკურობა. ამ შემთხვევაში, არა იმ „ძველის, პირველის“ მნიშვნელობით, რასაც ჩვენ ამ სიტყვაში მოვიაზრებთ, როდესაც მას ქართული ტრადიციული მუსიკის კონტექსტში მივმართავთ, არამედ, „ნაღდის, გულწრფელის“ მნიშვნელობებით, რაც უკვე დიდი ხანია ამ ტერმინის მთავარ შინაარსად იქცა. დღეს სიტყვა „აუთენტიკურს“ მიმართავენ იმ მუსიკოსების ეპითეტად, ვინც „მართალია საკუთარ თავთან“ (“true to his own self”). ეს ტერმინი ხშირად ჟღერს ამერიკული ფოლკ-მუსიკის ვარსკვლავებთან, ბობ დილანსა და პიტ სიგერთან, ბრიტანელ ბითლზებთან და თანამედროვე პოპულარული მუსიკის ამა თუ იმ წარმომადგენელთან მიმართებაში.

თუმცა, როგორც ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, გულწრფელისა და ნაღდის მნიშვნელობის მქონე აუთენტიკურობის მთავარ სავანედ, მუსიკალური ჟანრებიდან სწორედ ფოლკლორული მუსიკა მიიჩნევა, რომელმაც, საუკუნეების საცერმი გამოვლისას დაწმენდილ-რაფინირებულმა, ჩვენამდე მოიტანა ის ჭეშმარიტი ფასეულობები, რაც თანამედროვე სამყაროში ასე ძნელად მოსახელთებელია.

ამიტომაა, რომ მუსიკალური ფოლკლორი, განსაკუთრებით კი მისი ისეთი დახვეწილი ფორმა, როგორიცაა ქართული ხალხური ვოკალური მრავალხმიანობა, იმ მუსიკოს-შემოქმედებსაც იზიდავს, ვისაც ქართულ მუსიკალურ კულტურასთან გენეტიკური ან ისტორიული კავშირი არ აქვს, მაგრამ საკუთარი ნაწარმოებების იმ აუთენტიკურობით გამსჭვალვა სურს, რაც ფოლკლორში ასე ღრმადაა დაბუდებული.

ამდენად, ქართული ფოლკლორი, პირველ რიგში, სწორედ თავისი ესთეტიკური დირექტულების წყალობით, ხშირად სრულიად განსხვავებული მუსიკალური სტილის უცხოელი შემსრულებლების შთაგონების წყარო ხდება. და ისინიც, ხან ქართული ფოლკლორული ანსამბლების ჩანაწერებს მიმართავენ, ხან კი ადგილობრივ მუსიკოსებთან ერთად კოლაბორაციულ პროექტებს ქმნიან. ქართული ფოლკლორული მუსიკის უცხოელი ხელოვანების შემოქმედებაში ინტეგრირების ორივე სახის პრაქტიკა, გარკვეულ შემთხვევებში, სწორედ ფოლკ-ფიუჯენის მუსიკალური მიმართულების ფორმატშია განხორციელებული.

წარმოვადგენთ მსგავსი თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითს, რომელიც, როგორც საბოლოო პროდუქტის მუსიკალურ-სტილური პროფილის, ისე განხორციელებული სინთეზის წარმატებულობის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარ შემთხვევას გვიჩვენებს. როგორც უნგრელი კომპოზიტორი და ფოლკლორისტი ბელა ბარტოკი აღნიშნავს, რაც უფრო მარტივია ხალხური სიმღერა, მით უფრო ადგილია მისი დამუშავება (Bartok, 1966). რასაკვირველია, ქართული მუსიკალური ფოლკლორის განვითარებული სტრუქტურის ნიმუშების გადამუშავება მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც, ერთი მხრივ, უტილიტარული მიზნებით მისი მარტივი ნიმუშების აქტიურად გამოყენების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია, მეორე მხრივ კი, „წარუმატებელი“ სინთეზის შემთხვევების ერთგვარი ახსნაა.

ინტერნეტსივრცეში, სხვადასხვა ფორუმსა თუ სოციალურ ქსელში დიდი პოლემიკის საგნად არის ქცეული გორან ბრეგოვიჩის მუსიკაში გამოყენებული ქართული ფოლკლორი. სიმღერაში "Train" (მატარებელი) ალბომიდან "Silence of the Balkans" (ბალკანური დუმილი) მუსიკოსი მიმართავს ქართულ ხალხურ სიმღერებს, წინწყაროსა და ხისატურას (► მაგალითი №9). ბრეგოვიჩი კომპოზიტორული თავისუფლებით უდგება მასალას, გარდაქმნის მის მუსიკალურ სტრუქტურას და საკუთარი საშემსრულებლო მანერიდან გამომდინარე ცვლის მელოდიკას. თუმცა

აშკარაა, რომ ამ გარდაქმნის პროცესში, სიმღერებს (განსაკუთრებით, წინწყაროს) იმ შინაგან ჰარმონიულ საფუძველს აცლის, რომელიც მათი სტრუქტურის საფუძველს, საბაზისო მოდელებს წარმოადგენს, რაც ფოლკლორული პირველწყაროების მცოდნე მსმენელის (განსაკუთრებით, ქართველებისთვის) იმედგაცრუებას იწვევს. სამწუხაროდ, სიმღერების ქართული წარმომავლობა მუსიკოსს ბოლო პერიოდამდე არც ჰქონდა მოხსენიებული კომპოზიციის აღწერაში.

თუმცა არის შემთხვევები, როცა ნიმუშების „ქართულობა“ უცხოელი ავტორის მიერ არც არის გააზრებული. ამის მაგალითია წინწყაროს გამოყენების ფაქტი პოპულარული, ბრიტანელი მომღერლის ქეთ ბუშის სიმღერაში “Hello, earth” (გამარჯობა, დედამიწა). ის, რომ წინწყარო ქართული სიმღერაა, მისთვის ცნობილი არ იყო. ამ მხრივ, საინტერესოა ამონარიდი ქეთ ბუშის მიერ 1985 წელს მიცემული ინტერვიუდან: „მე ვუყურე ამ ფილმს, სახელწოდებით, „ნოსფერატუ“, რომლის რეჟისორია პერცოგი. ეს მართლაც მშვენიერი ფილმია. სწორედ აქ იყო გამოყენებული ეს მუსიკალური ნაწარმოები, რომელმაც უბრალოდ მომაჯადოვა. მივხვდი, რომ მე აუცილებლად უნდა გამომეყენებინა ის ჩემს სიმღერაში. მასში იყო სწორედ ის, რისი თქმაც მინდოდა ჩემს მუსიკაში. და შემდეგ თითქოს ამ ნაწარმოების გარშემო აშენდა მთელი სიმღერა. ეს იყო ტრადიციული ნაწარმოები, რუსული ან ჩეხური. კი, რუსული ნაწარმოებია“ (Myatt, 1985). მართლაც, 1979 წელს გადაღებულ გერმანულ ფილმ „ნოსფერატუში“ გამოყენებული ციტატა ანსამბლ „გორდელას“ მიერ შესრულებულ წინწყაროდან (წყაროებში შემსრულებლებისა და სიმღერის წარმომავლობის დამოწმებით). ქეთ ბუშის კომპოზიციაში რეფრენად ჩართული წინწყარო კი ინგლისური პროფესიული ანსამბლის მიერაა შესრულებული, რაც შესრულების აკადემიურ მანერაში, დინამიური ნიშნების უხვ გამოყენებასა და ქართული ტექსტის არამკვეთო, ხშირად, არაზუსტ არტიკულაციაში ნამდვილად შეინიშნება (► მაგალითი №10).

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართული მუსიკალურ-ფოლკლორული მოტივი არა მხოლოდ განსაკუთრებული მუსიკალური ატმოსფეროს, არამედ ეგზოტიკური პერსონაჟის შესაქმნელადაა გამოყენებული. ამის მაგალითია, ელექტრო როკ-მუსიკის (Electric rock music) უანრში მოღვაწე იტალიური ჯგუფის, “Profusion”-ის კომპოზიცია “Chuta chani”, რომლის მთავარ მუსიკალურ მასალას ამავე დასახელების

ლაზური სიმღერა წარმოადგენს. კომპოზიციის შეაგულში ერთგვარ საფორტეპიანო ვარიაციად გვევლინება ცეკვა ქართულის მოტივი ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. გამოყენებულია მამაკაცოა გუნდი, რომელიც გაბმული რეჩიტატივით მღერის ქართულ გლოსოლალიებს – ნანია, დუღია. სიმღერის ვიდეორგოლის მთავარ პერსონაჟად პატარა ლაზი გოგონას გამოყვანა, მის სამოსში ქართული დეტალების, ტანზე გამოსახული ქართული ასოების გამოყენება ერთგვარად უზუნველყოფს ნასესხები მუსიკალური მასალის იდენტობის დაცვას. ეს, სავარაუდოდ, იტალიური როკ ჯგუფის წევრი ქართველი დრამერის, ვლადიმერ სიჭინავას დამსახურებაა (☞ მაგალითი №21). მუსიკოსი აღნიშნავს: „ჩვენ პირველი ჯგუფი ვართ ქართული მუსიკის ისტორიაში, რომლებმაც ქართული ფოლკი პროგრესულ მუსიკაში გამოვიყენეთ და ამ სახით ინტერნაციონალურ ასპარეზზე წარმოვაჩინეთ. ამას ძალიან დიდი ეფექტი მოჰყვა უცხოელ მსმენელზე, ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობია ქართული ფოლკლორული მუსიკა. ასე რომ, ასეთი შორი მუსიკალური სამყაროების დაახლოება ნამდვილად კარგად გამოვიდა“. როგორც ვხედავთ, იტალიური როკ-ჯგუფის ქართველი წევრისათვის საკუთარ მუსიკაში ქართული ფოლკლორული ნიმუშის გამოყენება, ერთი მხრივ, ეგზოტიკური მასალით აუდიტორიაზე შტაბეჭდილების მოხდენის, მეორე მხრივ, კი მდიდარი ფოლკლორული ტრადიციების მქონე მშობლიური კულტურის უცხოელი მსმენელისათვის გაცნობის მიზანს ემსახურება.

ქართული ფოლკლორისადმი განსხვავებული მიმართება იკვეთება „ქართული ხმებისა“ და ბობი მაკვერენის მიერ ერთობლივად შესრულებულ სვანურ ნანაში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სვანური ნანა, ისევე როგორც ყველა სხვა კუთხის ნანა, ტრადიციულად, ერთხმიანია, მისი მრავალხმიანი ვარიანტები (ჯერ ორ, შემდეგ კი სამხმიანი) კი გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან გვხვდება სვანეთში (კალანდაძე, 2007: 127). რაც შეეხება „ქართული ხმების“ მიერ შესრულებულ ვარიანტს, ნინო კალანდაძის ვარაუდით, ეს არა სვანურ ყოფაში, არამედ ქალაქური ანსამბლების პირობებში გარდაქმნილი უნდა იყოს (კალანდაძე, 2019). მეცნიერის ვარაუდი, გარკვეული თვალსაზრისით, მართებული აღმოჩნდა, რაღგან სვანური ნანას აღნიშნული ვარიანტი სვანურ ყოფაში გაცილებით სადა ვერსიით ყოფილა გავრცელებული, მისმა საანსამბლო რეპერტუარში გადანაცვლებამ კი გარკვეული ცვლილები შეიტანა ნიმუშის საშემსრულებლო თავისებურებებში. ამასთან, თუ

პირველად გარიანტი ნიმუში ჭუნირის თანხლებით სრულდებოდა, დღეს დამკვიდრებულ საანსამბლო პრაქტიკაში მას ინსტრუმენტული თანხლება აღარ ახლავს – თუ არ ჩავთვლით დები ჩამგელიანების შესრულებას, რომლებიც საოჯახო ტრადიციით არიან სვანური ნანას ამ გარიანტის მატარებლები. მათი ბებია, კატი გირგვლიანი ხშირად მღეროდა ამ ნანას სამ ხმაში, შვილებთან ერთად და მისთვის უველაზე ტრაგიკულ მომენტში, 13 წლის გარდაცვლილ შვილთან გამოთხოვებისასაც ეს უმღერია. წლების შემდეგ, 1988 წელს მისმა ვაჟებმა – ლატალის ფოლკლორული გუნდის მომდერლებმა, თაისავ და გიგო ჩამგელიანებმა მოსკოვში გუნდის მიერ სვანური ხალხური სიმღერის ფირფიტის ჩაწერისას ექსპრომტად შეასრულეს „კატის ნანა“ (როგორც ამ ნიმუშს სვანეთში ეძახიან). მაღონა ჩამგელიანი იხსენებს, რომ ფირფიტაზე დარჩენილი წამების შესავსებად ლატალის გუნდს სასწრაფოდ რაიმე ნიმუში უნდა ემღერა და მმებმა ჩამგელიანებმაც, ამ ნანას შესრულება გადაწყვიტება³⁴ (ჩამგელიანი, 2020), ასე გახდა სვანური ნანას აღნიშნული ვერსია ცნობილი და შემდგომ, არაერთი გუნდის რეპერტუარის ნაწილი. ამიტომ, გასაკვირი არცაა, რომ „ქართული ხმებისა“ და ბობი მაკვერენის კოლაბორაციისთვის სწორედ ეს ნიმუში შეირჩა. მისი სულშიჩამწვდომი და საოცრად ლამაზი ინტონაციები ბუნებრივად შეერწყა ამ ცნობილი ჯაზ-მუსიკოსის მიერ შესრულებულ, ერთი შეხედვით, მარტივ აფრო-ამერიკულ ჰანგებს და სრულიად ახალი, უჩვეულო ქდერადობა დაბადა. ამით სვანური ნანას აღნიშნული ვარიანტის მისტიკური და მეტაფიზიკური ემოციური ატმოსფერო კიდევ უფრო მძაფრი და ჯაზ-ფესტივალზე შეკრებილი მსმენელისათვის მისაწვდომი გახადა (☞ მაგალითი №22).

არის შემთხვევები, როცა მუსიკოსები სათანადოდ აფასებენ რა ქართული ფოლკლორული ნიმუშების დიდ მხატვრულ დირექტულებას, ვერ ბედავენ ფოლკლორულ მასალაში რაიმე სახით ჩარევას და მის საკუთარ შემოქმედებასთან სინთეზირებას. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ფაქტი, ასევე, ანსამბლ „ქართული ხმების“ ისტორიიდან. 2000 წელს ანსამბლი ლეგენდარულ ჯაზ პიანისტს ჯო ზავინულსა და ჯგუფ „სინდიკატს“ შეახვედრეს. ჯო ზავინულს წინასწარ შესთავაზეს „ქართული ხმების“ რამდენიმე სიმღერა და ერთ-ერთი მათგანის კომპოზიციაში ჩართვა, მაგრამ ჯო ზავინულმა ამ შეთავაზებაზე უარი თქვა, რადგან

³⁴ აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ ფირფიტაზე ბოლო ნომრად შესული ნანა შეაში წყდება – http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8601/9/08_nana.mp3

აპირებდა ჩამოსვლის დღეს შეხვედროდა ანსამბლს, შეერჩია რომელიმე სიმღერა და იმავე სადამოს კონცერტზე შეესრულებინა იმპროვიზაციულად. „ქართული ხმების“ წევრები მიხვდნენ, რომ ჯო ზავინულს ქართული სიმღერა მოსმენილი არ ჰქონდა და არ იცოდა მისი კომპლექტურობის შესახებ, ანუ იგი ისეთივე მარტივი მუსიკალური სტრუქტურის წარმოედგინა, როგორც სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ფოლკლორული სიმღერაა. როცა მუსიკოსი თბილისში ჩამოვიდა და ქართულ ხმებს მოუსმინა, მაშინვე გამორიცხა ყოველგვარი იმპროვიზაცია და ორი სიმღერა პირდაპირ, სუფთა სახით ჩართო საკუთარ კონცერტში. თუმცა, მოგვიანებით, როდესაც მუსიკოსმა თბილისში შესრულებული კომპოზიციების ალბომი გამოსცა, მესამე კომპოზიციაში ორგანულად ჩართო „ქართული ხმების“ ერთ-ერთი სიმღერა, მსგავსად ამერიკელი პოპ ვარსკვლავის, ბილი ჯოელისა, რომელმაც 1987 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ანსამბლ „ქართულ ხმებთან“ ერთად ჩატარებული კონცერტის შემდეგ გამოსცა ალბომი „ბილი ჯოელი სსრკ“-ში, რომლის პირველივე კომპოზიცია სწორედ „ქართული ხმების“ სიმღერით იწყება.

ზოგადად, არაერთ დასავლელ ეთნომუსიკოლოგსა თუ შემსრულებელს აღუნიშნავს ქართული მრავალხმიანი სიმღერის „გასაოცარი, ვნებიანი, მომაჯადოებელი, ლამაზი, ძლიერი, შესანიშნავი, ამაღელვებელი, მკაცრი, თავისუფალი, დიდებული, მჩევლებავი, არქაული, განსხვავებული, გამორჩეული, რთული, მეღერი, მდიდარი, განსაკუთრებული“ ბუნება (“incredible, passionate, haunting, beautiful, powerful, gorgeous, moving, austere, spare, majestic, spine-tingling, ancient in feel, different, distinctive, special, resonant, rich and challenging”) (Bloom, 2003: 575). მართლაც, ქართული ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობის სირთულე, მასში ფოლკლორული მუსიკისათვის დამახასიათებელ იმპროვიზაციულობასთან ერთად, წმინდა კომპოზიციური მეთოდების გამოყენების პრაქტიკა, მრავალხმიანობის სხვადასხვა ტიპში გამოვლენილი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმალური სტრუქტურები, რთული მოდულაციები და დახვეწილი პარმონიული ურთიერთშეთანხმებები ამ მუსიკას პროფესიულ ხელოვნებასთან აახლოვებს.

სწორედ ქართული ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობის ასეთი სირთულით, დახვეწილობითა და მაღალმხატვრულობითაა განპირობებული ქართველ და უცხოელ ხელოვანთა ისეთი საერთო პროექტები, სადაც ქართული ხალხური

მუსიკა მთავარი მხატვრული თუ იდეური მარცვალია. მსგავს პროექტებში ქართული ფოლკლორი უცხოელი ავტორისთვის ერთგვარ შთაგონების წყაროს წარმოადგენს. საკუთარი ემოციური თუ აზრობრივი ინტერპრეტაციით წაკითხულ ნიმუშებს ის ახალი მხატვრული ქმნილების ცენტრალურ ელემენტად აქცევს, რომლის გარშემოც ობობის ქსელივით იქსოვება მთელი ნაწარმოები.

ამგვარი ურთიერთთანამშრომლობის საინტერესო მაგალითია ქართულ ფოლკლორულ ანსამბლ „დიდგორისა“ და ცნობილი ლატვიელი კომპოზიტორების (გრემის ნომინანტები – უგის პრაულინსი და ერიკ ეშენგვალდსი) მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტი „ქართული მოტივები“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფოლკლორისა და კლასიკური საგუნდო მუსიკის სინთეზი ფოლკფონეტი ნიმუშად ვერ ჩაითვლება. კონცერტი 2013 წლის სექტემბერში ლატვიაში, ქალაქ რიგის საკათედრო ტაძარში ჩატარდა და მასში ანსამბლთან ერთად, ლატვიის სახელმწიფო აკადემიურმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. კონცერტზე ჟღერდა სინთეზური კომპოზიციები, რომლებიც სხვადასხვა კუთხის ქართული ხალხური სიმღერების გარშემო აგებულ მსხვილი ფორმის საგუნდო ნაწარმოებებს წარმოადგენდა. სრულად იყო დაცული ქართული ნიმუშების (კახური მრავალურამიერი და წინწარო, მთიულური ჯვარი წინასა, გურული ბურთის გამარჯვება და ელექტრო, აფხაზური აზამატი) მუსიკალური და საშემსრულებლო პარამეტრები და კოლაჟის პრინციპით ორგანულად იყო ჩართული ლატვიელ კომპოზიტორთა ქმნილებებში. ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს კომპოზიტორ უგის პრაულინსის ნაწარმოები, „Tumsa gaiao“ ანუ „წყვდიადიდან გამოსვლა“. ამ ნაწარმოებში, ასევე, გამოყენებულია ლატვიური ხალხური სიმღერები, ხოლო ანსამბლი „დიდგორი“ ჯვარი წინასას და ბურთის გამარჯვებას ასრულებს (მაგალითი №23). მუსიკალური მასალისადმი ანალოგიური მიდგომა ჩვეული მოვლენაა საკომპოზიტორო ხელოვნებაში, სადაც ხშირად მიმართავენ კოლაჟის ტექნიკას ორი განსხვავებული სტილური სამყაროს დასაპირისპირებლად, ამ განსხვავების სადემონსტრაციოდ. მსგავსი მაგალითი მოცემულია კომპოზიტორ ნათელა სვანიძის ორატორიაში „ფიროსმანი“, სადაც სერიული მუსიკის გარემოში ქართული საგალობლის ჩართვა და შნიტკეს თანამედროვე მუსიკალურ ენაში ბახის ალუზიების მოხმობა, სწორედ ორი სამყაროს დასაპირისპირებლადაა განხორციელებული.

ზემოაღნიშნულ პროექტში ლატვიელი კომპოზიტორები შეეცადნენ პროფესიული საგუნდო მუსიკის საშუალებით რეალიზებული საკუთარი სამყაროსა და მასთან, ქართული პოლიფონიური მუსიკის სრულიად განსხვავებული სტილური პლასტის შეპირისპირებას – ფაქტობრივად, საკუთარი კომპოზიციებით ამ ორი სამყაროს გაერთიანების, დაახლოების მცდელობა შექმნეს. ამ მოვლენას დღევანდელი, პოსტმოდერნული ეპოქის ჭრილში თუ შევხედავთ, პოსტმოდერნული ესთეტიკისათვის სწორედაც რომ დამახასიათებელია ასეთი ენობრივი კონტრასტები, როგორც ლიტერატურაში, ისე მუსიკაში, სადაც ჩვეულ მოვლენადაა ქცეული სხვადასხვა ტექსტის დაპირისპირება. პოსტმოდერნიზმის ფილოსოფიის მიხედვით კი ყველაფერი ტექსტია, რადგან ყველაფერი ისევე ინტერპრეტირებადია, როგორც ტექსტი.

უნდა ითქვას, რომ ქართული ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობის სირთულე და დახვეწილობა, შესაძლოა, გადამწყვეტ ფაქტორადაც მოგვევლინოს ქართველი და უცხოელი მუსიკოსების არშემდგარი ან წარუმატებელი თანამშრომლობისას. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ქართველი ფოლკლორული შემსრულებლები, ვინც საუკეთესოდ იციან ქართული ფოლკლორის პოტენციალი და ამ მუსიკალურ ენაზე სამეტყველო ფორმულებისგან შემდგარ ლექსიკონსაც ფლობენ, შემოქმედებით ინიციატივას არ იჩენენ მსგავს კოლაბორაციულ პროექტებში მონაწილეობისას, პროექტის განხორციელება შეიძლება ვერც მოხერხდეს. მით უფრო, თუ მასში ჩართული უცხოელი მუსიკოსი განათლებით კომპოზიტორი არაა და არც მუსიკის წერის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. სწორედ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამერიკელ-ლიუტუველი ფოლკ-მუსიკოსის, აბრაამ ბროუდისა და ქართული ფოლკლორული ჯგუფის, „ადილეის“ თანამშრომლობისას (რაც დისერტაციის III თავში – ლუბერის ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით უკვე ვახსენეთ). თუმცა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, საბოლოოდ, ქართული ხალხური მუსიკისა და ლიგტუვური სუბარტინესის ელემენტებზე დაფუძნებული ბროუდის კომპოზიციების სინთეზის პროექტი არ შედგა (ხუსუნაიშვილი, 2019). ეს შემთხვევა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ კარგად ასახავს ქართული ფოლკლორული გუნდებისა და პოპულარული მუსიკის შემსრულებლების (ქართველი თუ უცხოელი) კოლაბორაციის ერთგვარად დამკვიდრებულ ფორმატს, სადაც ქართველი ფოლკ-მუსიკოსები ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ კომპოზიციის სანოტო პარტიტურაში აღნიშულ,

თუ ავტორის ზეპირ მითითებებს და კოლაბორაციული კომპოზიციის შექმნაში საკუთარი ინდივიდუალური ინიციატივები თითქმის არ შეაქვთ.

მსგავს მაგალითს წარმოადგენს ამერიკაში მოღვაწე ჯაზ-პიანისტისა და კომპოზიტორის, გიორგი მიქაძისა და საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლ „ბასიანის“ მიერ განხორციელებული ფოლკ-ფიუჟენ პროექტი „ვოისა“. მასში შესული ექვსივე კომპოზიცია („შიოლა“, „ზეზვა და მზია“, „ოდოია“, „მარებელი“, „ბიბა“ და „ვოისა“) ცნობილი ქართული ფოლკლორული ნიმუშების გარშემოა აგებული (ანსამბლ „დიდგორისა“ და ლატვიელების პროექტის მსგავსად). მათში უცვლელადაა შესული ხალხური ნიმუშები, რომელთა გარშემოც ელექტრო-აკუსტიკურ ინსტრუმენტებსა და მრავალფეროვან დასარტყამ საკრავებზე თანამედროვე მუსიკალური მიმდინარეობების – ჯაზის, ფანკის, პიპ-პოპის, R&B-ის რიტმებითა და ინსტრუმენტული პასაჟებით/იმპროვიზაციით ქსელივით იქსოვება კომპოზიციები (☞ **მაგალითი №24**). უნდა ითქვას, რომ მათ გარკვეულ მონაკვეთებში თანამედროვე მუსიკის ელემენტების ჩართულობა იმდენად მცირდება, რომ ის ფოლკლორული ნიმუშის არანჟირებისა და თანხლების ფუნქციის შემსრულებლად თუ აღიქმება. ეს, შესაძლოა, განპირობებულია ანსამბლ „ბასიანის“ მიერ შესრულებული ქართული ფოლკლორული ნიმუშის თავისთავადი ეფექტურობითა და ერთგვარი, თვითკმარობით. ფოლკ-ფიუჟენის მიმართულების კოლაბორაციებში ფოლკლორული ანსამბლის შემოქმედებითი ინიციატივის თემის განხილვას თუ დავუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტ „ვოისას“ ფარგლებში არ ყოფილა გათვალისწინებული ანსამბლ „ბასიანის“ მიერ რაიმე ტიპის იმპროვიზაციის განხორციელება ან მსგავსი შემოქმედებითი ინიციატივები. პროექტის მხატვრული ჩანაფიქრიდან გამომდინარე, მათი როლი სწორედ ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშების უცვლელად შესრულება იყო, რასაც თავად პროექტის ავტორი შემდეგნაირად ხსნის: „იმდენად ფაქტი და რთული მოსაპყრობია ქართული მუსიკა, რომ ყველაფერი უცბათ, ერთი ხელის მოსმით შეიძლება წყალში ჩაგეყაროს. ძალიან რთულია ქართულ მუსიკასთან, კერძოდ, ფოლკლორთან ურთიერთობა. ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი არის, რომ თავად მუსიკოსებმა შეძლონ თითოეული სიმღერის მღერა, იცოდნენ რა მიხვრა-მოხვრა აქვს ქართულ ხმოვანებას, ყოველ ხმას ქართულ ფოლკლორში აქვს თავისებური ფუნქცია და მიხარია, რომ ეს ფუნქცია, „ვოისას“ შემთხვევაში, გააზრებულია“ (მიქაძე, 2018).

ამდენად, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე, ერთგვარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფოლკ-ფიუჟენის ესთეტიკური ფუნქცია განსხვავებულად „მუშაობს“ ქართულ და დასავლურ საზოგადოებებში:

უცხოელი მუსიკოსების მიერ ქართული ხალხური ნიმუშების გამოყენება მათ მიერ შექმნილ ახალ მხატვრულ ერთეულს სულ სხვაგვარ ესთეტიკურ დატვირთვას სძენს და გაცილებით დახვეწილს ხდის ფოლკ-ფიუჟენის თუ სხვა მუსიკალურ სტილში შექმნილ მის კომპოზიციას. უცხოელი ხელოვანების მიერ ამ თუ იმ ქვეყნის, ამ შემთხვევაში, ქართული ტრადიციული მუსიკის ელემენტების გამოყენების მთავარი მიზანიც ესაა – ეს მაღალმხატვრული მუსიკა გამოიყენონ იმისათვის, რომ ესთეტიკურად ღირებული ახალი მხატვრული ნაწარმოები შექმნან. თუმცა საბოლოოდ, ყველა მუსიკოსი ვერ აღწევს ამ შედეგს. ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ქართული მუსიკალური ფოლკლორის უცხოელი მუსიკოსების კომპოზიციებში გამოყენება გაცილებით დიდ გამოხმაურებასა და მოწონებას იმსახურებს დასავლელ მსმენელში, რომელსაც ერთნაირად აღაფრთოვანებს ამ ელემენტების ეგზოტიკურობა და მშვენიერება. მსგავსი მაგალითია გორან ბრეგოვიჩის მიერ ქართული ხალხური ნიმუშების გამოყენების შემთხვევაც, მიუხედავად იმისა, რომ მან პირველწელის მუსიკალური პოტენციალი საკმარისად ვერ აითვისა, რითიც მისი პირველადი ჟღერადობა ბევრად დააკნინა (ნიმუშების წარმომავლობის დაფარვასთან ერთად), მაგრამ ფაქტია, რომ დასავლელი მსმენელი ამ მუსიკალურმა სინთეზმა მეტად აღაფრთოვანა და ბრეგოვიჩის აღნიშნული კომპოზიცია საკმაოდ პოპულარულიც გახდა.

რაც შეეხება ფოლკ-ფიუჟენის ესთეტიკურ ფუნქციას ქართულ საზოგადოებაში, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი მსმენელის ესთეტიკური ტკბობის საფუძველი, ერთი მხრივ, მისი მუსიკალური მრავალიდენტობის განცდაა, რომლის მეშვეობითაც იგი, როგორც თანამედროვე ქართველი, ერთგვარ პიროვნულ სრულფასოვნებას განიცდის – ერთდროულად, ეროვნულ კულტურასთან და თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროსთან ზიარების გზით. მეორე მხრივ, ქართველი მსმენელის ფოლკ-ფიუჟენისადმი დამოკიდებულებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად გამოყენებული ფოლკლორული მასალის სირთულესა და მისი დამუშავების ოსტატობას, თუმცა, ცხადია, ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როცა მსმენელი

სათანადოდ აფასებს და დიდი სიამოვნებას იღებს უბრალო, ერთი შეხედვით, მარტივი ხალხური მელოდიის ოსტატური დამუშავების შემთხვევაშიც.

ფოლკ-ფიუჯენის უტილიტარული ფუნქციები თანამედროვე პოსტმოდერნული სოციუმის ცხოვრების წესის რადიკალური მოდერნიზაციისა და საბაზო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება. მუსიკოლოგების, კრისტერ მალმისა და როჯერ ვოლისის ტრანსკულტურიზაციის თეორიის მიხედვითაც „ტრანსკულტურული მუსიკა, ანუ ინდუსტრიულ გარემოში ფუნქციონირებადი სხვადასხვა ტიპის მუსიკის სტილისტური ელემენტების კომბინაციით შექმნილი ესა თუ ის მუსიკალური სტილი, ჩვეულებრივ, მნიშვნელია ყველაზე დიდი ბაზრისთვის“ (Malm, 1993: 342).

ჩვენი ამოცანაა დავადგინოთ, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რა სფეროებში იჩენს თავს ფოლკ-ფიუჯენისადმი უტილიტარული მიმართება და როგორია ამ მუსიკალური მიმართულების კონკრეტული ნიმუშების გამოყენების ფორმები.

ფრანგი ფილოსოფოსის, უან ბოდრიარის აზრს თუ გავითვალისწინებთ, „პოსტმოდერნული გემოვნება არის საბაზო გემოვნება“ (ბოდრიარი). შესაბამისად, ფოლკ-ფიუჯენისადმი მიმართვის ესა თუ ის უტილიტარული ფორმა სწორედ თანამედროვე საზოგადოებაში საყოველთაოდ გამეფეხტული მომხმარებლური დამოკიდებულებით უნდა იყოს განსაზღვრული. მართლაც, ერთ-ერთი სფერო, სადაც ფოლკ-ფიუჯენის მუსიკალური ნიმუშები სამომხმარებლო ბაზრის ერთგვარი ნაწილი ხდება, სარეკლამო ინდუსტრიაა, სადაც ის სხვადასხვა დონეზე მუშაობს და, შესაძლოა, რადიკალურად განსხვავებული ტიპის პროდუქციის რეალიზებასა და ასევე, განსხვავებული სამომხმარებლო სეგმენტის მოზიდვაზე იყოს გათვლილი. სარეკლამო ინდუსტრიის ფარგლებში ფოლკ-ფიუჯენის გამოყენების ძირითადი ფორმა მისი სარეკლამო რგოლებში ჩართვაა, რომლებიც იმის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან, ადგილობრივი მყიდველისთვისაა ის განკუთვნილი, თუ ტურისტების მოსაზიდად შექმნილი. პირველ შემთხვევაში, აქცენტი კეთდება ისეთ კომპოზიციებზე, რომლებიც პოპულარულ ფოლკლორულ ნიმუშებზეა აგებული, ეს კი მომხმარებელში რეკლამირებული პროდუქტისადმი ერთდროულად, მშობლიურობის და თანამედროვეობაში აქტუალობის განცდას ტოვებს.

ამ ნიშით გამოვყოფთ კომპანია „ჯეოსელის“ სარეკლამო რგოლს, სადაც აზოვ ერქომაიშვილის დაწერილი და შემდეგ გახადხურებული სიმღერა „თუ ასე

ტურფა იყავი“ ჟღერს. თავდაპირველად, ნიმუში ანსამბლ „რუსთავის“ ორიგინალი შესრულებითაა ჩართული, რეკლამის მეორე ნაწილში კი სიმღერა დისკოს ჟანრშია გარდაქმნილი. ამით რეკლამის მწარმოებლებს ტრადიციის (ამ შემთხვევაში, სატელეფონო კომპანია „ჯეოსელის“ მომხმარებელთან ურთიერთობის ტრადიციის) განგრძობადობისა და განახლებადობის ფენომენის ხაზგასმა სურთ.

რაც შეეხება, უცხოელი ტურისტების მოსაზიდად ან უცხოეთში ქართული პროდუქციის რეალიზებისათვის განკუთვნილ რეკლამებს, მათში, ძირითადად, თანამედროვე მუსიკალური ტექნოლოგიით გაჯერებული ფოლკ-ფიუჯენ ნიმუშებია გამოყენებული, რაც უცხოელ მომხმარებელში, ერთდროულად, ეგზოტიკური კულტურის მქონე და ამავე დროს, ტექნოლოგიურად განვითარებული თანამედროვე ქვეყნის პრეზენტაციას ახდენს. მაგალითად, ქართული ტურიზმის რეკლამა, სადაც შავშური გელინოს და აჭარული განდაგანას მოტივები ჟღერს (■ მაგალითი №25).

უცხოელების მოსაზიდ ერთგვარ სარეკლამო საშუალებად შეიძლება აღვიქვათ საზღვარგარეთ, ამა თუ იმ სათვისტომოს მიერ ორგანიზებულ ქართული კულტურის დღეებზე აუდერებული ქართული ფოლკ-ფიუჯენი, თუმცა მსგავს დონისძიებებზე მისი აუდიერების პირველადი ფუნქცია მაინც ორიგინალური ქართული კულტურის პრეზენტაცია და მისი მსოფლიოში პოპულარიზაციაა. ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესასწავლად ჩამოსული უცხოელები ხშირად აღნიშნავენ, რომ სწორედ უცხოეთში გამართული მსგავსი დონისძიებები თუ ქართული ანსამბლების კონცერტები გახდა მათი ქართული კულტურით დაინტერესების მიზეზი (ნაითი, 2016; შეინი, 2014). ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან ერთად, ქართული ფოლკ-ფიუჯენის მიმართულების მუსიკის უცხოეთში პროპაგანდა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების არანაკლებ ეფექტური საშუალებაა. როგორც ჩანს, ეს ქვეყნის კულტურული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებადაც არის განსაზღვრული, იმდენად, რამდენადაც 2016 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ საქართველოს „კულტურის სტრატეგია 2025"-ში ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ მსოფლიოში ქართული კულტურის პოპულარიზაციაა გაწერილი (კულტურის სტრატეგია 2025, 2016:30-31).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის განხორციელებული აქტივობებისა, ქართული ფოლკ-ფიუჯენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა ფორმებითაც არის ჩართული. მათ შორისაა,

პოლიტიკური დემონსტრაციები და საპროტესტო გამოსვლები, რაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიდან დღემდე საქართველოში საკმაოდ ხშირი მოვლენაა. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ტალღა გარკვეულ ეტაპზე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების ტალღამ ჩაანაცვლა. პროტესტის საჯაროდ გამოხატვის ეს ფორმა ბოლო წლების განმავლობაში, მით უფრო, მოპოვებული „სიტყვის თავისუფლების“ პირობებში, კიდევ უფრო ატუალური გახდა, ისე, რომ თანამედროვე ქართველისთვის პოლიტიკური დემონსტრაციები თითქოს ბუნებრივ სოციო-პოლიტიკურ აქტივობადაც კი იქცა. ის, თუ რა ტიპის მუსიკა ჟღერს მსგავსი საპროტესტო გამოსვლებისას, მთლიანად განპირობებულია იმით, თუ რა არის პროტესტის მიზეზი, საზოგადოების რომელი სოციალური ჯგუფია პროტესტის გამომხატველი და ვინაა პროტესტის ობიექტი. სწორედ ამის მიხედვით სხვაობს აქციებზე მუდერ სხვა მუსიკალურ სტილებთან ქართული ფოლკ-ფიუჟების ხვედრითი წილი.

ამ თვალსაზრისით, საკმაოდ განსხვავებული მდგომარეობა იყო XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის პოლიტიკურ დემონსტრაციებზე. ინტერნეტსივრცეში არსებული ვიდეომასალის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 1989 და 1991 წლების 9 აპრილის აქციებზე, ძირითადად, ქართული ფოლკლორული („მრავალუამიერი“, „შავლებო“ „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, ცეკვა ქართულის, მთიულურის, კინტაურისა და ხორუმის ჰანგები) ან პატრიოტული პათოსის მქონე საავტორო ნიმუშები (მათ შორის, უსინათლო მომღერლის, ლელა ვეფხვაძის მირ ფანდურის თანხლებით შესრულებული სიმღერა – „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“) ჟღერდა. ამდენად, პატრიოტული ემოციის გამომწვევი მეღოდიები აქტიური, მასტიმულირებელი რიტმის მქონე ნიმუშებთან თანაარსებობდა.

ამ მხრივ, რადიკალურად განსხვავებული სიტუაცია იყო 2003 წლის ვარდების რევოლუციის აქციებზე, სადაც სვანური სიმღერა „შინა ვორგილი“, ელექტრო გიტარებისა და დასარტყამი საკრავების თანხლებით იყო აუდირებული (■ მაგალითი №26). თანამედროვე რიტმებითა და ტემბრებით გაჯერებული დათო ხუჯაძის მიერ შესრულებული სიმღერა „ზოგი ისეთი ქალია“ (რომელიც ახალი ფორმაციის სიმღერაა და პოპ-ფოლკის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს) ასევე, ფოლკლორული სიმღერის არანუირებასა და ფოლკ-ფიუჟებ კომპოზიციას შორის ერთგვარ ზღვარზე იყო. თუმცა ორივე კომპოზიციის შემთხვევაში, ნაცნობი ფოლკლორული

ინტონაციები ფესვებსა და ეროვნულ ღირებულებებთან კავშირს უსვამდა ხაზს, ამავდროულად კი, პოპულარული მუსიკის ელემენტების ინკორპორაცია თითქოს ტრადიციების დაცვის კვალდაკვალ ქვეყნის თანამედროვე, XXI საუკუნის მსოფლიო ტენდენციებთან შესაბამისობაში განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებდა. ამასთან ერთად, აქტიურ რიტმებს ერთგვარი გამაერთიანებელი, ინდივიდების ერთ ჯგუფად გარდამქმნელი ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. ცხადია, რომ პოლიტიკური დემონსტრაციებისას გამოყენებული ფოლკლორული ნიმუშები კონკრეტულ მიზანს ემსახურება და ამ პროცესში მათი შინაარსობრივი დატვირთვა ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტულია, მხატვრული ღირებულების თუ საშემსრულებლო ოსტატობის ფაქტორები კი სრულიად უმნიშვნელო ხდება.

ამდენად, საპროტესტო დემონსტრაციებზე მედერი მუსიკა, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო ელემენტი, შესაძლოა მთავარი იდეოლოგიური გზავნილების გადამტანი იყოს – აქციის ორგანიზატორებისგან საპროტესტოდ შეგრებილი ადამიანების ცნობიერისა თუ ქვეცნობიერისკენ. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ემოციური მიმართება მუსიკასთან არაა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ უფრო თანმიმდევრულია და ის ასოციაცია, რასაც ესა თუ ის მუსიკა იწვევს ადამიანებში, უფრო გლობალურია, ვიდრე წარმოგვიდგენია, ყოველ შემთხვევაში, ერთი და იმავე კულტურული ჯგუფის წარმომადგენლებში“ (Koelsch, 2012: 214).

ქართული ფოლკ-ფიუჯენის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის კიდევ ერთი ფორმა მისი ამა თუ იმ ოფიციალურ შეხვედრებზე აჟდერებაა, სადაც ამ მუსიკალურ მიმართულებას ხშირად დიპლომატიური ეტიკეტის უბრალო ატრიბუტის გარდა, საქართველოს, როგორც მაღალმხატვრული კულტურის მქონე ქვეყნის ერთგვარი პრეზენტაციის და ამით უცხოელ კოლეგებზე შთაბეჭდილების მოხდენის ფუნქციაც აკისრია. თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა ფოლკ-ფიუჯენ კომპოზიცია საერთაშორისო დიპლომატიურ ელიტასთან მთავარი და პრიორიტეტული პოლიტიკური გზავნილის გადმომცემი გამხდარა. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 2014 წლის 5 ნოემბერს ჯგუფ „ირიაოს“ მიერ სტრასბურგში შესრულებული „ევროპის პიმნის“ საკუთარი, ფოლკ-ფიუჯენ ვერსია. ამ ფაქტს მშვენივრად აღწერს უურნალისტი ესმა მანია, რომელიც თავად ესწრებოდა აღნიშნულ შესრულებას: „რაღაც სხვაგვარად მოხდა იმ დღეს... დემოკრატიის მსოფლიო ფორუმი ქართულმა ეთნო-ჯაზ ჯგუფმა „ირიაომ“ დახურა. ამ მუსიკის

უნიკალობა იმ დღეს იმ დარბაზში ორ რამეში გამოიხატა: ვინც შეიგრძნო, გასიგრძებანებით შეიგრძნო და ქვეცნობიერად საკუთარ ფოლკლორში, საკუთარ წარსულში გადაინაცვლა, რაღაც ბუნებრივი, პირველყოფილი, „კულტურამდელი“ იყო მათ ქცევაში და მეორე - ბევრმა ვერ შეიგრძნო და სწორედ ამაში გამოიხატა ქართული ეთნოჯაზის უნიკალობა. დემოკრატია, ისევე როგორც კარგი მუსიკა, სულაც არ უნდა ჰგავდეს მასობრივ, ნიველირებულ კულტურას“ (მანია, 2014). ამდენად, ქართველებმა საკუთარ მუსიკალურ ენაზე ნათარგმნ-მორგებული „ევროპის ჰიმნით“ სტრასბურგში შეკრებილი ევროპული ოჯახის წევრობა მეტაფორულად დაადასტურეს. ქართულისა და ევროპულის მსგავსად, ტრადიციული და მსოფლიო პოპულარული მუსიკის სინთეზი, შესაძლოა, ასევე, მეტაფორულ დატვირთვას ატარებდეს - ძველი და ორიგინალური მუსიკალური კულტურის მქონე, თუმცა მსოფლიო ტენდენციებში ჩართული თანამედროვე ქვეყნის პოზიციის სადემონსტრაციოდ.

თუმცა კულტურის ტრანსფორმაცია ნაკლებ ეპატაჟური მოვლენაა, ის ბუნებრივად, თავისთავად ხორციელდება, რათა კულტურა თანამედროვეობის ენაზე ამეტყველდეს. მით უფრო, ფოლკლორული მუსიკა, რომელიც მუდამ საზოგადოების აწმყოსეული შთაბეჭდილებებისა თუ მოთხოვნილებების მუსიკალური გამოხატვის ფორმას წარმოადგენდა. საუკუნეების განმავლობაში ქართული ხალხური მუსიკაც ამ როლის მატარებელი იყო, თუმცა სათქმელის მრავალხმად გამოხატვის ჩვევით. დღეს კი ფოლკ-ფიუჟენის ფარგლებში „თანამედროვეობის ენაზე ამეტყველებული“ ფოლკლორული მუსიკა პირველადი ფორმის გვერდით, მსგავსი ალტერნატიული სახითაც განაგრძობს არსებობას და მთავარი სათქმელის გადმოცემას. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფოლკ-ფიუჟენ მუსიკა, ტრადიციულისა და თანამედროვეს თავისებური სინთეზით, დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარდგენის თვალსაზრისით.

იმის გათვალისწინებით, რომ ფოლკ-ფიუჟენ მუსიკას შესწევს უნარი საქართველოს, როგორც ტრადიციებზე დაფუძნებული თანამედროვე დირექტულებების მატარებელი ქვეყნის პრეზენტაცია მოახდინოს, მართებულად მიგვაჩნია ფიქრი ამ მუსიკალური მიმართულების პოტენციალზე, გახდეს რა ქვეყნისა და ქართული კულტურის ერთგვარი აღმნიშვნელი, მარკერი.

როგორც მერიამ-ვებსტერის ლექსიკონი გვამცნობს, ცნება მარკერი პირველად მე-15 საუკუნეში გამოიყენეს, თუმცა რა მნიშვნელობით, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. დღეს ამ სიტყვას მრავალი მნიშვნელობა აქვს, ჩვენთვის კი განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შემდეგი განმარტება: „მარკერი არის რაღაც, რაც ემსახურება ბიომარკერის (ანუ ბიოლოგიური ინდიკატორის) და გენეტიკური მარკერის (ანუ გენეტიკური ნიშნის, დნმ-ის და ა.შ.) იდენტიფიკაციას ან დახასიათებას” (Merriam-Webster dictionary).

თანამედროვე პუმანიტარულ მეცნიერებებში ძალზე გავრცელებულია კულტურული მარკერის ცნება. სემიოტიკა კულტურულ მარკერს განიხილავს, როგორც ნიშნებს, სიმბოლოებს, რომლის დახმარებითაც ადამიანები საკუთარ თავს აღნიშნავენ გარკვეული კულტურის წარმომადგენლებად. ასეთებს განეკუთვნება, პირველ რიგში ენა, მათ შორისაა, ასევე მუსიკა, რელიგია, კულტურისთვის ნორმად მიღებული დირებულებები და ა.შ.

კულტურული მარკერის ცნების მომიჯნავედ, XIX საუკუნეში შემუშავებული სემიოტიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ამერიკელი მეცნიერის, ჩარლზ სანდერს პირსის ნიშნების სემიოტიკური თეორია XX საუკუნეში ფართოდ აიტაცეს სხვადასხვა პუმანიტარულ დარგებში მოღვაწე მეცნიერებმა, მათ შორის, ეთნომუშაიკოლოგებმაც. თეორიის მუსიკალური კულტურების კონტექსტში გადამუშავების საინტერესო ცდაა წარმოდგენილი ტომას ტურინოს ნაშრომებში. პირსის მიხედვით, ნიშანი ეს არის „რაღაც, რაც ემსახურება გარკვეული ობიექტის, საგნის, მოვლენის ვიღაცისათვის ისეთნაირად მიწოდებას, რომ ეს მიმღებზე გარკვეულ ეფექტს ახდენს” (Turino, 2012). პირსის აზრით, ყოველი სემიოტიკური შემთხვევა, გარემოება შემდეგ სამ დონეს მოიცავს: (1) ნიშანი, (2) ობიექტი, ანუ ის, რის სამსახურშიცაა ეს ნიშანი, (3) ნიშან-ობიექტს შორის ურთიერთკავშირით გამოწვეული ეფექტი, ანუ ინტერპრეტატორი (interpretant). ყველა სემიოტიკური დონე დამოკიდებულია ინდივიდუალურ ისტორიებზე, ანუ მიმღების ე.წ. შინაგან კონტექსტზე. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს რაიმეს ნიშნად აღიარებას; იმას, თუ რა იქნება ობიექტი, რომლის სამსახურშიცაა ეს ნიშანი; და ეფექტი – მდგომარეობა, რაშიც ნიშანი და ობიექტი ერთმანეთს დაუკავშირდებიან (Turino, 2012). ამდენად, თუ ჩვენ სემიოტიკურ თეორიას მოვიხმობთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

ქართული ფოლკ-ფიუჯენ მუსიკა არის ნიშანი, რომელიც ემსახურება ობიექტის, ანუ საქართველოს, როგორც ტრადიციებზე დაფუძნებული თანამედროვე ქვეყნის წარდგენას, ხოლო მათი დაკავშირებით გამოწვეული მთავარი ეფექტის მომხდენი თავად ეს მეტაფორა და ინტერპრეტაციაა. მიმღები კი სწორედ ის აუდიტორია, რომლის მზაობაზე, „შინაგან კონტექსტზეა” დამოკიდებული მთელი ამ სემიოტიკური დონეების მიმღებლობისა და ამ მეტაფორის ეფექტურობის ხარისხი.

საინტერესოა, შეძლებს თუ არა ფოლკ-ფიუჯენი გახდეს ერთ-ერთი იმ მარკერსა თუ ნიშანს შორის, რომელიც არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ უცხოელებისთვისაც ქართული კულტურისა და ზოგადად, საქართველოს მაიდენტიფიცირებელია – მსგავსად ქართული დვინის, ანბანის, ვოკალური პოლიფონიისა და სხვ. მიგვაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანწილად, სახელმწიფო ნებაზეა დამოკიდებული და იმაზე, თუ რამდენად მოხვდება ფოლკ-ფიუჯენი საქართველოს კულტურული პოლიტიკის პრიორიტეტების სიაში. ამ ეტაპზე კი საქართველოსა და ქართული კულტურის პრეზენტაციისას ფოლკ-ფიუჯენს მიმართავენ არა მხოლოდ ოფიციალურ პოლიტიკურ შეხვედრებსა და დიპლომატიურ ვიზიტებზე, არამედ თუნდაც თანამედროვეობისთვის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო კონკურს „ევროვიზიაზე“. მასზე საქართველო არაერთხელ წარმდგარა ქართული ფოლკლორული ელემეტებით გაჯერებული მუსიკალური კომპოზიციებით (როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2018 წელს ფოლკ-ფიუჯენ ჯგუფი „ირიაოც“ იყო წარგზავნილი). ყოველივე ეს კი ახლო მომავალში ქართული ფოლკ-ფიუჯენის კიდევ ერთ კულტურულ მარკერად ქცევის რეალურ შესაძლებლობაზე მიუთითებს.

ერთი რამ კი ცხადია, ფოლკ-ფიუჯენს უკვე აკისრია განსაზღვრული ფუნქცია ქართული საზოგადოების ცხოვრებაში, რასაც, მნიშვნელოვანწილად, მასში ჩაქსოვილი ფოლკლორული ელემენტები განაპირობებს. „ფოლკლორული მუსიკალური სტილები სიმბოლურად განსახიერებს კაცობრიობის საბაზისო ღირებულებით სისტემებს, რომელიც ფუნქციონირებს შეუცნობელ დონეზე და ნელა ვითარდება, რადგან ის საბაზისო სოციალური მოდელები, რომლებიც მას ქმნიან, ასევე ძალიან ნელა ვითარდებიან და განიცდიან ევოლუციას. შედეგად, მისი სოციალური ფუნქციის გადმოსახედიდან, ფოლკლორული მუსიკის პირველადი ეფექტი მსმენელში დაცულობის შეგრძნების გამოწვევაა. და ფოლკლორულ სამყაროში ნაწარმოებები შემოფარგლულია ამ სტილური, დაცულობის მომტანი სტრუქტურით, გარსით“ (Lomax

1959: 929-930). თანამედროვე დასავლურ პოპულარული მუსიკაში ფოლკლორული მუსიკის ელემენტების ინტეგრირების აქტში დაცულობის ორმხრივ მიმართებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. ერთი მხრივ, ამით გლობალიზებულ გარემოში მცხოვრებ ქართველს საკუთარი იდენტობის ერთგვარი რეალიზების გზა ეძღვა – თანამედროვეობის კონტექსტში წარსულთან კულტურული კავშირის შენარჩუნებით. მეორე მხრივ კი, თავად ფოლკლორი იწვევს მასში დაცულობის შეგრძნებას, რაც ასე ძვირფასია ქაოტური მოვლენებით დატვირთულ დღევანდელობაში.

ამდენად, ამ თავში განხილული საკითხებიდან გამოიკვეთა, რომ ფოლკ-ფიუჟენი საკმაოდ აქტიურადაა ჩართული თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც მას კონკრეტული ფუნქცია აკისრია. ეს ფუნქცია სხვადასხვა კონტექსტში წარმოდგენილი ფოლკ-ფიუჟენ ნიმუშების ადამიანებზე ზემოქმედების კოეფიციენტით შეიძლება განვსაზღვროთ. იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რა რეფლექსიას იწვევს ფოლკ-ფიუჟენის გამოყენების ესა თუ ის ფორმა სოციუმში, საჭიროა იმ ინდიკატორების გამოვლენა, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართველი ადამიანის ამა თუ იმ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. ამგვარად, შეგვიძლია გამოვყოთ ფოლკ-ფიუჟენის ქართულ სოციუმზე ზემოქმედებისას ადამიანების სხვადასხვა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შემდეგი ინდიკატორები:

- ესთეტიკური ინდიკატორი – როგორც კვლევიდან დავინახეთ, ამ ინდიკატორმა შეიძლება თავი იჩინოს ფოლკ-ფიუჟენის გამოყენების ნებისმიერ ფორმაში, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მხატვრულ დონეზეა განხორციელებული ქართული ფოლკლორისა და დასავლური პოპულარული მუსიკის სითეზი. თუმცა, როგორც ბრეგოვიჩის პროექტისა და მისი უცხოელი მსმენელის შემთხვევაში აღმოჩნდა, შესაძლოა, ქართულ ფოლკლორში ჩადებული მაღალი ესთეტიკური ღირებულება მნიშვნელოვნად განსაზღვრავდეს საბოლოო მუსიკალური პროდუქტის მოსმენისას დაუფლებულ მშვენიერების განცდას, მიუხედავად იმისა, თუ როგორაა განხორციელებული მისი ახალ მუსიკალურ ქსოვილში ინკორპორაცია.

- მარადიული არქეტიპების ინდიკატორი – ეს უკანასკნელი, გარკვეულწილად, იდენტიფიკაციის ინდიკატორთანაც არის დაკავშირებული, თუმცა ზემოქმედებს ადამიანის არა მხოლოდ ცნობიერზე, არამედ მისი ფსიქიკის დაფარულ შრეებზეც. ის

ფოლკ-ფიუჟენის როგორც ესთეტიკური, ისე სოციალური ფუნქციით გამოყენების ამათუ იმ ფორმაში ფიგურირებს

- იდენტიფიკაციის ინდიკატორი – აერთიანებს ფოლკ-ფიუჟენის გამოყენების იმ ფორმებს, რომლებშიც მუსიკალური ნიმუში იწვევს ქართული კულტურისადმი მიკუთვნებულობის ან ეროვნული იდენტობის გრძნობას, როგორც ესთეტიკურ, ისე უტილიტარულ-გამოყენებით ფორმებში.
- ეგზოტიკურობის ინდიკატორი – აერთიანებს იმ ფორმებს, რომლებიც მიმართულია უცხოელი მომხმარებლებისადმი (ტურისტები, ხელოვანები, მსმენელები) და ორიგინალურად, სპეციფიკურად მუდერი მასალისადმი მათ ინტერესს აღვივებს.
- მომხმარებლური დამოკიდებულების ინდიკატორი – გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე საზოგადოებას „მომხმარებლურს“ უწოდებენ, ეს ინდიკატორი, ფოლკ-ფიუჟენის გამოყენების, მეტ-ნაკლებად, ყველა უტილიტარული ფორმისთვისაა დამახასიათებელი.

ამგვარად, ქართულ საზოგადოებაში ფოლკ-ფიუჟენის ფუნქციონირებისას გამოვლენილი სოციო-ესთეტიკური ფუნქციების, ამ პროცესში მონაწილე ადამიანების ამათუ იმ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ინდიკატორების დადგენის შემდეგ, საინტერესოა, თუ როგორია ამ მუსიკის შესახებ ქართული საზოგადოების აზრი და რამდენადაა გაცნობიერებული მისადმი დამოკიდებულება. ამასთან, არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდების (რაც აისახა ჩვენ მიერ წარმოებულ ინტერგიუმებსა თუ პირად საუბრებში), არამედ, ზოგადად, ქართული საზოგადოებისა. რასაკვირველია, ყველა საზოგადოება და, მათ შორის, ქართული სოციუმიც განსხვავებული ინტერესებისა და სოციალური ღირებულებების ადამიანთა ჯგუფებისაგან შედგება, მაგრამ იმის გამო, რომ ნაშრომში განხილული სოციო-მუსიკალური მოვლენები მიმართულია არა იმდენად კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებზე, არამედ ადამიანების ერთობლიობაზე, ამ ეტაპზე მიზნად არ ვისახავთ საზოგადოების ასეთ დიფერენცირებას. ამდენად, ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩატარებულ მცირე სოციოლოგიურ კვლევაში, შევეცადეთ, სოციალურ ფენებად დაყოფის გარეშე წარმოგვედგინა ქართული საზოგადოება, რათა გარკვეულწილად, განგვესაზღვრა მათი ფოლკ-ფიუჟენის მიმართულებისადმი დამოკიდებულება.

ამისათვის, 2017 წლის დეკემბერში მოვამზადეთ მოკლე ინტერნეტ-კითხვარი (ქართულენოვანი), რათა მიღებული ინფორმაციიდან გამოგვერკვია, თუ რომელ მუსიკალურ ჟანრებს უსმენენ თანამედროვე ქართველები, რამდენად იცნობენ ფოლკ-ფიუჯენის მიმართულების ჯგუფებსა თუ პროექტებს და მოსწონთ თუ არა ისინი (ილუსტრაცია №1). კითხვარი 487-მა ადამიანმა შეავსო, სულ მცირე სამი სხვადასხვა ასაკობრივი თაობიდან (ასაკი: 13-დან 72 წლის ჩათვლით). ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეები, როგორც საქართველოს ამა თუ იმ ქალაქსა და რაიონში (თბილისი, გორი და გორის რაიონი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, მცხეთა, ბოლნისი, სამტრედია, ხაჭური, საგარეჯო, ოზურგეთი, ქედა, წყნეთი, ხარაგაული), ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (გერმანია, ესტონეთი, აშშ, დანია, უკრაინა, ნიდერლანდები, ფინეთი, რუმინეთი, თურქეთი) მცხოვრები საკმაოდ განსხვავებული პროფესიების მქონე ადამიანები არიან. გამოკითხულთა 70% აღნიშნავს, რომ მუსიკის ხშირი მსმენელია, მათგან 25% კი თავადაც ასრულებს ამა თუ იმ სტილის მუსიკას. საკმაოდ მოულოდნელი მონაცემი გამოვლინდა კითხვაზე, თუ რა ჟანრის მუსიკას უსმენენ გამოკითხულები. ეს პარამეტრიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის დიდ ინფორმაციას იძლევა თანამედროვე ქართული საზოგადოების მუსიკალური ინტერესების შესახებ. გამოკითხულთა უმრავლესობაში (72%) აღნიშნა, რომ კლასიკური მუსიკის მსმენელია, იმ პირობებში, როდესაც საქართველოში გამართული კლასიკური მუსიკის კონცერტებზე (რომელზე დასასწრები ბილეთებიც ხშირად გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე თბილისის რომელიმე კლუბში ადგილობრივი ელექტრონული მუსიკის მოსახმენად შესვლა) მსმენელთა ნაკლებობის პრობლემა მაინც არსებობს. თუმცა ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი – ინტერვიუერებს უფლება ჰქონდათ ამ კითხვის პასუხად ერთზე მეტი გრაფა შემოეხაზათ, რამაც საინტერესო შედეგამდე მიგვიყვანა. აღმოჩნდა, რომ დასავლური პოპულარული მუსიკის მსმენელი ამა თუ იმ ცალკეული მიმდინარეობის მიხედვით დიფერენცირდება და მათ გამაერთიანებელ მუსიკალურ კატეგორიად სწორედ კლასიკური მუსიკაა წარმოდგენილი. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მეორე და მესამე ადგილები ჯაზსა (53%) და ფოლკლორს (48%) შორისაა გადანაწილებული. პოპულარული მუსიკის ესა თუ ის მიმდინარეობა (როკი, ელექტრონული მუსიკა, პოპი და ა.შ.) კი თავისი მაჩვენებლით საკმაოდ ჩამოუვარდება მათ. გამოკითხვის ანონიმურობიდან გამომდინარე, მიღებული შედეგების რეალურობაში ეჭვს ვერ

შევიტანთ. შესაბამისად, შემდეგ ლოგიკურ დასკვნამდე მივდივართ – მიუხედავად მუსიკის მსმენელთა გემოვნების გამარტივების მსოფლიო ტენდენციისა, როგორც ჩანს, ქართველებში მაღალი ესთეტიკური ღირებულების მქონე მუსიკას ჯერჯერობით აქტუალობა არ დაუკარგავს.

უმუალოდ, ქართულ ფოლკ-ფოუჟენთან დაკავშირებით დასმული კითხვებიდან გაირკვა, რომ ქართველების უმრავლესობა კარგად იცნობს ისეთ ჯგუფებსა და პროექტებს, როგორიცაა „33ა“ (92%), „შინ“ (88%), რომლებიც უკვე მრავალი წელია წარმატებულ მუსიკალურ საქმიანობას ეწევიან. მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობის განმავლობაში ჯგუფი „შინ“ ქართველი აუდიტორიის წინაშე სულ რამდენიმე კონცერტით წარსდგა, მათ მიერ მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკოსთან ერთად განხორციელებული პროექტები მუდმივად იყო ქართველი მსმენელის უურადღების არეალში. რაც შეეხება ჯგუფს „33ა“ და მის სოლისტ ნიაზ დიასამიძეს, ჩატარებული გამოკითხვითაც დადასტურდა, რომ მან ფოლკლორული მუსიკის ელემენტების, ნაცნობი პოეზიისა და თუნდაც, თანამედროვე ქართველის მენტალობის საკუთარ მუსიკაში ასახვის უნარით მეტად დემოკრატიული და შესაბამისად, დღემდე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მუსიკალური პროექტი შექმნა. 2017 წლის მონაცემებით, ქართული საზოგადოებისთვის ყველაზე ნაკლებად ცნობილი ფოლკ-ფოუჟენ ჯგუფები „დეციში“ (5.5%) და „სტუმარი“ (4.7%) აღმოჩნდნენ. საინტერესოა, რომ ორივე ჯგუფი ფოლკ-ფოუჟენის ერთი და იმავე ქვემიმართულების – პროგრესივული ფოლკის წარმომადგენლები არიან, ეს უკანასკნელი კი ქართული ფოლკლორული მუსიკის ელემენტების მრავალ სხვადასხვა მუსიკალურ-სტილურ ერთეულთან სინთეზს მოიცავს. როგორც ჩანს, ერთი შეხედვით, სადა და ნაკლებად ეფექტური მათი მუსიკა სწორედ ამ შეფარული სიმბოლოების სიჭარბის გამო არც ისე ადვილად აღსაქმელია ქართველი პუბლიკისათვის, რასაც „სტუმარის“ წევრები თავადაც აღნიშნავენ.

გამოკითხვის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ მუსიკალური ჯგუფის ცნობადობის ხარისხი მათი მოწონება-არმოწონების ინდიკატორად შეიძლება იქცეს. იმდენად, რომ კითხვარში დასახელებული 9 ფოლკ-ფოუჟენ ჯგუფიდან/პროექტიდან („ირიაო“, „შინ“, „ეგარი“, „გიორგი მიქაელ&ბასიანი“, „33ა“, „ზუმბალენდი“, „კახაბერი და ხანუმები“, „სტუმარი“, „დეციში“) მხოლოდ ორმა დაიმსახურა მათ ცნობადობასთან შედარებით საკმაოდ მცირერიცხვან ადამიანთა

სიმპათია. ესენია „ზუმბალენდი“ და „კახაბერი და ხანუმები“. როგორც ჩანს, ქართული მუსიკალური ჯგუფების გარკვეული ნაწილი პროდიუსერული თვალსაზრისით კარგად შეფუთული და ეფექტური პიარკამპანიისა თუ ქარიზმატული მუსიკალური ლიდერების წყალობით ქართულ საზოგადოებაში ცნობილი ხდება, მაგრამ მათი მუსიკის ქომაგთა რაოდენობის ზრდას ეს არ უზრუნველყოფს.

ქართული ფოლკფოუჟენის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარდება სოციო-კულტურული ფუნქციების გამოვლენამ ცხადყო, რომ ეს მუსიკალური მიმართულება უკვე საკმაოდ აქტუალურია და სათანადო ხელშეწყობის პირობებში, სამომავლო განვითარების დიდი პერსპექტივაც გააჩნია. თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, თანამედროვე ქართველების მუსიკალურ გემოვნებასა და გამოცდილებას, მეორე მხრივ კი, ჯერაც აქტიურად გამოყენებულ კულტურული მეხსიერების ცხად თუ დაფარულ შრეებს, შეგვიძლია შემდეგი დასკვნაც გამოვიტანოთ – ფოლკფოუჟენ მუსიკა, წარმოადგენს რა მუსიკალურ მედიუმს დღევანდელი ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ტრადიციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის დუალიზმში, თანამედროვე ქართული იდენტობის საუკეთესო გამოხატულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მე-19 საუკუნის ქართველი მწერლის, ვაჟა-ფშაველას მსგავსად, ერთმანეთს არ დავუპირისპირებდით ტრადიციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს, რადგან „ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია“ (ვაჟა-ფშაველა, 1905).

დასკვნა

სადისერტაციო კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

1. საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შედეგად, რომ ტრადიციულ მუსიკაში ცვლილებების ამა თუ იმ ასპექტით კვლევა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რაც დასავლური მეცნიერებებისგან განსხვავებით, ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ახლა იკიდებს ფეხს. თუმცა აღმოჩნდა, რომ ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ პრაქტიკაში რადიკალური ცვლილებები, რომლებიც ფოლკლორის იმანენტურ ბუნებას გარდაქმნიდა და ჩვენ განახლების პროცესის დასაწყისად მივიჩნევთ, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო.
2. დასავლური ეთნომუსიკოლოგიური თეორიების თანახმად, თანამედროვე მეცნიერები ხალხურ მუსიკაში მომხდარ ცვლილებებს ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესად მოიაზრებენ, რასაც ინგლისურენოვან ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინით – 'music revival', "revitalization", "reshaping" – მოიხსენიებენ. შინაარსობრივი ნიუანსების ანალიზის საფუძველზე ამ ტერმინებიდან ყველაზე შესაფერისად "Music revival" მივიჩნიეთ, რომლის ქართული შესატყვისებიდან სამუშაო ტერმინად სიტყვა „განახლება“ შევარჩიეთ, რაც უკვე არსებულის ახალ ინტერპრეტაციას გულისხმობს. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვეობასთან ადაპტაციის დროს ფოლკლორული ტრადიციის თანმდევი ცვლილება სწორედ ფოლკლორის განახლებაში, ახალი სახეობრიობით წარმოდგენაში გამოიხატება, ჩვენ მთელ ამ პროცესს განვიხილავთ, როგორც განახლების პროცესს.
3. საკითხის ისტორიული პერსპექტივით კვლევის შედეგად განისაზღვრა ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების ფაზები და ფორმები. ამავე დროს, გამოიკვეთა განახლების ფორმების განმაპირობებელი სოციო-კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები. ამდენად, გამოვლინდა სამი ფორმა, რომლებიც განახლების ქოლგა ტერმინის ქვეშ გავაერთიანეთ: სასცენო ფოლკლორი, პოპ-ფოლკი და ფოლკ-ფიუნენი. რაც შეეხება ფაზებს, დადგინდა, რომ მათი საზღვრები, ძირითადად, ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ეტაპებს ემთხვევა (მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, საქართველოს გასაბჭოება, 1980-იანი წლების

ეროვნულ-განმანთავისუფლოებელი მოძრაობა, გლობალური ტენდენციების
გაძლიერება 2000-იანი წლებიდან).

4. ვინაიდან ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესში აუთენტიკურობის ფენომენის ანალიზს საბაზისო მნიშვნელობა აქვს, კვლევაში გამოვავლინეთ ამ ტერმინის ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმა თანამედროვე დასავლურ და აღმოსავლეთევროპულ, მათ შორის, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში. დასავლური ინტერპრეტაციისაგან განსხვავებით, სადაც ტერმინი ხშირად იხმარება გულწრფელის, ნადდის მნიშვნელობით, აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოში მას მიმართავენ მხოლოდ ძველის, პირველადის მნიშვნელობებით. ამასთან, ქართულ სინამდვილეში, ბოლო დროს შეინიშნება ამ ტერმინის ნადდისა და გულწრფელის მნიშვნელობით ხმარების ტენდენცია, თუმცა არა ფოლკლორის სფეროში.

5. კვლევაში, გარდა „განახლებისა“, შევიმუშავეთ ახალი ტერმინები: „პოპ-ფოლკი“, რომლითაც აღვნიშნავთ ფოლკლორულ ყაიდაზე შექმნილ თანამედროვე ნიმუშებს, ე.წ. „ფსევდო-ფოლკლორს“; „ფოლკ-ფიუჯენი“, რომელსაც განვიხილავთ, როგორც ფოლკლორული მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის მიმდინარეობების (ჯაზი, როკი, პოპი, ელექტრონიკა და ა.შ.) სინთეზური ფორმების აღმნიშვნელ მეორე რიგის ქოლგა ტერმინს.

6. „პოპ-ფოლკის“ მუსიკალური სტილის ამ ტერმინით სახელდებისათვის შემდეგი მთავარი არგუმენტი გამოიკვეთა: ფოლკლორული მუსიკის ახლებურად გააზრებული ზოგიერთი ელემენტის გვერდით, ამ მუსიკისთვის, ასევე, დამახასიათებელია პოპ-მუსიკისათვის ჩვეული დემოკრატიულობა, ფართო გავრცელება და სტანდარტიზებული ტექსტი. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ტერმინი „პოპ-ფოლკი“ (პოპულარული ფოლკლორი) საუკეთესოდ ასახავს აღნიშნულ თავისებურებებს.

7. როგორც აღმოჩნდა, ჩვენ მიერ შემოტანილი ტერმინი „ფოლკ-ფიუჯენი“ მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში იშვიათად გამოიყენება. თუმცა ის ქართულ მუსიკალურ რეალობაზე ზუსტადაა მორგებული და ზედმიწევნით ასახავს მასში ჩადებულ შინაარსს – ქართული ფოლკლორული მუსიკისა და პოპულარული მუსიკის სინთეზს, რადგან სიტყვა „ფიუჯენი“ (შერწყმა) ერთი ობიექტის/ერთეულის მისაღებად ორი ან მეტი საგნის შეკავშირების პროცესს აღნიშნავს, წინსართი „ფოლკ“ კი ამ

მუსიკალური სინთეზის უცვლელ კომპონენტები – ფოლკლორულ მუსიკაზე მიუთითებს.

8. ტერმინოლოგიაზე მუშაობის პროცესში ფოლკ-ფიუჯენის ერთ-ერთ სინონიმურ ტერმინად „ეთნიკური მუსიკა”, იგივე „ეთნო-მუსიკა” გამოვლინდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეთნო-მუსიკის სახელწოდება, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ფოლკლორული ელემენტების შემცველი სინთეზური მუსიკალური ერთეულების დეფინირებისთვის, არამედ თავად ფოლკლორული მუსიკის სინონიმურ სახელწოდებადაც. შესაბამისად, ტერმინის არაერთმნიშვნელოვნების გამო მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ სადისერტაციო კვლევაში განხილული ქართული ხალხური მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის ელემენტების სინთეზით შექმნილი მუსიკალური ერთეულის ტერმინ ეთნო-მუსიკით დეფინირება.

9. გამოვლინდა, რომ ფოლკ-ფიუჯენის მუსიკალურ მიმართულებას ბევრი საერთო აქვს „მსოფლიო მუსიკის” (world music) უანრთან. თუმცა, მათ შორის შემდეგი პრინციპული განსხვავებები გამოვლინდა – 1. „მსოფლიო მუსიკა” ჩანასახიდანვე ინდუსტრიალიზებულ-კომერციალიზებული პროდუქტია, რასაც ვერ ვიტყვით სხვა მრავალი მოტივით შექმნილ და ფუნქციონირებად ფოლკ-ფიუჯენზე; 2. „მსოფლიო მუსიკა” არის „მუსიკა, რომელიც ვიდაც სხვას ეკუთვნის”, ხოლო, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ფოლკ-ფიუჯენის შემსრულებლებიდან მინიმუმ ერთი მუსიკოსი მაინცაა იმ ტრადიციული მუსიკალური კულტურის წარმომადგენელი, რომლის მუსიკალური ელემენტებითაც იქმნება პოპულარულ მუსიკასთან ფიუჯენი.

10. კვლევის შედეგად გამოვლინდა ქართული ფოლკლორის განახლების ოთხი ფაზა:

ა) სასცენო ფოლკლორის გაჩენა, რომელსაც 1885 წლიდან (ადნიაშვილის გუნდის პირველი კონცერტიდან) თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე თან ახლდა ზედა ხმების გაორმაგება, დირიჟორის ინსტიტუტი, ხალხური სიმღერის შესრულებაში ევროპული, ე.წ. აკადემიური სიმღერის ნიშნები, რაც 1980-იანი წლებიდან თითქმის გაქრა პრაქტიკიდან;

ბ) ფოლკლორის ე.წ. საბჭოთა სტილის ჩამოყალიბება, ხალხურ საკრავთა ორკესტრებისა და იდეოლოგიზებული საავტორო ნიმუშების შექმნა, ახალ მუსიკალურ ტენდენციასთან ერთად – ქართული ტრადიციული მუსიკის

- ელემენტების საესტრადო ხელოვნებაში (იგივე, საბჭოთა პოპულარულ მუსიკაში) შეტანასთან, რაც ფოლკ-ფიუჟების გაჩენის წინაპირობა გახდა;
- გ) ქართული სასცენო ფოლკლორის ყოფასთან დაახლოების ტენდენცია 1980-იანი წლებიდან – გლეხურ საშემსრულებლო მანერასა და ფოლკლორის სინკრეტულ ბუნებაზე ორიენტირებული გუნდების გაჩენა. პარალელურად, XX საუკუნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიდან დაწყებული პროცესი, რომლის ფარგლებში ფოლკლორისა და თანამედროვე მუსიკის სინთეზის შედეგად პირველი ფოლკ-ფიუჟენ ჯგუფები შეიქმნა. ამავე პერიოდში ე.წ. საბჭოთა ეპოქის საავტორო სიმღერები თვისობრივად გარდაიქმნა და ახალი იდეოლოგიის ფარგლებში პოპ-ფოლკად გადაიქცა.
- დ) მეოთხე ფაზა 2000-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც მესამე ფაზაში გამოვლენილმა განახლების პროცესის თავისებურებებმა ახალი, ლიბერალური საზოგადოების იდეოლოგიის პირობებში განაგრძო არსებობა. ამ ფაზაში ფოლკლორული მუსიკის ფუნქციონირების ყველა ზემოაღნიშნული ფორმა თანაარსებობს. რაც შეეხება ფოლკ-ფიუჟენს, დასაგლურ მუსიკალურ მასალასთან შეუზღუდავი წვდომის პირობებში, ამ მეორე რიგის ქოლგა ტერმინის ახალი შემადგენელი ქვემიმართულებები გაჩნდა და ის სტილურად, მუსიკალურ-დრამატურგიული თუ ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ბევრად მრავალფეროვანი გახდა.
11. მუსიკალური პრაქტიკის გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ ქართული ფოლკ-ფიუჟების პირველ ჩანასახებს XX საუკუნის 60-იან წლებში ფოლკლორული მუსიკის საესტრადო მუსიკასთან (რომელიც, ხშირად ჯაზის ელემენტებს შეიცავდა) სინთეზით შექმნილი ნიმუშები წარმოადგენენ, რაც გრძელდება 1970-იან წლებში ფოლკლორისა და როკის სინთეზით, 1980-იანების ბოლოს კი – ქართულ ალტერნატიულ მუსიკაში ფოლკლორის ელემენტების გაჩენით.
12. ფოლკ-ფიუჟების კვლევის პროცესში, პოპულარული მუსიკის ანალიზის რამდენიმე არსებული მიდგომისა და მეთოდის გათვალისწინებით (მიდლტონი, ებრალიძე, ნინოშვილი) და ფოლკ-ფიუჟების კონტექსტში შედარებით რელევანტური კრიტერიუმების შეჯერებით ჩამოვაყალიბეთ საანალიზო სისტემა, რომელშიც სამი ძირითადი საკითხია დაკონკრეტებული:
- ა) ფოლკლორული მასალისადმი მიდგომა;

- ბ) ფოლკლორული მასალის დამუშავების პრინციპები;
- გ) ფიუქენის განხორციელების სტილური მრავალფეროვნება.

13. ამ სისტემის მიხედვით ეთნო-ჯაზ ჯგუფ „ირიაოს“ შემოქმედების გაანალიზებისას გამოიკვეთა კომპოზიციების ავტორისა (დავით მალაზონია) და შემსრულებლების ქართული ხალხური მუსიკისადმი მიმართვის სხვადასხვა მიღებობა: ავტორის მიერ კომპოზიციებში რეალიზებული უცხოკულტურული და ტრადიციული მასალის ტემპრულ-აკუსტიკური პრინციპების ბალანსი; ფოლკლორული მასალისადმი გაშუალებული (ცალკეული მუსიკალური ელემენტების გამოყენებით) მიმართვა; რეპერტუარში ქართული ხალხური მუსიკის ე.წ. გლეხური შტოს (განსაკუთრებით გურული დიალექტის დამახასიათებელი ფოლკლორული ელემენტების) სიჭარბე, განპირობებული პირველ რიგში, ჯგუფში ვოკალური ტრიოს დომინირებული როლით: შემსრულებლების მიღებობა, ძირითადად, კომპოზიციის იმ ეპიზოდებში იკვეთება, სადაც მათ ავტორი იმპროვიზაციის თავისუფლებას აძლევს. აღმოჩნდა, რომ სწორედ ვოკალური ტრიო უზრუნველყოფს ეთნო-ჯაზ ჯგუფ „ირიაოს“ იმპროვიზაციული პასაჟების ხალხური მუსიკის იმპროვიზაციის ლოგიკით წარმართვას, რაც ჯგუფს ეთნო-ჯაზის სხვა შემსრულებლებისგან გამოარჩევს.

14. ქართული ფოლკ-ფიუქენის სოციოლოგიური ასპექტით კვლევის, კერძოდ, მის შემსრულებლებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა ფოლკ-ფიუქენ მუსიკოსების მიერ საკუთარ კომპოზიციებში ქართული ფოლკლორული მუსიკის გამოყენების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მოტივაციებით განპირობებულობა, მათ შორის, თვითგამოხატვის სურვილი, ეგზოტიკურობა, ეროვნულობა, კომერციული პოტენციალი და სხვ. აღმოჩნდა, რომ ცალკეული მუსიკოსების შემთხვევაში ეს ორივე მოტივაცია თანაარსებობს.

15. ქართველი მუსიკოსების მოტივაციის კვლევის პროცესში გამოვლინდა ის ფაქტორები, რაც ამა თუ იმ მუსიკოსის მიერ ფოლკ-ფიუქენ ექსპერიმენტებში მონაწილეობისგან თავის არიდებას განაპირობებს. მათ შორისაა, ქართული ფოლკლორული მუსიკალური მასალის დამუშავებისას პირველწელის დაზიანების შიში; მუსიკალური ავტორიტეტებისგან მძაფრი კრიტიკული შეფასებების საფრთხე; პოპულარულ მუსიკაში კომპეტენციის სიმცირე; მუსიკალური ინიციატივის გამოჩენის უნარისა თუ მუსიკაში თავისუფლების შეგრძნების ნაკლებობა; ფოლკ-ფიუქენის

კონცერტების, ფესტივალების ჩატარების ინიციატივების ფრაგმენტულობა და შესაბამისი სივრცის არარსებობა.

16. ასევე, გამოვლინდა, რომ მიუხედავად განსხვავებული მხატვრული აზროვნებისა და ფოლკლორისადმი მიმართვის მოტივაციებისა, მუსიკოსები ეროვნული დირებულებებისადმი პატივისცემის გამოხატვის მოტივაციითაც ხელმძღვანელობენ. როგორც აღმოჩნდა, ქართული მუსიკალური ფოლკლორი განსხვავებული თაობისა თუ მენტალობის მქონე ქართველ მუსიკოსებში „ეროვნულობის ამოსაცნობ ნიშნად“ (ორჯონიქიძე) აღიქმება, რის გამოც იგი საბოლოო მხატვრულ შედეგში მხოლოდ მისი მაღალმხატვრულობის ან ეგზოტიკურობის გამოვლენას არ ემსახურება.

17. ქართული ფოლკ-ფიუჟენის შემსრულებელ ემიგრანტ მუსიკოსთა მოტივაციისა და იდენტობის ანალიზმა საკმაოდ განსხვავებული სურათი მოგვცა: მათ შემოქმედებაში ქართული ფოლკლორული მუსიკისადმი მიმართება არა მხოლოდ ტრადიციულისა და თანამედროვეს, არამედ მშობლიურისა და შეძენილის, ერთი შეხედვით, ურთიერთდაპირისპირებული კატეგორიების გაერთიანებისა და ამით, საკუთარი გაორებული იდენტობის გამთლიანების მოტივაციითაა განპირობებული.

18. ფოლკ-ფიუჟენის სოციო-კულტურული ასპექტით შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართული მუსიკალური ფოლკლორის საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამედროვეობას მორგებული ფორმით ინტეგრირება მას (ფოლკ-ფიუჟენს), როგორც მრავალშრიან მოვლენას ესთეტიკურ, შემეცნებით, საკომუნიკაციო, აღმზრდელობით და უტილიტარულ ფუნქციებს ანიჭებს:

- ა) ესთეტიკური ფუნქცია მდგომარეობს მსმენელისათვის სიამოვნების, მშვენიერების განცდის მინიჭებაში;
- ბ) შემეცნებითი ფუნქციით ადამიანს ეძლევა ცოდნა გარესამყაროს შესახებ;
- გ) საკომუნიკაციო ფუნქცია მუსიკალური ინფორმაციის გაცვლით ადამიანებს აერთიანებს საზოგადოებრივ ჯგუფებად;
- დ) აღმზრდელობითი ფუნქცია ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებასა და ეროვნული იდენტობის განვითარებას;
- ე) უტილიტარული ფუნქცია შემდეგ სფეროებში იჩენს თავს: სარეკლამო ინდუსტრია, პულტურული ტურიზმი, პოლიტიკა (დემონსტრაციები და საპროტესტო გამოსვლები, სხვადასხვა სახის ოფიციალური შეხვედრები და საერთაშორისო პულტურული დონისძიებები).

19. როგორც აღმოჩნდა, თანამედროვე მუსიკალური ჟღერადობის გამო ქართული ფოლკ-ფიუჯენი მსმენელს თავს გლობალიზებული სამყაროს სრულუფლებიან წევრად აღაქმევინებს, ხოლო მუსიკალურ სტრუქტურაში ფოლკლორული ელემენტების ჩართვით, იგი ქართველს ფესვებთან, წინაპრებთან კავშირის განცდას უჩენს და მას საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აგრძნობინებს თავს. ამდენად, ერთ ადამიანში ამ ორი მნიშვნელოვანი განცდის ერთობლიობა და მისით გამოწვეული პიროვნული სრულფასოვნების შეგრძნება ესთეტიკური სიამოვნების წყაროდ იქცევა.
20. გამოვლინდა, რომ უცხოელი მუსიკოსების ფოლკ-ფიუჯენ კომპოზიციებში ქართული ფოლკლორი, პირველ რიგში, სწორედ თავისი ესთეტიკური ღირებულების წყალობით ხდება შთაგონების წყარო. თუმცა, მსგავს პროექტებში, მუსიკალური სინთეზის წარუმატებელი განხორციელების შემთხვევაშიც, საბოლოო შედეგი უცხოელ მსმენელში პოპულარობით სარგებლობს.
21. ამავე დროს გამოიკვეთა, რომ ფოლკ-ფიუჯენისადმი ქართველი მსმენელის დამოკიდებულებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად გამოყენებული ფოლკლორული მასალის სირთულესა და მისი დამუშავების ოსტატობას, თუმცა, ცხადია, ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როცა მსმენელი სათანადოდ აფასებს და დიდ სიამოვნებას იღებს უბრალო, ერთი შეხედვით, მარტივი ხალხური მელოდიის მაღალმხატვრული, ოსტატური დამუშავების შემთხვევაშიც.
